

თბილისის შრომის წითელი ღრუზის ორჯანოსანი
სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოცოგონ დოდაშვიდი

საიუბილო კრებული, მიქლენილი ს. დოდაშვილის
დაბადების 180 წლისთავისადმი



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1986

1985 წელს შესრულდა 180 წელიწადი სოლომონ დოდაშვილის — ცნობილი ქართველი ფილოსოფოსის, ჟურნალისტის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის დაბადებიდან. კრებულში თავმოყრილი გამოკვლევები ეხება სოლომონ დოდაშვილის ფილოსოფიურ, სამართლებრივ, სოციალურ, პოლიტიკურ და სხვა შეხედულებებს, მისი მრავალმხრივი მოღვაწეობის სხვადასხვა მხარეებს.

წიგნი განკუთვნილია ფილოსოფოსების, ჟურნალისტების, პედაგოგებისა და ს. დოდაშვილის შემოქმედებით დაინტერესებულ სხვა მკითხველთათვის.

სარედაქციო კოლეგია:

თამარ კუკავა

სოლომონ ხუციშვილი

შალვა ხიდაშელი

ოთარ გაბიძაშვილი

(C) თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1986

1402000000

C _____

M 608 (06) 86

რ ე ლ ა ქ ც ი ი ს ა ბ ა ნ

წინამდებარე კრებული ეძღვნება ფილოსოფოსის, პედაგოგის, ქართული ჟურნალისტიკის საფუძველმდებლის და საზოგადო მოღვაწის სოლომონ დოდაშვილის ხსოვნას, რომლის დაბადებიდან 130 წელი შესრულდა 1985 წლის 17 მაისს.

სოლომონ დოდაშვილის მეცნიერული და ლიტერატურული მემკვიდრეობა არ არის დიდი, მას შექაძლებლობა არ ჰქონდა ფართოდ გაეშალა თავისი ნიჭი, გამოეყენებინა ის ცოდნა-განათლება, რაც მიიღო იმდროინდელ პეტერბურგში, სადაც მას უხდებოდა ცხოვრება ბაგრატიონთა წრეში და სწავლა უმაღლეს სასწავლებელში. მან ვერ ამოწურა თავისი მეცნიერული და საზოგადოებრივი შესაძლებლობანი. სოლომონ დოდაშვილმა 1827 წელს პეტერბურგში გამოაქვეყნა ფილოსოფიის კურსის მხოლოდ პირველი ნაწილი — ლოგიკა, სამშობლოში დაბრუნებულმა 1830 წელს დაბეჭდა ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელო, ხოლო 1832 წელს, თავისსავე დაარსებულ ჟურნალში — „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებთან“ — გამოაქვეყნა რამდენიმე მხატვრული, პუბლიცისტური და კრიტიკული წერილი. ესაა ყველაფერი, რაც მან თავის სიცოცხლეში სტამბურად დაბეჭდა.

მიუხედავად მემკვიდრეობის სიმცირისა, სოლომონ დოდაშვილას შემოქმედებას ბევრი მკვლევარი დაეწაფა, რომელთაც მიზნად დაისახეს მისი სხვადასხვა ხასიათის თხზულებათა შესწავლა და გამოკვლევა მისი მსოფლმხედველობისა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ფილოსოფიური შეხედულებებისა, რომლის ერთი ნაწილიც წარმოადგენს წინამდებარე კრებულის შინაარსს.

თუ გადავხედავთ სოლომონ დოდაშვილის ბიობიბლიოგრაფიას (გამოიცა 1967 წელს), დავრწმუნდებით, რომ ამ მოღვაწის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლას თვით მისსავე სიცოცხლეში შეს-

დგომიან. პირველი გამოხმაურებანი მისი ნაშრომის ირგვლივ 1827 წელს გამოქვეყნდა და საუკუნეზე მეტია, რაც მეტ-ნაკლები ინტერესით შეისწავლება ამ შესანიშნავი მოღვაწის მეშვეილდროება.

ბიობიბლიოგრაფია იმასაც გვიჩვენებს, თუ რაოდენ ინტენსიური გამხდარა სხვათა და სხვათა დაკვირვებანი სოლომონ დოდაშვილის საქმიანობა-შემოქმედებაზე, განსაკუთრებით XX საუკუნის 20-იანი წლებიდან და შემდეგ, როცა ყოველწლიურად მის შესახებ ქვეყნდებოდა დიდი თუ პატარა გამოკვლევანი, დაკვირვებანი მის შემოქმედებაზე, ბიოგრაფიული ცნობები, მისი პოლიტიკური მოღვაწეობის საბუთები და სხვანი, რაც ხელს უწყობს ამ მოღვაწის აზროვნებისა და შემოქმედების შესწავლას.

ამავე მიზანს ემსახურება ეს კრებულიც, რომელშიც თავმოყრილია რამდენიმე გამოკვლევა სოლომონ დოდაშვილის აზროვნების, საქმიანობისა და მოღვაწეობის შესახებ.

სოლომონ დოდაშვილის „ლოგიკის“ სამეცნიერო და კულტურული ღირებულება

სოლომონ დოდაშვილის შემოქმედებით მემკვიდრეობაში მის წიგნს — „ფილოსოფიის კურსი. ნაწილი პირველი. ლოგიკა“ — მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. რუსული და ქართული ფილოსოფიის ისტორიკოსები მოიხსენიებენ მას ძირითადად როგორც ამ წიგნის ავტორს, მან, როგორც ამ წიგნის ავტორმა, მიიქცია პირველად ქართული საზოგადოების ყურადღება და აღძრა იმედი, რომ ქართულ კულტურას ახალ ნიადაგზე წარსულის ტრადიციების გამგრძელებლად მოევლინა განათლებული და უაღრესად ნიჭიერი ადამიანი. „ლოგიკა“ 1827 წ. გამოვიდა პეტერბურგში¹, ეს იყო მისი ავტორის მიერ ჩაფიქრებული ფილოსოფიური კონცეფციის პროპედევტიკული ნაწილი. ს. დოდაშვილის ბედუკუდმართი ცხოვრება ისეთი აღმოჩნდა, რომ მან ვეღარ შეძლო ამ საქმის დაბოლოება და დღეს მისი ფილოსოფიური და ლოგიკური შეხედულებების შესაფასებლად ეს პატარა წიგნი და კიდევ უფრო მცირე, ავტორის სიცოცხლეში გამოუქვეყნებელი, „ლოგიკური მეთოდოლოგია“² გვაქვს ხელთ.

რა ლოგიკურ-მეთოდოლოგიური პოზიციიდან უნდა შევაფასოთ ს. დოდაშვილის „ლოგიკა“? ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, უნდა გავითვალისწინოთ ლოგიკის ისტორიის იმ პერიოდის თავისებურებანი, რომელშიც ს. დოდაშვილი მოღვაწეობდა³.

ლოგიკა, მისი ფუძემდებლის არისტოტელეს ლოგიკურ ტრაქტატებში გატარებული თვალსაზრისის მიხედვით, არის მეცნიერება

¹ С. Додаев-Магарский, Курс философии, часть первая, Логика, Санкт-Петербург, 1827.

² ს. დოდაშვილი, თხზულებანი, თბილისი, 1961, გვ. 315—330.

³ XVII—XVIII საუკუნეებში ლოგიკის განვითარებისა და მისი სახეების ქვემოთ მოცემული დახასიათება ძირითადად აღებულია ჰ. შოლცის (H. Scholz) წიგნიდან: Abriss der Geschichte der Logik, München, 1967 (მესამე გამოცემა).

დასკვნის წესების შესახებ. დასკვნის წესის ფორმულირება ძალიან ჰგავს დასკვნის გამომთქმელ წინადადებას, ოღონდ მისგან განსხვავებით არ შეიცავს არცერთ სიტყვას ან ფრაზას, რომელიც კონკრეტულ საგანს, საგანთა თვისებას, საგანთა შორის არსებულ მიმართებას აღნიშნავდეს ან წინადადებას გამოხატავდეს. მათ ნაცელად დასკვნის წესის ფორმულირებაში ცვლადები (ცარიელი ადგილები) გვხვდება. დასკვნის წესის ფორმულირების საყოველთაოდ ცნობილი ნიმუშია არისტოტელესეული Barbara: „ყველა M არის P, ყველა S არის M; მაშასადამე, ყველა S არის P“. ასეთი ფრაზები შესაძლო დასკვნების აღნაგობას, სტრუქტურას, ფორმას აღწერენ და ლოგიკის ამოცანაა მათგან ვარგისი, გამართული, სწორი ფორმების შერჩევის კრატერიუმის შემუშავება, ფორმებისა, რომელთა კონკრეტული რეალიზაცია საშუალებას მოგვცემს ნებისმიერ მეცნიერულ თეორიაში ჭეშმარიტად მიჩნეული ან ადრე დასაბუთებული წინადადებებიდან გამოვიყვანოთ, დავასაბუთოთ სხვა ჭეშმარიტი წინადადებები და მხოლოდ ისინი. ი. კანტმა ასე გაგებულ ლოგიკას სამართლიანად უწოდა ფორმალური ლოგიკა. არისტოტელეს შემდეგ მთელი 20 საუკუნის მანძილზე ფორმალური ლოგიკა ვითარდებოდა როგორც დასკვნის წესების, ბჭობაში გამოყენებული ოპერაციების შემსწავლელი მეცნიერება (ფორმალური ლოგიკის კლასიკური სახე).

1662 წელს გამოვიდა ა. არნოლსა და პ. ნიკოლის ე. წ. პორ-როიალის ლოგიკა, რომელშიც შეგნებულადაა დარღვეული კლასიკური ფორმალური ლოგიკის საზღვრები. ეს დარღვევა უკვე მის სათაურშია მონიშნული — „ლოგიკა ანუ აზროვნების ხელოვნება“ და არა „ბჭობის (ან განსჯის) ხელოვნება“, როგორც ეს მოსალოდნელი იყო კლასიკური ფორმალური ლოგიკის ამოცანების მიხედვით. დეკარტისა და პასკალის გავლენით წიგნის ავტორებმა ლოგიკაში შეიტანეს, აგრეთვე, მოძღვრება მეთოდზე. ამ სიახლემ ფეხი მოიკიდა და უკვე 100 წლის შემდეგ ლოგიკის წიგნებში, ფორმალურ-ლოგიკურ მასალას მოკრძალებული ადგილი ეკავა შემეცნებით-თეორიული პრობლემათიკის გვერდით (თავად პორ-როიალის ლოგიკაში ფორმალურ-ლოგიკური პრობლემები ასე უგულვებელყოფილი არ იყო, სწორედ ამ დარგში ის საინტერესო სიახლეებსაც შეიცავდა). ასე შეიქმნა გაფართოებული ფორმალური ლოგიკის სახე.

გაფართოებულ ფორმალურ ლოგიკას XVIII საუკუნეში გამოეყო ახალი მიმართულება ლოგიკის გაგებაში. ი. კანტმა კატეგორიების შესახებ მოძღვრების ორიგინალური ინტერპრეტაციის საფუძველზე შეიმუშავა სრულიად ახალი ცნება ტრანსცენდენტალური ლოგიკისა, როგორც, როგორც „არაფორმალური“ ლოგიკა, უპირისპირდება ფორმალურ ლოგიკას; ისინი, ორივე, მეცნიერების თეორიის ნაწილებია; არსებობს მეცნიერების თეორიის ისეთი პრობლემები, მაგალითად, სინთეზურ-აპრიორული მსჯელობების შესაძლებლობის საკითხი, რომელთა გადაწყვეტა ფორმალური ლოგიკის საშუალებებით, მათი პრინციპული შეზღუდულობის გამო, შეუძლებელია. მათ იკვლევს არაფორმალური ლოგიკა. ტრანსცენდენტალური ლოგიკის კონცეფცია, ისევე, როგორც არაფორმალური ლოგიკის სხვა კონცეფციები, არ უარყოფს ფორმალურ ლოგიკას, მაგრამ გულისხმობს, რომ იგი მზა სახით არსებული პროპედევტიკაა მეცნიერებისა, რომ ფორმალური ლოგიკის შესაძლებლობები ბოლომდე გარკვეულია: იგი არსებითად დასრულებულია და განვითარების პერსპექტივა არა აქვს. ფორმალური ლოგიკის ასეთი გაგების გამოხატულებაა კანტის ცნობილი სიტყვები „წმინდა გონების კრიტიკის“ მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში: „არისტოტელედან მოკიდებული მას, ლოგიკას არ დასჭარებია არც ერთი ნაბიჯის უკან გადადგმა...“, მაგრამ ისიც ფრთხილად საყურადღებოა, რომ ლოგიკამ დღემდე ვერც წინ გადადგა ნაბიჯი და, ამრიგად, ყოველმხრივ ჩანს, რომ იგი ჩაკეტილი და დამთავრებულია“⁴. იგივე აზრი ცოტა სხვაგვარად კანტმა „ლოგიკაშიც“ გაიმეორა⁵.

პორ-როიალის ლოგიკის გამოსვლის შემდეგ სულ მალე მოღვაწეობას იწყებს გ. ვ. ლაიბნიცი. მისგან იწყება არისტოტელეს ლოგიკის „ახალი ცხოვრება“ — ამბობს ჰ. შოლცი და მხედველობაში აქვს ენის ფორმალისზაციის, ლოგიკის, როგორც აღრიცხვის, აგების იდეების შემუშავება და ლოგიკურ კვლევაში ალგებრული მეთოდების ნაყოფიერი გამოყენება. ლაიბნიცმა შექმნა მონახაზი ფორმალური ლოგიკის თანამედროვე სახისა, რომელსაც ლოგისტკას, მათემატიკურ ან სიმბოლურ ლოგიკას უწოდებენ. მართალია, ლაიბნიცის

⁴ ი. კანტი, წმინდა გონების კრიტიკა, თბ., 1979, გვ. 20.

⁵ H. Kant, Трактаты и письма, М., 1980, стр. 328.

იდეების კეშმარტი რეალიზაცია მხოლოდ XIX საუკუნის შუა წლებიდან იწყება, მაგრამ უკვე XVIII საუკუნეში ზოგი მისი გავლენით, ზოგიც მისგან დამოუკიდებლად იწყებს მისი გაკვალული ბილიკით სიარულს. მაგალითად, ს. დოდაშვილის „ლოგიკაზე“ რამდენიმე წლით ადრე გამოქვეყნდა ე. ეერგონის შრომა სილოგისტიკაში დიაგრამების სისტემატური გამოყენების შესახებ, ხოლო დოდაშვილის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ გამოდის ბოლცანოს შრომები. დღეს გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ლაიბნიცის მიერ გაკვალული ბილიკი ლოგიკის მაგისტრალური გზა აღმოჩნდა.

მეთოდოლოგიური პოზიცია ს. დოდაშვილის „ლოგიკის“ შესაფასებლად და, მაშასადამე, მოთხოვნები, რომლებიც მას უნდა წავუყენოთ, განისაზღვრება იმით, ფორმალური ლოგიკის თუ რომელ სახეს მიეკუთვნება იგი. ამის გასარკვევად ძალზე მნიშვნელოვანია „ლოგიკის“ შესავალი, რომელშიც მოცემულია ავტორის შეხედულებები ლოგიკის რაოდენზე და ლოგიკის ისტორიის მოკლე მონახაზი.

აღნიშნული შესავლის პირველი თავი („ლოგიკის ცნება და განსაზღვრება“) იდეურად იმეორებს კანტი (-იემეს) „ლოგიკაში“ მოცემულ დებულებებს. ამაში დასარწმუნებლად საკმარისია შევადაროთ ერთმანეთს დოდაშვილის წიგნის მითითებული თავი კანტის „ლოგიკის“ შესავლის პირველ თავს („ლოგიკის ცნება“) ⁶.

ს. დოდაშვილი: სამყაროში „ყველაფერი ექვემდებარება უცვლელ წესებს, მარადიულ კანონებს“. მათი „უცოდინარობა ჯერ კიდევ არ იძლევა უფლებას, უარვყოთ მათი არსებობა“. ეს სამართლიანია აზროვნების მიმართაც, მასშიც ბატონობს „თავისებური სახის უცვლელი წესდებანი“. აზროვნების ძალა, განსჯა არის უნარა, „დავუქვემდებაროთ ყოველივე ერთგვარ წესებსა და კანონებს“. სხვადასხვაგვარობა საგნებისა, სხვადასხვაობა სააზროვნო დარგებრსა განსაზღვრავს „სხვადასხვაგვარობას აზროვნების წესებისას“, რო-

⁶ ს. დოდაშვილის წიგნიდან ციტირებისას ვსარგებლობთ მისი ქართული თარგმანით—ს. დოდაშვილი, ლოგიკა, თბ., 1949, კანტი-იემეს „ლოგიკიდან“ ციტირებისას კი—ამ წიგნის რუსული თარგმანით, რომელიც შეტანილია კრებულში—И. Кант, Трактаты и письма, М., 1980, ამასთან, რადგან შედარება იდეური თვალსაზრისით ხდება, კანტის „ლოგიკიდან“ ციტატები მოგვაქვს ქართულად თარგმნილი ჩვენ მიერ.

მელთაც აზროვნება ექვემდებარება. ეს წესები „არიან კერძონი, შემთხვევითნი, გამოსადეგნი მხოლოდ რომელიმე განსაზღვრულის გვარის საგნებისათვის, მაგალითად: ისტორიულ, მათემატიკურ და სხვა საგანთათვის. თავს ვუყრით რა ამ წესებს, ... მხოლოდ ცალკეულ დარგებთან შეფარდებულთ, შეგვეძლო შეგვექმნა აზროვნების განსაკუთრებული მეცნიერება ყოველი ამ დარგისათვის“; მაგრამ, „რადგანაც გონება... მუდამ ერთი და იგივე რჩება, რადგანაც იგი არ მოქმედებს სხვანაირად, თუ არა მისი ბუნებიდან გამომდინარე კანონების მიხედვით, ამიტომ, ვაერთებთ რა ამ უკანასკნელთ ერთ სისტემატურ მთელად, ვღებულობთ ერთ მეცნიერებას აზროვნებისას და უკვე არა გამოყენებითს, არამედ წმინდა, კერძობებისადმი, ცალკეული საგნებისადმი ყოველგვარი დამოკიდებულების გარეშე მყოფ, მეცნიერებას, — აზროვნების იმ წესების მეცნიერებას, რომლებიც დამყარებულია არა სააზროვნო საგანთათვისებაზე, არა ცდაზე, არამედ თვით განსჯის ბუნებაზე. ამ მეცნიერებას არა საგნებისას, არამედ მხოლოდ აზროვნების წესისას საერთოდ, ... აზროვნების საყოველთაო და უცვლელი კანონების მეცნიერებას ეწოდება ლოგიკა“⁷.

ი. კანტი: „ყველაფერი ბუნებაში... წესების მიხედვით ხდება, თუმცა ჩვენ ყოველთვის არ ვიცით ეს წესები“. „ჩვენი უნარების გამოყენებაც გარკვეული წესების მიხედვით ხდება“, სახელდობრ, „განსჯაც დაკავშირებულია თავის მოქმედებებში წესებთან“, „განსჯა არის აზროვნების უნარი, ე. ი. უნარი, დაუქვემდებაროთ გრძნობადი წარმოდგენები წესებს“. „ამრიგად, თუ განსჯა არის წესების წყარო, ისმება კითხვა, რა წესების მიხედვით მოქმედებს თვითონ იგი?“ „ყოველი წესი, რომლის მიხედვითაც მოქმედებს განსჯა, — ან აუცილებელია, ან შემთხვევითი“. „შემთხვევითი წესები დამოკიდებულნი არიან შემეცნების გარკვეულ ობიექტებზე და ისევე მრავალგვარნი არიან, როგორც ეს ობიექტები. ასეთია, მაგალითად, განსჯის გამოყენება მათემატიკაში, მეტაფიზიკაში, მორალში და ა. შ.“. „მაგრამ ახლა თუ უგულებელვყოფთ ყოველგვარ ცოდნას, რომელიც ჩვენ საგნების განუნდა ვისესხოთ და ყურადღებას მივაქცევთ მარტოდენ განსჯის გა-

⁷ ს. დოდაშვილი, ლოგიკა, გვ. 14—15.

მოყენებას, აღმოვაჩინთ მის იმ წესებს, რომლებიც აუცილებელი არიან ყველა მიმართებით და დამოუკიდებელი არიან აზროვნების ყველა კერძო ობიექტისაგან. ასეთი წესები შეიძლება განხილულ იქნეს... ყოველგვარი ცდისაგან დამოუკიდებელად⁸. მეცნიერება, რომელიც მოიცავს „ამ საყოველთაო და აუცილებელ კანონებს“ „განსჯისას და აზროვნებისას საერთოდ“, არის ლოგიკა; იგი არის წმინდა მეცნიერება აზროვნებისა, რადგან განიხილავს იმას, თუ „რას აკეთებს მხოლოდ განსჯა თავისთავად“⁹.

ს. დოდაშვილი: რადგან ლოგიკის საგანია „აუცილებელი, რაზედაც გნებათ აზროვნების დროს“, მისი „შემეცნებაც არ შეიძლება იყოს წმინდა ცდისეული, ვინაიდან ცდა მარტოოდენ კერძოსა და შემთხვევითს გვაწვდის“. „აზროვნების მეცნიერება მხოლოდ დაკვირვებაზე დაყრდნობის გზით“ „პასუხს გასცემდა... მხოლოდ ერთ საკითხს: როგორ აზროვნებენ ჩვეულებრივად? და არა კითხვას: „როგორ უნდა ვიაზროვნოთ?“ „მხოლოდ ცდით შემოსახლერული ლოგიკა, კანტის შენიშვნით, ისევე უაზრო იქნებოდა, როგორც მარტო ცდაზე დამყარებული ზნეობის ფილოსოფია. აზროვნების საყოველთაო და აუცილებელი კანონები მხოლოდ გონებაში შეიცნობა a priori“¹⁰.

ი. კანტი: „ლოგიკას... არ შეუძლია ისესხოს პრინციპები არც რომელიმე მეცნიერებიდან და არც რაიმე ცდიდან; ის უნდა შეიცავდეს მხოლოდ კანონებს a priori“. „თუ ჩვენ ავიღებდით პრინციპებს... ჩვენს განსჯაზე დაკვირვებიდან, ჩვენ დავინახავდით მხოლოდ იმას, თუ როგორ ხდება აზროვნება“, „მაგრამ ლოგიკაში საკითხი დგას არა შემთხვევითი, არამედ აუცილებელი წესების შესახებ — არა იმის შესახებ, თუ როგორ ვაზროვნებთ ჩვენ, არამედ იმაზე, თუ როგორ უნდა ვიაზროვნოთ“¹¹.

ს. დოდაშვილი: „როგორ... შეუძლია გონებას, შეიცნოს თავისი თავი?“ ჩვენს სულს აქვს საუცხოო თვისება, „რომელიც ხლის მას

⁸ И. Кант, Трактаты и письма, стр. 319—320.

⁹ იქვე, გვ. 326.

¹⁰ ს. დოდაშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 18.

¹¹ ი. კანტი, დასახ. წიგნი, გვ. 321—322.

მოქმედ ძალადაც და მისი მოქმედების საგნადაც: ასეთია თვითცნობიერების ბუნება“¹².

ი. კანტი: „როგორ იმეცნებს განსჯა თავის თავს?“ „ლოგიკა არის განსჯისა და გონების თვითშემეცნება“¹³.

ს. დოდაშვილი: ლოგიკა არის კანონიკა, რადგან „იგი გადმოგვცემს გონების აუცილებელ კანონებს, როგორც პირობებს, რომელნიც არსებითად საპირონი არიან მისი სწორი გამოყენებისათვის და თავის თავთან შეთანხმებისათვის“. ლოგიკა „არ არის შეეცნება მის მეცნიერება“, ე. ი. იგი „არ არის ორგანონი, ... შემეცნების იარაღი სხვა არაფერია, თუ არა ძირითადი საწყისები და წესები გარკვეული წრის საგანთა შესაცნობად; მაგრამ ლოგიკა სტოვეებს აზროვნების მასალას და გონების მართო ფორმას მოიცავს; ...მას შეუძლია მზა მასალას მისცეს სათანადო ფორმა, შექმნას მისგან მთელი“. ლოგიკა „ყველა მეცნიერების პროპედევტიკაა... ვინაიდან ყოველი მეცნიერება მოითხოვს სისტემატურ გადმოცემას, ეს კი ლოგიკის საქმეა“¹⁴.

ი. კანტი: ლოგიკა, რამდენადაც მასში მოცემულია „პირობები მხოლოდ, რომელთა მეოხებითაც განსჯას შეუძლია და კიდევაც უნდა იყოს თავის თავთან თანხმობაში, განსჯის სწორი გამოყენების აუცილებელი კანონები და პირობები, არის კანონიკა“. ლოგიკა „არ შეიძლება იყოს მეცნიერების ორგანონი“. „ორგანონად გვესმის... მითითება იმისა, თუ როგორ უნდა განხორციელდეს გარკვეული შემეცნება... ამიტომ მეცნიერების ორგანონი... გულისხმობს მეცნიერების, მისი ობიექტებისა და წყაროების ზუსტ ცოდნას“; მაგრამ „აზროვნების საყოველთაო და აუცილებელი წესები შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ მის [განსჯის] ფორმას და არა მატერიას“, „...ლოგიკა უნდა განხილულ იქნეს როგორც... განსჯის ყოველგვარი გამოყენების პროპედევტიკა“¹⁵.

¹² ს. დოდაშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 16.

¹³ ი. კანტი, დასახ. წიგნი, გვ. 322.

¹⁴ ს. დოდაშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 16—17.

¹⁵ ი. კანტი, დასახ. წიგნი, გვ. 321. კანტის „ლოგიკის“ კვალი დოდაშვილის „ლოგიკაში“ მოტანილი ადგილებით არ ამოიწურება. ამ მხრივ ძალიან საინტერესოა დოდაშვილის წიგნის დასაწყისის („ფილოსოფიის ზოგადი შესავალი“) შედარება კანტის „ლოგიკის“ შესავლის მესამე თავთან („სა-

ლოგიკის ისტორიის დოდაშვილისეული მონახაზიდან (შესავალი, თავი II) ირკვევა, რომ ლოგიკის რაობაზე კანტის თვალსაზრისის გაზიარებით არ ამოიწურება მისი დამოკიდებულება გერმანელ ფილოსოფოსთან. დოდაშვილი კრიტიკულ ფილოსოფიას მიიჩნევს ლოგიკის ისტორიის ბოლო, მეექვსე პერიოდად, ხოლო იმ მაღალ შეფასებას, რომელსაც ის აძლევს კანტს ამ მონახაზში, მხოლოდ არისტოტელესათვის მის მიერ მიცემული შეფასება თუ შეეძლება: „კანტის გამპირახმა გენიამ ახალი სახე მისცა გონებისმეტყველებას და მტკიცე საზღვრები დაუდო მას; მან დაამტკიცა ლოგიკის კანონების წარმოშობა გონებისეული და არა ცდისეული წყაროდან; აღმოაჩინა ლოგიკის ჭეშმარიტი ღირსება და მისი წესების გამოყენების საზღვრები“¹⁶.

თუკი „ლოგიკის“ დაწერის პერიოდის დოდაშვილს არ მიეაწერთ სინკრეტიზმისაკენ ახალგაზრდულ მიდრეკილებას, უნდა ვივარაუდოთ, რომ ს. დოდაშვილის თვალსაზრისი ლოგიკის შედგენილობაზე, მის პერსპექტიულ ამოცანებზე და ლოგიკური კვლევის ხასიათზე ისეთივე უნდა ყოფილიყო, როგორც ის ივარაუდებოდა ლოგიკის კანტისეულ კონცეფციაში: ყველა საკუთრივ ლოგიკური პრობლემა, რომელიც ბჭობისა და დასკვნის სისწორეს ეხება, უკვე დაამუღო და არსებითად გამოკვლეულია; ახალი საკითხები, რომლებიც შეიძლება ლოგიკაში გაჩნდეს, ეხება მხოლოდ ლოგიკის კანონებისა და წესების ერთ მთლიან სისტემად წარმოდგენას, მათ გნოტეოლოგიურ ან ონტოლოგიურ ინტერპრეტაციასა და გამართლებას, ლოგიკის დამოკიდებულების გარკვევას სხვა ფილოსოფიურ დისციპლინებთან. ასეთი თვალსაზრისი მკაფიოდ აისახა კიდევ ლოგიკურ ლიტერატურაში, რომელიც ფორმალური ლოგიკის კანტისეული კონცეფციის ჩარჩოებში იქმნებოდა. ამ ხასიათის წიგნებში ლოგიკურმა მასალამ მიიღო სტაბილური სახე და ძირითადად შემოფარგლული იყო საკითხთა იმ წრით, რასაც დღეს ტრადიციულ ლოგიკას უწოდებენ. ლოგიკური წიგნების სხვადასხვაობა მხოლოდ ამ საკითხთა გადმოცე-

ერთოდ ფილოსოფიის ცნება...“). მაგრამ როგორი შთამბეჭდავიც არ უნდა იყოს შედარების შედეგები, მის საფუძველზე დასკვნების გამოტანისას დიდი სიფრთხილის დაცვაა საჭირო.

¹⁶ ს. დოდაშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 26.

მის ფორმაში, კომპოზიციასა და ფილოსოფიურ ინტერპრეტაციაში ვლინდებოდა.

დებულება, რომ ს. დოდაშვილის „ლოგიკას“ საფუძვლად უდევს ფორმალური ლოგიკის კანტისეული კონცეფცია, შეიძლება არაპირდაპირი მოსაზრებებითაც დავადასტუროთ:

1) დოდაშვილის „ლოგიკის“ საკუთრივ ლოგიკურ ნაწილში¹⁷ არსად არ გვხვდება ახალი ლოგიკური პრობლემის დასმა ან ისეთი პრობლემის ფორმულირება, რომელიც, ავტორის აზრით, შემდგომ კვლევას ითხოვდეს. ზემონათქვამიდან ჩანს, რომ ეს დოდაშვილის ნაკლი კი არ არის, არამედ ფორმალური ლოგიკის მითითებული კონცეფციის ხარვეზია და დოდაშვილმა ის მემკვიდრეობად მიიღო მისგან. გარდა ამისა, სიახლეები დოდაშვილის „ლოგიკაში“, რომლებზეც მკვლევრები მიუთითებენ (მაგალითად, ყველა ლოგიკური აქტის, წესისა და კანონის საფუძვლად თეზისი — ანტითეზისი — სანთეზის მიმართების გამოცხადება, ლოგიკის გადმოცემისას ცნება — მსჯელობა — დასკვნის ტრადიციული თანმიმდევრობის შეცვლა მსჯელობა — ცნება — დასკვნის თანმიმდევრობით), სწორედ ლოგიკის ფილოსოფიურ ინტერპრეტაციასა და მასალის სისტემატიზაციას ეხება.

2) ახალი დროის ლოგიკის ისტორიის მონახაზში იგი სულ 4 გვერდს მოიცავს¹⁸, დოდაშვილი მხოლოდ ასახელებს ან მოკლედ ახასიათებს 30 მოაზროვნეს, რომელთაც, მისი აზრით, დეაწლი მიუძღვით ლოგიკის განვითარებაში, აქედან თერთმეტი, კრიტიკული ფილოსოფიის პერიოდშია მოქცეული. შევადაროთ ეს ლოგიკის ისტორიის რომელიმე თანამედროვე წიგნში მოხსენიებულ ქრონოლოგიურად იმავე პერიოდის მოაზროვნეთა სიას. მაგალითისთვის ავიღოთ ტ. კოტარბინსკის „ლოგიკის ისტორიის ლექციები“ და ვ. ლაშ. ნილების „ლოგიკის განვითარება“. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პერიოდის განხილვას კოტარბინსკის ლექციებში 22 გვერდი¹⁹, ნილების წიგნში 50 გვერდი²⁰ უკავია, მათში, ორივეში ერ-

¹⁷ ს. დოდაშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 27—72.

¹⁸ იქვე, გვ. 23—27.

¹⁹ Т. Котарбинский, Избранные произведения (пер. с польского), М., 1963, стр. 429—451.

²⁰ W. Kneale, M. Kneale. The Development of Logic, Oxf., 1962, p.

თად, დასახელებულია 25 ლოგიკოსი, აქედან ფორმალური ლოგიკის კანტისეული კონცეფციის წარმომადგენელია მხოლოდ ერთი — თვითონ კანტი; მაგრამ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, დოდაშვილის სიაში არ არის შესული იმ მოაზროვნეთა სახელები, რომლებმაც ახალი პრობლემები წამოჭრეს ლოგიკაში და, მასასადამე, თავიანთი კვლევა-ძიების მიმართულებით ეწინააღმდეგებოდნენ ფორმალური ლოგიკის დასრულებულობისა და უპერსპექტივობის იდეას.

თუ რა ადგილი დაიკავა დოდაშვილის „ლოგიკამ“ მის თანადროულ ლოგიკურ ლიტერატურაში, ამაზე კარგ წარმოდგენას იძლევა წიგნის გამოსვლისთანავე რუსულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული რეცენზიები²¹, ისინი კარგადაა ცნობილი და მრავალჯერ ციტირებული ქართველ მკვლევართა შრომებში დოდაშვილის შესახებ; კარგად არის აგრეთვე ცნობილი რუსული ფილოსოფიის ისტორიკოსების მიერ ამ შრომის შეფასება²². გ. რუსიამ თავის გამოკვლევებში²³ მიმოიხილა დოდაშვილამდე რუსულ ენაზე გამოსული ორიგინალური და ნათარგმნი ლოგიკური წიგნები და ნაწილობრივ შეადარა კიდევაც ისინი დოდაშვილის შრომას. გ. რუსიას თანახმად, ამ წიგნების უმრავლესობაში, დოდაშვილის „ლოგიკისაგან“ განსხვავებით, ლოგიკა არ იყო მკაფიოდ გამოყოფილი სხვა როგორც ფილოსოფიური, ისე არაფილოსოფიური დისციპლინებისაგან, რის შედეგადაც მათში ლოგიკურ საკითხებს მცირე ადგილი ეკავა, ხოლო ზოგიერთ წიგნში შემეცნებით-თეორიულ მასალასთან ერთად შეტანილი იყო დარიგებანი წიგნების კითხვის, მათი კრიტიკის, პაექრობის, გრძნობებისა და გემოვნების აღზრდის, ზნეობის საკითხებზე.

ამ რეცენზიების, შეფასებებისა და შედარებების ავტორები ამ დასკვნამდე მიდიან, რომ დოდაშვილის წიგნში ლოგიკური მასალა ნათლად, მოკლედ და ჭეროვანი სისრულით არის გადმოცემული და, მასასადამე, იგი კარგ პროფესიულ დონეზე დგას.

²¹ სოლომონ დოდაშვილის ბიბლიოგრაფია, თბილისი, 1967, გვ. 19.

²² იქვე, გვ. 19, 21, 22, 24.

²³ Г. И. Русиа, «Логика» Соломона Додашвили (автореферат диссертационной работы), Тбилиси, 1951; გ. რუსია, სოლომონ დოდაშვილის ფილოსოფიური შეხედულებები, ცხინვალი, 1962.

პროფესიულობის ერთ-ერთი ნიშანი მართლაც მასალის სისრულეა. მისი საშუალებით ვეგებთ, იცოდა თუ არა წიგნის ავტორმა მოცემული სამეცნიერო დისციპლინის თანამედროვე მდგომარეობა. რადგან ს. დოდაშვილის „ლოგიკას“ საფუძვლად უდევს ფორმალური ლოგიკის კანტისეული კონცეფცია, მისი ავტორის პროფესიონალიზმის დასადასტურებლად მასში გადმოცემული მასალის სისრულის თვალსაზრისით შევადაროთ იგი ლოგიკური ლიტერატურის ამავე ნაკადის ასეთვე მოკლე და პროპედევტიკული ხასიათის ისეთ წიგნს, რომლის ავტორის პროფესიონალიზმი საეჭვო არ არის. როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, კანტის კონცეფციის ჩარჩოებში ფორმალურ ლოგიკას, როგორც დასრულებულ დისციპლინას, შედგენილობის მიხედვით სტაბილური სახე ჰქონდა და ამიტომ შესაძლებელია, შესადარებლად საკმაოდ გვიან დაწერილი წიგნიც ავიღოთ. ეს იმიტომაც იქნება მიზანშეწონილი, რომ გამოჩნდება, მან, დოდაშვილმა, თავის წიგნში მხოლოდ მისი დროის ზოგიერთი ტენდენციით წინ წამოწეული საკითხები შეიტანა, თუ ისეთი მასალა შეარჩია, რომელმაც საბოლოოდ მოაპოვა ღირებულება და გაუძლო დროს.

შევადაროთ ს. დოდაშვილის „ლოგიკა“ აღნიშნული თვალსაზრისით შ. ნუცუბიძის „ლოგიკის სახელმძღვანელო“, რომელიც დოდაშვილის წიგნის გამოსვლიდან თითქმის ასი წლის შემდეგ გამოვიდა²⁴. მიუხედავად იმისა, რომ შ. ნუცუბიძე იცნობდა ბ. ბოლცანოს შრომებს, იგი ფორმალური ლოგიკის დასრულებულობისა და უპერაპექტივობის კანტისეულ თვალსაზრისზე იდგა, რასაც ადასტურებს მისი შემდეგი სიტყვები: „ლოგიკის, როგორც მთლიანი საგნის შესწავლა ორის მხრივ მიდგომას მოითხოვს: მისი... აგებულობისა და ცოცხალი შინაარსის მხრივ. პირველი ამოცანა შედარებით უფრო მარტივია და ადვილიც; მეორე — საკითხების ფართო მეცნიერულ-ფილოსოფიურ დაყენებას მოითხოვს. საუკუნოების განმავლობაში აზროვნება მარტო პირველი ამოცანის გადაჭრით კმაყოფილდება და ამ მიმართულებით შეიქმნა დისციპლინა, რომელსაც ისტორიულად ფორმალური ლოგიკის სახელი შერჩა. ეს იყო მომეტებულად აზროვნების ჩონჩხის შესწავლა, რომელმაც ისეთ სისრულეს და ჩამოქნილ სახეს მიაღწია, რომ ფილოსოფიურ ლოგიკის მკვლევართათვის

²⁴ შ. ნუცუბიძე, ლოგიკის სახელმძღვანელო, ტფილისი, 1920.

(მაგ. კ ა ნ ტ ი ს თ ვ ი ს) გზის მაჩვენებელ ხაზებად ჩამოყალიბდა.

დღეს ფორმალი ლოდიკა, როგორც თვითღირებული დარგი, ისტორიას ჩაბარდა... მისი აზრი მხოლოდ იმაშია, რომ იგი ფილოსოფიური ლოდიკის პროპედევტიკაა“²⁵.

ს. დოდაშვილის „ლოდიკის“ შედგენილობა: 1) აზროვნების კანონები — წინააღმდეგობის, გამორიცხული მესამის, იგივეობის და საკმაო მიზეზისა; 2) მსჯელობა — მსჯელობის შემადგენელი ნაწილები, მსჯელობათა კლასიფიკაცია რაოდენობის, თვისებრიობის, მიმართებისა და მოდალობის მიხედვით, კლასიფიკაცია სხვადასხვა ნიშნების მიხედვით ერთობლივად (ერთეულოვანი მსჯელობა გაიგივებულია ზოგადთან), მარტივი და რთული მსჯელობები, ლოგიკური კვადრატის და მისი წესები, აქსიომები და თეორემები, განსაზღვრება, რეალური და ნომინალური განსაზღვრება, განსაზღვრება გვარისა და სახეობითი ნიშნის მიხედვით, განსაზღვრების წესები, გაყოფა და მისი წესები, ანალიზური და სინთეზური მსჯელობები, ცნება და მსჯელობა; 3) ცნება — ცნება და წარმოდგენა, ცნების ფორმა და მატერია, კატეგორიები და მათი კანტისეული კლასიფიკაცია, ცნების შინაარსი და შოცულობა, დამოკიდებულება მათ შორის, სახე, გვარი, უმაღლესი გვარი, დამოკიდებულება ცნებებს შორის, დაპირისპირებულ ცნებათა პრინციპები და მათი კავშირი აზროვნების კანონებთან; 4) დასკვნა — მსჯელობა, ცნება და დასკვნა, უშუალო და შუალობითი დასკვნები, კატეგორიული სილოგიზმი, მისი აქსიომა და ზოგადი წესები, ფიგურები (ზოგადად), პირველი ფიგურა (ზოგადად), პირობითი სილოგიზმი და მისი წესები, გაყოფილი სილოგიზმი და მისი წესები; დილემა, ენთიმემა და ეპიქტემემა, სორიტის; 5) ინდუქცია — სრული და არასრული ინდუქცია, ანალოგია; 6) დასაბუთება — ემპირიული და რაციონალური, პირდაპირი და არაპირდაპირი, აპოდექტიკური და სავარაუდო; შეცდომები დასაბუთებაში.

შ. ნუცუბიძის „ლოდიკის სახელმძღვანელო“ შედგენილობა: 1) აზროვნების კანონები — იგივეობის, წინააღმდეგობის, საკმაო საფუძვლისა და გამორიცხული მესამის; 2) ცნება — არსებითი და არაარსებითი ნიშნები, სიტყვა, ცნება და წარმოდგენა, ცნების შინა-

²⁵ შ. ნუცუბიძე, ლოდიკა, პროპედევტიკული კურსი, ტფილისი, 1923, გვ. 3.

არსი და მოცულობა, დამოკიდებულება მათ შორის, ცნებებს გაყოფა და მისი წესები, განსაზღვრება გვართა და სახეობითა ნიშნის მიხედვით, ცნებებს შორის დამოკიდებულებანი; 3) მსჯელობა — მსჯელობის შემადგენელი ნაწილები, ცნება და მსჯელობა, მარტივი და რთული მსჯელობები, მსჯელობათა კლასიფიკაცია რაოდენობის, თვისებრიობის, მიმართებისა და მოდალობის მიხედვით (ერთეულოვანი მსჯელობა გაიგივებულია ზოგადთან), ანალიზური და სინთეზური მსჯელობები, ლოგიკური კვადრატი და მისი წესები; 4) დასკვნა — მოჩვენებითი სილოგიზმები; ენთიმემა, უშუალო დასკვნები — უკუქცევა, გადაქცევა და მათი შეერთება, კატეგორიული სილოგიზმა, მისი ფიგურები და მოდუსები (ზოგადად), ზოგადი წესები, შეცდომები სილოგიზმში, სორიტი; 5) ინდუქცია — ჯ. ს. მილის მეთოდები (ერთადერთი მსგავსების, ერთადერთი განსხვავების, თანმხლები ცვლილების და ნაშთებისა), ბუნების ერთგვარობის პრინციპი, ანალოგია, ჰიპოთეზი; 6) დასაბუთება — მისი ნაწილები, აქსიომები, ემპირიული და რაციონალური დასაბუთება, შეცდომები დასაბუთებაში.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ მასალის სხვადასხვანაირ განლაგებასა და ნუცუბიძის წიგნში მილისეული მეთოდების განხილვას, რაც ტრადიციული ლოგიკის შედგენილობაში XIX საუკუნეში შევიდა, აშკარად დავინახავთ, რომ ამ ორ წიგნში განხილულ საკითხთა წრე არსებითად იდენტურია და, მაშასადამე, ს. დოდაშვილის „ლოგიკაში“ გადმოცემული ლოგიკური მასალის სისრულის შევალსაზრისით კარგად არის საქმე.

ახლა მასალის გადმოცემის ხარისხის შესახებ. ესეც მეცნიერს პროფესიონალიზმის აუცილებელი, თუმცა უფრო ძნელად მისაღწევი კომპონენტია. აქ საჭირო არ არის „ლოგიკის“ ამ თეალსაზრისით დალაგება, თვითონ შრომა საკმაოდ მოკლე და იოლად მამოხილვადია და, გარდა ამისა, ლიტერატურაში ეს საკმაოდ დაწვრილებით არის გაკეთებული²⁶. შემოვიფარგლებით მხოლოდ ზოგიერთი ადგილის კომენტარით, მაგრამ წინასწარ უნდა ითქვას, რომ საკითხთა დოდაშვილისეული გადმოცემისათვის დამახასიათებელი ბევრი

²⁶ Г. М. Каландаришвили, *Логика* (1952) и др. в Грузии, Тбилиси, 1952, стр. 89—156.

ხარვეზი ახასიათებს აგრეთვე თითქმის მთელ ტრადიციულ-ლოგიკურ ლიტერატურას და, უნდა ვივარაუდოთ, რომ იმ წყაროებდაც, რომლებითაც ს. დოდაშვილი ლოგიკას სწავლობდა.

1. მართალია, დოდაშვილი ერთმანეთისაგან არ განასხვავებს წინააღმდეგობის შეუძლებლობისა და გამორიცხული შესაძრის კანონების ონტოლოგიურ, სემანტიკურ და ლოგიკურ ფორმულირებებს, მაგრამ ძალიან ნათლად და კორექტულად აყალიბებს მათს ონტოლოგიურ ვარიანტებს თვისებებისათვის: ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო ნიშნიდან ორივე შეუძლებელია, ხოლო ერთ-ერთი აუცილებლად უნდა მიეწეროს საგანს. თუკი მხედველობაში გვექნება დროში არსებული საგნები, უნდა ვივარაუდოთ, რომ ორივე დებულება სამართლიანია ნებისმიერ დროში.

იგივე არ ითქმის იგივეობისა და საკმაო მიზეზის პრინციპებზე. ავტორს მოცემული აქვს იგივეობის პრინციპის ორი, ერთმანეთის არატოლფასი ფორმულირება: (ა) „ვეტოვებთ რა ყურადღების გარეშე შემთხვევით ნიშნებს, ვამჩნევთ საგანთა არსებითს, მუდმივ თვისებებს, რომელთა მეოხებით ყოველ საგანს წარმოვიდგენთ ძალად თავის თავის ტოლად, მუდამ ერთ და იმავე საგნად“, (ბ) „ $A=A$; ყველა შესაძლებელი არსება უდრის თავის თავს“²⁷. რადგან ავტორი შემთხვევით ნიშნებს უპირისპირებს მუდმივებს, ცხადია, შემთხვევითად მას ის თვისებები აქვს გააზრებული, რომლებიც საგანს ზოგჯერ, (ზოგიერთ დროს) ახასიათებენ, ზოგჯერ კი—არა და, მაშასადამე, პირველი ფორმულირება სხვადასხვა დროს (დროის სხვადასხვა მომენტებში ან, როგორც დღეს იტყვიან, სხვადასხვა „შესაძლო სამყაროებში“) სხვადასხვა (შემთხვევითი თვისებების მქონე) საგნების გაიგივებას ეხება. მეორე ფორმულირებაში დროზე მითითება არა გვაქვს და ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი ეხება დროის ყოველ მომენტში არსებულ საგანს, ხოლო მაშინ ის იგივეობის ელემენტარული თეორიის კანონია²⁸; იგივეობის პრინციპის ამ ორი ფორმულირების აღრევა დამახასიათებელი იყო მთელი ტრადიციული ლოგიკისათვის. გარდა ამისა, პირველ ფორმულირებაში

²⁷ ს. დოდაშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 31.

²⁸ ა. ტარსკი, ლოგიკისა და დედუქციურ მეცნიერებათა მეთოდოლოგიის შესავალი, თბილისი, 1971, გვ. 68.

საუბარია სუბიექტის მიერ საგანთა გაიგივებაზე და ამ გაიგივების მეთოდზე, მეორეში — სუბიექტის დამოკიდებულება საგანთან ელემენტარულია და ენება საგანთა იგივეობას სუბიექტისგან დამოუკიდებლად.

საკმაო მიზეზის პრინციპისათვის მოცემულია სამი ერთმანეთს არატოლფასი ფორმულირება: (ა) „ქვემდებარესა ჯა შემასმენელს შორის ცხადად თუ ფარულად იმყოფება საშუალო ტერმინი“, (ბ) „ყოველივეს, რის შესახებაც აზროვნება შეიძლება, უნდა ჰქონდეს საკმაო საფუძველი“, (გ) „ორი საგანი, თანხმობადი მესამისა, თანხმობადია ურთიერთისაც: თუ $A=B$ და $B=C$, მაშინ $A=C$ “²⁹. პირველ ფორმულირებაში ალბათ იგულისხმება, რომ ქვემდებარეს და შემასმენელს შორის ცხადად თუ ფარულად ყოველთვის იმყოფება საშუალო ტერმინი, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში არ გვექნებოდა პრინციპის, კანონის ფორმულირება; მაგრამ ეს ეწინააღმდეგება არა მხოლოდ ფაქტიურ ვითარებას (აღამიანი ხომ ყოველთვის დასკვნით არ აღწევს ახალ ცოდნას!), არამედ თვითონ დოდაშვილის აზრსაც მსჯელობის ბუნების შესახებ: „გონების პირველ მოქმედებაში არ არის არავითარი წინასწარი ცნება, არამედ მხოლოდ მსჯელობაა, რომელიც საგანს და ცნობიერების ძალისადმი დაქვემდებარებულს წარმოგვიდგენს როგორც ორ დაპირისპირებულს“³⁰. მეორე ფორმულირება გნოსეოლოგიური ტერმინებით გამოთქმული მიზეზობრიობის პრინციპია, მესამე — ისევ იგივეობის ელემენტარული თეორიის კანონია³¹, რომელსაც საექვოა, რაიმე საერთო ჰქონდეს პირველ ორ დებულებასთან.

ავტორის ჩანაფიქრის მიხედვით, აზროვნების კანონების დასახასიათებლად ძალზე მნიშვნელოვანია § 4-ის მეორე აბზაცის დაბოლოება, რომელშიც, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ტერმინთა არასწორ ხმარებას, განსაზღვრულია ნიშნებს (თვისებებს) შორის იგივეობის, მოპირდაპირეობის და მესამის გამორიცხვის ლოგიკურ-მეთოდოლოგიური ცნებები (და არა იგივეობის, წინააღმდეგობისა და მესამის გამორიცხვის პრინციპები, როგორც ამას ამბობს ავტო-

²⁹ ს. დოდაშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 31.

³⁰ იქვე, გვ. 45.

³¹ ა. ტარსკი, დასახ. წიგნი, გვ. 69.

რი). გავარჩიოთ ერთ-ერთი მათგანი: „ავიღოთ ორი ნიშანი“; თუ „ისინი იქნებიან... ისეთნი, რომ ერთის დადგინებით მეორეც აგრეთვე დადგინდება, და ერთის უარყოფით ასევე მეორეც ბათილდება“, მაშინ „ესაა რივეობის პრინციპი“³². ციტატის პირველ ნაწილში (ანტეცედენტში) ლაპარაკია ნებისმიერ ორ, A და B, ნიშანს (თვისებას) შორის მიმართებაზე, რაშიც უნდა იგულისხმებოდეს შემდეგი: „თუ ნებისმიერ საგანს აქვს A თვისება, მაშინ მას აქვს B თვისებაც და თუ არა აქვს A თვისება, მაშინ მას არა აქვს B თვისებაც“, ანუ „ყველა A არის B და ყველა \bar{A} არის \bar{B} “, რაც ყოველთვის ჭეშმარიტი კი არ არის (სწორედ მაშინ იქნებოდა ის პრინციპი), არამედ მაშინ და მხოლოდ მაშინ არის ჭეშმარიტი, როდესაც A და B თვისებები ერთმანეთის იგივეობრივია (ტოლფასია). მაშასადამე, მოტანილი ადგილი უნდა წავიკითხოთ როგორც განსაზღვრება: ავიღოთ ორი ნიშანი; თუ ისინი ისეთნი იქნებიან, რომ ერთის დადგინებით მეორეც აგრეთვე დადგინდება, და ერთის უარყოფით ასევე მეორეც ბათილდება, მაშინ ვიტყვი, რომ ეს ნიშნები ერთმანეთის იგივეობრივია. აქედან მიიღება იგივეობის კანონის მეორე ფორმულირების კერძო შემთხვევა თვისებებისთვის (მაგრამ არა თვითონ მეორე ფორმულირება). ასევე უნდა დაზუსტდეს და გასწორდეს სხვა დებულებებიც, გარდა ბოლო მათგანისა (იგი — საკმაო ზიზუნის ცნების განსაზღვრება — ისე ბუნდოვანია, რომ მისი ცალსახა გაგება არ ხერხდება).

2. მსჯელობის კლასიფიკაციის პრობლემასა და დასკვნის თეორიას შორის მკვიდრო კავშირი არსებობს, რადგან დასკვნის თეორიაში დასტურდება მსჯელობის ნებისმიერ ორ ლინგვისტურ სახეს შორის ლოგიკური იგივეობა ან განსხვავება. ტრადიციულ ლოგიკაში არისტოტელეს გამოცდილებას ამ საკითხში ვერ ითვალისწინებდნენ, ხოლო სტოელთა მიერ შექმნილი წინადადებათა ლოგიკა, რომელშიც ეს კავშირი კიდევ უფრო ნათლად არის გამოხატული, თათქმის მთლიანად „დავიწყებული“ იყო. ამიტომ მასში და, კერძოდ ფორმალური ლოგიკის იმ კონცეფციაში, რომელსაც ს. დოდაშვილი იზიარებდა, მსჯელობათა კლასიფიკაციის პრობლემას დამოუკიდებელ ღირებულებას ანაჰებდნენ, ამის გამო წმინდა ლინგვისტურ და

³² ს. დოდაშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 32—33.

ფორმალურ-ლოგიკურ მიმართებებს ერთმანეთისაგან კარგად ვერ არჩევდნენ და პრობლემის ასე თუ ისე დამაკმაყოფილებელ ვად.კ-რას ვერ აღწევდნენ. ამ სიტუაციას ზოგიერთი ლოგიკოსი აკრიტიკებდა კიდევაც, „ლოგიკის“ ტექსტი ნაწილობრივ იძლევა საშუალებას, ს. დოდაშვილიც მათ მივაკუთვნოთ.

ს. დოდაშვილი იზიარებს კანტის მიერ დაკანონებულ მსჯელობათა კლასიფიკაციას რაოდენობის, თვისებრიობის, მიმართებისა და მოდლობის მიხედვით სამ-სამ კლასად. ყოველი მსჯელობა თითოეული ნიშნის მიხედვით გამოყოფილ ერთ-ერთ კლასში უნდა მოხვდეს (წიგნში ისიც კი არის დაანგარიშებული, მსჯელობათა რამდენი კლასი გვექნება ერთბაშად ორი, სამი და ოთხი ნიშნით დაყოფასა³³, თუმცა როგორც ერთმა იმდროინდელმა რეცენზენტმა შენიშნა, მასში იოლად გასწორებადი შეცდომაა გაპარული³⁴), მაგრამ ავტორი ამჩნევს ამ კლასიფიკაციის დეფექტს: ა) „მხოლოდობითი მსჯელობა საყოველთაოს ტოლფასია“ — ეს პ. რამესგან მომდინარე თვალსაზრისია — და, მაშასადამე, რაოდენობის მიხედვით გვაქვს მსჯელობათა მხოლოდ ორი კლასი; ბ) „შებლუდვითი მსჯელობა... დადებითთან თანაბარ ადგილს იკავებს“³⁵ — ეს, მართალია, არისტოტელეს თვალსაზრისს ეწინააღმდეგება, მაგრამ საყოველთაოდ მიღებულ იქნა ფორმალურ ლოგიკაში მას შემდეგ, რაც ორმხრივი გადაქცევები შემოიღეს — და, მაშასადამე, თვისებრიობის მიხედვითაც მხოლოდ ორი კლასი გვაქვს; გ) „პირობითი მსჯელობა მხოლოდ ერთი სახისაა“ — დადებითი, ზოგადი და აბოდიქტიკური; დ) ასევე ერთი სახისაა გაყოფითი მსჯელობა³⁶; აქედან კი გამოდის, რომ მიმართების მიხედვით მსჯელობათა დაყოფა დამოუკიდებელი არ ყოფილა სხვა ნიშნების მიხედვით დაყოფისაგან. ამით ფაქტიურად მტყუნდე-

³³ ს. დოდაშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 37.

³⁴ გ. კალანდარიშვილი, ზემოთ დასახელებული წიგნი, გვ. 94.

³⁵ ს. დოდაშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 37.

³⁶ იქვე, გვ. 38. ამას ეწინააღმდეგება დოდაშვილის მიერ გაყოფითი მსჯელობის დახასიათება დასკვნის თეორიაში, რადგან იქ ავტორი გაყოფით მსჯელობებს განასხვავებს ერთმანეთისაგან თვისებრიობისა და რაოდენობრიობის მიხედვით: გაყოფით სილოგიზმში დანასკვი შეიძლება გაყოფითი მსჯელობა იყოს (გვ. 62), ოღონდ იგი „რაოდენობის მხრივ უნდა იყოს მცირე წინადადების თანატოლი, თვისებრიობის მხრივ კი — დაპირისპირებული“ (გვ. 61).

ბა მთელი ეს ტრიადული კლასიფიკაცია, მაგრამ დოდაშვილი ასეთ კატეგორიულ დასკვნებს არ აკეთებს³⁷.

ეს ორჭოფობა თავს იჩენს მაშინ, როდესაც დოდაშვილი გარდა აღნიშნული ოთხი ნიშნისა, სხვა ნიშნებითაც იწყებს მსჯელობათა კლასებად დაყოფას (საერთოდ მატერიის მიხედვით — ანალიზური და სინთეზური, მატერიის რაოდენობის მიხედვით — მარტივი და რთული, დაქვემდებარების მიხედვით — აქსიომა, პოსტულატი, თეორემა და სხვ., საგნის აღნიშვნის მიხედვით — განსაზღვრება და გაყოფა); იგი არ ფრთხილობს და უშვებს იმავე შეცდომებს. მაგალითად, ცხადია, არ იარსებებს კერძობითი ან უარყოფითი განსაზღვრება, ანდა ამომწურავი არ იქნება რთული მსჯელობების დაყოფა რაოდენობისა და თვისებრიობის მიხედვით.

3. მიუხედავად იმისა, რომ დაქვემდებარების, კონტრარობის, კონტრადიქტორობისა და სუბკონტრარობის მიმართებები შეიძლება გამოითქვას წინადადებათა ნებისმიერი წყვილების მიმართ³⁸, ტრადიციულ ლოგიკაში ისინი ფორმულირდებოდა მხოლოდ მარტივი კატეგორიული მსჯელობებისათვის. უფრო მეტიც, ზოგჯერ თვითონ ეს მიმართებები განსაზღვრებოდა მარტივი კატეგორიული მსჯელობების საშუალებით, ხოლო მათი ნამდვილი განსაზღვრება წარმოდგენილი იყო ხოლმე როგორც ამის შედეგი. ასეა, მაგალითად, ეს ი. კანტისა (გვ. 416—418) და შ. ნუტუბიძის (გვ. 30—32) ზემოთ მითითებულ ლოგიკის სახელმძღვანელოებში. იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდებოდა ამ მიმართებათა ზოგადი განსაზღვრებები. ნაწილობრივ ამდაგვარი რამ არის ნაცადი ს. დოდაშვილის მიერ. დაქვემდებარების მიმართებას იგი განსაზღვრავს მხოლოდ კატეგორიული მსჯელობებისათვის (დაქვემდებარება გვაქვს მაშინ, „თუ წინადადებებს ერთი და იგივე შემასმენელი აქვთ, ხოლო მათი ქვემდებარენი ერთიმეორეს ისე შეეფარდებიან, როგორც გვარი სახეს“³⁹), მოპირდაპირ-

³⁷ ვ. და მ. ნ. ლ. ე. ბ. ს. ზემოთ დასახელებულ წიგნში ამ კლასიფიკაციის ხარვეზები დეტალურად არის გაანალიზებული კანტის ლოგიკური შეხედულებების განხილვისას (გვ. 355—356).

³⁸ Л. И. М ч е д л и ш в и л и, Некоторые понятия традиционной формальной логики с современной точки зрения. В книге: Логика, семантика, методология, Тбилиси, 1978, стр. 23—40.

³⁹ ს. დ. დ. შ. ე. ი. ლ., დასახ. წიგნი, გვ. 39.

რეობის (კონტრარობის), წინააღმდეგობის (კონტრადიქტორობის) და ქვემოპირდაპირეობის (სუბკონტრარობის) მიმართებებს კი არ შემოფარგლავს მხოლოდ მარტივი კატეგორიული მსჯელობებით: მოპირდაპირეა ის წინადადებები, „რომელთაგან ერთი უარყოფს იმაზე მეტს, რამდენიც საჭიროა იმისათვის, რომ ნაჩვენები იქნეს მეორის უმართებულობა“; „წინააღმდეგობრივია ის წინადადებები, რომელთაგან ერთი უარყოფს მხოლოდ იმდენს, რამდენიც საჭიროა იმისათვის, რომ მეორე მცდარად გვიჩვენოს“; „ქვემოპირდაპირეა ის წინადადებები, რომელთაგან ერთი უარყოფს იმაზე ნაკლებს, რამდენიც საჭიროა მეორის უარსაყოფად“⁴⁰. ეს განსაზღვრებები, რა თქმა უნდა, ნაკლოვანია, რადგან მათში გამოყენებულია „ლოგიკის“ ტექსტიდან სრულიად უცნობი „რაოდენობრივი უარყოფის“ ცნება. თუ პირველ ორ შემთხვევაში კიდევ შეიძლება ამოვიცნოთ კონტრარობისა (ერთი წინადადებიდან გამომდინარეობს მეორის უარყოფა და კიდევ შესაძლოა სხვა რამ) და კონტრადიქტორობის (ერთი წინადადება ტოლფასია მეორის უარყოფისა) ჩვეულებრივი ცნებები, მესამეში საერთოდ გაუგებარია, რაზეა ლაპარაკი სწორედ „რაოდენობრივი უარყოფის“ ბუნდოვანების გამო. ეტყობა, ასევე გაუგებარი იყო ის ავტორისთვისაც, რადგან ის წერს: „ქვემოპირდაპირე წინადადებათა დაპირისპირება არ არის ქვეშაპირტი, არამედ მხოლოდ მოჩვენებითია, იმიტომ, რომ მათში არ არის ერთი და იგივე ქვემდებარე“. ჯერ ერთი, განსაზღვრებიდან არ ჩანს, რატომ უნდა იყოს ქვემოპირდაპირე წინადადებებში ერთი და იგივე ქვემდებარე; მეორეც, მის მიერ მოტანილ მაგალითებში იგულისხმება, რომ ქვემოპირდაპირე წინადადებებს ერთი და იგივე ქვემდებარე აქვთ.

იქნებ მაგალითებით, რომლებსაც ს. დოდაშვილი ასახელებს, გახდეს ნათელი მოტანილი განსაზღვრებები? მარტივ კატეგორიულ მსჯელობათა წყვილები, რომლებიც აქმაყოფილებენ აღნიშნულ მიმართებებს, სწორად არის მითითებული, მაგრამ ჩვენი მიზნებისთვის მნიშვნელოვანია არაკატეგორიული მაგალითები. მოპირდაპირეს მაგალითი: „პირობითი, რომელშიც ერთის მომდევნო დაპირისპირებულია მეორეს მომდევნოსადმი“⁴¹ ალბათ, უნდა იყოს: „პირო-

⁴⁰ იქვე, გვ. 40.

⁴¹ იქვე.

ბითები, რომელთაგან...“ მაგრამ რა იგულისხმება დაპირისპირებაში — მოპირდაპირე (კონტრარული), თუ მოწინააღმდეგე (კონტრადიქტორული)? რადგან შედეგთა კონტრადიქტორულობაზე შემდეგ არის ლაპარაკი წინააღმდეგობის მიმართების მაგალითში, ვივარაუდოთ, რომ აქ ავტორს მხედველობაში აქვს შედეგთა კონტრარულობა. მაგრამ მაშინ როგორია ამ პირობითი წინადადების წინამავლები (ანტეცედენტები) — იგივეობრივი თუ განსხვავებული? უფრო ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ერთი და იგივე. ახლა მაგალითი ასეთ სახეს იძენს: „თუ A, მაშინ B“ და „თუ A, მაშინ C“ ერთმანეთს კონტრარულია, თუკი B და C ერთმანეთის კონტრარულია. ასეა მართლაც?

კანტის აზრით⁴², პირობით წინადადებაში მტკიცდება, რომ წინამავლიდან (ანტეცედენტიდან) გამოყვანადია ან გამომდინარეობს მომდევნო (კონსეკვენტი), ამავე დროს მცდარი წინამძღვრიდან შეიძლება გამოვიყვანოთ როგორც მცდარი, ისე ჭეშმარიტი დანასკვი. მაგრამ მაშინ „თუ A, მაშინ B“ და „თუ A, მაშინ C“ არ იქნება ერთმანეთთან შეუთავსებელი (კონტრარული); რომც B და C ერთმანეთს გამოირიცხავდეს, რადგან ორივე პირობითი წინადადება ჭეშმარიტი იქნება, თუკი A-ს ადგილას ავიღებთ ისეთ მცდარ წინადადებას, რომლიდანაც გამოდის B-ც და C-ც (ოღონდ მათგან ერთ-ერთი ან ორივე მცდარი იყოს). მაშასადამე, ს. დოდაშვილს ეს მაგალითი ასე უნდა ჩამოეყალიბებინა: „თუ A, მაშინ B“ და „თუ A, მაშინ C“ ერთმანეთის კონტრარულია, თუ A ჭეშმარიტია, ხოლო B და C ერთმანეთის კონტრარულია. ზუსტად ასეთივე შედეგს მივიღებდით, თუ პირობით წინადადებებს თანამედროვე თვალსაზრისით — მატერიალურ იმპლიკაციებად — განვიხილავდით.

ასეთივე რთულ რეკონსტრუქციას საჭიროებს კონტრადიქტორულობის c) მაგალითი: „პირობითს ეწინააღმდეგება მეორე პირობითი, რომლითაც პირველის შედეგი უარყოფა“ (ალბათ იგულისხმება, რომ მეორე პირობითის შედეგი უარყოფს პირველის შედეგს). თითქმის შეუძლებელია დადგენა იმისა, თუ რას იგულისხმობს დოდაშვი-

⁴² И. Кант, Трактаты и письма, стр. 407—408; ი. კანტი, წმინდა გონების კრიტიკა, გვ. 85—86.

ლი კონტრაქტორულობის d) და სუბკონტრარობის ხ) მაგალითებში: „გაყოფითს ეწინააღმდეგება მეორე გაყოფითი, რომლითაც გამოირიცხება პირველ წევრში მოთავსებული“ და „თითოეული დადებითი და უარყოფითი წინადადება, თუ ისინი აღებულია ერთი რომელიმე მიმართებით ან პირობით“⁴³.

4. მიზანი, რომლის განხორციელებასაც ს. დოდაშვილი თავის „ლოგიკაში“ ესწრაფოდა საკუთრივ ლოგიკური თემატიკის გაშლა-გადმოცემა კი არ იყო, არამედ იმის ჩვენება, თუ როგორ ვლინდება ამ გაშლაში, ყოველ ლოგიკურ აქტში, ლოგიკის ყოველ ცნებასა, წესსა და კანონში თეზისი — ანტითეზისი — სინთეზის ურთიერთდამოკიდებულება, რაც თავიდანვე მან გონების „საყოველთაო და გარდუვალაი აუცილებლობის“ მქონე კანონად მიიჩნია. ავტორი მასში ხედავს პრინციპს, რომელიც საშუალებას იძლევა, წარმოვადგინოთ სისტემატურ მთელად ერთი შეხედვით წესრიგსა და ერთიანობას მოკლებული ლოგიკური პრობლემატიკა. თვით ტექსტში ლოგიკის მთავარი ამოცანა მკაფიოდ არის ფორმულირებული: ლოგიკამ უნდა გვასწავლოს „გამოვიყვანოთ მოცემული ჭეშმარიტებიდან შედეგები წინააღმდეგობისა და დაბნეულობის გარეშე“⁴⁴, იგი „გვეხმარება უკვე მზა საწყისებიდან შედეგთა სწორ გამოყვანაში“⁴⁵. ეს არის ლოგიკური პრობლემატიკის ჭეშმარიტად მათრგანინებელი პრინციპი, ს. დოდაშვილი კი, ნაცვლად იმისა, რომ ამ პრინციპის მიხედვით მუჩინოს ყველა პრობლემას ადგილი და შეაფასოს ყველა ლოგიკური აქტის, ცნებისა და წესის ღირებულება, მას ჩრდილში ტოვებს. ახლა არ შეეუდგებით იმის განხილვას, რისთვის და რამდენად არის საჭირო მეცნიერული დისციპლინის აგებისა თუ გადმოცემის დროს ისეთი მათრგანინებელი პრინციპის დაძებნა, რომელშიც არ აისახება ამ დისციპლინის საგნის სპეციფიკა, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ასეთი პრინციპის მიხედვით მეცნიერების კონკრეტული შინაარსის დალაგებამ შესაძლოა გვაიძულოს მასალის ნაძალადევი მორგება პრინციპისადმი და, მაშასადამე, თვითონ მასალის დამახინჯება.

მართლაც, „ლოგიკაში“, თითქმის ყველა ძირითადი ცნების გან-

⁴³ ს. დოდაშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 40—41.

⁴⁴ იქვე, გვ. 17.

⁴⁵ იქვე, გვ. 72.

საზღვრება მისადაგებულია აღნიშნული ტრიადისადმი ისე, რომ მას შემდეგი კორექცია სჭირდება, რასაც ზოგჯერ თვითონ ავტორივე აკეთებს ხოლმე და ამით არღვევს განსაზღვრების ტრიადულობას. მსჯელობის განსაზღვრებისას წიგნში ნათქვამია: „მსჯელობა თავისი არსით... უნდა შედგებოდეს უთუოდ სამი ნაწილისაგან“, რადგან ეს ნაწილები — ქვემდებარე (თეზისი), შემასმენელი (ანტითეზისა) და კეშირი (სინთეზი) — ქმნიან ტრიადას. მაგრამ შემდეგ აღმოჩნდება, რომ ზოგიერთი მსჯელობა უფრო მეტი ნაწილისაგან შედგება. მაგალითად, პირობით მსჯელობაში „შემასმენელი მიეკუთვნება ქვემდებარეს... რაიმე პირობით“ (ე. ი. პირობა მეოთხე შემადგენელი ნაწილია); გაყოფით მსჯელობაში ქვემდებარეს „მივაკუთვნებთ... რამდენიმე შესაძლებელ შემასმენელს“⁴⁶, ხოლო რთულ მსჯელობაში „შეერთებულია განსჯის მრავალი ქმედება“ და ამიტომ მასში „რამდენიმე ქვემდებარე ან შემასმენელია“⁴⁷. ასევეა საქმე მსჯელობათა კლასიფიკაციის დროს. კანტისეულ კლასიფიკაციაში თითოეული ნიშნის მიხედვით გამოყოფილ სამ-სამ კლასში ის ხედავს ტრიადის რეალიზაციას, მაგრამ, როგორც ზემოთ უკვე ვნახეთ, შემდეგში აღმოაჩენს, რომ ზოგან სინამდვილეში ორი კლასია და არა სამი. ამავე თვალსაზრისით საინტერესოა დასკვნის თეორიის პირველივე პარაგრაფი (§ 23). მასში ორი ძირითადი დებულებაა და შემდეგში ორივე კორექტირდება: (ა) ყოველი დასკვნა სამი ცნებისგან შედგება, (ბ) ყოველი დასკვნა სამი წინადადებისაგან შედგება⁴⁸. შემდეგში კი აღმოჩნდება: „კატეგორიულ სილოგიზმში მხოლოდ სამი ტერმინი დაიშვება, პირობითში შეიძლება მეტიც იყოს“⁴⁹, „გაყოფით სილოგიზმში შეიძლება მეტი ტერმინი იყოს, ვიდრე კატეგორიულში“⁵⁰, უშუალო დასკვნებისაგან განსხვავებით შუალობითი დასკვნები „შედგებიან სამი... წინადადებისაგან“⁵¹.

ამავე მიზეზით უნდა აიხსნას ის ფაქტიც, რომ დასკვნის თეორია, რაც, ლოგიკის ამოცანების მიხედვით თუ ვიმსჯელებდით, ძირითადი

⁴⁶ ს. დ. დ. ა. შ. ი. ლ. დ. ა. ხ. წიგნი, გვ. 35.

⁴⁷ იქვე, გვ. 40.

⁴⁸ იქვე, გვ. 54—55.

⁴⁹ იქვე, გვ. 59.

⁵⁰ იქვე, გვ. 61.

⁵¹ იქვე, გვ. 55.

უნდა ყოფილიყო წიგნში, რადგან შედარებით ნაკლებ მასალას იძლევა „ტრიალული“ ინტერპრეტაციისათვის, გაცალებით უფრო ესკიზურად არის გადმოცემული, ვიდრე მსჯელობისა და ცნების თეორიები. ამან კი შედეგად მოგვცა დასანანი შეცდომები. მაგალითად, კატეგორიული სილოგიზმის ზოგადი წესების სია (§ 26) არ არის სრული. ამ წესების სისრულის კრიტერიუმში ისაა, რომ მათ უნდა მოგვცენ საშუალება ოთხივე ფიგურაში ყველა შესაძლო მოდუსიდან გადავარჩიოთ ყველა სწორი მოდუსი და მხოლოდ ისინი. ცალკეულ ფიგურათა სპეციალური წესები ზოგადი წესების შედეგებია და მხოლოდ ამოკლებენ სამუშაოს. ახლა, იოლი შესამოწმებელია, რომ პირველი ფიგურის წანამძღვართა კომბინაცია ia აკმაყოფილებს წიგნში მოცემული ზოგადი წესების ყველა მოთხოვნას, ხოლო i) წესის⁵² ძალით მათგან მიიღება დანასკვი i. ეს კი სწორი არ არის—პირველ ფიგურაში წანამძღვართა ia კომბინაციიდან დანასკვი არ მიიღება. ეს ფაქტი თავის მხრივ იმაზე მაგვანიშნებს, რომ პირველი ფიგურის ერთ-ერთი სპეციალური წესი — დიდი წანამძღვარი საყოველთაოა⁵³ — არ მტკიცდება ზოგადი წესებიდან, რაც ავტორს მხედველობიდან გამოეპარა. სისრულისათვის ზოგად წესებს უნდა დაემატოს: საშუალო ტერმინი ერთ-ერთ წანამძღვარში მაინც საყოველთაოდ უნდა იყოს აღებული (ან მისი რომელიმე ეკვივალენტი). სხვა ხარეუებიდან აღსანიშნავია დილემის შესახებ პარავრატის ბუნდოვანება (§ 32), მასში მოტანილი მაგალითის არაკორექტულობა, სორიტის არასწორი ფორმულირება⁵⁴.

ს. დოდაშვილის „ლოგიკის“ საფუძვლად მდებარე კონცეფცია ფორმალური ლოგიკის ბუნებისა და შესაძლებლობების შესახებ, მისი შედგენილობის სისრულე ამ კონცეფციის ჩარჩოებში, მასალის სისტემატიზაციის ფილოსოფიური პრინციპების ძიება და ლოგიკური საკითხების განხილვის მანერა უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ს. დოდაშვილი კარგად ფლობდა ფორმალურ ლოგიკას, ესმოდა მისი პრობლემატიკა და ზოგიერთი საკითხისათვის ნახულობდა დამოუკიდებელი კვლევის გზას. ეს ღრულიად საკმარისია იმისათვის, რომ

⁵² იქვე, გვ. 57.

⁵³ იქვე, გვ. 58.

⁵⁴ იქვე, გვ. 66—67.

ს. დოდაშვილის პირველ ნაბიჯს მეცნიერებაში, მისი ახალგაზრდული რევოლუციური პირველ ნაყოფს მაღალი შეფასება მიეცეთ.

მაგრამ ს. დოდაშვილის „ლოგიკა“ ისევე, როგორც მთელი მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა, ქართული კულტურის მრავალწახნაგა მოვლენაა და მისი შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ არა მხოლოდ წიგნში გადმოცემული ლოგიკური მასალა, არამედ მისი როლი ერის სულიერ ცხოვრებაში, მისი კულტურული ღირებულება.

სოლომონ დოდაშვილის ტრაგიზმით აღსავსე ცხოვრება თვალის დახამხამებასავე ხანმოკლე იყო. თავისი პირველი წიგნი „ლოგიკა“ მან 21 წლისამ დაამთავრა, 31 წლისა გარდაიცვალა, მაგრამ მათგან ბოლო ოთხი წელი პატიმრობასა და გადასახლებაში გაატარა. ამ ოთხ წელიწადს ის მხოლოდ არსებობდა, ცოცხლობდა და არ ცხოვრობდა, რადგან მისთვის ქეშმარიტი ცხოვრება შემოქმედება უნდა ყოფილიყო. სულ ხუთი თუ ექვსი წელი დაძაბული და მრავალმხრივი მუშაობისა—ერთი შეხედვით, ეს ძალზე ცოტაა. მაგრამ აგერ თითქმის 150 წელი გავიდა მისი სიკვდილიდან და მაინც ვსწავლობთ. ვაკლევთ მის მემკვიდრეობას, მემკვიდრეობას, რომელიც არცთუ ისე დიდ წიგნში არის ჩატეული.

რა არის მიზეზი ამისა? რითი დაიმსახურა ს. დოდაშვილმა მისი შთამომავლობის სიყვარული და პატივისცემა?

როგორც ცნობილია, XIX საუკუნის დასაწყისში „ბედი ქართლისა“ მკვეთრად შეტრიალდა. რუსეთის იმპერატორის მანიფესტით საქართველო რუსეთის იმპერიის პროვინციად იქცა. ეს არ იყო მხოლოდ პოლიტიკური აქტი. რუსეთის იმპერიის უზარმაზარ ორგანიზმს ცხოვრების საკუთარი კანონები ჰქონდა და უცხო „სხეულს“ იოლად ვერ შეიგუებდა. შეგუების პროცესს კი შეიძლება ტრაგიკული შედეგები მოჰყოლოდა საქართველოსთვის. მართლაც, რუსეთთან შეერთების შემდეგ თანდათან კვდება ტრადიციული ყოფა, უქმდება ცხოვრების ტრადიციული იერი. მის ადგილს იკავებს უცხო განაწესი, სრულიად ახალი პოლიტიკური, ეროვნული, უფლებრივი და სხვა ხასიათის ურთიერთობანი. კერძოდ, უქმდება განათლების ტრადიციული სისტემა, იგი ნელა იცვლება სხვა სისტემით, რომელიც არ ითვალისწინებდა ქვეყნის ეროვნულ თავისებურებებს. პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების სფეროში ქართული ენა აღარაკვიტარ ფუნქციებს არ ასრულებდა, იგი თითქმის სახლის ენად, მხოლოდ შა-

ნაურებში გამოსაყენებელ ენად იქცა. რუსეთიდან და ევროპის ქვეყნებიდან სწრაფი ტემპებით იწყებს შემოსვლას საქართველოში კულტურული ღირებულებანი — წიგნები, მუსიკა, სურათები, სამეცნიერო ლიტერატურა, ტექნოლოგიური მიღწევები. ამ ფონზე ქართული კულტურა თითქოს კარგავს თავის უღერადობასა და ფერს. ყოველივე ამას შეეძლო წარმოეშვა „კულტურული არასრულფასოვნების“ ძალზე სახიფათო გრძნობა, გრძნობა იმისა, რომ ქართულმა კულტურულმა ტრადიციამ, საუკუნეების მანძილზე გამომუშაებულმა აზროვნების ეროვნულმა ყაიდამ, ქართულმა ენამ ამოწურა თავისი თავი, მოჰკამა თავისი დრო, დაკარგა ყოველგვარი ღირებულება და საჭირო აღარ არის. ასეთი საფრთხის წარმოშობის შესაძლებლობას აძლიერებდა სხვა გარემოებაც. ქართველი მოსახლეობის ის ფენა — ქართველი ინტელიგენცია, — რომელსაც შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია ამ ტენდენციისათვის და რომელიც თითქმის მთლიანად სამეფო ოჯახისა და თავადური საგვარეულოების წარმომადგენლებისაგან შედგებოდა, გადაასახლეს ან გადასახლდნენ იმპერიის ცენტრებში.

საქართველოსთვის, ქართული კულტურისთვის ხიფათით აღსავსე ამ დროს იწყება სოლომონ დოდაშვილის შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. მაშინდელი ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ფონზე იგი წარმოგვიდგება მძლავრ სულიერ ძალად, ძალად, რომელსაც შესწევს უნარი, ატაროს კულტურის იდეური ლიდერის ტვირთი, ძალად, რომელიც ქმნის და შთააგონებს სხვებს. „ლოგიკის“ გამოსვლისთანავე ის ცნობილი ხდება რუსეთის ფილოსოფიურ-მეცნიერულ წრეებში როგორც არაორდინარული მოაზროვნე, მაგრამ ერთგული თავისი მასწავლებლის სიტყვებისა: „მამული-სა საქმენი მარადის პირველი აღასრულეთ“, იწყებს ქართული კულტურის, ფილოსოფიისა და ლიტერატურის პროპაგანდას, ამტკიცებს, რომ წარსულის ქართველი მოაზროვნეების ორიენტაცია ყოველთვის განისაზღვრებოდა კულტურის ზოგადსაკაცობრიო მიღწევებით და თანამედროვე ცხოვრებაში ქართული კულტურის თვითმყოფობა, უნარი თავისთავადი განვითარებისა, მისი ღირებულება გადაფასებას არ ექვემდებარება. დოდაშვილი ამაზე არ ჩერდება. იგი თვითონ, როგორც ფილოსოფოსი-ლოგიკოსი, როგორც ლინგვისტი, ისტორიკოსი და ლიტერატორი ეწევა ინტენსიურ შემოქმედებით-კონსტრუქ-

ციულ მოღვაწეობას. იგი მთელი თავისი ცხოვრების მოდუსით ამტკიცებს, რომ რუსული და რუსულის მეშვეობით ევროპულ კულტურასთან ქართული კულტურის ურთიერთობა ამდიდრებს მას, ავსებს ახალი ძალებით, უქმნის მას განვითარების ახალ პერსპექტივებს თავისთავადობისა და თვითმყოფლობის დაკარგვის საფრთხის გარეშე. დოდაშვილს „ლოგიკა“, „ლოგიკური მეთოდოლოგია“, მისი სხვა შრომები, მათი პროფესიული დონე ადასტურებს ახალ პირობებში ქართულ ნიადაგზე მეცნიერების, ფილოსოფიისა და ხელოვნების განვითარების შესაძლებლობას.

და თუკი საფრთხე, რაზედაც ზემოთ ვილაპარაკეთ, არ განხორციელდა, თუკი დოდაშვილის კვალზე დაიზარდნენ ადამიანები, რომლებიც რუსულ კულტურასთან ურთიერთობის საფუძველზე ქმნიდნენ და ავითარებდნენ ახალ ქართულ კულტურას — ჩვენი წარსულის ქეშმარიტ მემკვიდრეს, თუკი დოდაშვილს კვალზე გაჩნდნენ მწერლები, მეცნიერები, მუსიკოსები, მხატვრები, რომლებმაც ქართულ სულიერ ძალებს სითამამე და გამბედაობა მიანიჭეს რუსულ და ევროპულ კულტურასთან ურთიერთობაში, ეს სოლომონ დოდაშვილის დამსახურებაცაა. „ლოგიკა“ ამ საფრთხის აღმკვეთი პირველი ნაპერწკალია, ეს არის მისი წარუვალი კულტურული ღირებულება.

სოლომონ დოდაშვილის „ლოგიკური მეთოდოლოგია“

ს. დოდაშვილის ფილოსოფიური მემკვიდრეობიდან გარკვეულ ინტერესს იწვევს ჩვენამდე ხელნაწერის სახით მოღწეული „ლოგიკური მეთოდოლოგია“, რომელიც თან ერთვის საქართველოს სსრ ცენტრალურ არქივში დაცულ 1832 წლის შეთქმულების საქმეს. იგი აღმოაჩინა მ. გოცაძემ, ხოლო 1955 წელს კომენტარებით გამოსცათ. კუკავამ¹. „ლოგიკური მეთოდოლოგია“ საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ მისი ავტორის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას. ერთი მხრივ, იგი გვიჩვენებს ს. დოდაშვილის დამოკიდებულებას ვოლფისა და კანტის ლოგიკასთან, ხოლო, მეორე მხრივ, იმას, თუ რა გზით წარიმართა შემდგომ მისი აზროვნების განვითარება. იმის დადგენა, „ლოგიკური მეთოდოლოგია“ დამოუკიდებელი ნაშრომია, თუ გამოსაცემად განზრახული „ლოგიკის“ პირველი ვარიანტის მეორე ნაწილი, ცხადყოფს მისი ავტორის ლოგიკური შეხედულებების ევოლუციას. იგი მოწმობს, რომ ეს პროცესი ლოგიკის მეცნიერების შემდგომი განვითარების მიმართულებით მიმდინარეობდა, რაც ს. დოდაშვილს წარმოგვიდგენს როგორც თავისი დროის ლოგიკის მეცნიერების განვითარების მომწიფებელი მოთხოვნების სიმალღეზე მყოფ მოაზროვნეს.

ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელნაწერის სახელწოდება — „ლოგიკური მეთოდოლოგია“ მთლიანად ტექსტს არ განეკუთვნება. იგი ეხება მხოლოდ მის დასაწყისს, რომელშიც ლოგიკის მეთოდოლოგიის საკითხებია გადმოცემული. „ლოგიკური მეთოდოლოგია, — წერს დოდაშვილი, — არის მეცნიერება, რომელიც გვასწავლის წესებს, რომელთა დაცვით შეგვიძლია მივაღწიოთ სრულყოფას შემეც-

¹ Т. Г. Кукава, Логическая методология Соломона Додашвили, Труды Института философии, Тб., 1955, т. 6, с. 254.

ნებაში. მისი მიზანია ჩვენი შემეცნების ლოგიკური სრულყოფილება“². გამოყენებითი ლოგიკა კი, რომლის მხოლოდ დასაწყისის რაქუნებზე გვერდი გვაქვს ხელთ, ეხება არა მეთოდოლოგიას, არამედ მისგან განსხვავებულ, თუმცა იმდროინდელი ტრადიციით ლოგიკის ქვემდებარე საკითხებს. „გამოყენებითი ლოგიკა გვიჩვენებს შეზღუდვას და ამასთანავე საშუალებებს, თუ როგორ ავიცილოთ თავიდან ეს შეზღუდვანი“³.

აქედან ჩანს, რომ „ლოგიკური მეთოდოლოგია“ და „გამოყენებითი ლოგიკა“ — ორივე ლოგიკის მეცნიერების სფეროშია მოქცეული, მაგრამ ისინი სხვადასხვა თვალსაზრისით სწავლობენ ლოგიკის ქვემდებარე საკითხებს. პირველი სწავლობს წესებს, რომელთა დაცვით ზორციელდება შემეცნების ლოგიკური სრულყოფილება, ხოლო მეორე — შემეცნების შეზღუდულობათა დაძლევის საშუალებებს. ზემოთქმულიდან გამოდის, რომ ხელნაწერის სახელწოდება პირობითია. იგი ლოგიკის პირველი ნაწილის დასასრულია, რაზეც წარწერაც მიუთითებს, ხოლო გამოყენებითი ლოგიკა მისი გაგრძელებაა, ფართო გაგებით ლოგიკის მეორე ნაწილია.

კანტისა და ვოლფის ლოგიკებთან ს. დოდაშვილის მიმართების გარკვევამდე სტრუქტურულად და შინაარსობრივად უნდა განვიხილოთ „ლოგიკური მეთოდოლოგია“, მოკლედ გადმოვცეთ ის ძირითადი საკითხები, რომელნიც მისი ავტორის თვალთახედვის არეშია მოქცეული. შემეცნების ლოგიკური სრულყოფის განხორციელების საშუალებებიდან საკუთრივ „ლოგიკურ მეთოდოლოგიაში“ გადმოცემულია ძირითადად მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ცნების განსაზღვრება. ცნების გაყოფა და დასაბუთება. ლოგიკური შემეცნების სრულყოფილება, რომელიც საგნის შესახებ ცოდნის ყოველისმომცველობას ნიშნავს, განხილულია რაოდენობის, თვისებრიობის, მიმართებისა და მოძალობის მიხედვით. შემდეგ, დახასიათებულია ლოგიკური და ნივთიერი შემეცნება, რომელთაგან პირველი ხელს უწყობს ცოდნის ლოგიკურ სრულყოფას, ხოლო მეორე ამდიდრებს მას. შემეცნების რაოდენობა გულისხმობს იმას, როცა იგი მეტ საგანზე ვრცელდება და მისგან მეტი ცოდნა გამომდინარეობს. თვისებ-

² ს. დოდაშვილი, თხზულებანი, თბ., 1961, გვ. 315.

³ იქვე, გვ. 327.

რობის მიხედვით შემეცნების რაობა მიუთითებს სიცხადეზე: აქ ლოგიკური სიცხადე გაგებულია, როგორც ცნების სიცხადე, რომლის უმაღლეს საფეხურად მიჩნეულია განსაზღვრება. იგი ვრცელდება გონებისეულ და არა ცდით შემეცნებაზე. მითითებულია აღწერისა და გადმოცემისაგან მის განსხვავებაზე. ერთმანეთისაგან განსხვავებულია თეორიული და გენეტიკური განსაზღვრება, რომელთაგან პირველი მხოლოდ შემეცნებას განეკუთვნება, ხოლო მეორე საგნის წარმოშობას გვიჩვენებს.

მიმართების მიხედვით ლოგიკური სრულყოფილება მდგომარეობს მის ჰეშმარიტებაში, რომელიც შეიძლება იყოს ლოგიკური და ნივთიერი. ლოგიკური ჰეშმარიტების კრიტერიუმია აზროვნების კანონები, როგორცაა: იგვეობის, წინააღმდეგობის შეუძლებლობის, გამორიცხული შესამისა და საკმაო საფუძვლის კანონები. შემეცნების შესახებ, რომელიც ჰეშმარიტია ლოგიკურად, ს. დოდაშვილის აზრით, არ შეიძლება ითქვას, რომ იგი ჰეშმარიტია ნივთიერადაც. ნივთიერი ჰეშმარიტების დროს ამოსავალია ცნებისა და საგნის შეთანხმება, ხოლო ლოგიკურის დროს — აზროვნების კანონებთან თანხმობა. ლოგიკურ ჰეშმარიტებაში აქ იგულისხმება აზროვნების სისწორე, რომელიც ლოგიკის განვითარების შემდგომ ეტაპზე მისი ერთადერთი საგანი ხდება და რომელსაც ამოავეალ პრინციპად იღებს ს. დოდაშვილი თავის „ლოგიკაში“. მოდალობის მიხედვით შემეცნების სრულყოფილება მის ნამდვილობასა და უტყუარობაშია. აქვე მსჯელობს ჰიპოთეზაზე, მისი ჰეშმარიტების პირობებზე, ანდუქციის და ანალოგიის გზით მიღებული ცოდნის სააღბათო ხასიათზე. ხაზი ესმის იმას, რომ ემპირიული ცოდნა ცდას ემყარება, ხოლო მისგან განსხვავებით გონითი შემეცნება ყოველთვის საყოველთაო ხასიათს ატარებს.

შემდეგ გადმოცემულია ცნებათა გაყოფა, რაც შესაძლებელია მოცულობის და შინაარსის მიხედვით. გაყოფის სრულყოფილება ც ვაჟეს რაოდენობის, თვისებრიობის, მიმართების და მოდალობის მიხედვით. აქ ნაგულისხმევია ცნების გაყოფის წესები. ასე მაგ., რაოდენობის მიხედვით — გაყოფადი სრულყოფილად უნდა იმყოფებოდეს თითოეულ წევრში; თვისებრიობის მიხედვით — გაყოფის წევრების ჯამი უნდა უდრიდეს გასაყოფი ცნების მოცულობას; მიმართების მიხედვით — გაყოფის წევრები უნდა გამორიცხავდნენ

ერთმანეთს; ხოლო მოდალობის მიხედვით — გაყოფის წევრების დადგენით ღვინდება საფუძველი, და პირიქით. შემდგომ დახასიათებულია დიხოტომიური და პოლიტომიური გაყოფა.

საკუთრივ „ლოგიკურ მეთოდოლოგიაში“ ცალკე არის განხილული დასაბუთება. მსჯელობის ნამდვილობა, ს. დოდაშვილის აზრით, ემყარება ან თვით მის ან სხვა მსჯელობათა ნამდვილობას. პირველს აქვს უშუალო ნამდვილობა, ხოლო მეორეს — შუალობითი. დასაბუთება სწორედ საყოველთაო, ვარგისი საფუძვლებიდან ჰემმარიტების გამოყვანაა. დასაბუთების მიზანია დარწმუნება. დასაბუთება ყოველთვის სილოგიზმის მეშვეობით ხდება. აქ მოკლედ ნაჩვენებია დასაბუთების სტრუქტურა და სახეები, როგორცაა პირდაპირი და ირიბი დასაბუთება. წყაროების მიხედვით იგი დაყოფილია გონებითად და ცდითად. ანალიზურად და სინთეზურად დასაბუთების დაყოფა ემყარება იმას, საით მიიმართება იგი: შედეგიდან საფუძვლისაკენ თუ საფუძვლიდან შედეგისაკენ. დასაბუთებაც რაოდენობის, თვისებრიობის, მიმართებისა და მოდალობის მიხედვით არის დახასიათებული. რაოდენობა გულისხმობს დასაბუთებაში ბევრი აგრუმენტის გამოყენებას, თვისებრიობა მის სიზუსტეს, როცა მასში არც მეტი და არც ნაკლები არ საბუთდება, მიმართება კი მოითხოვს იმას, რომ დასაბუთებაში არ იყოს წრე, ე. ი. არ უნდა გვხვდებოდეს დაუსაბუთებელი აგრუმენტი. მოდალობაში მხედველობაშია შედეგის საფუძვლიდან ნამდვილად გამომდინარეობა.

ბოლოს გარჩეულია მოკლედ მეთოდური და არამეთოდური აზროვნება. პირველში წესები ერთიანობაშია. ამ დროს შექმენება ერთ საწყისს ემყარება. არამეთოდური აზროვნება მისი საპირისპიროა. ს. დოდაშვილთან მეთოდი დაყოფილია ანალიზურად და სინთეზურად. საკუთრივ „ლოგიკურ მეთოდოლოგიის“ დასაბუთებას დახასიათებულია ძალიან მოკლედ სქოლასტიკური, დოგმატიკური, სკეპტიკური და ისტორიული მეთოდები, მოცემულია აქსიომის, თეორემის და ლემის განსაზღვრებები, რომელსაც მოსდევს წარწერა — პირველი ნაწილის დასასრული.

„გამოყენებითი ლოგიკა“ იწყება შემეცნების შეზღუდულობათა თავიდან აცილების საშუალებათა გადმოცემით. იგი, ავტორის აზრით, შეიძლება განვიხილოთ რაოდენობის, თვისებრიობის, მიმარ-

თებისა და მოდალობის თვალსაზრისით. რაოდენობაში იგულისხმება ჩვენი შემეცნების საზღვრები: თვისებრიობის მიხედვით — შემეცნების სრულყოფილება მის სიციხადესა და სიზუსტეში, მიმართების მიხედვით — მისი კვშმარტება, ხოლო მოდალობის მიხედვით — მისი ნამდვილობა.

გამოყენებითი ლოგიკის მოკლე შესავალს მოსდევს თავი 1. „თვისებრიობის მიხედვით ადამიანის შემეცნების შეზღუდულობის შესახებ და რა წესით შეიძლება ამ შემეცნებათა სრულყოფა“. აქ პირველად დახასიათებულია ისეთი ცნებები, როგორცაა: შემეცნების პორიზონტი, უმეცრება, ვრცელი და ღარიბი შემეცნება, პოლიმატია, პოლიგისტორია, პანსოფია, მიზანი და უმაღლესი მიზანი. შემეცნების მნიშვნელობის ერთ-ერთ განმსაზღვრელად აღიარებულია მიზნისადმი დამოკიდებულება. ზნეობასთან დაკავშირებულ ცნებებს ყველაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება. რაოდენობის მიხედვით შემეცნება დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორცაა: ჩვენი აზრის საზღვრები, ცალკეული ადამიანების შემეცნების ხარისხი, ჩვენი ხანმოკლე სიცოცხლე და თითოეული ადამიანის მდგომარეობა. გამოყენებითი ლოგიკის ამოცანაა, მოვსპოთ შემეცნების შეზღუდულობანი და განვავრცოთ იგი. ეს უკანასკნელი მსჯელობის გზით ხდება, რაც წესების მიხედვით საგანთა განხილვას ნიშნავს. მსჯელობის საგანი მატერიაა, ხოლო წესი მეთოდია, საგანთა განხილვისა და მის შესახებ ცოდნის დალაგების მეცნიერება არის ტოპიკა. ხელნაწერის ბოლოს ჩამოთვლილია არისტოტელეს კატეგორიები. მას მოსდევს ანალიზური და სინთეზური მსჯელობების განმარტებები. აქ ხელნაწერი წყდება.

„ლოგიკური მეთოდოლოგიის“ შინაარსი გვარწმუნებს იმაში, რომ ს. დოდაშვილი კარგად იცნობს ლოგიკის მეცნიერების იმდროინდელ ვითარებას. იგი იმაზეც მიუთითებს, რომ მისი დაწერის დროს გზის მაჩვენებელია იემეს მიერ 1800 წელს გამოცემული კანტის ლოგიკა, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ არ იყო თარგმნილი რუსულად. მასში მოჩანს აგრეთვე ვოლფის ლოგიკის გავლენა, რაც უმთავრესად გამოყენებითი ლოგიკის უფლებამოსილების აღიარებაში მდგომარეობს. უნდა აღინიშნოს, რომ ს. დოდაშვილს პირდაპირ არც ვოლფისა და არც კანტის ნააზრევი არ გადმოაქვს, არამედ მათ თავი-

სებურ განმარტებებსაც აძლევს და ორიგინალურად ალაგებს. ეს იმა-
შიც გამოიხატება, რომ იგი აქ ცნობს კანტის მიერ უარყოფილი გა-
მოყენებითი ლოგიკის უფლებამოსილებას.

კანტის აზრით, ლოგიკა ფორმალური უნდა იყოს. ლოგიკა განიხი-
ლავს იმას, თუ რას აკეთებს განსჯა ყველა სხვა უნართაგან განცალ-
კევებით, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მას აინტერესებს მხოლოდ
აზრის ლოგიკური ფორმები. „გამოყენებითი ლოგიკა, — მიუთითებ-
და კანტი, — არ უნდა იწოდებოდეს ლოგიკად. ეს არის ფსიქოლო-
გია, რომელშიც განვიხილავთ ჩვენი აზროვნების ჩვეულებრივ მიმ-
დინარეობას და არა იმას, თუ როგორ უნდა ხდებოდეს იგი“⁴. კანტის
აზრით, ფსიქოლოგიაც ნაწილია ფილოსოფიური მეცნიერებებისა,
რომელთათვის ლოგიკა პროპედევტიკას წარმოადგენს. „ლოგიკური
მეთოდოლოგიის“ დაწერის დროს ს. დოდაშვილი არ იზიარებს
კანტის ზემოთ მოტანილ მოსაზრებას და ვოლფის ლოგიკაში დამ-
კვიდრებული ტრადიციის მიხედვით გამოყენებით ლოგიკას ლოგი-
კის მეორე ნაწილად გადმოსცემს.

ხელნაწერი გვიჩვენებს, რომ წმინდა ლოგიკის ბოლო ნაწილად
ს. დოდაშვილს კანტისებურად მეთოდის შესახებ ზოგადი მოძღვრება
მიუჩნევია და მასზე დაყრდნობით განუზრახავს ლოგიკის ამ ნაწი-
ლის შექმნა. მიუხედავად ამისა, საკუთრივ „ლოგიკური მეთოდო-
ლოგია“, როგორც სტრუქტურით, ასევე საკითხების ინტერპრეტა-
ციით, ბევრგან განსხვავდება კანტის ლოგიკის შესაბამისი ნაწილისა-
გან. კანტთან მეთოდზე მოძღვრება შედგება მხოლოდ ორი ნაწილი-
საგან, რომელთაგან პირველში განხილულია შემეცნების ლოგიკური
სრულყოფის წესები ცნების განსაზღვრების, ექსპოზიციისა და აღ-
წერის გზით, ხოლო მეორეში — ცნების ლოგიკური გაყოფის საშუა-
ლებით. რაც შეეხება დასაბუთების გზით ცოდნის სრულყოფის წე-
სებს, იგი კანტის ლოგიკის ამ ნაწილში არსად არ ფიგურირებს. სა-
გულისხმოა ისიც, რომ კანტის მეთოდის შესახებ ზოგადი მოძღვრება
ს. დოდაშვილთან ლოგიკური მეთოდოლოგიის სახელწოდებითაა
დასათაურებული.

კანტის ლოგიკისა და ს. დოდაშვილის საკუთრივ „ლოგიკუ-
რი მეთოდოლოგიის“ შედარებითი ანალიზი მიუთითებს არა მარტო

⁴ И. Кант, Трактаты и письма, М., 1980, стр. 326.

მათს დიდ მსგავსებაზე, არამედ მათ შორის განსხვავებაზეც. კანტი მეთოდის შესახებ ზოგადი მოძღვრების გადმოცემას იწყებს მეთოდის ცნების განსაზღვრით და იმაზე მითითებით, რომ ყოველი შემეცნება მეთოდით უნდა ხელმძღვანელობდეს, მეცნიერება სისტემატური წესების მიხედვით უნდა გადმოიცემოდეს. კანტის აზრით, მეთოდზე მოძღვრებას მხედველობაში აქვს მეცნიერების ფორმა საერთოდ, ანუ მეცნიერების მრავალნაირი ცოდნის შეერთების ხერხები ან სახეები. „მეთოდის შესახებ მოძღვრებამ უნდა გადმოსცეს შემეცნების სრულყოფილებამდე მიღწევის წესი. შემეცნების ერთ-ერთი ლოგიკური სრულყოფილება მის საფუძვლიანობასა და მეცნიერულ მთლიანობად სისტემატურ მოწესრიგებაში მდგომარეობს. ამიტომ, მეთოდის შესახებ მოძღვრება უმთავრესად გვაძლევს საშუალებებს, რომელთა გზით შემეცნების ეს სრულყოფილება მიიღწევა“⁵.

ს. დოდაშვილი იზიარებს მეთოდის ამ დანიშნულებას და მასში მოცემული წესების ერთობლიობას „ლოგიკურ მეთოდოლოგიას“ უწოდებს. კანტი მსჯელობს მეცნიერების ფორმაზე, რომელშიც სისტემატური ცოდნა ხორციელდება წინასწარ გააზრებული წესებით. ს. დოდაშვილისათვის მეცნიერება ფართო გაგებით წესების სისტემატური გადმოცემაა, რასაც უპირისპირდება ნაწყვეტ-ნაწყვეტი შემეცნება. მეცნიერება აღიარებულია გონების მიზნად და სრულყოფილებად, რასაც ადამიანი ესწრაფვის. შენიშვნაში ს. დოდაშვილი კანტისებურად გონებას ადარებს ხუროთმოძღვარს, რომელიც მასალისაგან, სხვადასხვა ცოდნისაგან ქმნის მთლიან შენობას.

გასათვალისწინებელია, აგრეთვე, „ლოგიკურ მეთოდოლოგიაში“ კანტისაგან რამდენადმე განსხვავებულად გადმოცემა შემეცნების გარკვეულობის პირობებისა, რომლებიც ცნების განსაზღვრებასა და გაყოფასთან არის დაკავშირებული. ს. დოდაშვილის მიხედვით, ანალიზური განსაზღვრება ცნების დაშლით, ხოლო სინთეზური — ცნების ნიშნების მიმატებით მიიღება. კანტთან პირველი მოცემულ, ხოლო მეორე შექმნილ ცნებებს ეხება. „ლოგიკურ მეთოდოლოგიაში“ არ ვხვდებით ასევე ექსპოზიციის ანუ კონსტრუქციის გზით განსაზღვრებას. მასში უარყოფილია ცდისეულის განსაზღვრება, ხო-

⁵ იქვე, გვ. 435.

ლო აპრიორულად შეძენილისა დასაშვებად ცხადდება. კანტთან მათ ნაცვლად მსჯელობა წარმოებს ემპირიული და სინთეზური განსაზღვრების შეუძლებლობაზე და დანაწევრების საშუალებით მოცემული ანალიზური ცნებების განსაზღვრებაზე.

განმარტება და აღწერა ძირითადად კანტისებურადაა. ისინი მხოლოდ ცდისეულ საგნებზე ვრცელდებიან. რეალური და ნომინალური განსაზღვრებები ს. დოდაშვილთან არა გვაქვს, ხოლო კანტთან საკმაროდ ვრცლადაა დახასიათებული. მას, რაც კანტის ლოგიკაში განსაზღვრების მთავარ მოთხოვნებს წარმოადგენს და განიხილება რაოდენობის, თვისებრიობის, მიმართების და მოდალობის მიხედვით, ს. დოდაშვილი ზუსტად იმეორებს, მაგრამ მასთან არ ვხვდებით განსაზღვრების გასინჯვისა და შედგენის წესებს. „ლოგიკურ მეთოდოლოგიაში“, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განსაზღვრებასთან დაკავშირებული საკითხების გადმოცემას მოსდევს ლოგიკური შემეცნების მიმართების მიხედვით სრულყოფილების შესახებ მსჯელობა. ჭეშმარიტება დაყოფილია ლოგიკურად და ნივთიერად. კანტი მათ შესახებ მსჯელობს არა მეთოდის შესახებ ზოგად მოძღვრებაში, არამედ ლოგიკის შესავალში. აქედანაა აღებული ცოდნის ლოგიკური სრულყოფილების დახასიათება რაოდენობის, თვისებრიობის, მიმართებისა და მოდალობის მიხედვით.

მეთოდის შესახებ ზოგადი მოძღვრების მეორე ნაწილი კანტის ლოგიკაში ეხება ცნებათა ლოგიკური დაყოფის გზით ცოდნის ლოგიკური სრულყოფის წესებს, რაც სახეზეა ასევე „ლოგიკურ მეთოდოლოგიაში“. ამ უკანასკნელში ლოგიკური გაყოფის ცნება კანტისებურადაა გაგებული. ის, რაც კანტთან გაყოფის ზოგადი წესების სახითაა წარმოდგენილი, ს. დოდაშვილთან გაყოფის სრულყოფილების სახითაა მოცემული და განხილულია რაოდენობის, თვისებრიობის და მოდალობის მიხედვით, რამდენადმე შეცვლილი ფორმულირებებით. ასეთი მდგომარეობაა დიხტომიური და პოლიტომიური გაყოფის გადმოცემის დროს. ლოგიკური გაყოფა მხოლოდ ორწევრიანი, ხოლო ნივთიერი შეიძლება მრავალწევროვანი იყოს. აქაც კანტის მიხედვით გაყოფა შეიძლება იყოს აპრიორი და აპოსტერიორი. პირველი გონებას, ხოლო მეორე ცდას ემყარება. ს. დოდაშვილი მსჯელობს გაყოფისა და თანაგაყოფის შესახებ, რაც კანტთან არა გვაქვს. ასევე მასთან არაა გადმოცემული მეცნიერული, პოპულა-

რული, სილოგისტური და ტაბულური მეთოდები. მეთოდი დაყოფილია სინთეზურად და ანალიზურად ზუსტად ისე, როგორც ეს კანტთანაა. ასეთი მდგომარეობაა აკრომატიკულ და ეროტემაგიკული მეთოდების გადმოცემის დროს. კანტისაგან განსხვავებით: ს. დოდაშვილი განიხილავს სქოლასტიკურ, სადა ხალხურ, დოგმატიკურ, სკეპტიკურ და ისტორიულ მეთოდებს.

როგორც „ლოგიკურ მეთოდოლოგიაში“, ისე „გამოყენებით ლოგიკაში“ შემეცნების სრულყოფის წესების გადმოცემის დროს ს. დოდაშვილი ამოდის კანტის მიერ მოცემული კატეგორიების ოთხ ჯგუფად დაყოფის პრინციპიდან. ამ წესებს იგი ყველგან იხილავს რაოდენობის, თვისებრიობის, მიმართების და მოძალობის მიხედვით. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ კანტი მათ შესახებ ვრცლად მსჯელობს არა მეთოდის შესახებ მოძღვრებაში, არამედ ფილოსოფიის ცნებისა და შემეცნების სრულყოფის საკითხების გადმოცემის დროს, ხოლო ს. დოდაშვილთან ისინი ფიგურირებენ ორივეგან „ლოგიკურ მეთოდოლოგიასა“ და „გამოყენებით ლოგიკაში“.

ხელნაწერის შინაარსის ზემოჩამოთვლილმა თავისებურებებმა განაპირობა ის, რომ მის შესახებ გამოთქმულ იქნა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება. პირველის მიხედვით „აღნიშნული ხელნაწერები („ლოგიკური მეთოდოლოგია“ და „გამოყენებითი ლოგიკა“) არ წარმოადგენს დასაწყისს ან მონახაზს ახალი დამოუკიდებელი ნაშრომისას, რომელიც უნდა გამოქვეყნებულიყო წინამდებარე (ს. დოდაშვილის „ლოგიკა“, გ. რ.) გამოცემის შემდეგ, როგორც მისი მეორე ნაწილი და გაგრძელება, არამედ იგი არის იმ თავდაპირველად გათვალისწინებული თავების მონახაზი, რომლებიც შემდეგ ჩართულ იქნა ამ წიგნში“⁶. რამდენადაც ეს მართებული აზრი ზოგადად იყო გამოთქმული და არ იყო ხელნაწერის ანალიზით დასაბუთებული, ამიტომ წამოყენებულ იქნა მისი საწინააღმდეგო მოსაზრება, რომლის თანახმად: „როგორც „ლოგიკა“, ისე „ლოგიკის მეთოდოლოგია“ დამოუკიდებელ ნაწარმოებებს წარმოადგენენ და რომ, ამიტომ „ლოგიკის მეთოდოლოგია“ დოდაშვილმა „ლოგიკის“ შემდეგ დაწერა“⁷.

⁶ ს. დოდაშვილი, ლოგიკა, თბ., 1949, გვ. XVI.

⁷ თ. კუკავა, სოლომონ დოდაშვილი და მისი მსოფლმხედველობა, თბ., 1955, გვ. 63.

ხელნაწერის ანალიზი ცხადყოფს, რომ იგი გამოსაცემად განზრახული „ლოგიკის“ მეორე ნაწილია და არა დამოუკიდებელი ნაშრომი. ამის საბუთია ისიც, რომ იგი პეტერბურგშია დაწერილი და მისი წერა აქვეა შეწყვეტილი ლოგიკის საგნის ახლებური გაგების მიღების შემდეგ. ყველაზე უფრო საგულისხმოა ის, რომ ხელნაწერის დასაწყისს აწერია მეორე ნაწილი. თუ ეს ხელნაწერი დამოუკიდებელი შრომაა ან ლოგიკისაგან განსხვავებულ მეცნიერებას გადმოსცემს, მაშინ იგი ლოგიკის მეორე ნაწილი ვერ იქნებოდა.

„ლოგიკისა“ და „ლოგიკური მეთოდოლოგიის“ (გამოყენებითი ლოგიკითურთ) დამოუკიდებელ ნაშრომად მიჩნევის მთავარი მიზეზია რუსეთში ლოგიკის ორი ძირითადი მიმართულების არსებობის გაუთვალისწინებლობა. საქმე ის არის, რომ იმ დროს ლოგიკები იწერებოდა ფართოდ გაგებული ლოგიკის თვალსაზრისით. მის ავტორებს ლოგიკის მეცნიერების სფერო მეტად ფართოდ ჰქონდათ წარმოდგენილი. მასში შექონდათ არა მარტო საკუთრივ ლოგიკის, არამედ ასევე მეთოდისა და საერთოდ შემეცნებასთან დაკავშირებული საკითხები. როგორც ჩანს, ვერც ს. დოდაშვილი ასცდენია ამ ტრადიციის გავლენას და თავისი შრომის აგება პირველად ფართოდ გაგებული ლოგიკის მიხედვით განუზრახავს. ამას ძირითადად ასაბუთებს საკითხების ის წრე, რომელიც ხელნაწერშია წარმოდგენილი.

ცხადი ხდება, რომ ს. დოდაშვილი თავდაპირველად „ლოგიკის“ დაწერას სულ სხვა გეგმითა და გაგებით აპირებდა, ვიდრე ეს მის „ლოგიკაში“ გვაქვს. როგორც ზემოთ აღინიშნა, „ლოგიკური მეთოდოლოგიის“ დაწერის დროს იგი იზიარებდა ლოგიკის დაყოფას თეორიულად და გამოყენებითად. ამასთან ერთად პირველში მეთოდის მოძღვრებაც შექონდა, ხოლო მეორეში — მხოლოდ შემეცნების განვრცობის მიზნებით განსაზღვრული საკითხები. შემდგომ მას შეუცვლია აზრი და ლოგიკის სფერო ზუსტად შემოუსაზღვრავს აზროვნების კანონებითა და ფორმებით.

ხელნაწერი რომ ფართოდ გაგებული ლოგიკის საფუძველზეა შექმნილი, ამას ადასტურებს მისი ავტორის მიერ ლოგიკური და ნივთიერი კეშმარტივების ერთმანეთისაგან განსხვავება და დახასიათება. „ლოგიკური კეშმარტივება არის ჩვენი აზრების შეთანხმებულობა აზრის კანონებთან. მატერიალური (ნივთიერი, გ. რ.) კეშმარტივ-

ბაკი არის ჩვენი აზრების შეთანხმებულობა თვით საგანთან“⁸. ცოდნის სრულყოფისათვის, ხელნაწერის ავტორის მიხედვით, აუცილებელია არა მარტო აზროვნების სისწორე, არამედ ასევე ცნებათა და მსჯელობათა საგნებთან შეთანხმება, რაც საკუთრივ ჰეშმარიტებას წარმოადგენს. ხელნაწერში ორივე ჰეშმარიტებად იწოდება, რაც შემდგომ „ლოგიკაში“ არ ფიგურირებს. ხელნაწერში კი ერთიცა და მეორეც ლოგიკის მეცნიერების სფეროშია მოქცეული.

ამაზევე მიუთითებს მიზანდასახულობა „ლოგიკური მეთოდოლოგიისა“, რომელიც უნდა დაგვეხმაროს სინამდვილის სრულად აღქმაში და გვიჩვენოს შემეცნების სრულყოფის გზები. ამიტომ, შემთხვევითი არ არის, რომ ს. დოდაშვილი „ლოგიკურ მეთოდოლოგიაში“ მსჯელობს ემპირიული და გონებრივი ცოდნის შესახებ, რომელთაგან პირველი ცდის, ხოლო მეორე გონების გზით მიიღება. ცოდნის ეს ორი სახე ცალ-ცალკეა განხილული ფილოსოფიური და მათემატიკური შემეცნების დახასიათებით. გენეტიკური განსაზღვრების განხილვა ლოგიკური განსაზღვრების გვერდით ასევე მოწმობს ლოგიკის ფართო დანიშნულების აღიარებას, რაც გამოიხატება შემეცნების არა მარტო ფორმალური პირობების, არამედ ასევე საგნის წარმოშობის ჩვენებაში, რასაც, განსხვავებით ლოგიკური განსაზღვრებისაგან, გენეტიკური განსაზღვრება იძლევა. ფართოდ გაგებულ ლოგიკის მოთხოვნილებებითაა განსაზღვრული დაწვრილებით განხილვა-დახასიათება ისეთი ცნებებისა, როგორიცაა: რწმუნება, შეგონება, ვარაუდი, ქიმერა, ალბათობა, ეჭვი, შემეცნების ჰორიზონტი, ვრცელი და ღარიბი შემეცნება, უმეცრება, გონებრივი, ისტორიული შემეცნება და სხვ. როგორც ითქვა, აღნიშნულ საკითხთა და ცნებათა გადმოცემა დამახასიათებელი იყო ფართოდ გაგებულ ლოგიკისათვის.

ლოგიკის პირველი ვარიანტის დაწერის დროს ს. დოდაშვილი ლოგიკურ მეთოდოლოგიას რომ ლოგიკის მეცნიერების ნაწილად მიიჩნევს და არა დამოუკიდებელ მეცნიერებად, ამას ადასტურებს ცნების განსაზღვრების, ცნების გაყოფის და დასაბუთების ხელნაწერში ფართოდ განხილვა. თუმცა აქ ძირითადად მათი მეთოდოლოგიური ასპექტებია გაშუქებული, მაგრამ აქცენტი გადატანილია ლო-

⁸ ს. დოდაშვილი, თხზულებანი, თბ., 1961, გვ. 320.

გიკური წესების დაცვაზე, რაც აუცილებელია შემეცნების სრულყოფისათვის. ეს წესები ყოველთვის ლოგიკაში რყო გადმოცემული და არც ერთი სხვა მეცნიერება მათ არ ეხებოდა. რაც შეეხება გამოყენებით ლოგიკას, აქ სახელწოდებიდან ჩანს, რომ ისიც ლოგიკაა და არა მისგან განსხვავებული მეცნიერება, თუმცა მასში ასევე შემეცნების შეზღუდულობის შესახებ არის მსჯელობა.

„ლოგიკურ მეთოდოლოგიას“ რომ არ მოსდევდეს „გამოყენებითი ლოგიკა“, მაშინ ჩვენ არ გვექნებოდა უფლება მისი ავტორი ფართოდ გაგებული ლოგიკის მიმართულებისათვის მუგვეკუთვნებინა. როგორც ზემოთ შევნიშნეთ, თვით კანტს, რომელიც ლოგიკის სფეროს აზროვნების კანონებითა და ფორმებით შემოსაზღვრავს, თავის ლოგიკაში მეორე ნაწილად შეაქვს ზოგადი მოძღვრება მეთოდის შესახებ. იგი მას იმ ამოცანებს აკისრებს, რასაც ს. დოდაშვილიც იზიარებს. მეთოდის შესახებ მოძღვრება ზოგიერთ სხვა ავტორსაც წმინდა და არა გამოყენებით ლოგიკაში შექმნდა, რაც გვიჩვენებს, რომ საკუთრივ „ლოგიკურ მეთოდოლოგიაში“ შესული საკითხები მაშინდელი შეხედულებით თეორიულ ლოგიკას განეკუთვნებოდა. რაც შეეხება გამოყენებით ლოგიკას, ფართოდ გაგებული ლოგიკის მეორე ნაწილის როლში გამოდიოდა და არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ მეცნიერებას. როგორც ჩანს, ლოგიკის პირველი ვარიანტის შექმნის დროს ს. დოდაშვილი ამ თვალსაზრისს იზიარებდა, რაც შემდგომ სავსებით უარყოფილია „ლოგიკაში“.

ცნობილია, რომ ტერმინი — გამოყენებითი მეცნიერება აღნიშნავს ამა თუ იმ მეცნიერების დარგს, რომელსაც პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტა ეკისრება. მეცნიერებათა დაყოფა თეორიულად და გამოყენებითად პირობითია. ეს ტერმინი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში იხმარება. ასე მაგ., გამოყენებითი მათემატიკა თვით მათემატიკის დარგია და არა მისგან განსხვავებული მეცნიერება. ასეთივე მიმართება გვაქვს ლოგიკასა და გამოყენებით ლოგიკას შორის. ფართოდ გაგების ლოგიკის წარმომადგენლები პირველად გადმოსცემდნენ თეორიულ, ხოლო შემდეგ პრაქტიკულ ანუ გამოყენებით ლოგიკას. ასე იწერებოდა მაშინდელი ლოგიკის სახელმძღვანელოები.

ს. დოდაშვილის „ლოგიკის“ შინაარსის გაცნობა ნათელყოფს

იმას, რომ მასში უარყოფილია ფართოდ გაგებულა ლოგიკა და მიღებულია მისი ახლებური განსაზღვრება. ამის გამო მას უარუყვია არა მარტო გამოყენებითი ლოგიკა — დარჩენილიყო ლოგიკად, არამედ ამ მეცნიერებიდან გაუძევებია მოძღვრება მეთოდის შესახებ, რომელიც კანტის ლოგიკაში ელემენტების შესახებ ზოგადი მოძღვრების მეორე ნაწილს წარმოადგენს.

„ლოგიკური მეთოდოლოგიის“ წარწერამ — ნაწილი II — შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ იგი წარმოადგენს გამოსაცემად განზრახული ფილოსოფიის კურსის გაგრძელებას. როგორც ვიცი, „ლოგიკა“ ამ კურსის პირველი ნაწილი იყო. თუ ამას დაეუშვებთ, მაშინ გამოდის, რომ ს. დოდაშვილი ეწინააღმდეგება მის მიერ ფილოსოფიის ზოგად შესავალში წინასწარ მოხაზულ გეგმას, სადაც ზუსტად არის მითითებული იმაზე, თუ რა უნდა გადმოიკცს ლოგიკის შემდეგ. გეგმის თანახმად, იგი უნდა ყოფილიყო მოძღვრება ადამიანის სულიერი ძალების კანონთა შესახებ ანუ ფსიქოლოგია. ხელნაწერში კი ისევ ლოგიკის საკითხებზეა მსჯელობა და არა ადამიანის სულიერ ძალებზე.

ამრიგად, „ლოგიკის“ შესავალში წარმოდგენილი გეგმაც საკვებით გამოირიყხავს იმის ვარაუდს, რომ „ლოგიკას“ უნდა მოჰყოლოდა „ლოგიკური მეთოდოლოგია“ და „გამოყენებითი ლოგიკა“. ამაზევე მართუთებს მის ბოლოს დართული წარწერა „დასასრული ლოგიკისა“, რაც იმას მოწმობს, რომ ს. დოდაშვილმა დაამთავრა ლოგიკის საკითხთა გადმოცემა. თუ ხელნაწერი ფილოსოფიის კურსის მეორე ნაწილი იქნებოდა, მაშინ აქაც უნდა ყოფილიყო წარწერა: ფილოსოფიის კურსი, ნაწილი II. ხელნაწერის შინაარსი აშკარად გვიჩვენებს, რომ იგი ფილოსოფიის კურსში არ შევიდოდა, რის გამოც შეუძლებელია „ლოგიკის“ შემდეგ გამოსაცემად განზრახული თხზულება ყოფილიყო.

ზემოაღნიშნული მოსაზრების ყველაზე უფრო მყარი საბუთია ს. დოდაშვილის მიერ მიღებული ლოგიკის საგნის გაგება, რომელიც „ლოგიკაშია“ წარმოდგენილი. ს. დოდაშვილი პირველი იყო რუსეთში, რომელმაც ლოგიკის სფერო მკვეთრად შემოსაზღვრა აზროვნების კანონებისა და ფორმების მოძღვრებით. უარიყო მოსაზრება — ლოგიკა ყოფილიყო მეცნიერება სინამდვილის შემეცნების შესახებ. იგი, მისი აზრით, არ სწავლობს ჭეშმარიტებასა და მის

შემეცნებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ლოგიკას ამ ახლებური გაგებით შემეცნების მხოლოდ ერთი მხარე — აზროვნების სისწორე აინტერესებს. „იგი (ლოგიკა, გ. რ.) არც არის შემეცნების ორგანო, მას არ მიეყვარათ უშუალოდ ჭეშმარიტებამდე, არამედ ის მხოლოდ გვასწავლის, გამოვიყვანოთ მოცემული ჭეშმარიტებიდან შედეგები წინააღმდეგობისა და დაბნეულობის გარეშე“⁹. ლოგიკის საგნის აღნიშნული გაგება შეუძლებელს ხდის იმის დაშვებას, რომ მისი ავტორი „ლოგიკის“ გამოცემის შემდეგ განუღდა მის მიერვე მიღებულ ამ მეცნიერების საგნის გაგებას და ძველი ვოლფისეული ლოგიკის პრინციპების მიხედვით ახალი ნაშრომის გამოცემა განიზრახა.

ამ მოსაზრების სისწორეს ერთხელ კიდევ მოწმობს პეტერბურგიდან თბილისში მომავალი ს. დოდაშვილის მიერ იონა ხელაშვილისადმი 1827 წელს ხარკოვიდან გამოგზავნილი წერილი, რომელშიც უარყოფილია ჩამდენიმე ლოგიკის არსებობა. საგულისხმოა ის, რომ იგი დაწერილია ხელნაწერის შექმნის შემდეგ. „ლოგიკა, — წერს ს. დოდაშვილი, — განჰყვეს სხუა და სხუა ჰსწავლად: შინაგანად, გარეგანად და ბუნებითად, გამოცდილებითად ანუ ხელოვნებითად და სხუად მრავლად. ლოგიკა ა ჩ რ დ ე ს გ ა ნ ი ყ ო ფ ე ბ ი ს, იგი არს ჰსწავლა გულისხმისყოფისა, ხოლო გულისხმისყოფა განიყოფების თვისსა მოქმედებასა ზედა და არა გარეგან, არამედ შ ი ნ ა გ ა ნ ფ ო რ მ ა უ ლ ი ა რ ს“¹⁰ (ხაზი ჩემია, გ. რ.). ამ წერილში აღიარებულია მხოლოდ ერთი ფორმალური ლოგიკის არსებობა, რომლის თვალსაზრისითაც დაწერილია „ლოგიკა“—მეცნიერება აზროვნების კანონებისა და ფორმების შესახებ. რუსეთში ლოგიკის განვითარება ძირითადად ამ მიმართულებით წარიმართა, რომლის დამწყებად ს. დოდაშვილი გვევლინება.

„ლოგიკისა“ და „ლოგიკური მეთოდოლოგიის“ შინაარსებს თუ ერთმანეთს შევადარებთ, დაინახავთ, რომ ს. დოდაშვილს არა მარტო ლოგიკის ახლებური გაგება მიუღია, არამედ, რაც მთავარია, იგი კანტისაგან მარცხნივ წასულა. ეს დასტურდება „ლოგიკის“

⁹ ს. დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 48.

¹⁰ მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., 1944, ნაკვ. II; „ს. დოდაშვილის წერილები, 1825—1832“, ს. ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1945, გვ. 74—75.

მრავალი ადგილით: „ლოგიკური მეთოდოლოგია“ დაწერის დროს ამოსავალია კანტის იდეალისტური მოძღვრება, „ლოგიკაში“ კი იგი არსებითად უკუგდებულა და მატერიალისტური ხაზია გატარებული¹¹. დიდმნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ „ლოგიკაში“ ნაცადია დიალექტიკის შემოტანა, რაც ადგილს ვერ პოულობს ხელნაწერში.

როგორც ვხედავთ, ლოგიკის ახლებური გაგების მიღების შემდეგ ს. დოდაშვილს ხელი აუღია ეკლექტიკური ლოგიკის შექმნაზე. რაც კანტისა და ვოლფის ლოგიკათა შეერთებაში მდგომარეობდა და ამ მეცნიერებიდან მთლიანად გაუქმებია როგორც მეთოდზე მოძღვრება, ასევე გამოყენებითი ლოგიკა. ამის გამო ცნების განსაზღვრების, ცნების გაყოფის და დასაბუთების საკუთრივ ლოგიკური ასპექტები „ლოგიკის“ სათანადო ადგილებში გაუშუქებია. ხელნაწერი რომ ახალი დამოუკიდებელი ნაშრომი ყოფილიყო, მაშინ მისი ავტორი მასში ხელმეორედ არ გადმოსცემდა ცნების განსაზღვრების, ცნების გაყოფის და დასაბუთების წესებს, აგრეთვე, განმეორებით არ განიხილავდა, ანალიზურ და სინთეზურ მსჯელობებს, ანალოგიას, ინდუქციას, აქსიომას, თეორემას, ლემას და ზოგიერთ სხვა ცნებას. ასეთ რაიმეს ისეთი მოაზროვნე, როგორც ს. დოდაშვილი იყო, არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდა.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ს. დოდაშვილი ლოგიკის საგნის ახლებურ გაგებამდე უცებ არ მისულა. მის შეხედულებებს გარკვეული ევოლუცია განუცდია როგორც ამ მეცნიერების ახლებური გაგების, ასევე მასში შესული საკითხების ინტერპრეტაციის ჩამოყალიბების დროს. „ლოგიკური მეთოდოლოგია“ და „გამოყენებითი ლოგიკა“ სწორედ მათი ავტორის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის განვითარების გარდასულ საფეხურს გამოხატავს, რომლის შემდეგ არის შექმნილი მისი „ლოგიკა“.

¹¹ შალვა ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. II, გვ. 499.

სოლომონ დოღაშვილის „რიტორიკა“

ს. დოღაშვილის მსოფლმხედველობის დახასიათებისათვის უღარესად მნიშვნელოვანია მისი „რიტორიკა“, სადაც მას მრავალი საინტერესო შეხედულება აქვს გამოთქმული ლიტერატურის თეორიისა და ესთეტიკის საკითხებზე.

ეს თხზულება დიდხანს დაკარგულად ითვლებოდა. მაგრამ რომ მას ასეთი თხზულება უნდა ჰქონოდა, ამას ადასტურებენ შემდეგი ფაქტები: ს. დოღაშვილი ი. ხელაშვილისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში იტყობინება, რომ მან დაწერა „რიტორიკა“. წერილი დათარიღებულია 1828 წლის 21 სექტემბრით და მასში მოცემულია მისი ახალი ნაშრომის საკმაოდ დაწვრილებითი შინაარსი: „ქართული რიტორიკა სრულ ვჰყავ ქართულსა ენასა ზედა და ვჰსთარგმნი რუსულად¹. სისტემა არს შემდგომი: 1. შეყვანებასა შინა რიტორიკისასა არს განსაზღვრება სიტყვიერებისა, განყოფა მისი, განსაზღვრება რიტორიკისა, დამტკიცება, რომელ არს სწავლა და, არა ხელოვნება, განსხუავება ძუელისა და ახლისა რიტორიკისა, საგანი რიტორიკისა ანუ დასასრული, საჭირონი თვისებანი ორატორისანი, შესაწვენელნი სწავლანი მისნი, განსხუაება რიტორიკისა და პიიტეიკისა, სარგებლობა მისი, ისტორია მისი და განყოფა ამასთან წინადადებათათვის, განვრცელებისათვის მათისა, პერიოდთა და ხრიათათვის.

2. პირველი ნაწილი რიტორიკისა — პოვნისათვის, მეორე ნაწილი განკარგვისათვის და მესამე გამოღებისა ანუ ფრაზისათვის... რომელთა შინაცა იპყრობიან საზოგადონი კანონნი პროზაიკებრთა თხზულებათანი.

¹ზ. ჳიჳინაძის აზრით, ს. დოღაშვილმა რიტორიკა რუსულიდან თარგმნა. ჩვენ მიერ მოტანილი ამონაწერი ს. დოღაშვილის წერილიდან კომპათილემს ამ აზრს. „რიტორიკა“ რუსულიდან რომ ყოფილიყო თარგმნილი, ს. დოღაშვილი მას ხელმეორედ აღარ თარგმნიდა რუსულად.

3. საკუთარნი კანონნი სხუათა და სხუათა თხზულებათანი: ავთრათთათვის, საუბრობათათვის, შესხმათათვის და სხუათა².

რომ ს. დოდაშვილს დაწერილი ჰქონდა რიტორიკა, ამას მოწმობს იონა ხელაშვილისადმი მიწერილი მეორე წერილიც, დათარიღებული 1829 წლის 28 დეკემბრით, რომელშიც ს. დოდაშვილი თავის სხვა ნაშრომებთან ერთად ასახელებს „რიტორიკასაც“ და ამბობს: „სრულეჲყავ რიტორიკა ქართულსავე ენასა ზედა“³.

საინტერესოა აგრეთვე იონა ხელაშვილის წერილი, მიწერილი სოლომონისადმი 1828 წლის 11 აპრილს. ამ წერილში იონა სოლომონს აძლევს რჩევა-დარიგებას, თუ როგორი უნდა იყოს რიტორიკა: „ეგრეთვე რიტორებისასა მომითხრობთ. უკეთუ ეთხზვიდი, მოვიხვამდი პეტრიწისა კლემაქსსა. და წყობილ სიტყუაობასა ანტონი კ-თ და ამირან დარეჯანიანსა ცნობად ძუელისა თხზვისა და კავშირსა დიდოხოსისასა პლატონურისასა და დიდის მეფე თეიმურაზისა თხზულსა პირისპირ ვეფხვის ტყაოსნისასა და სხუათა და სხუათა მონასტრებისა უკეთილესთა წიგნებთა და მტილსა მათისა აზმნობისა გამოვწერდი და ესრეთ სამნაწილებად შევადგენდი რიტორებასა. მსგავსად იესტეტიკისა და განვაწვალედი სამ ხარისხ აღმავლობად. მაღალ გაგონება ფილოსოფიისა, საშუალ გაგონება საღთო წერილისა და ღვთის მეტყუელებისა და სტიხებისა და ლექსთა.

გარნა არათუ მხოლოდ სიტყუებთა და ფიგურებ-მუხლებთა დატვირთავდი, არამედ თითოეულთა ლექსთა ძიროვანთა ესრეთ აღვაგსებდი, ვითარცა ბროწეული მრავლად ბევრეულისა მარცვლებითა. ხოლო მშრალთა ლექსთა და ფერადეულთა მოვსპობდი და ვიხმევდი სიბრძნისა არნადს ნიჩაფთა, ცხრილთა, ტაბაკთა, საცერთა და უფროსდა სამტკიცეთა. ხოლო ბერძნულთა და ლათინურთა ხრიათა, ფიგურათა და ეგვევითართა დაბალთა ცნობათა გარე მუნვე აშინასა ზედა მივუწერდი...“⁴

ეს წერილი გვეხმარება ს. დოდაშვილის მსოფლმხედველობის დადგენაშიც. სოლომონი, როგორც მისი „რიტორიკის“ ტექსტიდან ჩანს, მთლიანად არ გაჰყვა იონას რჩევას. მან თავის თხზულებაში არ

² ხელნაწ. H—2226, გვ. 277.

³ იქვე, გვ. 234.

⁴ იქვე, გვ. 246.

შეიტანა არაფერი ღვთისმეტყველური, რასაც ასე დაეინებით ურჩევდა მას იონა. სამაგიეროდ დაასახელა ქართველი მოღვაწენი: ანტონი, იოანე პეტრიწი და თავის მხრივ დაუმატა იონა, რომელსაც ზემოდასახელებულ მოღვაწეებზე არანაკლებ სცემდა პატივს როგორც ადამიანს, მოღვაწესა და უდიდეს პატრიოტს. შესაძლებელია, იონასავე გავლენით დაგმო მან ფორმით ლამაზი, მაგრამ შინაარსისაგან დაცლილი ხელოვნება.

თუმცა ამ წერილების მიხედვით ცნობილი იყო, რომ ს. დოდაშვილს დაწერილი ჰქონდა „რიტორიკა“, მაგრამ იგი აქამდე ნაპოვნია არ იყო. ხელნაწერთა ინსტიტუტში ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა ფონდში წაეაწყდით S—5205 ხელნაწერს, რომელიც დასათაურებულია როგორც „რიტორიკა“ და აქვს 1829 წლის ქვირნიშანი, მაგრამ არა აქვს არც ავტორისა და არც გადამწერის ხელმოწერა. ამ ხელნაწერის შინაარსის შედარებამ იმ გეგმასთან, რომელიც მოტანილი აქვს ს. დოდაშვილს 1828 წლის სექტემბერში იონასადმი მიწერილ წერილში, დაგვარწმუნა, რომ ეს გეგმა მთლიანად ემთხვევა ხელნაწერის შინაარსს. ჩვენ მიერ მიგნებული ხელნაწერი არ არის სრული. მასში შემონახულია „რიტორიკის“ შესავალი, პირველი ნაწილი ანუ „ნაწილი ა“ და მეორე ნაწილის ანუ „ბ ნაწილის“ გეგმა.

ხელნაწერის შესავალ ნაწილში განხილულია იგივე საკითხები, რაც დასახელებულ წერილში მოცემულია გეგმის „შეყვანილობაში“. განსხვავება მხოლოდ საკითხების თანმიმდევრობაშია. გეგმაში ნათქვამია: „შეყვანებასა შინა რიტორიკისასა არს განსაზღვრება რიტორიკისა“. ასევეა ხელნაწერშიც, სადაც შესავალში მართლაც მოცემულია რიტორიკის განსაზღვრება. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ გეგმაში მოცემული ფრაზა მთლიანად ემთხვევა ხელნაწერის ფრაზას. გეგმაში ნათქვამია: „რიტორიკა არს ჰსწავლა და არა ხელოვნება“, ე. ი. რიტორიკა არის მეცნიერება და არა ხელოვნება. რიტორიკის ზუსტად ასეთი გაგება არის გატარებული ჩვენ მიერ მიგნებულ ხელნაწერში. მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის არც ერთ ხელნაწერში არ გვხვდება რიტორიკის ასეთი გაგება, გარდა S—5205 ხელნაწერისა. ამას გარდა, ორივეგან არის შემდეგი თავები: „განსხვავება ძუელისა და ახლისა რიტორიკისა“, „შესაწევნელნი სწავლანი რიტორიკისა“, „განსხვავება რიტორიკისა და პიტიკისა“, „მოკლე

ისტორია რიტორიკისა“, „განყოფა“, ანუ რიტორიკის შემადგენელი ნაწილების განხილვა. ორივეგან გვხვდება საკითხი იმ სარგებლობის შესახებ, რაც რიტორიკას მოაქვს.

ფრაზეოლოგიური და აზრობრივი დამთხვევა გვაქვს ხელნაწერას ბოლო ნაწილშიც. როგორც გეგმაში, ისე ხელნაწერში ნათქვამია, რომ რიტორიკის პირველ ნაწილში განხილული იქნება ზოგადი კანონები, რომელნიც ვრცელდება ყოველგვარ პროზაულ ნაწარმოებებზე. კერძოდ, გეგმაში ნათქვამია, რომ პირველი ნაწილის ბოლოში განხილული იქნება „საზოგადონი კანონნი პროზაიკებრთა თხზულე-ბათანი“ ხელნაწერშიც ვკითხულობთ, რომ აქ, ე. ი. პირველ ნაწილში „გარდამოიციმიან კანონნი, რომელნიც განეფინებიან ყოველთა გუ-ართა ზედა პროზაიკებრთა თხზულებათათა გამოურიცხუელად“. ამას გარდა, ხელნაწერის ეს ნაწილი დასათაურებულია როგორც: „საზოგადონი კანონნი პროზაიკებრთა თხზულებათანი“. ზუსტად ემთხვევა „გეგმის“ პირველი ნაწილის საკითხები და მათი თანმიმდევრობა ხელნაწერის „ა“ ნაწილში განხილულ საკითხებს. ესენია: „პოენისათვის ჰაზრთა“, „განკარგვისათვის“ და „გამოღებისათვის ფრაზისა“. იგივე თავებია დასახელებული გეგმაში — „პოენისათვის“, „გამოღებისათვის“, „განკარგვისათვის“.

ხელნაწერის პირველი ნაწილის ერთ-ერთ თავს ეწოდება „ტროპთათვის“. დაახლოებით ასევეა გეგმაშიც: „ტროპთა და ფილურათათვის“. მაშასადამე, ხელნაწერში გამოტოვებულია „ფიგურათათვის“. მაგრამ თვით ტექსტში განხილულია როგორც ერთი, ისე მეორე ტექსტში ვკითხულობთ: „ამისათვის პროზა იგი იხმარებს საშუალობათა პოეზიისა. საშუალობანი ესენი არიან ტროპნი და ფიგურანი“.

რაც შეეხება გეგმისა და ხელნაწერის მეორე ნაწილს, მიუხედავად იმისა, რომ ხელნაწერი დაუმთავრებელია, სრულ დამთხვევასთან გვაქვს საქმე. „გეგმაში“ დასახელებულია „ავთრათნი“, „საუბარნი“ და „შესხმანი“ და შემდეგ დართულია „და სხუანი“, იგულისხმება, რომ ჩამოთვლა სრული არაა. მართლაც, ხელნაწერშიც დასახელებულია ეს სამი თავი, ხოლო „და სხუანი“-ს ნაცვლად კიდევ ოთხი თავი „მარტივი აღწერანი“, „ისტორიულნი აღწერანი“, „საქმიითი ლექსთხზულებანი“ და „ჰსწავლითი თხზულებანი“.

გეგმის მეორე ნაწილში ნათქვამია, რომ „აქ განიხილება საკუთარნი კანონნი სხუა და სხუათა თხზულებათანი“. ხელნაწერშიც „რიტო-

რიკის“ მეორე ნაწილი დასათაურებულია, როგორც „სხუა და სხუა გუარნი პროზაიკებრთა თხზულებათანი“. ამ შემთხვევაშიც ადგილი აქვს როგორც ფრაზეოლოგიურ, ისე აზრობრივ დამთხვევას.

განსხვავება, როგორც ვთქვით, უმთავრესად საკითხთა თანმიმდევრობაშია. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ გეგმაში „შეყვანილობაში“ დასახელებული საკითხი „პერიოდთათვის“ შეტანილია ხელნაწერის პირველ ნაწილში, ხოლო გეგმის „შეყვანილობაში“ მოცემული საკითხი „ხრიათათვის“ საერთოდ არაა ხელნაწერში. საკითხთა განსხვავებული დალაგება წერილში მარტივად აიხსნება. სავარაუდოა, რომ წერილის წერისას დოდაშვილს ხელთ არ ჰქონდა „რიტორიკის“ ტექსტი და ამიტომ ზუსტად ვერ დაიცვა საკითხთა თანმიმდევრობა, ხოლო „ხრიათა“ არარსებობა ხელნაწერში შეიძლება აიხსნას ხელნაწერის დაუმთავრებლობით.

ამრიგად, წერილში შემონახული გეგმისა და ხელნაწერის შინაარსობრივი დამთხვევა თითქმის უდავოს ხდის მოსაზრებას, რომ S—5205 ხელნაწერი დოდაშვილის „რიტორიკას“ წარმოადგენს.

ამ ხელნაწერის დოდაშვილისეულობაზე მეტყველებს, აგრეთვე, ხელნაწერის სტილიც. მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ამ სტილით წერა შეეძლო მხოლოდ „ლოგიკის“ ავტორს. ს. დოდაშვილის სტილს ახასიათებს აზრთა თანმიმდევრობა და გადმოცემის უაღრესი ლაკონიურობა, აზრის სიცხადე და გარკვეულობა. სწორედ ის, რასაც „რიტორიკის“ ავტორი მოითხოვდა მეცნიერისა, თუ ხელოვან-საგან, პირველ რიგში თვით მას ახასიათებდა. იგივე ითქმის აზრის სიღრმესა და დასრულებულობაზე. „რიტორიკაში“ ვერ ნახავთ ზედმეტ სიტყვას, თითქმის ყოველი ფრაზა მასში კანონს წარმოადგენს. არ შეიძლება არ აღინიშნოს ენის ოდნავ მოძველებულობა, რაც პეტრიწის გავლენაზე მიუთითებს. ყოველივე ეს ლაპარაკობს იმის სასარგებლოდაც, რომ „რიტორიკისა“ და „ლოგიკის“ ავტორი ერთი და იგივე პიროვნებაა.

აქ შეიძლება მოტანილიყო კიდევ სხვა მაგალითები „რიტორიკის“ ცალკეული ადგილების დამთხვევისა სოლომონის მიერ იონასადმი მიწერილი წერილების ტექსტებთან. კერძოდ, სოლომონი იონასადმი მიწერილ წერილში 1826 წლის 27 მარტს ასახელებდა მსოფლიოს შემდეგ გამოჩენილ მოაზროვნეებს:

„ძუელსა ზედა ენასა ბერძენთასა: არისტოტელ, ლონლინ, დონ-ვისიოს ღალიკარნასელი; ათინელი დემოსთენ, რომაელთა: ციცერონ, კვინტილიან... ანგლიისა: ბილერ; ნემეციისა: ეშენებურღ, მოას; რუსეთისა: ლომონოსოვი, რიესკი, კარამზინ და სხუანი ჩინებულნი მწერალნი იხმევიან უკუდავითა სახელითა“. წარსულის გამოჩენილ მოღვაწეთა ანალოგიურ დასახელებას ვხვდებით „რიტორიკის“ ერთ-ერთ თავში, რომელსაც ეწოდება — „მოკლე ისტორია რიტორიკისა“: „ძუელთაგან უკეთილესნი რიტორნი ბერძენთანი არიან არისტოტელი, ლონგინი, რომაელთაგანი: კვინტილიანი, ახალთა მწერალთაგანნი კანონთა მკერსიტყუაობისათა: როლენ, ბიტტე, ლადარპ, ინგლისთაგანი: ბილერ, ნემეტაგანი: ეშენებურღი, მოასი, ღენსიუსი, ქართულთაგანი: ანტონი, იონა, რუსთაველი და სხუანი“. როგორც ვხედავთ, მოტანილი ადგილების დამთხვევა უდავოა. ეს გარემოება სხვა არაფრით არ შეიძლება აიხსნას, თუ არა იმით, რომ წერილისა და „რიტორიკის“ ავტორი ერთი და იგივე პიროვნებაა.

ჩვენ მიერ მიგნებული „რიტორიკის“ ხელნაწერის შედარება ს. დოდაშვილის „ლოგიკის მეორე ნაწილთან“ აგრეთვე იძლევა საფუძველს დასკვნისათვის, რომ ეს ორი ნაწარმოები ერთი და იმავე პიროვნების დაწერილია. მაგალითად, „რიტორიკის“ შესავალ ნაწილში ს. დოდაშვილი აცხადებს, რომ რიტორიკა არის სწავლა, მეცნიერება და არა ხელოვნება. ეს იმიტომ, გვიხსნის ს. დოდაშვილი, რომ იგი „იპყრობს თვის შორის თეორიასა ანუ კანონთა სისტემატიკებრ დაწყობილთა“. აღსანიშნავია, რომ რიტორიკის მეცნიერების ასეთი გაგება ზაერთთა „რიტორიკისა“ და „ლოგიკის მეორე ნაწილისათვის“⁵.

დოდაშვილი „რიტორიკის“ შესავალში ამტკიცებს, რომ ხელოვნებას, კერძოდ ორატორულ ხელოვნებას, აქვს თეორიული და პრაქტიკული მიზანდასახულობა: თეორიული მიზანდასახულობაა — აღმიანებს ასწავლოს ჭეშმარიტება, პრაქტიკული კი — ასწავლოს სიკეთის სიყვარული და მისკენ სწრაფვა, რისთვისაც ხელოვანი იყენებს მშვენიერებას. ამით იგი მოქმედებს ადამიანის „ესტეტიკებრთა ძალთა ზედა“. როგორც ჭეშმარიტების წვდომისათვის, ისე სიკეთის მოქმედებისათვის ადამიანს გააჩნია შესატყვისი სულიერი ძალები:

⁵ საქ. სახ. ც. ი. არქ., ფონდი 1457, რე. 10, გვ. 1839.

„ვულისხმისყოფითა — ამბობს დოდაშვილი ეკუთვნიან იგი ქეშმა-
რიტსა, ნებითა — კეთილსა, გრძნობითა — აღმკობილსა ანუ შუე-
ნიერსა“.

აქ შეიძლება დამოწმება ერთი წერილისა, რომელიც ემთხვევა „რტორიკის“ ზემომოტანილ ადგილს: „ფილოსოფოსობა ჩუენი ყოვლისა საგნისათვის მდგომარეობს თეორიასა შინა, პრაქტიკასა და ესტეტიკასა: პირველი არს ცნობა, მეორე ქცევა და მესამე ხელოვნება. კულად იგივე პირველი, ე. ი. თეორია არს სწავლა გონებისა, მეორე გულისა და მესამე გრძნობისა“⁶. აქაც, ისევე როგორც ზემომოტანილ ადგილებში, ლაპარაკია ადამიანის ფსიქიკის სამ მხარეზე: გონებაზე, გულსა და ესთეტიკურ გრძნობაზე. ეს სამი მხარე ელინდება ადამიანის თეორიულ შემეცნებაში, პრაქტიკულ მოქმედებასა და ესთეტიკური შეგრძნების უნარში. ამ ადგილებს თანხვდენაც „რიტორიკასთან“ ადვსტურებს, რომ ამ უკანასკნელის ავტორი ს. დოდაშვილი უნდა იყოს. ამას გარდა, ეს ადგილები ძალიან ჰგავს როგორც ფრაზეოლოგიურად, ისე აზრობრივად სოლომონის მიერ იონასადმი მიწერილი წერილის შინაარსს, რომელიც დათარიღებული არ არის: „ორატორი უმეტესად მიჰმართავს აღმკობილსა ანუ შუენიერსა, ვინაითგან იგი უმეტესად მოქმედებს გრძნობასა ზედა და ყურადღებასცა მიჰმართავს განჰსჯითად. საზოგადოდ, ორატორი გულისხმისყოფითა (თეორეტიკებრ) ეკვეთების ქეშმარიტსა, ნებითა (პრაქტიკებრ) კეთილსა, ხოლო გრძნობით (ესთეტიკებრ) უკუეთების აღმკობილსა ანუ შუენიერსა ხელოვნებასა“. ამ ადგილს წერილში მოსდევს შემდეგი: „მხოლოობა ესე კანონთა განსაზღურებითა და განყოფითა გარდაეფინების ყოველთა გრძნობითთა და გონებითთა თხზულებათა განმარტებითურთ და აღმოჩენით ანუ დამტკიცებით, გარდა ამათსა იქმნებიან საკუთარნი კანონნი თვითეულისა თხზულე-ბისათვის კერძობითად, მაგ., ავთრათთათვის, ქებათათვის“. ეს ადგილი თითქმის სიტყვასიტყვით ემთხვევა „რიტორიკის“ ერთ-ერთ ადგილს თავიდან, რომელსაც ეწოდება „განყოფა რიტორიკისა“: „პირველ ნაწილსა შინა მისსა, ვითარცა თეორეტიკებრსა, გარდამოიცი-

⁶ ხელნაწ. H—2226, გვ. 153.

მიანკანონი, რომელნიცა განეფინებინ ყოველთა გუართა პროზაიკებრთა თხზულებათათა გამოურიცხულად, მეორესა ნაზრდსა შინა, ვითარცა პრაქტიკებრსა, განიხილებიან თითოდ სხუა და სხუა გუარნი პროზაიკებრთა თხზულებათანი. როგორც აღნიშნეთ, ამ თხზულებათა სახეობებს შორის დასახელებულია „ავთრათნი, შესხმანი“ და სხვ. ამრიგად, მოტანილი ადგილების თანხედენაც უდავოა.

ადვილი შესაძლებელია, რომ S—5205 ხელნაწერი წარმოადგენდეს დოდაშვილის ავტოგრაფს. ამის სასარგებლოდ შეიძლება მრავალი მოსაზრების მოტანა. კერძოდ, S—5205 ხელნაწერის ხელი ძალიან ჰგავს ს. დოდაშვილის ხელს. ასევე მელნის ფერიც წააგავს იმ ფერს, რომლითაც ნაწერია ამავე წელს დაწერილი დოდაშვილის სხვა ნაწერები. ხელნაწერი უნდა წარმოადგენდეს დოდაშვილის ავტოგრაფს იმ მოსაზრების გამოც, რომ მას არა აქვს მოწერილი გვარი. იგი არ უნდა იყოს გადაწერის გადანაწერი, რადგან არაა შესრულებული სუფთად, აქვს მრავალი ზედმეტი ხაზი, რაც, ეტყობა, გაკეთებულია წერის დროს ფიჭრისას. ყოველივე ამის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ აღნიშნული ხელნაწერი „რიტორიკის“ შავი პირია და, მაშასადამე, უნდა არსებობდეს მისი თეთრი პირიც.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ხელნაწერი დაუმთავრებელია და ადვილი შესაძლებელია, დოდაშვილის „რიტორიკის“ შავ პირს წარმოადგენდეს, იგი საკმაოდ გვისურათებს დოდაშვილის მთელ „რიტორიკას“ და ნათელ წარმოდგენას ვვაძლევს როგორც მის ავტორზე, ისე მის მსოფლმხედველობაზეც.

როგორ წარმოგვიდგება ს. დოდაშვილი აღნიშნული ხელნაწერის მიხედვით?

პირველ ყოვლისა, „რიტორიკის“ ავტორი გვევლინება უაღრესად განათლებულ ადამიანად. იგი რუსული ენის კარგი მცოდნეა, რაც იმ დროს დიდ იშვიათობას წარმოადგენდა. ავტორი ხშირად ეძებს რუსული სიტყვის ქართულ ეკვივალენტს. მაგალითად, სიტყვას „изящное“-ს თარგმნის როგორც „აღმკობილს“. ასევე იქცევა იგი სიტყვა „красноречие“-ს თარგმნისას — გადმოქართულებული აქვს, როგორც „მჭვერმეთქუეობა“.

რიტორიკის ავტორი ზერძნული ენის მცოდნეცაა. შესავალში იძლევა სიტყვა „რიტორიკის“ ეტიმოლოგიას. „რიტორიკა ჰსწარმო-

ებს ბერძნულისა ლექსისგან რეო, რომელიც ჰნიშნავს ქართულად ვებტყუელებ“.

ავტორი ფილოსოფიურად ღრმად განსწავლული პიროვნებაა. ეს აშკარად ჩანს მთელ ნაშრომში. მკითხველი გრძნობს, რომ ასე წერა და ასეთი განსაზღვრებების მოცემა ფილოსოფიურად კარგად განათლებულ ადამიანს შეეძლო მხოლოდ. მაგალითისათვის შეიძლება მოვიტანოთ ტროპის სხვადასხვა განსაზღვრებანი: „სინეკდოხა არს ტროპი, რომელსაცა შინა დაიდების ყოვლადი⁷ ნაცვლად კერძოისა თვისისა, ნათესავი⁸ ნაცვლად სახელისა⁹ და უკუქცევით. მაგალითად, მოკუდავი ნაცვლად კაცისა“. ეს არის ორიგინალური, ამომწურავი და ზოგადი ფორმულირება, რაც კიდევ უფრო ნათელი გახდება, თუ სინეკდოხას ზემომოტანილ განსაზღვრებას შევადარებთ ჩვენს ერთ-ერთ ლიტერატურულ ლექსიკონში მოცემულ სინეკდოხას განსაზღვრებას:

«Синекдоха—один из тропов, состоящих в замене наименования жизненного явления названием его части вместо целого (напр. Москва вместо России), единственного числа вместо множественного (человек вместо люди), или, наоборот, целого вместо части, множественного числа вместо единственного»¹⁰.

სინეკდოხას ეს განსაზღვრება ს. დოდაშვილის განსაზღვრებასთან შედარებით გაჭიანურებულია, აქლია ლაკონიურობა, მაგრამ ამომწურავი მაინც არ არის.

ასევე ტროპისა და ტროპის სახესხვაობათა განსაზღვრებებშიც დოდაშვილი ამჟღავნებს საკითხის ღრმა ცოდნას და შეაქვს სიახლე. ტროპს დოდაშვილი ასე განსაზღვრავს: „ტროპი არს შეცავლება ერთისა ლექსისა მეორესა შინა ესეოდენვე გასაგონსა, გარნა უმეტეს გამოსათქმელსა“. ახალ ქართულზე ეს განსაზღვრება ასეთია: „ტროპი არის ერთი სიტყვის მეორე ასეთივე მნიშვნელობის მქონე, მაგრამ აზრის უკეთესად გადმომცემი სიტყვით შეცვლა“.

⁷ „ყოვლადი“ ნახშირია „ზოგადი“-ს მნიშვნელობით.

⁸ „ნათესავი“ ნიშნავს გვარს, გვარობით ცნებას.

⁹ „სახელი“ ნახშირია სახის მნიშვნელობით.

¹⁰ Краткий словарь литературоведческих терминов, Учпедгиз, 1952,

დოდაშვილის განსაზღვრებაში დაკვირილია ერთი არსებითი მომენტი, რომელიც არა აქვს გათვალისწინებული ლიტერატურათმცოდნეობის სახელმძღვანელოთა ზოგიერთ ავტორს¹¹. სახელდობრ, დოდაშვილის აზრით, არ კმარა სიტყვის მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით ხმარება. აუცილებელია, რომ ეს სიტყვა იყოს „უმეტეს გამოთქმული“, ე. ი. უკეთესად უნდა გადმოსცემდეს აზრს. აღსანიშნავია კიდევ ერთი ნიუანსი, რომელიც არის დოდაშვილისეულ განსაზღვრებაში, მაგრამ არ არის დასახელებულ სახელმძღვანელოებში. დოდაშვილი აღნიშნავს, რომ გადატანითი მნიშვნელობით ნახშირი სიტყვა უნდა იყოს „ესეოდენვე გასაგონი“, ე. ი. უნდა შეიცავდეს იმავე აზრს და არა სხვას, იმ სიტყვასთან შედარებით, რომელსაც ენაცვლება. ოღონდ იგი ამ აზრს უფრო მკვეთრად და გასაგებად უნდა გადმოსცემდეს. ამ ნიუანსების გარეშე ტროპის განსაზღვრება სრული არ იქნება.

საყურადღებოა მეტაფორის განსაზღვრებაც: „მეტაფორა არს ტროპი, დაფუნდებული მსგავსებასა ზედა საგანთასა“, ე. ი. მეტაფორა ტროპია, რომელიც საგანთა მსგავსებას ემყარება. როგორც ვხედავთ, დოდაშვილი მეტაფორაში აუცილებლად მიიჩნევს არა მხოლოდ ერთი მოვლენის თვისებების მეორე მოვლენაზე გადატანას, არამედ ამ გადატანისას ითვალისწინებს მსგავსების აუცილებლობას, წინააღმდეგ შემთხვევაში მეტაფორა იქნება ნებისმიერი საგნიდან ნებისმიერ საგანზე ნებისმიერი თვისებების გადატანა, რაც უაზრობა იქნებოდა.

თავისებურად და, ამავე დროს, საკითხის დრმა ცოდნით არის მოცემული ჰიპერბოლის განსაზღვრებაც: „ჰიპერბოლა არს ტროპი, რომლისაცა შინა იხმარებიან ლექსნი, წარმომადგენელნი საგნისა უდიდესად ან უმცირესად“. ახალ ქართულზე ეს განსაზღვრება იქნება: „ჰიპერბოლა ისეთი ტროპია, რომელიც მოვლენას გაზვიადებულად ან დამცირებულად წარმოგვიდგენს“. დოდაშვილმა ამ შემთხვევაში ჰიპერბოლასთან ლიტეტესი შეაერთა, რასაც თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის სახელმძღვანელოებში ცალ-ცალკე წარმოგვიდგენენ¹². დოდაშვილმა ეს ორი მოვლენა ერთი და იმავე ტრო-

¹¹ Г. А. Абрамович, Введение в литературоведение, 1956, стр. 156; проф. Л. И. Тимофеев, Теория литературы, 1948, стр. 206.

¹² ს. გაჩეჩილაძე, ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები, გვ. 313.

პის ორ მოპირდაპირე მხარედ მიიჩნია, რითაც სიახლე შეიტანა ჰიპერბოლის განსაზღვრებაში.

ხელნაწერის ბოლოს მოტანილია მაგალითი: „მე მიყვარს კითხვა პეტრიწისა“, ცხადია, ვისაც ასეთი მაგალითის მოტანა შეეძლო, იგი ქართულ ფილოსოფიაში კარგად ჩახედული პიროვნება უნდა ყოფილიყო.

ხელნაწერის ერთ-ერთ თავში, რომელსაც ეწოდება „მოკლე ისტორია რიტორიკისა“, გამოჩენილ მოაზროვნეთა და ორატორთა შორის რუსთაველისა და ანტონის დასახელება მოწმობს, რომ „რიტორიკის“ ავტორი არის ქართველი და, ამავე დროს, ფილოსოფიურად განათლებული. მათ გვერდით იონა ხელაშვილის მოხსენიებაც იმას მოწმობს, რომ ხელნაწერის ავტორი იონას თანამედროვე და მისი პატივისმცემელია. ცნობილია, რომ იონა სიკვდილის შემდეგ ასეთი პოპულარობით აღარ სარგებლობდა.

როგორია „რიტორიკის“ ავტორის იდეები?

ყურადღებას იქცევს ამ ნაწარმოებში რიტორიკის განსაზღვრება. ს. დოდაშვილი წერს: „რიტორიკა არს ჰსწავლა, რომელიცა იპყრობს თვის შორის კანონთა პროზაიკებრთა თხზულებათასა მიცთომისათვის შევნიერ-სიტყვაობისა საზოგადოდ“. აქედან ცხადი ხდება, რომ დოდაშვილისათვის რიტორიკა ყოფილა მეცნიერება, რომელიც პროზის კანონებს აყალიბებს. უფრო სწორად რომ ვთქვათ, ესაა პროზის თეორია. ამ განსაზღვრებაში რიტორიკის მიზნად გამოცხადებულია „შუენიერ-სიტყვაობის“ მიღწევა. ხოლო „შუენიერ-სიტყვაობა“ გაგებულია „გამოდებად ჰაზრთა ან გრძნობათა ზეპირად ანუ ქარტასა ზედა მოკლედ, ცხადად და შესაბამისად სათქმელისა ანუ აღსაწერისა საგნისა“. ცხადია, რომ მისთვის „შუენიერ-სიტყუაობა“ არ ყოფილა მხოლოდ ლამაზი სიტყვებისა და გამოთქმების ხმარება, არამედ — აზრის გადმოცემა მოკლედ და ნათლად. მაგრამ არც ეს მიაჩნია საკმარისად. ხელოვანი, მხატვარი ვალდებულია, რომ ნათქვამს თუ ნაწერს ათანხმებდეს „აღსაწერსა საგანსა“ ანუ ობიექტს. მაშასადამე, დოდაშვილისათვის ხელოვნებაში წამყვანია არა ფორმა, არამედ შინაარსი. შინაარსი კი ობიექტით, ობიექტური სინამდვილით ანუ „აღსაწერი საგნით“ არის გაპირობებული. დოდაშვილისათვის ნამდვილი მხატვრული შემოქმედება არის მხოლოდ იქ, როცა ეს ობიექტური სინამდვილე ყოველმხრივ არის შეცნობილი და შეს-

წავლილი და ამის საფუძველზე ნათლად, მოკლედ და ზუსტად გადმოცემული. ამავე დროს, რაც უფრო მეტად შეესატყვისება ნაწერში თუ ნათქვამში ასახული შინაარსი ობიექტურ სინამდვილეს, მით უფრო ნათელი და ცხადი იქნებოდა აზრი და, მაშასადამე, მით უფრო ლამაზი იქნება ფორმა. ამრიგად, დოდაშვილისთვის ობიექტური სინამდვილე განაპირობებს ნაწარმოების შინაარსს, შინაარსი კი ნაწარმოების ფორმას.

ასეთია დასკვნა, რომელიც პროზის ზემომოტიანილი განსაზღვრებიდან გამომდინარეობს. ეს დასკვნა კი დოდაშვილს ხელოვნებაში რეალიზმის დამცველად წარმოგვიდგენს.

რა მიზანი აქვს პროზას, ან საერთოდ ხელოვნებას, დოდაშვილს აზრით? „საგანი ანუ დასასრული პროზისა საზოგადოდ არს მიცემა ანუ შეერთებაი ჰაზრისა თვისისა და გრძნობისა“, — წერს ავტორი. ეს კი ნიშნავს იმას, რომ მხატვრულ ნაწარმოებში „ჰაზრს“, ე. ი. იდეას უნდა დაუკავშირდეს გრძნობა. მაშასადამე, არ კმარა მხატვრული ნაწარმოების მხოლოდ იდეური გამართულობა, თუ იგი ისეთი ფორმით არაა მოცემული, რომ მკითხველის გრძნობებზე იმოქმედოს, მასზე ემოციური ზემოქმედება შეძლოს. მხოლოდ ის მხატვრული ნაწარმოები აღწევს მიზანს, რომელშიც იდეური სიღრმე ლამაზ ფორმაშია გახვეული. დოდაშვილი ამ შემთხვევაში ფორმისა და შინაარსის დიალექტიკური ერთიანობის მომხრეა.

მხატვრულ ნაწარმოებს, ამტკიცებს დოდაშვილი, აქვს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მიზანდასახულობა. მხატვრული ნაწარმოების თეორიულ მიზანდასახულობად მას მიაჩნია „განჰსწავლა ჰეშმარიტისა“, ე. ი. ადამიანებისათვის ჰეშმარიტების გაცნობა, რაშიც სინამდვილის სწორი შეცნობაც უნდა იგულისხმებოდეს. პრაქტიკულ მიზანდასახულობად კი მიაჩნია ადამიანთა „აღძვრა კეთილისადმი“, ადამიანებში სიკეთის, მისკენ სწრაფვის სიყვარულის დაწერგვა. ამისათვის კი საჭიროა, რომ მხატვრული ნაწარმოებებიც თავის მხრივ ემსახურებოდნენ ადამიანთა სიკეთეს, მათ კეთილდღეობას. ამ თეორიული და პრაქტიკული მიზნის მისაღწევად კი მხატვარი იყენებს „შუენიერს“, მშვენიერ ფორმებს. ამრიგად, დოდაშვილისთვის მხატვრული პროზის მიზანი ყოფილა არა მშვენიერი ფორმები

თავისთავად, არამედ მშვენიერ ფორმაში გამოხატული იდეური აზრობრივი სისრულე და სიღრმე. წინააღმდეგ შემთხვევაში მხატვრული ნაწარმოები ვერ შეძლებს „ადამიანთა განჰსწავლას ჭეშმარიტებაში“ და ვერც „აღძვრას კეთილისადმი“. მშვენიერი ფორმა, დოდაშვილის აზრით, ხელს უწყობს მხატვრულ ნაწარმოებში გამოთქმული ჭეშმარიტების პრაქტიკულ გამოყენებას, მის დაყვანას მკითხველამდე. აქედან კიდევ ერთი დასკვნა გამომდინარეობს დოდაშვილის მსოფლმხედველობის დასახასიათებლად: დოდაშვილი არ სწყვეტს ხელოვნებას სინამდვილეს, პრაქტიკას, ადამიანებს, იგი მოითხოვს ხელოვნებისაგან სინამდვილეზე და ადამიანებზე ზემოქმედებას, რის გამოც ხელოვნების თეორიული და პრაქტიკული მხარე მისთვის ერთ მთელს წარმოადგენს.

თავში, რომელსაც ეწოდება „შესაწევნელი სწავლანი რიტორიკას“, დოდაშვილი აღნიშნავს, რომ ხელოვანს უნდა ჰქონდეს „განათლებული გონება და განვითარებული გული“, რადგან ამ შემთხვევაში იგი „უკეთილესად მისწვდება თვისსა საგანსა“. აქ თავს იჩენს დოდაშვილის განმანათლებლური იდეები. შემოქმედისათვის, ფიქრობს დოდაშვილი, აუცილებელია განათლება; რათა უკეთესად ჩასწვდეს თავისი შემოქმედების ობიექტს. იგულისხმება, რომ ასეთი ხელოვანი სხვებსაც უკეთესად გააგებინებს, უკეთესად გადასცემს ნაფიქრსა და ნაგრძობს. დოდაშვილი კიდევ უფრო აკონკრეტებს ამ მოსაზრებას და ჩამოთვლის იმ მეცნიერებათ, რომელთა ცოდნა აუცილებელია ხელოვანისათვის. კერძოდ, იგი ასახელებს ეთიკას, მათემატიკას, პოლიტიკას და სხვა მეცნიერებათ, „რომელნიც განავითარებენ გონებასა და გულსა ორატორისასა“. ხელოვანისათვის არ კმარა მხოლოდ განსწავლულობა, მას უნდა ამშვენებდეს აგრეთვე „სიყვარული ჭეშმარიტებისა და სათნოებისა“. მაგრამ არც ესაა საკმარისი, „გარდა მოპოვებულთა ამათ ღირსებათა, იგი თანამედებ არს ქონებად ბუნებითთაცა ნიჭთა, თვინიერ რომელთაცა არა ოდეს იქმნების მდგომარეობასა შინა მიწვენად თვისისა საგნისა“. ამრიგად, შემოქმედს ესაჭიროება როგორც „მოპოვებული ღირსებანი“, ისევე ბუნებრივი მონაცემები. დოდაშვილი „მონაპოვარ ღირსებებს“, ე. ი. განათლებას არ აცილებს ბუნებრივს, ნიჭს და ამ ორ მხარეს დიალექტიკურ მთლიანობაში განიხილავს.

საინტერესოა თავი, რომელსაც ეწოდება „განსხვავება რიტორიკისა და პიიტორიკისა“. აქ ს. დოდაშვილი განიხილავს იმ განსხვავებებს, რომელიც არსებობს, ერთი მხრივ, პროზასა და პოეზიას და მეორე მხრივ, რიტორიკასა და პოეტიკას შორის. „რიტორიკა არს ჰსწავლა პროზისა, ხოლო პიიტორიკა ჰსწავლა სტიხთქმისა“. პროზასა და პოეზიას არა მხოლოდ განსხვავებული თეორიები აქვთ, არამედ განსხვავებული საგანიც. პროზას „ჰსურს სწავლებად“, „ქვეშარიტება შეადგენს თვისებასა პროზისასა“. წერს დოდაშვილი. პოეზია და პოეტი კი ყოველთვის „წარმოადგენს შვენიერსა“. მაშასადამე, პროზისა და პროზაიკოსისა ყურადღების ობიექტს უფრო ადამიანის გონებაზე ზემოქმედება წარმოადგენს, მაშინ როდესაც პოეტი და პოეზია ადამიანის გრძნობებზე ახდენს ზემოქმედებას და მშვენიერი ფორმების გამოყენებით ადამიანებს სიამოვნებას ანიჭებს. პროზაიკოსისათვის მშვენიერება არის საშუალება ქვეშარიტების წვდომაში, „სტიხთმთქმელი“ პოეტი კი ძირითადად მშვენიერებას ემსახურება. მაგრამ დოდაშვილი მხატვრული ზემოქმედების ამ ორივე სახეობას უტილიტარული თვალსაზრისით აფასებს. მან როგორც ერთი, ისე მეორე ადამიანის სამსახურში ჩააყენა, პროზას ადამიანის გონების განათლება დაუსახა მიზნად, პოეზიას კი — ადამიანისავე სიამოვნება. საერთოდ კი მას დაუშვებლად მიაჩნია საზოგადოებისაგან მოწყვეტილი ხელოვნება, განყენებული ხელოვნება, „ხელოვნება ხელოვნებისათვის“.

თავში, რომელსაც ეწოდება „სარგებლობა მჭერსიტყუაობისა“, დოდაშვილი კვლავ უბრუნდება ამ საკითხს და ხაზს უსვამს იმ სარგებლობას, რომელიც „აღმკობილ ხელოვნებას“, ანუ მხატვრულ სიტყვას მოაქვს. ამ თავში უფრო გამოკვეთილადაა მოცემული დოდაშვილის უტილიტარისტული დამოკიდებულება ხელოვნებისადმი. იგი წერს: „არცა ერთსა ჰსწავლასა არა აქუს ესოდენ დიდი მოქმედება სულიერთა ზედა ჩუენთა ძალთა, ვითარცა აღმკობილსა ხელოვნებასა“. მაშასადამე, სარგებლობა, რომელიც ხელოვნებას მოაქვს, ჭარბობს მეცნიერებისაგან მიღებულს. და იქვე დასძენს, რომ მხატვრული სიტყვა „მოინადირებს გულთა ჩუენთა“, ე. ი. ზემოქმედებს ჩვენს გრძნობებზე, ემოციებზე, „აღანთებს გამოხატუასა“, იწვევს ჩვენი წარმოდგენებისა და ფანტაზიის გაცხოველებას. ამავე დროს „შეეწევის განვრცელებასა ცნობათასა“, „გახსნას ახალთ ქვე“

მარიტებათასა“, ე. ი. გააფართოებს ადამიანის ჰორიზონტს ახალი ცოდნის მიწოდებით — როგორც აწმყოს, ისე წარსულის საგნების შესახებ. ასე წარმოუდგენია დოდაშვილს მხატვრული სიტყვისა და საერთოდ, ხელოვნების თეორიული და პრაქტიკული მიზანდასახულობა. ეს თვალსაზრისიც ახასიათებს დოდაშვილს როგორც ხელოვნებაში რეალიზმის დამცველს.

თავში — „მოკლე ისტორია რიტორიკისა“ დოდაშვილი განიხილავს იმ საფეხურებს, რომელნიც განვლო რიტორიკამ თავისი არსებობისა და განვითარების გზაზე. ავტორი რიტორიკის განვითარების ორ საფეხურს, ანუ ორ „ეპოხას“ ეხება: პირველ საფეხურზე რიტორიკა წარმოადგენდა მკვევრმეტყველების, უმთავრესად პოლიტიკურა მკვევრმეტყველების ხელოვნებას. მეორე საფეხურზე რიტორიკა იქცა „ქსწავლად“, პროზის მეცნიერებად, ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, პროზის თეორიად.

რიტორიკა, დოდაშვილის აზრით, შედგება ორი ნაწილისაგან: თეორიულისა და პრაქტიკულისაგან. ამთვან პირველი დაადგენს ზოგად კანონებს, რომელიც საერთოა ყველა სახის მხატვრული ნაწარმოებისათვის. პრაქტიკული ნაწილი კი განიხილავს „თითოდა სხუა და სხუა გუართა პროზაიკებრთა თხზულებათა“. მაშასადამე, რიტორიკის პრაქტიკული ნაწილი შეისწავლის მხატვრულ ნაწარმოებთა კონკრეტულ სახეებს. ამით იგი მასალას აწვდის თეორიულ ნაწილს განზოგადებისათვის — ყველა სახის მხატვრულ ნაწარმოებთა კანონების დასადგენად.

რიტორიკის თეორიულ ნაწილს დოდაშვილი განიხილავს სამ ქვეთავში: პირველ ქვეთავში — „პოვნისათვის ჰაზრთა“ დოდაშვილი იცავს თვალსაზრისს, რომ ხელოვანმა ჯერ ძირითადი თემა უნდა შეარჩიოს, შემდეგ კი „ჰაზრები“ ანუ ის იდეები, რომლებიც ამ ძირითადი თემის გახსნას შეუწყობენ ხელს. მაგრამ არაა სავალდებულო, რომ ხელოვანი თვითონ ქმნიდეს იდეებს. მას მხოლოდ ევალება, რომ მისცეს „შუენიერი ფორმა (სახე)“ იდეებს. ამრიგად, ხელოვნების დანიშნულება ყოფილა სახეებით აზროვნება.

საყურადღებოა ისიც, რომ დოდაშვილი არ მოითხოვს ხელოვანისა და ხელოვნებათაგან ყოველთვის ახალი იდეების შერჩევას, რადგან „ძუელთაცა აგრეთუე ძალუძთ შუენიერ ყოფად“, რითაც დოდაშვილი წინააღმდეგია ძველი იდეების ხელაღებით უარყოფისა და

მათგან იმ იდეების შენარჩუნებას მოითხოვს, რომელთაც, მიუხედავად სიძველისა, არ დაუკარგავთ მნიშვნელობა და კვლავაც „შუენიერნი“ და სასარგებლონი არიან.

თავში—„თეორეტიკებრთა ქეშმარიტებათათვის“ დოდაშვილი გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა მიადწიოს შემოქმედმა საგნის „განცხადებას“, ნათელყოფას, მკითხველამდე თუ მსმენელამდე დაყვანას. ამისათვის, დოდაშვილის აზრით, აუცილებელია საგნის „განსაზღვრება“, მისი არსებითი თუ შემთხვევითი ნიშნების განსხვავება, ანალოგიების გამოყენება და სხვ. შემდეგ იგი ეხება საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დამტკიცდეს ან დაირღვეს „თეორეტკებრი ქეშმარიტება“. დოდაშვილი თეორიული ქეშმარიტების მტკიცების ხერხებს შორის განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს „საკუთარი-სა გრძნობის“ ანუ საკუთარი გამოცდილების დამოწმებას, აგრეთვე „საზოგადონს გრძნობანს ქეშმარიტებისა“: „ცდაში“ და „გამოცდილებაში“ კი დოდაშვილი გულისხმობს შეგრძნებებს და შეგრძნებების მასალის ობიექტურ სინამდვილესთან შედარებას¹³. ეს კი ნიშნავს, რომ დოდაშვილი თეორიულ ქეშმარიტებებს პრაქტიკით ადასტურებს და მათ პრაქტიკულ გამოყენებას უჭერს მხარს.

მაშასადამე, დოდაშვილის აზრით, თეორიული დებულებების სისწორე უნდა დაადასტუროს საკუთარმა და საზოგადო გამოცდილებამ და ბოლოს, იმ სარგებლობამ, რომელიც მას შეუძლია მოუტანოს ადამიანებს. ცხადია, რომ თუ თეორია მტკიცდება გამოცდილებით, თუ მას სარგებლობა მოაქვს, ქეშმარიტი ყოფილა, და პირიქით, თუ მას გამოცდილება არ ამტკიცებს და არც სარგებლობა მოაქვს, ქეშმარიტი არ ყოფილა და ის ირღვევა.

თავში — „პრაქტიკებრთა ქეშმარიტებათათვის“ დოდაშვილი ეხება იმ სარგებლობას, რომელიც მხატვრულ სიტყვას მოაქვს. მხატვრული სიტყვა თუ ნაწარმოები გააცნობს ადამიანს კეთილსა და ბოროტს, ქეშმარიტებასა და სიცრუეს. ამავე დროს, შეაყვარებს პირველს და შეაძულებს მეორეს. ამ მიზნით იგი უნდა განუმარტავდეს ადამიანებს იმ სარგებლობას, რაც სიკეთესა და ქეშმარიტებას მოაქვს და იმ ვნებას, რომელიც სდევს ბიწსა და ბოროტს. მხატვარმა

¹³ ს. დოდაშვილი, ლოგია, გვ. 27.

უნდა აღწეროს როგორც პირველი, ისე მეორე, აგრეთვე წყაროები, საიდანაც ისინი წარმოიშობიან და ის საშუალებანი, რომლითაც შეიძლება ერთი მხრივ, სიკეთისა და ჭეშმარიტების მიღწევა, ხოლო მეორე მხრივ, ბოროტებისა და ბიწის ძლევა. ყოველივე ეს კი ნიშნავს ისევ და ისევ იმას, რომ დოდაშვილი მოითხოვს მხატვრული სიტყვისაგან ცხოვრების ასახვას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით, ბიწითა და სათნოებით, ჭეშმარიტებითა და სიცრუით, და ბოლოს, მოითხოვს ადამიანებში ბოროტების სიძულვილისა და სიკეთის სიყვარულის დანერგვას.

თავში — „განკარგვისათვის“ მსჯელობა ეხება იმას, რომ მხატვარს ევალება არა მხოლოდ საგანზე ცოდნის დაგროვება, ე. ი. საგნის ყოველმხრივი შესწავლა, არამედ ამ ცოდნის მოწესრიგებაც, ანუ როგორც თვითონ დოდაშვილი ამბობს, მოყვანა „საცნაურსა წესსა შინა ანუ მოყვანა პლანსა შინა“. ეს კი საჭიროა იმისათვის, რათა მკითხველი თუ მსმენელი „უმსწრაფლეს და უსარწმუნოეს მისწვდეს დასასრულსა“, ე. ი. რათა მკითხველისათვის ადვილი გასაგები იყოს მხატვრული ნაწარმოების, თუ ზეპირი სიტყვის მიზანი.

ხელნაწერის ბოლო ნაწილს წარმოადგენს თავი „გამოღებისათვის ფრაზისა“, სადაც მსჯელობა ეხება იმ საშუალებების აღწერას, რომლებიც ფრაზის შევნიერებას, ე. ი. ემოციურად და გასაგებად გადმოცემას ემსახურება. აზრის ნათლად და ცხადად გადმოცემის საშუალებათა შორის დასახელებულია ენის სიმარტივე, ანუ „სიმხოლოე“ და „სიწმინდე“, რაც განმარტებულია როგორც უცნობი, ბუნდოვანი და ძნელად გასაგები სიტყვების უკუგდება. „რიტორიკის“ მთელ ტექსტში და აქაც დოდაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს გადმოცემის „სიმოკლეს“, სიტყვის ეკონომიას, ანუ იმდენი სიტყვების ხმარებას, „რაოდენიცა საჭირო არს გამოღებისათვის ჰაზრისა“. საერთოდ, დოდაშვილს სძულს მრავალსიტყვაობა, იგულისხმება უსაგნო მრავალსიტყვაობა. აქვე განხილულია „ფრაზის სიციხოველე“, ე. ი. ისეთი გადმოცემა, რაც ადამიანის გრძნობებზე ზემოქმედებასა და „ყოველთა სულიერთა ძალთა მოქმედებასა შინა მოყვანას“ ემსახურება. ადამიანთა გრძნობებზე ზემოქმედებისათვის კი საჭიროა, რომ ფრაზა იყოს კეთილხმოვანი და მოკლე, აგრეთვე მარტივი, რაც, მისი აზრით, ფრაზის „ლოლიკურს ღირსე-

ბას“ ქმნის. რაც შეეხება „ფრაზის შეუნიერებას“, ამას ემსახურება ტროპები და ტროპთა სხვადასხვა სახეები. ამიტომაც დოდაშვილი თხზულების ბოლოს ტროპთა სხვადასხვა სახეებს განიხილავს.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ დოდაშვილის ესთეტიკური შეხედულებები რეალისტურია. იგი ამ მხრივაც პროგრესულად მოაზროვნე იყო და ბევრად წინ უსწრებდა თანამედროვეებს.

სოლომონ დოდაშვილის ფილოსოფიური თვალსაზრისი

ს. დოდაშვილის ფილოსოფიური თვალსაზრისი, რომელიც გატარებულია მის „ლოგიკაში“, და ცალკეულ წერილებში, წარმოადგენს იმ იდეების გამოხატულებას, რომლებიც განხორციელებას საქორებდნენ. ს. დოდაშვილის ზიდიადე იმაში მდგომარეობდა, რომ მან კარგად განჭვრიტა ეპოქის სულისკვეთება და თავისი ფილოსოფიური თვალსაზრისი თავისუფლების იდეების ცხოვრებაში განხორციელების სამსახურში ჩააყენა. მას კარგად ჰქონდა შეგნებული თეორიის პრაქტიკაში განხორციელების მნიშვნელობა. იგი თავის სულერ მამას, იონა ხელაშვილს სწერდა: „თუმცა ჯერეთ ყოველნი მოქმედებანი ჩემნი იმყოფების თეორიულისა ქეშმარიტებასა შინა დაფუძნებულ, გარნა პრაქტიკასა შინ აღმოჩნდებოდა...“¹...

ს. დოდაშვილის თეორიული თვალსაზრისი მართლაც პრაქტიკული ინტერესებით იყო ნასაზრდოები — მთელი არსებით ცდილობდა, „თეორიული ქეშმარიტება“ „პრაქტიკაში აღმოჩენილიყო“ (პრაქტიკულად განხორციელებულიყო). მას თეორია წარმოადგენილო ჰქონდა არა პრაქტიკისაგან, სინამდვილისაგან განყენებულად, არამედ სინამდვილიდან გამოსულად მისივე „განკარგულებისათვის“. სხვა-ნაირად მას არც შეეძლო ეფიქრა, რადგან მისთვის ყველაზე მთავარს წარმოადგენდა მისი სამშობლოს, „მამულისა“ და „თანამემამულეთა“ ბედი. იგი არაერთხელ აღნიშნავდა: „სურვილი, სასარგებლო ვიყო ჩემ თანამემამულეთათვის, მუდამ წმინდა მოვალეობა იქნება ჩემთვის“. იგი მოლდაწეობდა „სიყვარულისათვის მამულისა, სარგებლად სულისა (აზრისა, გონებისა — ვ. გ.) და კეთილდღეობისათვის მემამულეთა“, რომ საქმისათვის და აზრისათვის იგი „სიყვარულთან

¹ „სოლომონ დოდაშვილის წერილები, 1825—1832“, იხ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი II, თბ., 1944, გვ. 74.

მამულოსამ განაღვიძა“ და ა. შ. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ს. დოდაშვილი ამ სიტყვებს წერდა მაშინ, როდესაც იგი „ფილოსოფიის კურსის“ გეგმას აღგენდა, გასაგები იქნება, რომ მას კარგად უნდა ჰქონოდა გათვალისწინებული საკითხი სინამდვილესთან ფილოსოფიის დამოკიდებულების შესახებ იმ მხრივ, რომ ფილოსოფიის საგნად რეალურად არსებული სინამდვილე ყოფილიყო აღიარებული. ეს უკანასკნელი კი აუცილებელი პირობა იყო, მისი ნააზრვეი მატერიალიზმის ხაზით წარმართულიყო.

სოლომონ დოდაშვილის ფილოსოფიური კონცეფციის განხილვა, უპირველესად ყოვლისა, მოითხოვს იმის გარკვევას, თუ როგორია მასთან ფილოსოფიის ფარგლები და რა არის ფილოსოფიის საგანი. პირველ საკითხზე პასუხის გაცემა ნათელს გახდის, თუ რას უნდა მოიცავდეს ფილოსოფიის სისტემა ან კურსი, ხოლო მეორეზე — რას უნდა გამოხატავდეს იგი.

ს. დოდაშვილის აზრით, ფილოსოფია, როგორც მეცნიერება, გარკვეული მოცულობის მქონეა. იგი მოიცავს სამ მთავარ სფეროს: ზოგად თეორიას შემშვეცნებლისა და შესამეცნებლის შესახებ, ეთიკას და ესთეტიკას. პირველი არის გონების სწავლა, მეორე — გულისა და მესამე — გრძნობისა. ისევე როგორც ადამიანის გონება, გული და გრძნობა ერთ მთლიანს ქმნის, ასევე ერთ მთლიან სისტემას წარმოადგენს ფილოსოფია, რომლის სამივე ნაწილი ორგანულ კავშირში იმყოფება: „ფილოსოფია ჩვენი ყოვლისა საგნისათვის მდგომარობს,—წერს ს. დოდაშვილი,—თეორიასა შინა, პრაქტიკასა და ესთეტიკასა: პირველი არს ცნობა, მეორე ქცევა და მესამე — ხელოვნება; კვალად იგივე პირველი, ე. ი. თეორია არს სწავლა გონებისა; მეორე — გულისა და მესამე გრძნობისა... გარნა ყოველნი ნაწილნი იგი შეკრულ არიან ურთიერთ შორის, ესე იგი, გონება, გული და გრძნობა არიან პარმონიებრ მოქმედნი ანუ თანახმანი“².

როგორც ვხედავთ, აქ ფილოსოფიის სფერო სრულიად ისეა ვაგებული, როგორც ეს დაამკვიდრა ახალმა ფილოსოფიამ, განსაკუთრებით კანტიდან დაწყებული. კანტმა სწორედ სამი სფერო შემოსაზღვრა ფილოსოფიაში: თეორიული ფილოსოფია, პრაქტიკული

² „სოლომონ დოდაშვილის წერილები, 1825—1832“, იხ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი II, 1941, გვ. 132—133.

ფილოსოფია და ესთეტიკა ფილოსოფიის მოცულობის ასეთი განსაზღვრა პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა თავისი დროისათვის. ამიტომ, ს. დოდაშვილის ერთ-ერთი დიდი დამსახურება სწორედ ის იყო, რომ მან აღნიშნული თვალსაზრისის გავლენით ხელი შეუწყო საქართველოში ფილოსოფიური კვლევა-ძიების გაშლას სამივე ამ მიმართულებაში.

ს. დოდაშვილის მიერ ფილოსოფიაში შემავალი დარგების განსაზღვრა მჭიდროდაა დაკავშირებული ფილოსოფიის საგნის გარკვევასთან. მისი აზრით, ფილოსოფიის საგნის სწორ განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფილოსოფიის სრული კურსის შექმნისათვის. მან „ლოგიკაში“ პირველ საკითხად სწორედ ფილოსოფიის საგნის საკითხი დასვა.

მეცნიერების დიფერენციაციამ ფილოსოფია, ს. დოდაშვილის აზრით, ცალკე მეცნიერებად აქცია, ისეთ „განსაკუთრებულ მეცნიერებად“, რომლიდანაც უნდა ვისწავლოთ ისეთი რამ, რასაც ვერცერთ სხვა მეცნიერებიდან ვერ გავიგებთ³. მაგრამ იმისათვის, რომ გავიგოთ მისი განსაკუთრებულობა. საჭიროა გავარკვეოთ მისი საგანი, რადგან „ფილოსოფიის მხოლოდ საგანს, შინაარსს შეუძლია გვიჩვენოს მისი განსხვავება სხვა მეცნიერებისაგან“⁴.

ფილოსოფია, როგორც მეცნიერება, ორ კომპონენტს გულისხმობს: შემმეცნებელ სუბიექტს და შესამეცნებელ ობიექტს ან საგანს. აი, ეს შემეცნების საგანი არის ის საფუძველი, რომელიც განსაზღვრავს ფილოსოფიის განსხვავებას სხვა მეცნიერებათაგან. ფილოსოფიური ცოდნა საგნის შესახებ ცოდნას წარმოადგენს, ხოლო ფილოსოფია — ცოდნათა სისტემას. მაშასადამე, ფილოსოფიური ცოდნა თანდაყოლილი ცოდნა კი არაა, არამედ სუბიექტისა და ობიექტის, შემმეცნებლის და შესამეცნებელი საგნის ურთიერთობაში წარმოიშობა გონების აქტიური მოქმედების შედეგად. გონების აქტიური მოქმედება მიმართული „მოცემული ცნებებისაკენ“, ე. ი. იმ ცნებებისაკენ, რომლებიც სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთობის პროცესში წარმოიშობა, „შეადგენს ფილოსოფოსობას“. მაშასადამე, ფილოსოფიას საქმე აქვს ცნებებთან, რომლებიც საგნებიდან გვაქვს

³ ს. დოდაშვილი, ლოგიკა, თბ., 1949, გვ. 10.

⁴ იქვე.

მრღებელი და რომელთა სისტემა ქმნის ფილოსოფიას. ვინაიდან ცნებები ადამიანშია, მის ცნობიერებაშია, ამიტომ „ფილოსოფოსობა... ინიშნავს ყურადღება მივაპყროთ თავისთავს, ჩაწვდეთ თავის თავს, რათა გაშოვი ცნობა და გავიგოთ თვით ჩვენი თავი, და ამ გზით დავადგინოთ სამყარო ჩვენში და ჩვენთან“⁵.

ს. დოდაშვილი აშკარად აღიარებს, რომ ცოდნა საგნიდან უნდა წარმოიშვას, იგი „შეძენილი უნდა იყოს“ და ფილოსოფია შეძენილი ცოდნის, „მოცემული ცნებების“ სისტემას უნდა წარმოადგენდეს. ვინაიდან ფილოსოფიას უშუალოდ კავშირი აქვს ამ ცნებებთან, ამიტომ საჭიროა საკუთარი თავის ცოდნა და მოცემულ ცნებათა სისტემის შექმნით სამყაროს შეცნობა ჩვენში რადგანაც ვიცით, რომ ეს ცნებები მოცემული გვაქვს გარედან, ამიტომ, ამ გზით, ასევე სამყარო დადგენილია არა მარტო ჩვენში, არამედ ჩვენთან, ე. ი. ჩვენ გარეთ. ფილოსოფია ცნობიერებიდან მიდის გარეთ, რადგან იცის, რომ ის შინაარსი, რომლისაგანაც იგი ქმნის სისტემას, „მოცემულია“, ე. ი. გარედანაა მიღებული, რაღაც საგნის შესახებ ცოდნაა. ამიტომ ფილოსოფიის მთავარი ამოცანაა ადამიანის შიერ თავის თავში ჩაღრმავება, თავის თავის ქცევა კვლევის საგნად, თავისი ბუნების გაგება, მისი მოქმედების კანონების, საზღვრებისა და მიზნის გარკვევა. მაგრამ იმისათვის, რომ გავარკვეოთ ჩვენი თავი, იგი უნდა ვანვაყენოთ ყოველივე იმისაგან, რაც ჩვენ არ გვეკუთვნის, რასაც ნივალწევთ იმით, რომ „გონებით ვტოვებთ ყოველივე გარეგნულს და თვით ჩვენს თავს წარვმართავთ მარტოოდენ შინაგანისაკენ“. მაგრამ ეს არ კმარა, საჭიროა ისიც, რომ შეგვეძლოს „მოვიყვანოთ ჩვენი აზრების, ცოდნათა და საქციელთა საკმაო მიზეზები“. აქედან გამომდინარე, ს. დოდაშვილი კონკრეტულ დასკვნას აკეთებს ფილოსოფიური კვლევის საგნის შესახებ: „გ ა ნ ყ ე ნ ე ბ ა დ ა გ ა ნ ა ზ რ ე ბ ა , შ ე ც ნ ო ბ ა დ ა გ ა გ ე ბ ა თ ვ ი თ ჩ ვ ე ნ ი თ ა ვ ი ს ა , დ ა კ მ ა ყ ო ფ ი ლ ე ბ ა თ ა ვ ი ს ი თ ა ვ ი ს ა ა ზ ე თ ი თ ვ ი თ შ ე მ ე ც ნ ე ბ ი თ , — ა ი ფ ი ლ ო ს ო ფ ი ი ს გ ა მ ო კ ე ლ ე ვ ო ს ს ა მ ი ს ა გ ა ნ ი“⁶. აქ სამი მომენტია ხაზგასმული:

⁵ ს. დოდაშვილი, ლოგია, თბ., 1949, გვ. 11.

⁶ იქვე.

ერთი ის, რომლისაგანაც განყენება უნდა მოვახდინოთ, ე. ი. ის, რომელიც ადამიანის მოქმედების საფუძველს წარმოადგენს, მეორე, თვითონ ადამიანი, როგორც შემმეცნებელი თავისი თავისა და თავისი მოქმედების საფუძვლისა, და მესამე, ის მიზნები, რომლებიც ადამიანმა უნდა განახორციელოს.

აქედან ცხადია, რომ სამივე ამ მომენტის ცენტრალური საკითხი ადამიანია და ადამიანს უკავშირდება. ამიტომ ადამიანია ფილოსოფიის ძირითადი პრობლემა და საგანი. ანუ, როგორც ს. დოდაშვილი წერს: „ფილოსოფიაში შემმეცნებელი პირი და შემმეცნების უმთავრესი საგანი ადამიანია“. ამიტომ ფილოსოფია არის მეცნიერება ადამიანის მოქმედების როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური საფუძვლების შესახებ.

რადგან ფილოსოფია მეცნიერებაა, ხოლო მეცნიერებას საქმე აქვს კანონების შემეცნებასთან, ამიტომ ფილოსოფიასაც ადამიანის უკანასკნელი საფუძვლის, შემეცნებისა და მიზნის კანონები აინტერესებს. შესაბამისად ამისა, ს. დოდაშვილის აზრით, ფილოსოფიამ უნდა შეისწავლოს: „1) კანონები: ა) აზროვნებისა და ბ) კანონები სულიერი ძალებისა საერთოდ: ლოგიკა და ფსიქოლოგია.

2) კანონები შემეცნებისა და შესამეცნებელისა, — მეტაფიზიკა — ყველა მისი ნაწილით.

3) კანონები შეგრძნებისა — ესთეტიკა.

4) კანონები ნებისა და სურვილისა: ა) შინაგან მოქმედებათათვის ზნეობის ფილოსოფია და ბ) გარეშე ურთიერთობისათვის — სოციალური“⁷.

როგორც აქედან ჩანს, ს. დოდაშვილი ცალკე გამოყოფს შესამეცნებელს, ე. ი. შემმეცნებლის საპირისპირო სინამდვილის კანონების შემეცნების საკითხს, ანუ მეტაფიზიკას და მას იგი თეორიული ფილოსოფიის ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხად თვლის. ამიტომ ცხადია, რომ მას იგი ისეთ რეალობად მიაჩნია, რომელიც წარმოადგენს ადამიანის მოქმედების საფუძველს, იგი ცნებისაგან კი არ იქმნება, არამედ თვითონ გვაძლევს ცნებებს.

ადამიანს, როგორც ცნობიერ არსებას, საქმე აქვს საგნებთან, წერს ს. დოდაშვილი, რომლის ძირითად ნიშან-თვისებას წარმოად-

⁷ ს. დოდაშვილი. ლოგიკა. გვ. 12.

გენს არა მარტო საგნობრიობა როგორც ასეთი (საგნობრ-ობა ახ-სიათებს კანტის ფენომენალურ საგანსაც), არამედ „მყოფობა“ ანუ რეალური არსებობა. ამიტომ ცნობიერება ისეთ საგანს უპირისპირ-დება, რომელიც იმყოფება, რეალურად არსებობს. ამ „მყოფობი-თა“ გამოწვეული, რომ ცნობიერება საგანს თავისთავთან კი არ ი-გივებს, არამედ თავისი თავისაგან განასხვავებს, როგორც ისე...ს, რომლის მყოფობა არ ემთხვევა მისას. „ცნობიერება როგორც განს-ხვავება თავისი თავისა საგნებისაგან და თვით საგნებისა ერთმანეთი-საგან, გულისხმობს,—წერს ს. დოდაშვილი—1) იმ არსების მყოფო-ბას, რომელიც იცნობს თავის თავს ანუ შეიცნობს; 2) შეცნობადი საგნის მყოფობას; 3) მათ ურთიერთდაპირისპირებას. ამრიგად, შე-მეცნების ყოველ საფესურზე ერთობლივ იმყოფება საგანიც და სულიერი ძალაც“⁸.

მაგრამ მაინც როგორ წარმოუდგენია ს. დოდაშვილს „მყოფადი“ სამყაროს ხასიათი, როგორია მისი შინაგანი ბუნება?

ს. დოდაშვილის აზრით, გარემომცველი სამყარო არაა რაღაც ქაოსური და უწესრიგო. მას საკუთარი წესრიგი აქვს, რომლის მი-ხედვითაც იგი აღამიანს წარმოუდგება, როგორც „ურთიერთობათა სისტემა, რომელშიც ყველაფერი გზომილია, აწონილია და აღრი-ცხულია“. ეს ურთიერთობათა სისტემა გაპირობებულია სამყაროს შინაგანი კანონზომიერებით, რომელიც მარადიულია და უცვლელი და რომელსაც დაქვემდებარებულია სამყაროს ყოველი საგანი და ყველა მოვლენა.

როგორც ცნობილია, სამყაროს კანონზომიერების საკითხი ახალი ფილოსოფიის ცენტრალურ საკითხად გახდა. ინგლისელმა იუმმა ეპქვემ დააყენა სამყაროში კანონზომიერების საკითხი. მან საყო-ველთაო და აუცილებელი კანონზომიერება სამყაროს საგნებსა და მოვლენებს შორის ასოციაციურ კავშირებზე დაიყვანა, რითაც აგნო-სტიციზმსა და სკეპტიციზმს გაუღო კარი.

იუმის მიერ კანონზომიერების საკითხის დასმამ, კანტი, როგორც თვითონ იუმი წერდა, დოგმატური ძილისაგან გამოაფხიზლა. მან სცადა იუმის სკეპტიციზმის განქარვება და მის მიერ უარყოფილი კანონზომიერების კვლავ აღდგენა.

⁸ ს. დოდაშვილი, ლოგია, გვ. 29.

მაგრამ კანტმა უარყო კანონზომიერების ობიექტურობა და ცნობიერება გამოაცხადა სამყაროს კანონმდებლად, შემდეგ კი სცადა ცნობიერების კანონებისადმი ობიექტური ღირებულების მინიჭება.

იგივე პრობლემა დადგა, აგრეთვე ს. დოდაშვილის წინაშე: არსებობს თუ არა კანონზომიერება სამყაროში ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, სამყარო კანონზომიერი პროცესია თუ არა და როგორ გავიგოთ ეს კანონზომიერება?

დაკვირვებამ გარესამყაროს მოვლენებზე ს. დოდაშვილი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ სამყარო არის სისტემა, რომელშიც „ყველაფერი გადაბმულია მიზეზთა და შედეგთა, საშუალებათა და მიზანთა განუყრელი კავშირით“. სამყარო მოვლენათა უსასრულო ჯაჭვია, სადაც „ყველაფერი ექვემდებარება უცვლელ წესებს, მარადიულ კანონებს“.

დოდაშვილი საყოველთაო კანონზომიერებას ავრცელებს არა მარტო მატერიალურ მოვლენებზე, არამედ, აგრეთვე, სულიერ მოვლენებზეც, ე. ი. სინამდვილის ორივე — მატერიალური და იდეალური სფერო განხილული აქვს როგორც ერთგვარად კანონზომიერი პროცესი. მაგრამ სწორედ აქ იჩემს ს. დოდაშვილის შორსმჭვრეტელობა და მისი ძირეული განსხვავება ვულგარული და მექანიკური მატერიალიზმისაგანაც.

ს. დოდაშვილს გათვალისწინებული აქვს არა მარტო ერთიანობა (კანონზომიერების თვალსაზრისით) მატერიალურსა და სულიერ მოვლენებს შორის, არამედ ამ კანონზომიერების მოქმედების სპეციფიკურობაც ცალკე სფეროში. ს. დოდაშვილის აზრით, მართალია, „...იდეალური ცხოვრება თავის თავში და თავის მოვლენებში, ისევე როგორც ორგანული და ცხოველური არსებობაც, არ შეიძლება და არც უნდა იყოს შეუწყობელი, უწესრიგო“. მაგრამ, მისი აზრით, აქ (ე. ი. „იდეალურ ცხოვრებაში“ — ვ. გ.) არის თავისებური სახის უცვლელი წესები, რომელნიც დიდხანს ფარული რჩებიან გამოუცდიელი თვალისათვის; მაგრამ დაკვირვება მოგვითითებს მათზე; განყენების ძალა ათავსებს მათ ცნებებში და წარმოგვიდგენს ზუსტ ფორმებში⁹. კანონზომიერების ეს თავისებურება აზროვნების თავისებუ-

⁹ ს. დოდაშვილი, ლოგია, გვ. 14.

რების მაჩვენებელია, რომლითაც იგი განსხვავდება მატერიალური სინამდვილისაგან. მაგრამ ვინაიდან პრინციპულად ორივე ეს სფერო დაქვემდებარებულია კანონზომიერებას, ამდენად. მათ შორის გადაულახავი მიჯნა არ არის.

ს. დოდაშვილის პროგრესული მნიშვნელობა მისი დროისათვის კიდევ უფრო ნათლად მელავენდება მის მსჯელობაში შემეცნების დიალექტიკის საკითხებზე. შეიძლება უშეცდომოდ ითქვას, რომ შემეცნების შესაძლებლობის აღიარებასთან ერთად ს. დოდაშვილი ცდილობს გაარღვიოს მეტაფიზიკის ფარგლები და დიალექტიკის სიმართლეზე დადგეს. მაგრამ ამითაც არ კმაყოფილდება; მას, ეტყობა, შეგნებული ჰქონდა ფორმალური ლოგიკის ფარგლების სიციწროვე და, ამიტომ მეტად საინტერესოა მისი ცდა, გავიდეს ფორმალური ლოგიკის ფარგლებიდან. მისთვის ამოსავალია შემეცნებელი სუბიექტი და შესამეცნებელი ობიექტი. ამასთან, განსხვავებით კანტისა და ფიხტესაგან, იგი აღიარებს როგორც ერთის, ისე მეორის ყოფიერებას, რეალურად ყოფნას. შემეცნება ან მყოფადი კომპონენტების ურთიერთობაში უნდა განხორციელდეს, რომლის პირველი საფეხური გრძნობადი შემეცნება იქნება. გრძნობადობა საგანსა და ცნობიერებას შორის ურთიერთობის პირველი აქტია. რადგან გრძნობადის უშუალო „საგანია ნივთიერი სამყარო“, ამიტომ ბუნებრივია ის მრავალსახეობა, რომელიც შეგრძნებას ახასიათებს. გრძნობა გარედან მოქმედების განმცდელი უნარია. იგი ისეთი უნარია ადამიანში, ს. დოდაშვილის აზრით, რომელიც განიცდის ზემოქმედებას, მაგრამ თვითონ უკუზემოქმედებას ვერ ახდენს მიღებულ მოქმედებაზე. „გრძნობა მხოლოდ ლებულობს, — წერს იგი, — ეს არის ვნებითი ძალა, მარტოოდენ ცდით შემოსაზღვრული, რომელიც შთაბეჭდილებათა ცალკეულ მასალას წარმოადგენს“¹⁰.

ასეთი ცალმხრივობის გამო, ბუნებრივია, ამ საფეხურზე ჯერ კიდევ არა გვაქვს ცოდნა, შემეცნება. ცოდნისათვის საჭიროა არა მარტო მრავალსახეობის არსებობა, არამედ ამ მრავალსახეობაში ერთიანობის დანახვა, ერთიანობის დადგენა. სადაც ეს ერთიანობა არ არის, იქ შემეცნება ჯერ კიდევ არაა. ამიტომ საგნისა და სუბიექტის ურთიერთობა ამ საფეხურით არ იფარგლება. ადამიანში, გარდა

¹⁰ ს. დოდაშვილი, ლოგია, გვ. 27.

მგრძნობელობისა, არის უნარი. რომელიც მარტო ვნებითი კი არაა, არამედ ქმედითიცაა. იგი ზემოქმედებს გრძნობად მრავალსახეობაზე და მასში ერთიანობას ეძებს. ეს უნარი ადამიანის გონებაა.

გონება „მოქმედების ძალაა,—წერს ს. დოდაშვილი, — ერთიანობა და ჰარმონია შეადგენს მის ნაწარმოებთა ნიშანს“. გონება რეფლექსიას ახდენს მიღებულ მასალაზე და ამუშავებს მას მასში ერთიანობის დადგენის მიზნით.

ეხება რა შემეცნებას, როგორც გრძნობების საშუალებით მიღებული მასალის თანდათანობითი განზოგადების პროცესს, ს. დოდაშვილი წერს: „...შემეცნებითი ძალა უნდა გაფანტულიყო, რომ გონების მოქმედებით არ აძლევდეს იგი ამ (ე. ი. გარედან მიღებულ — ვ. გ.) შთაბეჭდილებებს ერთიანობას, თუნდაც შეფარდებითს; ამიტომ, გამოტოვებს რა კერძო ნიშნებს, ყურადღება ჩერდება მხოლოდ იმაზე, რაც მრავალი შეგრძნებადი საგნისათვის დამახასიათებელია, და ამრიგად შეადგენს ზოგად წარმოდგენებს. ადარებს რა ამ უკანასკნელთაგან ზოგიერთს, იგი კვლავ ტოვებს ყოველივე იმას, რაც კერძოდ თითოეულ მათგანს შეეფერება, და, ასე ვთქვათ, სწვდება იმ ნიშნებს, რომელთაც კიდეც უფრო მეტი საყოველთაოობა აქვთ. ამრიგად, იმეორებს რა აუცილებლობით ამ მოქმედებას შეუწყვეტილად, შემეცნებითი ძალა თანდათანობით ადის მაღლა და მაღლა კერძოდან საყოველთაოზე, მრავალგვარობიდან ერთიანობაზე. ეს მოქმედება არის აზროვნება, ხოლო უნარი ამისა — განსჯა; შედარება და განყენება მისი ორი მთავარი მოქმედებაა; ცნებები და ამიტომ მსჯელობანიც და დასკვნებიც, ამ მოქმედებათა შედეგია“¹¹.

ს. დოდაშვილი აღნიშნავს, რომ აზროვნებაში დაპირისპირება მე-სა და არა-მეს შორის მეორადი აქტი კი არაა, როგორც ფიქრობდა ფიხტე, არამედ იმთავითვე არსებულია, რომ არავითარი სხვა მათზე მაღლა მდგომი, მათი იდეალური საფუძველი არ არსებობს და რომ ერთადერთ უმაღლეს რეალობას წარმოადგენს, ერთის მხრივ, მე, ხოლო მეორე მხრივ, არა-მე, ე. ი. სუბიექტი და საგანი.

სუბიექტსა და ობიექტს შორის ძირეული დაპირისპირების დადგენით იგი ფიხტეს წინააღმდეგ ხაზს უსვამს იმ მომენტსაც, რომ ერთი და იგივე არაა სუბიექტი და ობიექტი, რომ სუბიექტი არაა

¹¹ ს. დოდაშვილი, ლოგია, გვ. 29.

სუბიექტი, ობიექტი არის ობიექტი, ერთი არის წარმომდგენი, მეორე — წარმოსადგენი და ამიტომ მეორეს არ შეიძლება მიეწეროს ის, რაც არსებითია პირველისათვის.

შემეცნების ამ ორი კომპონენტის თავისში გარკვეულობის აღიარებით, ს. დოდაშვილი მათ იზოლირებას კი არ ახდენს ერთმანეთისაგან, არამედ, პარიქით, მათ შორისაც დაპირისპირებულებს, ისეთ მიმართებაში აყენებს, როდესაც ერთი მეორეს აუცილებლობით მოითხოვს. სწორედ აქ თავს იჩენს დიალექტიკური თვალსაზრისი ს. დოდაშვილის მსოფლმხედველობაში: სუბიექტი და ობიექტი ერთმანეთისაგან განსხვავდება, ერთსა აქვს თავისი მყოფობა, მეორეს — თავისი, მაგრამ, ამავე დროს, კიდევაც მოითხოვენ ერთმანეთს, რადგან სუბიექტისაგან განსხვავებული ობიექტისა და ამ განსხვავებას შეგნების გარეშე, ცნობიერება ადგილიდან ვერ დაიძვრის, ცნობიერების მოქმედება მხოლოდ დაპირისპირებულთა ურთიერთობაში ხორციელდება და, ამიტომ, ეს უკანასკნელი შემეცნების საყოველთაო კანონია.

ს. დოდაშვილი ჩამოთვლის შემეცნების კომპონენტებს და ხაზს უსვამს მათ შორის დაპირისპირებულობას, ამასთან აღნიშნავს, რომ შემეცნების ყოველ საფეხურზე იმყოფება ერთმანეთისადმი დაპირისპირებაში მყოფი საგანიც და სულიერი ძალაც, და ამიტომ ყოველი წარმოდგენა შინაგანი და გარეგანი სამყაროს ნაწარმოებია, დაპირისპირებულთა ერთობლიობის ანუ ერთიანობის შედეგია. ამ დაპირისპირებას ს. დოდაშვილი ფიხტესებურად წარმოადგენს როგორც თეზისს, ანტითეზისს და სინთეზს. „ცნობიერების ყოველ მოქმედებაში, რაც გონებას ახასიათებს, ნათლად მჟღავნდება, — წერს ს. დოდაშვილი, — ა) დებულება (Thesis), ბ) დაპირისპირება (Antithesis) და შეუღლება, ანუ შეერთება პირველისა და მეორისა (Synthesis). მოქმედების ამ წესს აქვს უგამონაკლისო საყოველთაოობა და გარდუვალი აუცილებლობა ყოველი მოაზროვნე ადამიანისათვის, მაშასადამე, ეს გონების კანონია“¹².

თუ გავითვალისწინებთ იმას, რაც შემეცნების შესახებ ზემოთ ითქვა, კერძოდ იმას, რომ სუბიექტმა უნდა ასახოს ან აღბეჭდოს თავისში ობიექტი, რადგან მხოლოდ ადამიანს შეუძლია „გარეგანთა

¹² ს. დოდაშვილი, ლოგია, გვ. 29.

გრძნობათა მიერ გადაბეჭდილი იუწყოს (შეიცნოს — ვ. გ.) სოფელი ესე“ და რომ შემეცნების ან ცოდნის მიზანია შემეცნებულის კანონების დადგენა, მაშინ გასაგები გახდება ს. დოდაშვილის ზემოთ მოცემული დასკვნის აზრი. ანტითეზისი თეზისის უარყოფელია, საპირისპიროა (სწორედ ასე უნდა გავიგოთ სიტყვა „დაპირისპირება“), მაგრამ, ამავე დროს, მათ შორის „შეუღლება“, შეერთება ანუ ერთიანობაა. ს. დოდაშვილს, ჩანს, კარგად ესმის, რომ დაპირისპირება შეუღლებას ან შეერთებას გულისხმობს და ეს უკანასკნელი იმაში მდგომარეობს, რომ ცნობიერება მოითხოვს საგნობრიობას და საგნის კანონზომიერების შემეცნებით ამ უკანასკნელის ცოდნის საფუძველზე მასთან ერთიანობას შეადგენს.

მაგრამ შეძენება, ს. დოდაშვილის აზრით, მარტო იმით არ იფარგლება, რომ განასხვავოს თავისი თავი ობიექტისაგან, მან თვით საგნებიც უნდა განასხვავოს ერთმანეთისაგან. შემეცნება და ცნობიერება ზომ სხვა არა არის რა, თუ არა „ერთი საგნის მეორის საშუალებით განმსაზღვრელი“. საგნების ერთმანეთისაგან განსხვავება, როგორც შემეცნების ერთი ძირითადი პირობა, იმავე დაპირისპირების პრინციპს ემყარება. ამიტომ, თუ ცნობიერების პირველი აქტია, თავისი თავი განასხვავოს საგნისაგან და მას დაუპირისპირდეს, მეორე აქტი იქნება: „...გამეორებულ იქნას დაპირისპირების იგივე მოქმედება თვით საგნებს შორის, რათა ისინიც განეკუთვნებოდნენ ერთმანეთისაგან: სხვაგვარად მათი შეცნობა შეუძლებელია“¹³. ს. დოდაშვილი აქ უფრო აზუსტებს დაპირისპირებულობის აზრს და ერთიანობის მომენტს დაპირისპირებაში. იგი გარკვეულად მიუთითებს, რომ საგნებს შორის გონება დიალექტიკურ კავშირს ხედავს, რომლის თანახმადაც საგნები ერთიანობის საფუძველზე განსაზღვრავენ ერთმანეთს უარყოფით: „...გონება, განასხვავებს რა საგნებს მათი დაპირისპირებული თვისებების მიხედვით, აერთებს მათ სხვა მხრივ, ე. ი. იმ ნიშნების მიხედვით, — წერს ს. დოდაშვილი, — რომელიც მათთვის საერთოა“. დაპირისპირებულთა ეს ერთიანობა, მისი აზრით, გამოიხატება მსჯელობაში, რომელიც სხვა არაფერია; თუ არა ნივთის წარმოდგენის განსაზღვრა და ამ განსაზღვრაში განსასაზღვრთა მსგავსებისა და გამსხავებების დადგენა.

¹³ ს. დოდაშვილი, ლოგია, გვ. 33.

ს. დოდაშვილის აზრით, ტრადიციული ლოგიკა არ შეიძლება ჩა-
წედეს საგანთა არსს, იგი მხოლოდ მოვლენების სფეროთია შემო-
ფარგლული. არსება რთული ბუნებისაა, რომელსაც გონება ფორმა-
ლური ლოგიკის კანონებით ვერ მისწვდება.

საკითხის ისათანადოდ გასაშუქებლად საჭიროა გავარკვიოთ, თუ
რას უწოდებდა ს. დოდაშვილი არსებას და როგორ ჰქონდა წარმოდ-
გენილი მისი ბუნება. უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ ს. დოდაშვილი სე-
რიოზულ ნაბიჯს დგამს წინ, და, ამიტომ, ეს საკითხი შესთან ყურად-
ღებით განხილვას მოითხოვს. არსების განმარტებასაც ს. დოდაშვი-
ლი წერს: „თუ განვიხილავთ ნივთებს როგორც არსებულთ, ვხე-
დავთ, რომ ისინი ყოველგვარი ცვლილებებისას, რომელსაც კი გა-
ნიცდიან, იგივენი რჩებიან. ის მუდმივი, მკვეთრი წერტილი, რომ-
ლის გარშემოც ყველა ცვლილება ტრიალებს, არის არსება (sub-
stantia) „ყოველი დანარჩენი კი, განუწყვეტლად ცვალებადი, არის
შემთხვევითობა“¹⁴. როგორც ვხედავთ, აქ კატეგორიულად არის
უარყოფილი კანტისეული გათიშვა არსებად და მოვლენად. არსება
მოვლენებშია, იგია ის მყარი, რომელიც ცვალებადობაში მინც
ინარჩუნებს თავს, იგი მოვლენათა მყარი არსებობაა, შემთხვევათა
აუცილებელი საფუძველია.

ცვლილებანი ნივთებში არის ორგვარი: როგორც შემთხვევითი
სუბსტანციისათვის და როგორც არსებითი ანუ სუბსტანციური-
ცვლილება, საზოგადოდ, საგანთა ურთიერთზემოქმედების შედეგია,
რომელთაგან ზოგი განიცდის და ზოგი კი მხოლოდ განაცდევინებს
ცვლილებას. საგანთა მიზეზშედევობრივი ურთიერთობა სწორედ
ამ ნიადაგზე ხორციელდება და ამიტომ, როგორც ს. დოდაშვილი
წერს: „იმას, რაც შეიცავს პირობას, რის გამოც იცვლება მეორე,
ეწოდება მიზეზი, ხოლო მომხდარი ცვლილება არის შედეგი“¹⁵.

როგორც ვხედავთ, აქ მიზეზობრიობის საკითხი სავსებით მატე-
რიალისტური თვალსაზრისითაა ახსნილი და იგი განხილულია „რო-
გორც არსებულ ნივთთა ურთიერთზემოქმედების შედეგი“.

მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, საგანთა ცვლილების საფუძველია

¹⁴ ს. დოდაშვილი, ლოგიკა, გვ. 52.

¹⁵ იქვე, გვ. 53.

მათი არსება. არსება რთული გარკვეულობისაა, იგი დაპირისპირებულია ერთიანობაა — „არსება მუდამ იყოფა თავდაპირველად დაპირისპირებულ ნიშანთა ორ სახედ, წერს ს. დოდაშვილი, — დაპირისპირებულ ნიშანთა ეს ძირითადი სახეები შეადგენენ არსს: ვინაიდან მათი მოსპობით თვით არსებაც უნდა მოისპოს“¹⁶.

აქ უაღრესად საინტერესო საკითხია დასმული დიალექტიკისა და მატერიალიზმის თვალსაზრისით. არსება გაგებულია როგორც საგნის მთელი სუბსტანციური არსებობა, საგნობრივი სიმყარე როგორც ასეთი, მიუხედავად ცვალებადობისა. ხოლო არსების არსი გაგებულია როგორც დაპირისპირება, დაპირისპირებულ გარკვეულობათა მთლიანობა. ამასთან, ეს დაპირისპირებულობა გაგებულია როგორც ის არსებითი მხარე, რომლის მოსპობით მოისპობა თვითონ არსებაც.

ს. დოდაშვილის აზრით, არსებას, გარდა ძირითადი ნიშნებისა, რომელთა დაპირისპირება შეადგენს არსს და თვით არსების არსებობას, აქვს წარმოებული ნიშნები, კუთვნილებანი და შემთხვევითი ნიშნები. კუთვნილებათა თავისებურება ისაა, რომ ისინი როგორც არსების კუთვნილებანი, მას გამოხატავს და ამიტომ მასთან არსებით კავშირშია. „არსებით თვისებებს ექვემდებარებიან კუთვნილებანი, — წერს ს. დოდაშვილი. — ესენი არიან არსების არა ძირითადი, არამედ ნაწარმოები ნიშნები. ისინი უშუალოდ გამომდინარეობენ არსებითი თვისებებიდან; მაშასადამე, კუთვნილებათა მოსპობით ვსპობთ არსს, ხოლო ამასთანავე ერთად თვით არსებასაც“¹⁷. რაც შეეხება შემთხვევით ნიშნებს, მათი მოსპობა არც არსისა და არც, ცხადია, არსების მოსპობას არ იწვევს: „მაგრამ შემთხვევითი ნიშნები შეიძლება იყოს და არც იყოს, საგნის არსის მოუსპობლად, — წერს ს. დოდაშვილი, — შემთხვევითობანი — ერთნი ეკუთვნიან უფრო მეტად გარეგანს, და მათ ეწოდებათ პირდაპირ მიმართებანი, მეორენი კი უფრო შინაგანს და მათ ეწოდებათ სახეცვლილებანი“.

ს. დოდაშვილის ეს მსჯელობა არსისა და არსების, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობის შესახებ, დაპირისპირებულ არსებით

¹⁶ ს. დოდაშვილი, ლოგიკა, გვ. 53.

¹⁷ იქვე.

გარკვეულობათა, მათგან წარმოებული და შემთხვევითი ნიშნებს შესახებ, ძალიან გვაგონებს სპინოზას თვალსაზრისს *Causa Suis*-სა, სუბსტანციისა, ატრიბუტებისა და მოდუსების შესახებ. მაგრამ ს. დოდაშვილთან უფრო მკვეთრად აქვს გასმული ხაზი არსს როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობას.

ს. დოდაშვილი ხედავს, რომ სამყაროს სრული შემეცნებისათვის, რომლის არსება დაპირისპირებათა ერთიანობაა, არ კმარა ფორმალური ლოგიკის კანონები და წესები, არ კმარა არც ის ცნებები და კატეგორიები, რომლებსაც იყენებს ფორმალური ლოგიკა. აქ უფრო შემეცნების ისეთი უნარია საჭირო, როდესაც შემეცნება გასცდება მოვლენას და არსებაში შეიჭრება, განსჯას გადალახავს და გონების საფეხურზე ავა, ლოგიკის კანონებს გადალახავს და მეტაფიზიკის სფეროში შევა.

ს. დოდაშვილი გრძნობს იმ ჰემმარიტ აზრს, რომ, როგორც ენგელსი წერდა, ფორმალური ლოგიკა გამოსაყენებელია მხოლოდ მოვლენათა ზედაპირზე დაკვირვებისათვის და არა მათ სიღრმეში შეჭრისათვის. ამიტომაც, რომ ლოგიკას იგი უწოდებს „შეცნიერებას მოვლენების შესახებ“. მიუყენო ლოგიკის საწყისები „თვით არსს ნივთებისას, ნიშნავს მიაწერო მათ იმაზე მეტი ღირსება და ძალა, — წერს ს. დოდაშვილი, — ვიდრე სინამდვილეში შეიძლება ჰქონდეთ, ნიშნავს ერთმანეთში აურიო საგნები, სრულიად განსხვავებულ და დაპირისპირებულნიც კი, საბაბი მისცე დუალიზმს, სკეპტიციზმს და სხვა მცდარ სისტემებს, რომლებიც აუცილებლად მოსდევს მსგავს არევას ჩვენი სულის ორი უნარისა და ამ უნართა შესაბამისი, სამყაროს მთლიანობის შემადგენელი ორი ქვეყნიერებისას. მოვლენა არ შეადგენს ნივთების არსს; განსჯა არ არის გონება, ლოგიკა არ არის მეტაფიზიკა“¹⁸, — ასეთია ერთი შეხედვით კანტის მსგავსი აზრი, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ასეთ დასკვნასთან იგი მიიყვანა მიხვედრამ ტრადიციული ლოგიკის შეზღუდულობის შესახებ, გასაგები გახდება, რომ აქ კანტისეული არაფერია. მას კარგად ესმის, რომ არსი არსებობაში ვლინდება, არსებობა კი თვით მოვლენებშია. მოცემული, როგორც საფუძველი ცვალებადობა, მაგრამ არსი, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობა, ვერ შეი-

¹⁸ ს. დოდაშვილი, ლოგიკა, გვ. 16—17.

მეცნება ტრადიციული ლოგიკის კანონების მიხედვით, რადგან იგი წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონს ემყარება. ტრადიციულ ლოგიკას საქმე აქვს მხოლოდ აზროვნების კანონებთან. საჭირო: ისეთი ლოგიკა, რომელიც მეტაფიზიკურის კანონების ამსახველი იქნება. მაგრამ ყოველივე ეს განსჯის ფარგლებში შეუძლებელია; იგი შეუძლია გონებას, რომელიც უფრო ფართო განზოგადებებს ახდენს. და უფრო ღრმად იჭრება საგნებში, ანუ, როგორც ს. დოდაშვილი წერს: „ცნება (როგორც განსჯის გარკვეულობა — ვ. გ.) გამოხატავს ნივთებს ისე, როგორც ისინი ვრძნობას წარმოესახება, იდეა (გონების გარკვეულობა — ვ. გ.) კი მიეკუთვნება მათ ერთადერთ შესაძლებლობას“. აქ კიდევ ერთხელ დასტურდება ს. დოდაშვილის სიახლოვე ენგელსის ცნობილ აზრთან ფორმალური და დიალექტიკური ლოგიკის შესახებ. ს. დოდაშვილი კარგად ხედავს, რომ ტრადიციული ლოგიკის ფარგლებში შემეცნება მოვლენების სფეროს ვერ სცილდება. საჭირო კი არის მათი ისეთი შემეცნება, რომელიც ნივთებს წარმოგვიდგენდა მათ „შესაძლებლობაში“, ე. ი. მათ დაპირისპირებაში, ანუ ისე, როგორც ისინი არსებობს.

ასეთია ს. დოდაშვილის უდიდესი შორსმჭვრეტელობა და მიხვედრა მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ სრულიად უცნობი იყო მისთვის არა თუ დიალექტიკური მატერიალისტური თვალსაზრისი, არამედ ის იდეალისტური დიალექტიკური სისტემა, რომელსაც ჰეგელი ქმნიდა და ავითარებდა.

მაგრამ, ბუნებრივია, ს. დოდაშვილმა მხოლოდ შენიშნა ფორმალური ლოგიკის შეზღუდულობა და ამის შესახებ გარკვეულად მიუთითა თავის „ლოგიკაში“. მის შემდგომ განვითარებას „ფილოსოფიის სრული კურსი“ გულისხმობდა, რის განხორციელება ს. დოდაშვილმა ვერ შეძლო თავისი ცხოვრების ტრაგიკული დასასრულის გამო. ერთი კი უდავოდ ცხადია: მას უკვე ესახებოდა ლოგიკის დიალექტიკური საკითხები და რომ დაეცოდა, უფრო გარკვეულად იტყოდა სათქმელს.

ასეთია სოლომონ დოდაშვილის ფილოსოფიური ნააზრევი, რომელიც ქართული აზროვნების ისტორიისათვის მნიშვნელოვანია არა მარტო იმ მხრივ, რომ მან განაგრძო და გაამდიდრა ის პროგრესული ხაზი, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში მისმა წინამორ-

ბედებმა და თანამედროვე მოღვაწეებმა დაიწყეს, არამედ განსაკუთრებით იმითაც, რომ თავის მხრივ ქართველ სამოციანელთა წინამორბედი გახდა. მართალია, ს. დოდაშვილის შემდეგ მომხდარმა ისტორიულმა ვითარებამ ქართული აზროვნების წინსვლა მნიშვნელოვნად დააბრკოლა, მაგრამ დიალექტიკური და მატერიალისტური ტრადიცია, განმათავისუფლებლური ბრძოლის იდეები, რომლებიც ს. დოდაშვილმა თავის აღმზრდელთაგან შეითვისა და შემდგომ განავითარა, შთამომავლობას გადაეცა. ქართველმა სამოციანელებმა ეს იდეები მემკვიდრეობით მიიღეს, ს. დოდაშვილის საქმე წინ წაღწიეს და განავითარეს.

სოლომონ დოდაშვილის ფილოსოფიის იდეური წყაროები

ს. დოდაშვილის ფილოსოფიური შეხედულებების ფორმირებაში, ბუნებრივია, განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის ქართულ ფილოსოფიურ მემკვიდრეობას. სოლომონ ივანეს ძე დოდაშვილის მიერ ქართული ფილოსოფიური ძეგლების შესწავლაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მისმა სიახლოვემ ქართველ მოაზროვნე ი. ხელაშვილთან (1775—1837) — პეტერბურგში ქართული კოლონიის ცნობილ წარმომადგენელთან. თავდაპირველად ეს სიახლოვე მკვლავნდებოდა ი. ხელაშვილის მხრიდან იდეურ და მატერიალურ მზრუნველობაში პეტერბურგში ჩასულ ახალგაზრდა დოდაშვილზე. თანდათანობით ეს ურთიერთობა გადაიზარდა მეგობრობაში. ი. ხელაშვილი, რომელმაც ახალგაზრდა ქართველში აღმოაჩინა არაჩვეულებრივი ფილოსოფიური ნიჭი, ოცნებობდა მისი სახით მოემზადებინა არა მხოლოდ საზოგადოებრივი მოღვაწე საქართველოში, არამედ ერთგული მოაზროვნე თეოლოგ-იდეალისტი. ერთ-ერთ თავის წერილში დოდაშვილისადმი ი. ხელაშვილი წერდა: „სახელი შენი აღწერილი იქნება წიგნებში, ხოლო შენს საფლავზე აღიმართება ძეგლები, შენი გენიალურობის და მთელი ივერიისადმი დამსახურებას მაუწყებლად“¹.

აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე ი. ხელაშვილს ახასიათებდა როგორც მატერიალიზმის შეურთებელ მოწინააღმდეგეს და მისი მსოფლმხედველობა განსაზღვრა ძირითადად სამი დებულებით:

„— ხელაშვილი თანდაყოლილი იდეების შესახებ დეკარტული იდეალისტური თეორიის მომხრეა, მიაჩნია, რომ ბუნების მიერ ჩვენს არსებაში ჩადებულია ჭეშმარიტი ცოდნა, როგორც თანდაყოლილი.“

¹ მიმოხილველი, № 1, თბ., 1949, გვ. 126.

— ხელაშვილი სულიერი მოვლენების სხეულებრივისაგან დამოუკიდებლობის საწინააღმდეგოდ, არსებით შეცდომად თვის დებულებას — რომ ჩვენ ყველაზე მეტად გვარწმუნებენ ჩვენი შეგრძნებები. აქ თანმიმდევრული თეოლოგი ძირითადად იბრძვის ათეიზმის საშიშროების წინააღმდეგ.

— ხელაშვილი ლოკის ფილოსოფიის წინააღმდეგია, რომლის შესახებაც წერს: „უხაზსი ლოკი“, რომელიც წარმოადგენს დემონს“².

ი. ხელაშვილი დიდად განათლებული ადამიანი იყო, მაგრამ, როგორც თეოლოგ-იდეალისტს, მას არ შეეძლო დიდხანს დარჩენილიყო ს. ი. დოდაშვილის იდეურ დამრიგებლად. ს. დოდაშვილმა რუსული პროგრესული სინამდვილის გავლენით იმდენად გაუსწრო თავის მოძღვარს, რომ უარყო ხელაშვილის იდეოლოგიური კონცეფცია — „ფილოსოფიის სიმდიდრე ღმერთის სამსახურშია“. ეს გამოძინარეობს დოდაშვილის ძირითადი ფილოსოფიური შრომის — „ლოგოსის“ შინაარსიდან, რომელშიც სავსებით გამორიცხულია თეოლოგია. მაგრამ, როგორც მართებულად შენიშნავს აკადემიკოსი შ. ნუცუბიძე, ახალგაზრდა მოაზროვნეზე ხელაშვილის იდეური გავლენის ნაკლებ დამაჯერებლობა არ ეწინააღმდეგება იმ აზრს, რომ მან გარკვეულად ხელი შეუწყო ქართული ფილოსოფიისადმი დოდაშვილის სიყვარულს³.

ხელაშვილთან ერთად, რომელმაც დოდაშვილს ინტერესი გაუღვიძა ქართული ფილოსოფიური ძეგლებისადმი, ს. დოდაშვილის უშუალო წინამორბედი იყო ი. ბატონიშვილი (იგივე ი. ბაგრატიონი, მეფე გიორგი XII-ის ვაჟი), ავტორი ფართო ენციკლოპედიური მიმოხილვის — „კალმასობისა“, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ფილოსოფიას. დოდაშვილის შეხედულებების ფორმირებაზე ი. ბატონიშვილის გავლენა მკლავნდება იმაში, რომ ორივე მოაზროვნისთვის დამახასიათებელია ქართული ფილოსოფიის ტრადიციული ხაზის აღდგენა, რომელიც თავისი ძირებით ემყარება ქართულ „პროკლე“ — პეტრე იბერის დიალექტიკის ელემენტებს, შუა საუკუნეების საქართველოს გამოჩენილ ფილოსოფოსს ი. პეტრიწს და შ. რუსთაველის რენესანსულ ტენდენციებს.

² შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია (რუსულ ენაზე), თბ., 1960, გვ. 527—528.

³ იქვე, გვ. 537.

ს. ი. დოდაშვილი მიეკუთვნება თავისი დროის ქართველი ინტელექტუალის იმ მოწინავე ადამიანთა რიცხვს, რომლებიც გადაუდებელ საქმედ თვლიდნენ მსოფლიო კულტურიდან ახალი ცოდნის ათვისებას ქართული ფილოსოფიური მემკვიდრეობის გამდიდრებისა და განვითარებისათვის. ამ მიმართულებით „კალმასობის“ ავტორმა მას კეთილი სამსახური გაუწია, განსაკუთრებით ლოგიკის პრობლემების გადაწყვეტაში და მისი სქოლასტიკისაგან განთავისუფლების საქმეში⁴.

დოდაშვილის მსოფლმხედველობის ფორმირებაში „კალმასობის“ მნიშვნელობა განისაზღვრება იმითაც, რომ თავისთავად იგი წარმოადგენს უმდიდრეს წყაროს. არა მარტო ქართული, არამედ რუსული, სომხური და დასავლეთის ფილოსოფიის, განსაკუთრებით კონდილიაკის მოძღვრების შესწავლისათვის. შ. ნუსუბიძე ი. ბატონიშვილის შრომის შესახებ წერდა: „ამ მთელში („კალმასობაში“ — ა. ა.) შევიდა სამივე ელემენტი, რომლებითაც იქმნებოდა ი. ბატონიშვილის თხზულებანი. ეს იყო: ძველი ქართული ფილოსოფიური მემკვიდრეობა, სომხური ფილოსოფიის ზოგიერთი ელემენტი — დავით ანახტი, უფრო გვიანდელი — ს. ჭუგაეცი; აქვე შედის ფილოსოფიური წყაროები რუსულ ენაზე — ბაუმისტერი, თარგმნილი ა. ბაგრატიონის მიერ, კონდილიაკი — თარგმნილი ი. ბატონიშვილის მიერ; ორიგინალური რუსული შრომებიდან — ძირითადად ლომონოსოვი. ასეთია ის მასალა, რომელზეც შენდებოდა „კალმასობის“ ფილოსოფია⁵. „კალმასობის“ ფილოსოფიას, განსაკუთრებით მის ლოგიკურ ნაწილს, არ შეეძლო არ დაეინტერესებინა დოდაშვილი, რამდენადაც მან თავისი ფილოსოფიური მოძღვრება განავითარა ლოგიკის სისტემაში.

ს. ი. დოდაშვილის მსოფლმხედველობის წყაროების ძიებას აუცილებლად მივყავართ რუსულ განმათავისუფლებელ მოძრაობასთან — დეკაბრიზმთან. როგორც პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი, დოდაშვილი უშუალო მოწმე გახდა დეკაბრისტებას

⁴ იოანე ბატონიშვილი, „კალმასობა“, საქ. მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი H—2153, გვ. 20—31.

⁵ Ш. Нуцубидзе, История грузинской философии, Тб., 1960, стр. 517.

მოძრაობისა, სენატის მოედნის აჯანყებინა და იმ რეაქციისა, რომელიც ამ მოძრაობას მოჰყვა. პროგრესული იდეებით შეპყრობილი, თავისუფლებისმოყვარე ქართველი მრავალი წლის განმავლობაში ინახავდა ასლს რილევის წერილისას, რომელიც მან ცოლს მისწერა დასჯის წინ. 1832 წლის შეთქმულთა დაკითხვისას დოდაშვილმა უპასუხა საგამომძიებლო კომისიას: „რილევის წერილი მე გადავიწერე სანკტპეტერბურგში 1826 წელს სტუდენტ კრუჰსკისაგან“⁶.

დოდაშვილის შემოქმედების მკვლევარი ზაქარია ჭიქინაძე, დეკაბრისტებთან ს. დოდაშვილის დამოკიდებულებას განიხილავდა როგორც „ქართველის დეკაბრისტებთან დამოკიდებულების პირველ შემთხვევას“. ის წერდა, რომ დოდაშვილი „აქტიურად ურთიერთობდა დეკაბრისტებთან, ზოგიერთს ის პოულობდა თავის მეგობრებს — სტუდენტებს შორის, ზოგსაც (რომლებიც დეკაბრისტებს თანაუგრძნობდნენ) — პროფესორებს შორის, ხოლო სხვებს სხვადასხვა ადგილებში მხოლოდ უნივერსიტეტის გარეთ“⁷.

სამშობლოში დოდაშვილი ვერ ასცდა საქართველოში გადმოსახლებულ დეკაბრისტებთან ურთიერთობას. იგი, როგორც თბილისის უწყების ლიტერატურის განყოფილების ხელმძღვანელი, ხვდებოდა მოწინავე ქართველ და რუს ინტელიგენციას, მათგან ბევრი თანამშრომლობდა კიდეც გაზეთში.

რუსულ-ქართულ ურთიერთობათა მკვლევარი ვ. შადური ამტკიცებს დეკაბრისტ ბესტუჟეე-მარლინსკის მონაწილეობას „თბილისის უწყებებში“ — გაზეთის გვერდებზე არც ერთხელ არ გვხვდება გვარი ამ პოპულარული მწერლისა, რომელიც მისი ერთ-ერთი აქტიური თანამშრომელი იყო. ზოგიერთი მისი ნაწარმოები პირველად გამოქვეყნდა სწორედ „თბილისის უწყებებში“ და შემდეგ უკვე დედაქალაქის პრესაში⁸.

აქედან გამომდინარე, ექვს არ იწვევს ქართველი მოაზროვნის ნაცნობობა იმ დეკაბრისტებთან, რომელნიც გადმოსახლებულნი იყ-

⁶ მასალა გამოყენებულია გ. გოზალიშვილის შრომიდან — „1832 წლის შეთქმულება“, თბ., 1935, ტ. 1, გვ. 62.

⁷ ზ. ჭიქინაძე, ს. დოდაშვილი და ნიკ. ბარათაშვილი (ბიოგრაფიული ნარკვევი) № 219, თბ., 1961, გვ. 3.

⁸ В. Шадурн, Декабристская литература и грузинская общественность, Тб., 1958, стр. 259.

ნენ კავკასიაში, მათი „თბილისის უწყებებში“ თანამშრომლობის ქრონოლოგიის გათვალისწინებით, დოდაშვილს დეკაბრისტებთან პირადი კონტაქტების მონაცემების არარსებობა უნდა აიხსნას იმით, რომ, როგორც 1832 წლის შეთქმულების მკვლევარი გ. გოზალიშვილი აღნიშნავს, შეთქმულებმა დაპატიმრებამდე მოსპეს თითქმის ყველა მამხილებელი ლიტერატურა და მასალა⁹.

ს. დოდაშვილმა კარგად იცოდა როგორც რუსული, ასევე ქართული ენები. მისი ძირითადი ფილოსოფიური შრომა „ლოგიკა“ დაწერილია რუსულ ენაზე. იგი პეტერბურგში, პროგრესული ინტელიგენციის წრეში ტრიალებდა, დადებითად იყო განწყობილი დასავლეთს პროგრესული მოაზროვნეებისადმი, განსაკუთრებით კონდილიაკისადმი, რომელზეც თავის „ლოგიკაში“ იგი დიდი სიმპათიებით ლაპარაკობს. ცნობილია, რომ დეკაბრისტებიც გატაცებულნი იყვნენ კონდილიაკის თხზულებებით.

რუსული მოწინავე აზრის დოდაშვილზე გავლენის უტყუარი მამტიცებელია მისი ფილოსოფიური შეხედულებების დეკაბრისტების ფილოსოფიასთან მსგავსება, ასევე მათ მოძღვრებათა თეორიულ-შემეცნებითი და ეთიკური მხარეების ერთიანობა.

დეკაბრისტ ი. დ. იაკუშკინის (1793—1857) ფილოსოფიურ შრომებში ვპოულობთ დოდაშვილის მსგავს აზრებს ფილოსოფიაში ყოველგვარი სქოლასტიკის უარყოფასთან დაკავშირებით. იაკუშკინი აღტაცებული წერდა დეკარტზე, რომელმაც, „მიუხედავად მისი გენიალურობისა და სითამამისა, ვერ შეძლო ბოლომდე აღეგავა პირისგან მიწისა სქოლასტიკა, მაგრამ მისი გამოსვლის შემდეგ „საშუალო საუკუნეების ზესიბრძნემ დაკარგა თავისი ძალაუფლება“¹⁰.

ასეთია დოდაშვილის გამოხმაურება ბეკონზე, რომელმაც „...პირველად. საშუალო საუკუნეების შემდეგ, აჩვენა, რომ მთელი ადამიანური შემეცნება მდგომარეობს იმ საგნების კვლევაში, რომელიც ჩვენ გვარტყა, და არა სქოლასტიკური ფილოსოფიის „დახლართულ აზრებში“¹¹.

⁹ გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, თბ., 1935, ტ. 1, გვ. 3.

¹⁰ И. Д. Якушкин, Записки, статьи, письма, М., 1951, стр. 180.

¹¹ Додаев-Магарский, Курс философии, часть первая, Логика. СПб, 1827, тип. А. Смирдниева, стр. 27.

ძნელი არაა დავინახოთ ქართველი ფილოსოფოსისა და დეკაბრისტების გნოსეოლოგიური და ეთიკური მხარეების ერთიანობა. დოდაშვილის „ლოგიკაში“ ვკითხულობთ: „... მასში (ფილოსოფიაში) უნდა ვეძიოთ და აღმოვაჩინოთ ჩვენი შემეცნებისა და მოქმედების იმგვარი მიზეზები, რაც, მეტნაკლებად დააკმაყოფილებს ადამიანის გონებას“¹². ამავე შრომაში ა. ა. პეროვსკისადმი მიმართვაში ის წერს თავის თანამემამულეებისადმი სარგებლობის მოტანის სურვილის შესახებ, როგორც მისი მოქმედების ერთადერთ „აღმძვრელზე“ და წმიდათაწმიდა მოვალეობაზე“¹³.

დეკაბრისტ ნ. ა. კრუკოვის სიტყვებიც მსგავსია; თავის „ფილოსოფიურ ჩანაწერებში“ იგი წერს: „თუ ფილოსოფია არაა ჭეშმარიტების მოძიება, მაშინ კეთილზომიერება და ერთსულოვნება სხვებთან მიმართებაში უნდა იყოს ფილოსოფოსის პირველი თვისება“¹⁴. ამიტომ „ჭეშმარიტი ფილოსოფოსის“ ცხოვრების მიზანი, კრუკოვის მიხედვით, უნდა იყოს „კაცობრიობისათვის სარგებლობის მოტანა“¹⁵.

შემეცნების თეორიაში დოდაშვილი, ისევე როგორც დეკაბრისტები, იცავს სენსუალიზმის ხაზს. „არაფერია გრძნობებში ისეთი, წერს იგი, რაც არაა საგანთა სამყაროში... გონებაში არ მეორდება, იყოს ისეთი, რომელიც გრძნობებს არ ექვემდებარება“¹⁶.

დოდაშვილის ფილოსოფიური იდეების დასავლური წყაროების შესახებ მეცნიერებაში აზრთა სხვადასხვაობაა. ერთნი ფიქრობენ, რომ დოდაშვილის ფილოსოფიური შეხედულებების ჩამოყალიბებაში განმსაზღვრელი როლი შეასრულა კანტის ფილოსოფიამ. სხვები ამ მისიას მიაწერენ ფიხტეს ფილოსოფიას. ჩვენი აზრით, დოდაშვილის მსოფლმხედველობის ფორმირებაზე გავლენა მოახდინა ერთმაც და მეორემაც, მაგრამ ამასთანავე, სამართლიანია შ. ნუცუბიძის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ს. დოდაშვილი არ იყო არც ფიხტეს მიმდევარი, არც კანტიანელი. ამას გვიდასტურებს ქართველი და

¹² იქვე, გვ. V.

¹³ იქვე, მიძღვნა ა. პეროვსკის. გვერდს სათვალავი არა აქვს.

¹⁴ Избранные социально-политические и философские произведения декабристов, М., 1951, стр. 425.

¹⁵ იქვე, გვ. 423.

¹⁶ Додаев-Магарский, Логика, стр. 24.

გერმანელი მოაზროვნეების ფილოსოფიური პოზიციების არასრულ შედარებაც კი.

ასე რომ, ფილოსოფიის კარდინალურ საკითხში — მატერიალურ სინამდვილესთან ცნობიერების დამოკიდებულების საკითხში — ს. დოდაშვილი მატერიალისტურ პოზიციაზე დგას. მასთან მატერიალური სამყაროს მოვლენები კანტისებურ მოვლენათა სამყაროს არ წარმოადგენს. ამიტომ დოდაშვილის მიხედვით შეგარძნებებში მოცემულია თვითონ საგნები (ნივთები), რომლებიც აისახებიან ცნობიერებაში.

ს. დოდაშვილი, წინააღმდეგ კანტისა, ფიქრობს, რომ ცნება „სამყაროს“ კი არ აკონსტრუირებს, არამედ იგი არის წარმოდგენა სამყაროს შესახებ. ცნებისა და წარმოდგენის ერთმნიშვნელოვნად ხმარებით, ს. დოდაშვილი ზოგჯერ ტერმინოლოგიურ შეცდომას უშვებს, თუმცა ცნობიერების (აზროვნების) ლოგიკური საფუძვლის ფორმათა ინტერპრეტაციისას სწორად განიხილავს ცნებას, მსჯელობასა და დასკვნას¹⁷.

ს. დოდაშვილთან საგანი კი არ შეესაბამება ცნებას, როგორც ეს კანტთან არის, არამედ, პირიქით — ცნება შეესაბამება საგანს, რომელიც წინ უსწრებს სუბიექტურს, როგორც „წარმოდგენის“ ასახვის ობიექტი (... ყველა ცნებაში, — წერს დოდაშვილი, არის ა) მატერიალური — წარმოდგენილი საგანი) ¹⁸ (ხაზგასმა ჩვენია — ა. ა.) მოაზროვნის ამ სიტყვებში სრულიად ნათელია, რომ საგანი წინ უძღვის წარმოდგენას.

ს. დოდაშვილის გნოსეოლოგიური მოძღვრების ერთი ძირითადი წინამძღვარია ის, რომ მან პრინციპულად უარყო სუბიექტის პასიურობის მომენტი, გადალახა უფსკრული გარდობად წყაროსა და განსჯას შორის, საფუძველი მოუსპო აგნოსტიციზმს. ფილოსოფოსი შემეცნების მთელ პროცესს განიხილავს, როგორც ცნობიერებისა და გარე სამყაროს ურთიერთშემოქმედების პროცესს და თვლის ამას „მოქმედების სახედ, საზოგადო და გონების გარდაუვალ კანონად“ ¹⁹. კანტისაგან განსხვავებით, ს. დოდაშვილი სრულიად არ ექ-

¹⁷ Д о д а е в - М а г а р с к и й, Логика, стр. 26.

¹⁸ იქვე, გვ. 54.

¹⁹ იქვე, გვ. 27.

ვობს „ჩვენი სულის“ მიერ საგანთა არსებობთ მუდმივ თვისებათა შემჩნევისა და შემეცნების შესაძლებლობას²⁰.

მოაზროვნის მიერ შემეცნების გრძნობადი და ლოგიკური საფუძურების ძირითადი ფორმების განსაზღვრებაში განსაკუთრებით ნათლად ჩანს მისი განსხვავება კანტისაგან. შეგრძნებები დოდაშვილთან არ არის „პერცეფცია, რომელსაც დამოკიდებულება აქვს მხოლოდ სუბიექტთან, როგორც მისი მდგომარეობის მოდიფიკაცია“²¹, როგორც კანტთან, არამედ „ამოქმედება გრძნობადი ორგანოებისა, რომელიც გამოწვეულია „საგნის მოქმედებით“²² ქართველი ფილოსოფოსის ნააზრევში ცნება „აპრიორი“ განსჯის კუთვნილება კი არ არის²³ როგორც კანტთან, „არამედ ცნება — ეს არის განზოგადებული სახე, რომელშიც საგანთა არსებითი ნიშნების ერთობლიობაა“²⁴.

დოდაშვილის მიხედვით, შემეცნება არის პროცესი ადამიანის მიერ ს ა რ წ ი მ უ ნ ო, კეშმარტი ცოდნის მიღწევისა, ვინაიდან „სული ჩვენი.—როგორც ფილოსოფოსი წერს—უშვებს რა მხედველობიდან შემთხვევით ნიშნებს, გარესამყაროში ამჩნევს საგანთა არსებით თვისებებს და ამ ძალით ყოველი საგანი თავის თავთან ყოველთვის თანაბარია“²⁵.

დოდაშვილს კარგად ესმოდა, რომ ცნობიერება, რომელიც საგნებს „განსაზღვრავს“ მათი „არსებითი და მუდმივი თვისებების მიხედვით, რათა მათ შესახებ მიიღოს ცოდნა“ საგნებისაგან, თავისი განსხვავებულობის მიუხედავად, განპირობებულია სწორედ საგნებით, ამიტომ ცნობიერება თავისი შინაარსით ყოველთვის ობიექტურია. ცნობიერების სწორედ ეს საგნობრიობა, მისი შინაარსის ობიექტურობა წარმოადგენს პირველ პირობას, როგორც შედეგი ორი რეალობის დაპირისპირებისა — იდეალურისა და მატერიალურის. შემეცნების პროცესის ეს დიალექტიკური ხასიათი, რაც მატერია-

²⁰ Д о д а е в - М а г а р с к и й, Логика, стр. 29—30.

²¹ И. К а н т, Соч., в 6-ти томах, т. 3, М., 1964, стр. 354.

²² Д о д а е в - М а г а р с к и й, Логика, стр. 25.

²³ И. К а н т, Соч. в 6-ти томах, т. 6, М., 1966, стр. 181.

²⁴ Д о д а е в - М а г а р с к и й, Логика, стр. 53.

²⁵ იქვე. გვ. 29—30.

ლურისა და იდეალურის ერთიანობასა და სხვაობაში ვლინდება, წარმოადგენს გარესინამდვილის ობიექტურად სწორი ასახვის გზას. ამრიგად, დოდაშვილის ძირითად ფილოსოფიურ დებულებებში არ არის კანტიანელობა, არ არის აგნოსტიციზმი, არ არის კანტისებური „საგანთა გაქცევა გონებისაგან“, პირიქით, ქართველი მოაზროვნისათვის გარესამყაროს და ცნობიერების ურთიერთქმედება „ყოველი მოაზროვნე ადამიანისათვის“ გარღვევალ აუცილებლობას წარმოადგენს“²⁶. რაც მთავარია, ცნობიერებას შესწევს უნარი, ასახოს საგანთა არსება.

აქედან გამომდინარე, ჩვენთვის მიუღებელია გ. კალანდარიშვილის მოსაზრება, რომელიც თავის საინტერესო სტატიამი — „სოლომონ დოდაშვილის ლოგიკის შესახებ“ — შეეცადა დაემტკიცებინა, თითქოს ს. დოდაშვილი არ უპასუხებს საკითხს: შეუძლია თუ არა ადამიანის ცნობიერებას სწორი სურათი მოგვცეს ობიექტური სინამდვილის შესახებ და ასკვნის კიდევ, რომ ის არის აგნოსტიკოსი, კანტიანელი, რადგან ფიქრობს, რომ „მოვლენები არ შეადგენენ საგნის არსებას“²⁷.

ჩვენი შეხედულებით, დოდაშვილის ფილოსოფიის ყოველმხრივი გაგებისას არასოდეს არ უნდა გამოგვეპაროს მხედველობიდან ის, რომ თავის საფუძველში ის არის მატერიალისტი და ზოგერთი გადახვევა აქედან აიხსნება გამოთქმებში დაშვებული შეცდომებით²⁸. დოდაშვილის შრომებში სავსებით გარკვეულად ჩანს კატეგორიული პროტესტი არსებისა და მოვლენის მეტაფიზიკური მოწყვეტის წინააღმდეგ. ფილოსოფოსი გამორიცხავს ყოველგვარ ეჭვს საგანთა არსების გამოვლენის შესაძლებლობის შესახებ, ვინაიდან შემეცნება დოდაშვილის მიხედვით „შეიცავს შინაგან არსებით ნაშენებს, რომელიც გადმოღებულია თვით საგანთა არსებიდან“²⁹.

ამიტომ დოდაშვილის დებულება — „მოვლენები არ შეადგენენ

²⁶ Додаев-Магарский, Логика, стр. 27.

²⁷ გ. კალანდარიშვილი, „სოლომონ დოდაშვილის ლოგიკის შესახებ“, ეურნალი „მნათობი“, 1942, № 4, გვ. 148—149.

²⁸ ვ. გაგოიძე, „მაცნე“, საზ. მეცნიერებათა განყოფილება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, № 615, 1963 წ.; ვ. გაგოიძე, XIX საუკუნის ძირითადი ფილოსოფიური მიმართულებანი, თბ., 1964.

²⁹ ს. დოდაშვილი, თხზულებანი, თბ., 1961, გვ. 321.

საგანთა არსებას“—კანტიანელობას და აგნოსტიციზმს კი არ ნიშნავს, არამედ ამ კატეგორიების აბსოლუტური დამთხვევის უარყოფას. სავსებით მართებულია შეხედულება მოაზროვნისა არსებისა და მოვლენის კატეგორიების არაიდენტურობაზე, მიუხედავად მათი აშკარა დიალექტიკური ურთიერთკავშირისა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ობიექტური სამყაროს საგნებსა და მოვლენებს აქვთ როგორც გარეგანი, ჩვენი უშუალო აღქმისთვის მისაწვდომი მხარე, ისე შინაგანი, უშუალო დაკვირვებისათვის დაფარული მხარე. ეს მხარეები იმყოფება განუყოფელ ერთიანობაში და არ არსებობს ერთმანეთის გარეშე, იმდენად, რამდენადაც საგანთა შინაგანი მხარე განსაზღვრავს გარეგანს, არის მისი საფუძველი, ხოლო გარეგანი მხარე ასე თუ ისე გამოხატავს შინაგანს. ობიექტური სამყაროს ყოველ საგანში შინაგანი მხარე არის აუცილებელი, მოვლენათა კანონზომიერი კავშირი, ხოლო გარეგანი — ეს არის ამ კავშირების გამოვლენა. ამიტომ ცხადია, რომ ამ კატეგორიების მეტაფიზიკური დაპირისპირება მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს, რამდენადაც გარკვეულ პირობებში შინაგანი სრულიად კანონზომიერად გადადის გარეგანში, ხოლო გარეგანი — შინაგანში. როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავს: „არსება გვევლინება, მოვლენა არსებითაა“³⁰.

ადამიანი შემეცნების პროცესში მიდის მოვლენიდან არსებასაკენ, გრძნობადი შემეცნებიდან რაციონალური შემეცნებისაკენ. არსებისა და მოვლენის კატეგორიები, როგორც აღინიშნა, ერთსა და იმავე რეალობას ასახავენ სხვადასხვა სიღრმითა და სისრულით, ამიტომ არ ემთხვევიან ერთმანეთს. მარქსი. რომელიც საგანგებოდ უსვამს ხაზს შინაგანისა და გარეგანის, არსებისა და მისი გამოვლენის განსაკუთრებულ კავშირს, აგრეთვე აქედან გამომდინარე მეცნიერული კვლევის ამოცანას, წერს: გამოვლენის ფორმა და საგანთა არსება ერთიმეორეს უშუალოდ რომ ემთხვეოდეს, მაშინ ყოველგვარი მეცნიერება ზედმეტი იქნებოდა³¹.

სწორედ ამ აზრით, ვ. ი. არსებისა და მოვლენის აბსოლუტური დამთხვევის შესაძლებლობის გამორიცხვით და დაპირისპირებულაა

³⁰ В. И. Ленин, Полн. собр. соч., т. 29, стр. 227.

³¹ К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 25, ч. II, стр. 384.

ერთიანობის მტკიცების გზით შეეძლო ს. დოდაშვილს ეთქვა, რომ „მოვლენები არ შეადგენენ საგანთა არსებას“³², და არა არსებობს და მოვლენის ერთიმეორისაგან მეტაფიზიკურ მოწყვეტილობას, რაც მართლაც აგნოსტიციზმამდე მიიყვანდა ქართველ მოაზროვნეს. ე. რომ ასე არ არის, და რომ ს. დოდაშვილი არაა აგნოსტიკოსი, ყოველივე ზემონათქვამით დასტურდება.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ დავეთანხმოთ პროფ. თ. კუკავას, რომლის მტკიცებით ს. დოდაშვილი არა მხოლოდ დაღუბითად წყვეტს ფილოსოფიის ძირითადი საკითხის მეორე მხარეს, არამედ არის ფილოსოფოსი, რომელიც წარმატებით იბრძვის „სკეპტიციზმისა და აგნოსტიციზმის წინააღმდეგ“³³.

მოაზროვნის მიერ ფილოსოფიის ძირითადი პრობლემების მატერიალისტურ გადაწყვეტას ვხვდებით სამყაროს კანონზომიერებათა ობიექტურობის აღიარებაშიც; აგრეთვე ამ კანონზომიერებათა სუბიექტურ მოღვაწეობაში გამოვლენაში, როგორც ასახვაში, რომელიც განპირობებულია ადამიანის გონების უნარში „ზუსტ ფორმებში — ცნებებში, განყენებაში“³⁴.

ასეთი გაგებისადმი სრულიად საწინააღმდეგოა კანტის იდეალისტური თვალსაზრისი, რომელიც ამტკიცებს, რომ „...გონება თავის კანონებს ბუნებიდან კი არ იღებს, არამედ მიაწერს ის მას“³⁵.

ს. დოდაშვილის მსოფლმხედველობის, მისი ფილოსოფიის შესწავლის ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ იგი დროისა და სივრცის საკითხის გადაწყვეტისას ვარდებოდა წინააღმდეგობებში, რომ მოაზროვნის ლოგიკური მოძღვრების ზოგიერთ დებულებას აქვს კანტიანური ელფერო, ს. დოდაშვილისა და ი. კანტის ლოგიკური მოძღვრების არქიტექტონიკაში არც ისე ძნელია მსგავსების შემჩნევა. ლოგიკურ მოძღვრებაში ლოგიკური კანონებისა და კატეგორიების განხილვისას ფილოსოფოსი სარგებლობს კანტის ტერმინით — „აპრიორი“, მაგრამ ამასთან ერთად ქართველი მოაზროვნე-

³² Додаев-Магарский, Логика, стр. 7.

³³ Т. Кукава, Логическая методология Соломона Додашвили. Труды института философии, Тб., 1955, стр. 140.

³⁴ Додаев-Магарский, Логика, стр. 2—3.

³⁵ И. Кант, Соч., в 6-ти томах, т. 4, ч. I, М., 1965, стр. 140.

სათვის დამახასიათებელია უკან დახევა კანტიდან, მისგან დაშორება და აპრიორიზმის უარყოფა.

ს. დოდაშვილს „კატეგორიების აღმოჩენის“ არისტოტელური გზა შიამნია სწორ და „ყველაზე ბუნებრივ გზად“, „სადაც ისინი უახლოეს დამოკიდებულებაშია თვით საგანთან და წარმოდგენენ არა მხოლოდ შიშველ, ლოგიკურ ფორმალურ ცნებებს, არამედ საგანთა თვისებებსაც“³⁶ (ხაზგასმა ჩენია — ა. ა.).

ნათქვამიდან გამომდინარე და აგრეთვე ს. დოდაშვილის ტრაქტატის „ლოგიკური მეთოდოლოგიის“ ანალიზის საფუძველზე უნდა დავინახოთ ქართველი მოაზროვნის მნიშვნელოვანი დებულება, რომ ცნება „აპრიორი“ ს. დოდაშვილის მიერ გამოყენებულია არა „თანშობილი ცოდნისა“ და შემეცნების კანტისებური მზა ინსტრუმენტის აზრით, რომელიც „ყოველგვარი ცდისეული ცოდნის“³⁷ აუცილებელი პირობაა, არამედ აზროვნების გონებრივ საფეხურზე „მიღებული“ ცოდნის მნიშვნელობით. ამრიგად, აპრიორული ცოდნა, ს. დოდაშვილის გაგებით, არის არა ცდამდე არსებული, არამედ „შეძენილი“³⁸ და მასთან გზა აუცილებლად იწყება „შინაგანი ცოდნის“³⁹.

ქართველ ფილოსოფოსთან „შინაგანი ცდა“ მიეყენება ლოგიკურ კანონებსა და კატეგორიებს, ვითვალისწინებთ მის დებულებას „ყოველგვარი თანმიმდევარი საწყისის“ უარყოფის შესახებ „კატეგორიების აღმოჩენისას“, და ვასკვნით — აზროვნების ფორმები არს ზოგადად ამიანური, ერთიანი ყველა ადამიანისათვის, მაგრამ ამ ფორმებისა და აგრეთვე აზროვნების კანონების კავშირი ობიექტურ სინამდვილესთან ყოველთვის არ არის თვალსაჩინო; თუმცა უეჭველია ს. დოდაშვილის ლოგიკური მოძღვრების შეზღუდულობა — ლოგიკურ აუცილებლობას ვერ მიჯნავს ონტოლოგიურისაგან, — რომელიც თვით საგნებისათვისაა დამახასიათებელი და ტერმინოლოგიური არეულობის გამო, ამ დებულებას სათანადო აფუძნებს.

³⁶ Додаяев-Магарский, Логика, стр. 14—15.

³⁷ И. Кант, Соч. в 6-ти томах, т. 3, М., 1964, стр. 187—188.

³⁸ ს. დოდაშვილი, თხზულებანი, თბ., 1961, გვ. 318, 324.

³⁹ Додаяев-Магарский, Логика, стр. 9.

აღსანიშნავია, რომ ს. დოდაშვილის მიერ ტერმინ „აპრიორისათვის“ სხვა მნიშვნელობის მიცემის პრინციპი არ ვრცელდება დროსა და სივრცის ინტერპრეტაციაზე. მის მსჯელობაში არსებული წინააღმდეგობა დროსა და სივრცეზე მეტყველებს ს. დოდაშვილის არათანმიმდევრულობაზე, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს მის კანტიანელობას, რამდენადაც მისი არათანმიმდევრულობა არ წარმოადგენს იდეალიზმისა და აგნოსტიციზმის საფუძველს, როგორც ეს კანტთან გვხვდება, რაშიც ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა, დავრწმუნებულიყავით. მისი შეზღუდულობა გამოწვეულია მარქსამდელი ფილოსოფიისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანებებით, რომელიც დაკავშირებულია მატერიის სტრუქტურისა და არსებობის ფორმების გაგებით მისი პირველადობისა და შემეცნებადობის აღიარების შიუხედავად.

ქართული და რუსული მატერიალისტური ფილოსოფიური მემკვიდრეობის ათვისებისა და განვითარებისას ს. დოდაშვილი გაეცნო ფიქტეს ფილოსოფიას, განსაკუთრებით მის მოძღვრებას წინააღმდეგობებისა და მათი ერთიანობის შესახებ. ეს იყო მნიშვნელოვანი ეტაპი ქართული ფილოსოფიის მსოფლმხედველობის ფორმირებაში გერმანელი იდეალისტი მოაზროვნის დიალექტიკის ზოგიერთი ელემენტის მატერიალისტური ინტერპრეტაციის თვალსაზრისით, ფიქტესა და დოდაშვილის ფილოსოფიური პოზიციის მცირე შედარებითაც კი შეიძლება დადგინდეს, რომ დოდაშვილის ფილოსოფიური აზროვნების ამოსავალი, ისევე როგორც ფიქტესი, არის მოქმედი გონების მიერ „მე“-სა და „არამე“-ს შორის წინააღმდეგობის გაცნობიერება, რომელიც წარმოადგენს შემეცნებითი პროცესის საწყის დიალექტიკურ ამოსავალ მომენტს. მაგრამ, თუ გერმანელ მოაზროვნესთან ყოფიერება — „არამე“ — აზროვნების (ცნობიერების) საკუთარი აქტის შედეგია, ქართველ ფილოსოფოსთან ყოფიერება ცნობიერების რეალური წანამძღვარი და აუცილებელი პირობაა. ს. დოდაშვილი, ისევე როგორც ფიქტე, ცდილობს გადალახოს კანტის აგნოსტიციზმი, და შემეცნების პროცესს არ ზღუდავს „მე“-ს ფარგლებით. პირიქით, იგი გადადის „არამე“-ს სფეროში მისი მისტაკური მხარეების უკუგდებით და „არამე“-ს, ე. ი. სუბიექტური რეალობის, ობიექტურ რეალობად გადაქცევით.

როგორც ცნობილია, ფიქტეს ფილოსოფიის ამოსავალ პუნქტს

წარმოადგენს „მე“, არა როგორც რაღაც, არამედ როგორც თვით მოქმედება, რომელშიც ის ადგენს თავის თავს და ამასთანავე ადგენს იმასაც, რაც ეწინააღმდეგება მას — „არამე“-ს. ფიხტეს მიხედვით, ცნობიერება — „მე“ შეიძლება გახდეს თავისთავად, ე. ი. მოქმედი „მე“, მხოლოდ — „არამე“-ს გაცნობიერებით. რომელიც ფარულად იმყოფება „მე“-ში და ცნობიერდება მხოლოდ ფილოსოფიურ აზროვნებაში. როგორც ვხედავთ, ფიხტეს ფილოსოფიას ცენტრშია ცდა, გადაწყვიტოს სუბიექტის მოღვაწეობის საკითხი მხოლოდ ცნობიერების ფარგლებში. ამით ფიხტე შემეცნებელი სუბიექტით აფუძნებს ობიექტს, რითაც აუქმებს კანტის „ნივთს თავისთავად“ და აცხადებს მას არარეფლექსიური აზროვნების აბსტრაქციად.

თუმცა ფიხტესთან, როგორც კანტთან, შეინიშნება გარკვეული არათანმიმდევრობა „მე“-ს პირველადი მოქმედების განსაზღვრებაში, მაგრამ მის სისტემაში „ცნობიერება“, „მე“-ს გარდა, არის „არამე“-ს ობიექტიც, რომელიც, გარკვეული აზრით, განსაზღვრავს „მე“-ს მოქმედებას, რადგან მოქმედებს მასზე „გარკვეული ბიძგის“ მეშვეობით. აქ ფიხტე ხარკს არ უხდის „გარკვეულ მატერიალიზმს, როგორც კანტი, რომელიც აღიარებდა ცნობიერებაზე გარეგანი ზემოქმედების ფაქტს. ფიხტეს მიერ „არამე“-ს ახსნა განსხვავებულია კანტის „ნივთი თავისთავადისაგან“, რომელიც ცნობიერების გარეშე არ არსებობს, არამედ მისი განსაკუთრებული მოღვაწეობის პროდუქტია. „მე“-სთვის — წერს ფიხტე — „არამე“-ს პირველსაწყისი რეალობა და მოღვაწეობა არსებობს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი (იტანჯება) განიცდის: „მე“-ში განმცდელი მდგომარეობის გარეშე არ არსებობს „არამე“-ს მოქმედება“⁴⁰.

როგორც ვხედავთ, საბოლოო ჯამში, ფიხტესთან პირველადია „მე“-ს მოღვაწეობა, რომელიც მასთან განიხილება როგორც მისი მოძღვრების — „მეცნიერებათამცოდნეობის“ ძირითადი პოსტულატი, სადაც გაბატონებულია, როგორც თვითონ ამბობს, „საქმე — ქმედება“ (Fast Handlung), რომელიც ნიშნავს, რომ „მე“ დასაწყისში გულისხმობს საკუთარ ყოფიერებას“⁴¹.

⁴⁰ И. Г. Фихте, Избр. соч., т. I, стр. 134.

⁴¹ იქვე, გვ. 75.

როგორც აღინიშნა, ს. დოდაშვილთან, ისევე, როგორც ფიხტენთან, შემეცნების პროცესის დიალექტიკური ამოსავალი მომენტი „მე“-ს მოქმედი გონების დაპირისპირება იმისადმი, რასაც წარმოადგენს „არამე“.

ამასთანავე, როგორც უკვე ვაჩვენეთ, ქართველ მოაზროვნესთან, განსხვავებით ფიხტესაგან, გონების მოქმედება არ წარმოადგენს იდეალიზმის ამოსავალ მომენტს. გერმანელ მოაზროვნესთან ყოფიერება ფუძნდება მხოლოდ გონების ფარგლებში დაპირისპირებულთა მეშვეობით („... „მე“ წარმოადგენს... „არამე“-ს რეალურობის საფუძველს“) ⁴² და, მაშასადამე, „მე“-სა და „არამე“-ს ერთიანობა არ წარმოადგენს „გარეგანი და შინაგანი სამყაროს ნამრავლს“, როგორც დოდაშვილის ნააზრევშია.

ს. დოდაშვილისათვის ნათელია, რომ „დაპირისპირებულთა გაერთიანებისათვის“, მოქმედი გონებისათვის აუცილებელია ყოფიერების არსებობა; იგი არსაიდან არ გამოიყვანება, არამედ არსებობს როგორც საპირისპირო საგანი გონების მოქმედებისა, რომელიც სწორედ ამ მოქმედებას იწვევს. მხოლოდ ასე ესმის ს. დოდაშვილს შემეცნების პროცესის დიალექტიკური მომენტი, როცა არაყოფიერებას წინასწარ განსაზღვრავს ყოფიერება, ეს უკანასკნელი არაყოფიერების არსებობის აუცილებელი პირობაა. ამასთან დაკავშირებით ს. დოდაშვილი წერს, რომ შემეცნება, როგორც „გამრკვევი ცნობიერება“, მოითხოვს: 1) იმ სულიერის არსებობას, რომელსაც გაცნობიერებული აქვს თავისი თავი; 2) შესამეცნებელი საგნის არსებობას; 3) მათ ურთიერთსაწინააღმდეგო მდგომარეობას, ე. ო. აზროვნების თავდაპირველ მოქმედებაში აუცილებლად უნდა იყოს დაპირისპირება მოაზროვნესა და სააზროვნოს შორის ⁴³. აქ არ არის ფიხტენური მისტიკა, როცა „მე“-ს მოღვაწეობა უნდა აიხსნას თვით „მე“-დან და „მე“-ს საბოლოო დაფუძნებაც უნდა იგულისხმებოდეს „მე“-ში ⁴⁴. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ფიხტე ერთ-ერთ თავის ლექციაში, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნ-

⁴² И. Г. Фихте. Избр. соч., т. I, стр. 151.

⁴³ Додаев-Магарский, Логика, стр. 27.

⁴⁴ И. Г. Фихте, Избр. соч., М., 1916, т. I, стр. 134.

და, მიუთითებს, რომ ამოსავალი მომენტი არ შეიძლება იყოს ყოფიერება, ის გაგებული უნდა იქნეს როგორც ქმნადი.

ამრიგად, ს. დოდაშვილი შემეცნების პროცესის ინტერპრეტაციაში იწყებს ფიხტედან, მაგრამ იგი მხოლოდ იწყებს, საწყისშივე სცილდება მას — „მე“ და „არამე“-ს ფიხტეანური იდეალისტური დაპირისპირების მატერიალისტური გადაწყვეტით. ეს კი მეტად მნიშვნელოვანი მომენტია მატერიალიზმისადმი დიალექტიკის ზოგიერთი ელემენტის დაკავშირების აზრით.

სოლომონ დოდაშვილის სოციალურ-პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებები

ს. დოდაშვილი XIX საუკუნის პირველი ნახევრის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი პროგრესული მოაზროვნეა, რომლის მსოფლმხედველობა საბოლოოდ მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ქართველი თავადაზნაურულ-პატრიოტული ზედაფენის მიერ დაწყებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში ჩამოყალიბდა. ს. დოდაშვილი იყო რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ გაჩაღებული ამ ბრძოლის უშუალო მონაწილე და მისი აღიარებული იდეური მედროშე. 1832 წლის შეთქმულების მონაწილეები ს. დოდაშვილს რუსეთსა და საქართველოში უკვე იცნობდნენ როგორც მრავალმხრე განათლებულ მოაზროვნეს, ფილოსოფიისა და იურიდიული მეცნიერებების მოწინავე მიღწევებს დაუფლებულ კვალიფიციურ სპეციალისტს. მისი ნაშრომები ემყარება ანტიკური ეპოქის, შუა საუკუნეებისა და ახალი დროის მეცნიერულ მიღწევებს (ეპიკურე, პროტაგორა, პლატონი, არისტოტელე, სტოელები, სქოლასტიკოსები, კამპანელა, თომაზიუსი, აბელარი, ბეკონი, ვოლფი, ლოკი, კონდილიაკი, ვოლტერი, რუსო, კანტი და ა. შ.). ამით უნდა აიხსნას ს. დოდაშვილის ნაშრომების მაღალი თეორიული დონე და მაშასადამე, მისი პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებების ღრმა მეცნიერულობა. ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტები ცხადყოფს, რომ ს. დოდაშვილს საფუძვლიანად ჰქონდა განსაზღვრული რუსეთის იმპერიაში საქართველოს სამართლებრივი მდგომარეობა, ქართველი ხალხის ეროვნულ-პოლიტიკური მოწყობის ფორმა, მეფის თვითმპყრობელობის მიერ გაუქმებული ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის გზები და საშუალებები, საქართველოში დამყარებული რუსული მმართველობის შეუსაბამობა ეროვნულ ზნე-ჩვეულებებთან, ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში რუსული კანონების სრულ-

ად რეალიზაციის შემთხვევებელი გარემოებანი და ა. შ. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მომავალი, ახალი საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მოწყობასთან დაკავშირებული პრობლემები ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში პირველად ს. დოდაშვილმა დასვა და მეცნიერულად გაიაზრა მათი გადაჭრის საფუძვლები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დიადი დროშა ს. დოდაშვილისაგან მიიღეს ქართველმა სამოციანელებმა, რომლებმაც დიდი ქართველი მოაზროვნის მიერ დასახული პოლიტიკური მიზნები თავიანთ სამოქმედო პროგრამად გაიხადეს. ამ მხრივ საყურადღებოა გაზეთ „დროების“ ათი წლისთავის საიუბილეო დღესასწაულზე ს. მესხის და ი. ჭავჭავაძის გამოსვლები. ს. მესხს განუცხადებია, რომ გაზეთ „დროების“ ზეიმზე შეკრებილნი თანაგრძნობას უცხადებენ „იმ დროშას, რომლის ქვეშ დღეს ყველანი შეკრებილნი ვართ აქ. ეს დროშა მარტო ერთს გაზეთს, ან რომელსამე მიმართულებას ან თაობას კი არ წარმოადგენს. ამ დროშაზე არ აწერია არც ბატონი, არც გლეხი, არც ახალი და არც ძველი თაობა“¹. იქვე დამსწრე ი. ჭავჭავაძეს ს. დოდაშვილის მიერ დასახული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ამოცანების შემკვიდრეობით მიღების თაობაზე უთქვამს: „ყველას სამართალი ითხოვს, რომ ყველას თავისი მიეწყოს, თუმცა იმ დროშაზედ, რომელიც უფ. მესხმა მოიხსენა, ეხლანდელთა „დროების“ მოღვაწეთა თავისი მიმართულება ზედ წააწერეს, მაგრამ თვით დროშა კი შემკვიდრეობით გვაქვს გადმოცემული განსვენებულის დოდაევისაგან, გიორგი ერისთავისაგან. საუკუნოდ იყოს ხსენება მათი ჩვენში“².

ს. დოდაშვილმა ახალ დროში პირველად დასვა რუსეთის იმპერიაში ქართველი ხალხის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის ორი უმთავრესი პრობლემის, კერძოდ, სოციალურ-პოლიტიკური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სამართლებრივი გადაწყვეტის საკითხი, რომელმაც შემდგომი განვითარება პოვა ქართველი სამოციანელების და მათი ბელადის — ი. ჭავჭავაძის საბრძოლო მოთხოვნაში: „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნეს“.

¹ გაზ. „დროება“, 1876, 7 მარტი, № 24.

² იქვე.

როგორც მეცნიერებაში მითითებულია, ს. დოდაშვილის სოციალურ-პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებების განმსაზღვრელ წყაროებს წარმოადგენს: საქართველოს გმირული ისტორიული წარსული და მისი იმდროინდელი სამართლებრივი მდგომარეობა მდიდარი მრავალსაუკუნოვანი კულტურით, რუსეთის მოწინავე რევოლუციური მოძრაობის ტრადიციები, რასაც საფუძველი დეკაბრისტებმა ჩაუყარეს და, აგრეთვე, დასავლეთი ევროპის ბურჟუაზიული რევოლუციების, განსაკუთრებით, XVIII საუკუნის ფრანგი განმანათლებლების პოლიტიკური მოძღვრებები თავისუფლების, ადამიანთა გონების უძლეველობის, რესპუბლიკური წყობილებისა და სხვათა შესახებ.

ს. დოდაშვილის სულაერ მემკვიდრეობაზე წარმოდგენას გვაძლევს ჩვენამდე მოღწეული 1832 წლის შეთქმულების მასალები³ და საკუთრივ მისი ნაშრომები⁴, რომელთაგან ბევრი მათგანი ჭერჭერობით მიუგნებელია⁵. რაც შეეხება სოლომონ დოდაშვილის სოციალურ-პოლიტიკურ და სამართლებრივ შეხედულებებს, ამ მხრე საყურადღებოა საგამომძიებლო კომისიისათვის მის მიერ მიცემული რამდენიმე ჩვენება, რომლებიც გამოქვეყნებულია 1832 წლის შეთქმულების დოკუმენტთა კრებულებში, აგრეთვე ს. დოდაშვილის ნაშრომებში: „ლოგიკა“, „უინეცრა“, „ელენა“, „ანეკდოტი ანუ ღირსსახსოვარი შემთხვეულება“, „შენიშვნა დამარხვის წესსა ზედა უკანასკნელთა მეფეთა საქართველომასათა, რომელიცა დაბეჭდილი იყო პირველსა ნომერსა შინა რუსულთა გაზეთთასა 1832-სა ამის წელსა“, წერილები ძმისა, ი. ხელაშვილისა და სხვათა მიმართ. „შესხმა წარმოთქმული ტფილისის კეთილშობილთ სასწავლებლის მოძღ-

³ გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. I, ტფილისი, 1935; მისივე, 1832 წლის შეთქმულება, ტ. II, თბ., 1970.

⁴ ს. დოდაშვილი, თხზულებანი, თბ., 1961; სოლომონ დოდაშვილის წერილები, 1825—1832, ს. ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით (მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. II, თბ., 1945 და ა. შ.).

⁵ მ. გოცაძე, სოლომონ დოდაშვილი. თბ., 1955. ს. დოდაშვილის ბიბლიოგრაფია, თბ., 1967; ზ. კიკინაძე, სოლომონ დოდაშვილი, თბ., 1973; თ. კუკავა, სოლომონ დოდაშვილის მსოფლმხედველობა, თბილისი, 1955 და ა. შ.

რისა მიერ სოლომონ დოდაევისა მღაროელისა დროსა მოწაფეთა გამოცდისასა საზოგადოსა შეკრებულებასა შინა წელსა 1828 ივნისის 3-სა (6-სა) დღესა“, „სიტყვა-მოწოდება“, ლექსი „მისი“, „მილოცვა დავით ბაგრატიის ძეს“ და აგრეთვე ზოგიერთი საარქივო დოკუმენტი, გამოქვეყნებული მ. გოცაძის მიერ 1961 წელს დაბეჭდილ ს. დოდაშვილის წიგნში — „თხზულებანი“.

ს. დოდაშვილის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებები დღემდე არ ყოფილა სპეციალური გამოკვლევის საგანი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცალკეული ავტორის ნაშრომებს, რომლებშიც გაკერით არის ლაპარაკი ს. დოდაშვილის პოლიტიკურ იდეალებზე⁶.

1832 წლის შეთქმულებაში ჩაბმამდე ს. დოდაშვილის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებები იმით ხასიათდება, რომ იგი, როგორც რუსეთში აღზრდილი გლეხური ჩამომავლობის ინტელიგენტი, რომელიც კარიერაზე ოცნებობს, კმაყოფილია იმ სიკეთითა და სარგებლობით, რაც ქართველმა ხალხმა მიიღო საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ. იგი საქართველოს რუსეთთან შეერთებას თვლის პროგრესულ მოვლენად, რუსეთთან შეერთებამ დიდი ისტორიული წარსულის მქონე საქართველოს წინსვლის ნათელი პერსპექტივები შექმნა, ქვეყანაში მშვიდობა დამყარდა: „მტკიცე მარჯვენა მეფისა ჰბრუნავს უშიშროებისათვის ჩვენისა, ყოველავ დაბრკოლება აღზოცს“⁷. ს. დოდაშვილს ღრმად სწამს, რომ „საქართველოს რუსეთის მფარველობის გარეშე არსებობა არ შეუძლია“⁸. მიუხედავად ამისა, რუსული მმართველობის დამყარების შე-

⁶ მ. გოცაძე, სოლომონ დოდაშვილი, თბ., 1955, გვ. 68—117; პ. კარბელია, სოლომონ ივანეს ძე რაზმაძე (გაზ. „დროება“, 1882, 11 დეკემბერი); ე. აბაშიძე, პოლიტიკური რომანტიზმი („მოამბე“, 1905, № 1); ა. ჯორჯაძე, თავადაზნაურული ინტელიგენციის პოლიტიკური აზროვნება მე-19 საუკუნეში („თხზულებანი“, წიგნი 2, 1911); ს. ხუნდაძე, ქართველი ინტელიგენციის პროფილი მე-19 საუკუნეში, თბ., 1927; გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება („მნათობი“, 1932, № 10); თ. კუკავა, სოლომონ დოდაშვილი და მისი მსოფლმხედველობა, თბ., 1955; გ. აბზიანიძე, ს. დოდაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა (ს. დოდაშვილი, თხზულებანი, თბ., 1961) და ა. შ.

⁷ ს. დოდაშვილი, თხზულებანი, თბ., 1961, გვ. 217.

⁸ „მნათობი“, 1955, № 5, გვ. 136.

დევად გაუქმებული სახელმწიფოებრიობის აღდგენაზე ფიქრი მონარქიის ფორმით ს. დოდაშვილს მაინც არ ასვენებს. 1827 წელს ქართველთა მეფის გიორგი XII-ის ძის ბაგრატ ბატონიშვილის ვაჟის ლავითოს დაბადების დღის მისალოც წერილში წერს: „მე და ყოველნი სხვანი ერნი ივერიისანი არიან ერთხმობით მღალადებელნი და იქმნებიან მთხოვნელნი, რათა ძველათ მომდინარებული მეფეობა თქვენი განახლდეს თქვენ მიერ და ჰყოს კურთხეულ უკუნისამდე“⁹.

მაგრამ, როცა ს. დოდაშვილმა გაიგო საქართველოს დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად საიდუმლო ორგანიზაციის არსებობა და მეტაყ, შეთქმულების მონაწილეებმა შესთავაზეს ამ ორგანიზაციაში მონაწილეობა, მაშინ მყისვე გაიღვიძა მაღალმა პატრიოტულმა გრძნობამ და იგი გაბედულად მოითხოვს შეიარაღებული აჯანყების გზით გაუქმებული ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენას და „ქართველთ უფლების“ დაცვას. ს. დოდაშვილი ახლა მოითხოვს რუსეთისაგან საქართველოს საბოლოოდ ჩამოშორებას. მისი ამ პერიოდის პოლიტიკური შეხედულებები ნათლად არის გადმოცემული 1831 წელს მის მიერ დაწერილ „სიტყვა-მოწოდებასა“ და ლექსში — „მაისი“. დოდაშვილი აღნიშნავს, რომ „ქვეყნის დაარსებითგან მამულსა ჩვენსა აქვდა თავისი საკუთარი მდგომარეობა, აქვდა თვისნი სჯულნი, თვისი სარწმუნოება, თვისი ენა და თვისი ჩვეულება, ჰყვანდა ყოველსა დროსა საკუთარი თვისი ხელმწიფე და არაოდეს არ იყო მოკიდებული სხვასა ზედა და არცა მონა, ვითარცა აწ არს მამული ესე ჩვენი“¹⁰. წინათ დამოუკიდებელი საქართველო წარმატებით იგერიებდა მტრების შემოსევას, ხოლო „აწ ხედავთა დამბობასა და არარაობასა მამულისა ჩვენისასა? ჰგრძნობდა შეიწროებასა ყოვლისა კაცისასა“¹¹ და სვამს კითხვას: „რამათვის არს ესე ეპართე?“ თუ ჩვენ აღარა გვაქვს ჩვენი სახელოვანი წინაპრების მხნეობა და ძალ-ღონე, „მაშა რამათვის ვცოცხალვართ?!“ ლექსში — „მაისი“ ს. დოდაშვილი განსაზღვრავს საქართველოს დამოუკიდებლობის გზებს და მოუწოდებს „ქართველთ უფლების“ აღსადგენად

⁹ ს. დოდაშვილი, თხულებანი, თბ., 1961, გვ. 229.

¹⁰ იქვე, გვ. 228.

¹¹ იქვე, გვ. 229.

შეიარაღებული აჯანყებისაყენ: „აღვიპყრათ ხელთა მახვილი, მიეცეთ მტერთა შიში ძრიელი, შემოვიკრიბოთ გულით მხურველნი, ვეცეთ, ვეძგერნეთ გაგულეებულნი, განვდევნოთ სოფლით ძალით მოსრულნი, ჩვენ მამულისა მათხრებელნი, წარვიდნენ აქით. არ იყვნენ აქა. ქართველნი, ხართ სადმე თუ არა? არვინ არ იცის! მოიგეთ გონება!“¹²

მაგრამ ს. დოდაშვილს, როგორც რეალისტ მოაზროვნეს, მხედველობის გარეშე არ დარჩენია ის, რომ 1832 წლის შეთქმულთა შორის თუ აზრთა ერთიანობა არსებობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ამოცანებისა და მიზნების გაგებაში, სოციალურ საკითხში მათი შეხედულებები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ამდენად ს. დოდაშვილის შემდეგი პერიოდის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებების ჩამოყალიბება განსაზღვრა არა მარტო საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის ინტერესებმა, არამედ სოციალური ურთიერთობის პრობლემებმაც, კერძოდ, განთავისუფლებული საქართველოს მომავალ სახელმწიფო ხელისუფლებაში რანაირად იქნება წარმოდგენილი წოდებათა კლასობრივი ინტერესები. ს. დოდაშვილი მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართველ მოაზროვნეთაგან ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა დაუყავშირა სოციალურ, კლასობრივ ურთიერთობას, რამაც გაამდიდრა და სრულყო მისი პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებანი. ს. დოდაშვილი იქიდან ამოდის, რომ „არა გუარითა იქნების კაცი, არამედ გონებითად მოქმედებათა ხელოვნად“¹³, ამიტომ, ს. დოდაშვილის აზრით, მაღალი იდეალებისათვის ბრძოლაში მნიშვნელობა არა აქვს მის მონაწილეთა გვაროვნულ წარმომავლობას, არამედ დასახული მიზნის მიღწევისათვის ბრძოლაში გადამწყვეტია ის, თუ რამდენადაა დაუფლებულნი ისინი ცოდნას, რადგანაც „განათლება არს უუმტკიცესი და უუსაიმედოესი საფუძველი კეთილმდგომარეობისა ყოვლისა საზოგადოებისა“¹⁴.

ს. დოდაშვილს 1832 წლის შეთქმულების მიზანი ქართველი ხალ-

¹² სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, თბ., 1961, გვ. 229.

¹³ ა. გაწერელია, სოლომონ დოდაშვილი, „მნათობი“, 1955, № 5, გვ. 128.

¹⁴ სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, თბ., 1961, გვ. 217.

ხის საერთო მიზნად მიაჩნია, მას სწამს, რომ ეროვნული სახელმწიფოებრიობის გაუქმების შემდეგ დამყარებული რუსული მმართველობა უფრო მეტად უცხოა მშრომელი ქართველი ხალხისათვის, ვიდრე თავადაზნაურობისათვის, ამიტომაც იგი კიდევ ცდილობს გლეხობის ფართო მასების ჩაბმას 1832 წლის შეთქმულებაში, მაგრამ ამასთან ერთად მას აზინებს შეთქმულების მონაწილე თავადაზნაურობის ხელისუფლებისმოყვარეობა, რომ თავადაზნაურობა ვაპოიყენებს მშრომელი ხალხის ფართო მასებს აჯანყებაში, მაგრამ აჯანყების შედეგებით თავადაზნაურული არისტოკრატია ისარგებლებს, კერძოდ, სახელმწიფო ხელისუფლებას იგი განუყოფლად დაეუფლება.

ცნობილია, რომ თავადაზნაურობის ზედაფენის ერთი ნაწილი ექვის თვალთ უყურებდა შეთქმულებაში ს. დოდაშვილის მონაწილეობას, რადგან იგი დაბალი სოციალური წარმოშობის იყო და მისი მისამართით კიდევაც უთქვამთ: როგორ ენდეთ ს. დოდაშვილს, ამ „უგვარკოდოსაო“¹⁵. ამიტომ იგი საგამომძიებლო კომისიას აძლევს ჩვენებას, რომ თუ 1832 წლის შეთქმულება გაიმარჯვებს და რუსები აღარ იქნებიან საქართველოში, „მაშინ თავადები იტყვიან: მე ერისთავი ვარ, მე ორბელიანოვი ვარ და თქვენ კი ვინა ხართო“¹⁶.

სოციალური საკითხის დაკავშირებამ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლასთან გამოიწვია ს. დოდაშვილის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებების გადასინჯვა. ახლა იგი იცავს რუსეთის მფარველობაში საქართველოს არსებობას, ცხარე კამათი აქვს ამის თაობაზე შეთქმულების მონაწილე თავადაზნაურულ ზედაფენასთან. ს. დოდაშვილი საგამომძიებლო კომისიას აძლევს შემდეგ ჩვენებას: „დიან, ვუთხარი ელ. ერისთავს, რომ ერისთავებს როგორ არ გრცხვენიათ იმაზე ფიქრის, რომ რუსები აქედან გააძევოთ, ან რაზე უჩივით მაგათ, როდესაც ყველაფრის მიზეზი თქვენა ხართ, თავადების სურვილით მოვიდნენ ეგენი აქ და ეხლა აღარ გნებავთ მეთქი. მან მიპასუხა: ჩვენ მოვიყვანეთ ეგენი და ჩვენვე მოვახრებთ, რომ ეგენი აქ აღარ იყვნენო“¹⁷.

¹⁵ მ. გოცაძე, სოლომონ დოდაშვილი, თბ., 1955, გვ. 75—76.

¹⁶ გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. II, თბ., 1970, გვ. 62.

¹⁷ გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. I, ტფ., 1935, გვ. 219.

ცნობილია, რომ ს. დოდაშვილი 1832 წლის შეთქმულებას საბოლოოდ ჩამოშორდა¹⁸, ამის მიზეზი იყო თავადაზნაურულ ზედაფენასთან მისი იდეური უთანხმოება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობისა და ქართველი ხალხის ეროვნულ-პოლიტიკური მოწყობის საკითხებში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ს. დოდაშვილი რუსეთისაგან საქართველოს ჩამოშორებას შეუძლებლად მიიჩნევდა და, ცხადია, წარმოდგენლად ეჩვენებოდა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს შექმნა. იგი ამის შესახებ საგამომძიებლო კომისიას შემდეგ ჩვენებას აძლევს: „ერთხელ ოქროპირ ბატონიშვილისაგან ტფილისში გავიგონე, შეიძლება საქართველო ოდესმე ცალკე სახელმწიფო გახდესო, მაგრამ მე არასოდეს არ მიფიქრია, გახდება თუ არა ცალკე სახელმწიფოდ, არასოდეს არ წარმომედგინა“¹⁹.

მაგრამ ს. დოდაშვილი, როგორც 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, იცავდა რუსეთ-საქართველოს შორის არსებული ურთიერთობის შენარჩუნებას და დიდი ინტერესით ამუშავებს 1832 წლის შეთქმულების გამარჯვების შემთხვევაში ქართველი ხალხის ეროვნულ-პოლიტიკური მოწყობის ყველაზე მისაღებ გეგმას, რომელიც მან დაუპირისპირა შეთქმულების მონაწილე თავადაზნაურთა ზედაფენის შეხედულებებს. შეთქმულების მონაწილე თავადაზნაურობის იმ ნაწილის მოსაზრებათა საწინააღმდეგოდ, რომელიც ოცნებობდა საქართველოს რუსეთისაგან ჩამოშორებაზე და მონარქიის აღდგენაზე, ს. დოდაშვილს განსხვავებული პოლიტიკური პროგრამა ჰქონდა, მისი აზრით, საქართველო თუ რუსეთს ჩამოშორდება, გაბატონებული თავადაზნაურობა განუყოფლად დაეუფლება სახელმწიფოს და, რა თქმა უნდა, მონარქიულ წყობილებას დაამყარებს. მომავალი საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში უნდა მონაწილეობდეს არა მხოლოდ თავადაზნაურობა, არამედ მთელი ხალხი. ამიტომ ქართველი ხალხის ეროვნულ-პოლიტიკური მოწყობის ყველაზე მიზანშეწონილ ფორმას რესპუბლიკა წარმოადგენს, მაგრამ ეს რესპუბლიკა უნდა ჩამოყალიბდეს რუსეთის სახელმწიფოში, რომელიც არ მისცემს თავადაზნაურობას იმის უფლებას, რომ

¹⁸ მ. გ. ოცაძე, სოლომონ დოდაშვილი, თბ., 1955, გვ. 112.

¹⁹ გ. გ. ზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. I, თბ., 1970, გვ. 81.

საქართველოში მონარქია აღადგინოს. ს. დოდაშვილი მის მიერ შემუშავებულ ამ პოლიტიკური პროგრამის ფართო პროპაგანდას ეწევა.

ვახტანგ ორბელიანი საგამომძიებლო კომისიას აძლევს შემდეგ ჩვენებას: „1832 წელს დოდაშვილისაგან გავიგონე შემდეგი სიტყვები: როდესაც ტფილისიდან ოქროპირ ბატონიშვილს ვაცილებდი, ომან მითხრა, დიახ, ბატონო ქართველებო, ეცადეთ საქართველოს განთავისუფლებასო. თუმცა მე საქართველოს განთავისუფლება იმიტომ კი არ მინდა, რომ ბაგრატიონთა გვარიდან ვინმე გამეფდეს, არამედ, რომ საქართველო შეიქმნას რესპუბლიკის მაგვარ სახელმწიფოდო“²⁰.

ს. დოდაშვილის პოლიტიკური პროგრამა, კერძოდ, საქართველოს რუსეთის სახელმწიფოში დარჩენა და ეროვნული, ქართული სახელმწიფოებრიობის მოწყობა რესპუბლიკურ პრინციპებზე, უფრო ნათლად ჩამოყალიბებულია მ. გოცაძის მიერ მიგნებულ ჩვენებაში: «А. Орбеллианову я говорил... следующее: царствовать в Грузии, хотя и самое русское правительство захотело, ни один царевич не может, и Грузия без покровительства России существовать не может... если князья желают облегчения от притеснения и хотите иметь царевича, то может представить жалобу государю-императору и просить одного из царевичей, не царствовать, а присутствовать и входить в дела Грузии по гражданской части, кажется, в заключении сказал: тогда бы вышло республиканское правление»²¹.

ამრიგად, მომავალი საქართველოს რესპუბლიკური წყობილება ს. დოდაშვილს ასე წარმოუდგენია: საქართველო რჩება რუსეთის სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილად, რადგან მას ურუსეთოდ არსებობა არ შეუძლია, მაგრამ საქართველოში არ იქნება მონარქიული წყობილება, არ იქნება მეფე. თუ თავადაზნაურობას სურს რუსეთის სახელმწიფოს შევიწროებისაგან მდგომარეობის შემსუბუქება, მას შეუძლია რუსეთის ხელმწიფეს მიმართოს საჩივრით და თხოვოს — რომელიმე ბატონიშვილი კი არ მეფობდეს, არამედ გახდეს რეს-

²⁰ გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. I, ტფ., 1935, გვ. 92.

²¹ „მნათობი“, 1955, № 5, გვ. 136; გ. აბზიანიძე, გამოჩენილი ქართველი მოაზროვნე. წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ ეს საბუთი მას გადასცა მიხეილ გოცაძემ.

პუბლიკურ საქართველოში მაღალი თანამდებობის პირი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს სამოქალაქო მმართველობის განხორციელებაში. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით ს. დოდაშვილის მიერ შედგენილი რესპუბლიკური წყობილების პროექტში რომელ ორგანოებს უნდა განეხორციელებინა საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებები. ვიცით მხოლოდ, რომ რესპუბლიკური წყობილება ქვეშაირიტად ხალხური ბუნების უნდა ყოფილიყო და ხელისუფლება უნდა განეხორციელებინა ხალხის წრიდან არჩეულ თანამდებობის პირებს, განურჩევლად მათი წოდებრივი წარმომავლობისა. ს. დოდაშვილს საგამომძიებლო კომისიისათვის შემდეგი ჩვენება მიუტია: „სასამართლოებში უნდა იყოს არჩეული ადამიანები, რომლებიც ზედმიწევნით იცნობენ ხალხს, რასაკვირველია, ისინი უნდა იყვნენ მიუდგომელნი და კეთილნი“²².

მონარქიის სიძულვილი და რესპუბლიკური იდეები შეთქმულების ბოლო წლებამდე განსაზღვრავდა ს. დოდაშვილის მსოფლმხედველობას. ანტიმონარქისტული იდეები უდევს საფუძვლად მის მიერ 1832 წელს გამოქვეყნებულ მოთხრობას: „ანეკდოტი ანუ ღირსსახსოვარი შემთხვეულება“. მოთხრობის სიუჟეტი მარტივია: ერთ მეფეს ჰყავდა ვეზირი, რომელიც დღე და ღამე ერთგულად ემსახურებოდა მას. მაგრამ ვეზირმა გადაწყვიტა, თავი დაანებოს მეფის სამსახურს და თუ აუცილებელია ვინმესადმი სამსახური, ამ შემთხვევაში უმჯობესია ღმერთს ემსახუროს. მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სისწორეში დარწმუნებული ვეზირი მეფეს უპასუხებს: „მე დაგიტევე შენ ამისათვის, რომელ შეენიშნე ხუთი ჩვეულება შენი, რომელთაცა აწარმოვეს ჩემ შორის სიძულვილი შენი, ამის გამო თავს ვიდე, რათა შევუდგე სამსახურსა ღეთისასა და ვეძიო ერთი ნება მისი“²³. ვეზირი შემდეგნაირად აყალიბებს ამ ხუთ გარემოებას, რამაც აიძულა იგი, მიეტოვებინა მეფის სამსახური: პირველი, მეფე სულ მოსტვენებული იყო, ვეზირი კი მუდამ ფეხზე მდგარი ემსახურებოდა, მეფე არასოდეს აღირსებდა დაჯდომას, ღმერთი კი ყოველთვის აძლევს დასვენების ნებას; მეორე, როცა მეფეს ეძინა,

²² გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. II, თბ., 1970, 33-178.

²³ ს. დოდაშვილი, ოსტულებანი, თბ., 1961, გვ. 193.

ვეზირს ევალებოდა მისი დაცვა და გაფრთხილება, ღმერთი კი პირიქით, — ყოველთვის ფხიზლობს, და მეტიც, იცავს, უფრთხილდება ვეზირს; მესამე, როცა მეფე სადილობდა, ვეზირისთვის არაფერს იმეტებდა, ახლა, როცა ვეზირი ემსახურება ღმერთს, მისგან იგი არათუ არ მოითხოვს საქმელ-სასმელს, პირიქით, ღმერთი ზრუნავს ვეზირის გამოკვებისათვის; მეოთხე, მეფის სამსახურში ყოფნისას ვეზირი სულ შიშში იყო, რადგან არ იცოდა, რა მოელოდა მეფის სიკვდილის შემდეგ, ახლა, ღმერთს ემსახურება, მას არაფრის ეშინია, რადგან ღმერთი უკვდავია; მეხუთე, მეფის სამსახურში ყოფნისას ვეზირი სულ იმაზე ფიქრობდა, რომ შეცდომისათვის არ დაესაჯა მეფეს, ახლა, როცა ღმერთს ემსახურება, დარწმუნებულია, ათასჯერ რომ შეცდეს და თუნდაც ერთხელ სთხოვოს პატიება, „ღმერთი კემშარიტად ყოველთა ცოდვათა მოგვიტევებს“.

ანტიმონარქისტული იდეებია აგრეთვე ჩამოყალიბებული ს. დოდაშვილის მოთხრობებში: „პარუნ-ალ-რაშიდი და მოხუცი“ და „სამი ანდის ხურმა“.

ს. დოდაშვილის პოლიტიკური იდეალის განხორციელება, კერძოდ, რუსეთის იმპერიის ფარგლებში ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა რესპუბლიკის ფორმით, მოითხოვდა მრავალი სამართლებრივი საკითხის გადაჭრას, პირველ ყოვლისა იმის გარკვევას, თუ რა პრინციპების მიხედვით უნდა მოხდეს რესპუბლიკური საქართველოს ტერიტორიაზე რუსული კანონმდებლობისა და ქართული ეროვნული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირება, მათი მოქმედების საზღვრების გამიჯვნა და ა. შ.

ს. დოდაშვილმა დარწმუნებულია, რომ სამართალს, როგორც არ უნდა იყოს იგი, დიდი სარგებლობა მოაქვს ადამიანებისათვის. კანონი არეგულარებს რა ადამიანთა ურთიერთობებს, გარკვეული წესრიგი შეაქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამიტომ სამართლის სუბიექტები უნდა იცნობდნენ სამართლის შინაარსს, მათთვის კანონით მინიჭებულ უფლებებსა და მოვალეობებს. განსაკუთრებით ეს ითქმის ისეთ ქვეყანაზე, როგორც საქართველოა, რომლის ტერიტორიაზე ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმებისა და რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ რუსეთის კანონები მოქმედებს. მაგრამ ქართველი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა რუსული ენის

უცოდინარობის გამო არ იცნობს რუსულ კანონმდებლობას, რუსული კანონებით დადგენილ მოქალაქეთა უფლება-მოვალეობებს. რადგანაც კანონის უცოდინარობა არ ათავისუფლებს პირს პასუხისმგებლობისაგან, ს. დოდაშვილი დიდი მონდომებითა და ყურადღებით შეუდგა რუსული კანონმდებლობის ქართულად თარგმნას. 1829 წლის 29 დეკემბერს იგი ი. ხელაშვილს სწერს: „ექსთარგმნე, რწმუნებულსამებრ მთავრობისა, სჯული ვალდებულებანი სასამართლოებისანი“²⁴. მართალია, ს. დოდაშვილს რუსული კანონების თარგმნა ქართულად მთავრობის დავალებით დაუწყია, მაგრამ რუსული კანონმდებლობის მოთხოვნების ქართველი ხალხისათვის ფართოდ გაცნობის მიზნით, ამ საქმეს იგი დიდი ხალხით შესდგომია. ამის შესახებ ს. დოდაშვილი საგამომძიებლო კომისიას აძლევს ჩვენებას, რომ 1830 წლის ბოლოს თუ 1831 წლის დამდეგს მას ესტუმრენ ალ. ორბელიანი და ელ. ერისთავი, რომლებიც დაინტერესდნენ მისი საქმიანობით, ს. დოდაშვილს კი მათთვის უთქვამს, რომ „კანონებსა ვთარგმნი, რაც ჩვენი ქვეყნისათვის დიდად სასარგებლოა და მთავრობასაც სურს ქართველებმა თავიანთი ვალდებულებანი იცოდნენ მეთქი“²⁵.

აქვე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ რუსული კანონების თარგმნა მარტო იმიტომ კი არ იყო აუცილებელი, ქართველ ხალხს სცოდნოდა მეფის რუსეთის კანონთა მოთხოვნები, ს. დოდაშვილი იმასაც ცდილობდა, ყველასათვის დაენახებინა ის დიდი წინააღმდეგობა, რომელიც არსებობდა, ერთი მხრივ, საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქართულ სამართალს და მის ერთ-ერთ უმთავრეს იურიდიულ წყაროს, ეროვნულ ზნე-ჩვეულებებსა და, მეორე მხრივ, მეფის თვითმპყრობელობის კანონმდებლობას შორის. ამ წინააღმდეგობის შესახებ ჯერ კიდევ ციციანოვი ატყობინებდა რუსეთის მთავრობას — რუსული მმართველობა და რუსული კანონები საქართველოში იწვევს საერთო დრტვინვას, საჩივრებს, უკმაყოფილებას, მთავრობისადმი გაბოროტებასა და მიუღებელი აზრების გავრცელებასო²⁶.

²⁴ ს. დოდაშვილი, თხზულებანი, თბ., 1961, გვ. 300.

²⁵ გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. II, თბ., 1970, გვ. 79.

²⁶ AKAK, II, V, გვ. 8-9.

ამ მიზნით ს. დოდაშვილი დაინტერესდა ქართული, ეროვნული ზნე-ჩვეულებების შეკრებით და მათი გამოქვეყნებით. 1829 წლის 26 დეკემბერს ს. დოდაშვილი თავისი შემოქმედებითი საქმიანობის შესახებ ანგარიშს აბარებს ი. ხელაშვილს და წერს: „შევადგინე სხვადასხვანი ზნეობითნი ნაწყვეტობანი (ოტრიეკი), შესხმანი, ავთრათნი და სხვაჲ.“²⁷. ეს მუშაობა არ შეუწყვეტია ს. დოდაშვილს მაშინაც კი, როცა შეთქმულების ამბებით იყო დაკავებული, 1831 წლის 19 ივნისს იგი კვლავ სწერს ი. ხელაშვილს: „ორი კვირა მგზავრათ გახლდი გორს და დუშეთს, ამასთან მთიულეთს, სადაც ვიხილე მთიელნი, ვსცან თვისება მათი ზნე და მდგომარეობა და აღწერე გაზეთებისათვის“²⁸.

რუსული კანონებისა და ქართული, ეროვნული ზნე-ჩვეულებების შედარებითი ანალიზის შედეგად, ს. დოდაშვილი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მათ შორის დიდი წინააღმდეგობაა — რუსული კანონმდებლობა უცხოა ქართველი ხალხისათვის, რომელიც აღზრდილია მრავალსაუკუნოვან ეროვნულ ზნე-ჩვეულებებზე. საგამომძიებლო კომისიისათვის მიცემულ ჩვენებაში ს. დოდაშვილი მიუთითებს, რომ რუსი მოხელეები საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგებისას ხელმძღვანელობენ რუსული კანონებით და ადგილობრივი მოსახლეობის ზნე-ჩვეულებებს, რომელთაც ისინი არ იცნობენ, მხედველობაში არ ღებულობენ. სამართლის შეფარდება შეუძლებელია მისი ახსნა-განმარტების გარეშე, მაგრამ რუსი მოხელეები კანონებს უკუღმართად მარტავენ, დაწესებულებებში გაბატონებულია ბიუროკრატიზმი და მექრთამეობა: „1. სახელმწიფო დაწესებულებებში საქმეებს ძალიან ნელა არჩევენ, არ უყურებენ ხალხის ხასიათსა და ადათს, ზნე-ჩვეულებებს, კანონებს უკუღმართად მარტავენ და საქმეები უსამართლოდ წყდება; 2. ამ დაწესებულებებში საქმეები წყდება მხოლოდ ქალაღღზე და ამას საქმის გადაწყვეტას ეძახიან, მაგრამ იშვიათად თუ ვინმე კმაყოფილი დარჩეს; 3. წუთიერი და უმნიშვნელო საქმის დაწერაც საღერბო ქალაღღზეა ნაბრძანები; 4. საქმე, რომელიც შეიძლება სიტყვიერად გადაწყდეს და ძალიან

²⁷ ს. დოდაშვილი, თხზულებანი, თბ., 1970, გვ. 301.

²⁸ იქვე, გვ. 309.

სწრაფადაც, ნაბრძანებია, მაინც სასამართლოში შეიტანონ, სადაც დიდხანს ჭიანჭურდება; 5. მომჩივანთაგან როგორც მართალი, ისე მტყუანი მხარე ხარჯავს გაცილებით იმაზე მეტს, რაც საქმე უღირს, წინააღმდეგ შემთხვევაში აქ საქმეს არავინ მოსამენს და არ გააჩევს; 6. ძალიან პატიოსანი და ყველასაგან პატივცემული კაცი ხშირად ისჯება, თუ როგორმე მოუხდა დანაშაულის ჩადენა. ეს კი ძალიან ხშირად ხდება გულუბრყვილობით, კანონების უცოდინარობით და ქართველის კაცის მხიარული ბუნებით, რომელსაც უყვარს თავისუფლად ლაპარაკი, რითაც შეიძლება არავის ზიანს არ აყენებს, მაგრამ კანონით ეს აკრძალულია და დანაშაულად ითვლება, რასაც სასჯელი მოსდევს; უკეთუ შეწყალება მიიღო, საზოგადოებრივ მიერ მისი არჩევა აკრძალულია. აი რა არის მთავარი საჩივარი, ხშირად უდანაშაულოდაც ისჯება კაცი“²⁹.

ს. დოდაშვილი აკრიტიკებდა რუსულ კანონმდებლობას და რუსულ მმართველობას და, ამავე დროს, საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ქართული ზნე-ჩვეულებებით დადგენილ ჰუმანურ ქცევის წესებს გაბედულად იცავდა გამყალბებლებისაგან. 1832 წელს გაზეთ „ტიფლისსკიე ვედომოსტში“ გამოქვეყნდა გრ. გორდევის წერილი — „უკანასკნელ ქართველ მეფეთა დამარხვის წესები“, რომელშიც, როგორც ს. დოდაშვილი წერს, უხეშადაა დამახინჯებული ქართული წეს-ჩვეულებანი: „უფალი ღარდევნი, არა მცოდნე ქართულისა ენისა და არცა ზნეობათა და ყოფაქცევათა საქართველოს ერთასა, ჰსწერს მრავალსა ტყუილსა და გამოჩენილსა სიცრუესა, ზოლო მკითხველნი ჰგონებენ ყოველსა მას ჭეშმარიტად“³⁰.

ჩვენ აქ უადგილობის გამო ვერ შევჩერდებით იმ შეცდომებზე, რომლებიც დაშვებულია გრ. გორდევის წერილში, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ს. დოდაშვილის მიერ ქართული კულტურის გამყალბებლებისაგან დაცვამ ხელი შეუწყო ქართველთა შორის პატრიოტიზმისა და ეროვნული თვითმყოფლობის ამოღებას.

სისხლის სამართლის, საოჯახო-საქორწინო სამართლის, სისხლის სამართლის პროცესის და სხვათა შესახებ ს. დოდაშვილის შეხედულებებზე წარმოდგენას გვაძლევს მისი მოთხრობები, რომელთაგან

²⁹ ს. დოდაშვილი, თხზულებანი, თბ., 1961, გვ. 177—178.

³⁰ იქვე, გვ. 213.

განსაკუთრებით აღსანიშნავია „ელენა“. მისი სიუჟეტი ასეთია: ახალგაზრდა ქალ-ვაჟს — ამირანსა და ელენას ერთმანეთი შეუყვარდებათ, მაგრამ ომანი — ქალის მამა წინააღმდეგია მათი ქორწინებისა, რადგან ამირანი დაბალი სოციალური წარმოშობისაა. ელენა მამის ოჯახიდან მიდის და ქალ-ვაჟი ეკლესიაში ჩუმად შეერთდებიან „კავშირითა ქორწინებისათა“. ომანმა, როცა გაიგო ქალიშვილის სახლიდან გაპარვის ამბავი, „გაგზავნა კაცნი“ და ელენა „მოაქციეს მშობლის სახლად“. ამის შემდეგ ელენა მამის ნებართვით გადადის თავისი დედის მეგობარი ქალის ოჯახში, სადაც ჩუმად ამირანთან ერთად ზრდის ვაჟიშვილს; მამამისი, როცა სიმართლეს გაიგებს, მოვარდება გაავებული. ელენას მოეჩვენება, რომ ამირანი უკვე მოკლეს, ცდილობს ფანჯრიდან გადახტეს, ჯერ შვილს აგდებს, თავად კი გულწასულს მოუსწრებს მამა.

შვილის მკვლელი ელენა სასამართლოს გადაწყვეტილებით სიკვდილით დასაჯეს.

მხატვრული ნაწარმოების ფორმით გადმოცემული ეს იურიდიული კაზუსი ყურადღებას იპყრობს მისი ავტორის ღრმა იურიდიული განათლებით, კერძოდ, ნაწარმოებში ავტორს გამოყენებული და დამუშავებული აქვს ქართული იურიდიული ტერმინები და ცნებები (გარდახდომა, ბრალეულყოფა, ქეშმარიტების ცხადყოფა, გამამართლებელი გარემოებანი კანონისა და საზოგადოების წინაშე, განჩინება, განჩინებულყოფა, ნებით გარდამხდომელი, წინააღმდეგობა ფორმალურ, პოზიტიურ სამართალსა და ჯანსაღ საზოგადოებრივ აზრს შორის და ა. შ.), რომელთაგან ბევრი ორიგინალურია. მოთხრობის მხატვრული დონის ანალიზი არაა ჩვენი საგანი, მაგრამ გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენამდე მოღწეული ს. დოდაშვილის მემკვიდრეობიდან მოთხრობაში — „ელენა“ ყველაზე სრულად ჩანს ავტორის შეხედულებანი სამართლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში რეალიზაციაზე, პოზიტიურ (ფორმალურ) სამართალსა და საზოგადოებრივ აზრს შორის არსებულ წინააღმდეგობაზე, დანაშაულისა და სასჯელის თანაბარზომიერებაზე, დანაშაულის შემამსუბუქებელ გარემოებებზე, მტკიცებულებებზე, საოჯახო-საქორწინო სამართალზე და სხვ.

ს. დოდაშვილის აზრით, კანონი, როგორც წესი, ფორმალურის თვალსაზრისით განუხრელად უნდა განხორციელდეს. შვილის

მკვლელმა ელენამ აღიარა თავისი დანაშაული სასამართლოს წინაშე და თვითონ მოითხოვა დასჯა: „აჰა, ყრმა ესე არს შვილი ჩემი, მე ვარ მკვლელი მისი; მე ვარ, მსაჯულნო! აღასრულეთ თანამდებობა თქვენი: დამსაჯეთ მე ამისთვის... შურ აგეთ დედასა“. მაგრამ, ს. დოდაშვილის აზრით, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რამაც აიძულა ელენა, ეს მოქმედება ჩაედინა, იგი უნდა გამართლდეს. სასამართლოსათვის ელენას ჩვენებების შეფასებისას, ს. დოდაშვილი შენიშნავს, რომ ელენა მსაჯულებს მოუთხოვრებს მხოლოდ „ბრალსა თავისსა თავისასა და ჰფარავს გარემოებათა, განმალავებელთა ქმნად გარდახდომილებისა, რომელნიცა განამართლებდნენ მას“. ეს გარემოებებია: პირველი, მას არ შეეძლო მოეკლა საყვარელი ქმრისაგან შეძენილი შვილი, რომელიც თავდავიწყებით უყვარდა ელენას; მეორე, შვილის ფანჯრიდან გადაგდების წინ ელენა იყო აფექტის მდგომარეობაში, რაც გამოიწვია მამის უეცარი მოსვლას მოლოდინმა, რომელსაც თან დაერთო შემადრწუნებელი ყვირილი და თოფის ხმა, ელენამ კი წარმოიდგინა, რომ განრისხებულმა მამამ მოკლა მისი ქმარი და მოკლავს თავის ქალიშვილს და შვილიშვილსაც. ამ მძიმე მდგომარეობაში ჩადენილი მოქმედება, ფორმალური სამართლით დანაშაულია, თუ მას დანაშაული ეწოდება, ამიტომ სასამართლო მოქმედებდა პოზიტიური სამართლის მიერ დადგენილი წესების მიხედვით. ს. დოდაშვილი წერს: „ამას შორის სათნობასა ზედა, ბრალეულსა ზედა, გარდახდომასა შინა, უკეთე ესე იწოდების გარდახდომად, სამართალი იწარმოებდა თვისითა წესითა“.

სასამართლომ კანონის მხოლოდ ჰიტყვასიტყვითი გაგებით შეუფარდა სამართალი მოცემულ კონკრეტულ შემთხვევას, მოსამართლეებმა კანონის ასო-ანბანური განმარტების მიხედვით განსაზღვრეს ელენას მიერ ჩადენილი მოქმედების იურიდიული კვალიფიკაცია, თუმცა, შენიშნავს ს. დოდაშვილი, „მათ ძალებდათ, რათა ეპოვათ საქმესა ამასა შინა გარემოებანი, რომელნიცა განამართლებდნენ ელენასა წინაშე კაცთა, გარნა არა ძალებდათ განმართლება წინაშე სჯულისა“. სასამართლომ იხელმძღვანელა — კანონის ფორმალური მოთხოვნებით და ელენას, ვითარცა „ნებით გარდამხდომელს“ (დანაშაულის განზრახვით ჩამდენს) სიკვდილით დასჯა შეუფარდა.

ს. დოდაშვილმა მხატვრულ ნაწარმოებში დასვა სახელმწიფოს არსებობის ყველა ეპოქის სამართლის ფილოსოფიის ურთულესი სა-

კითხი, კერძოდ, კანონის მოთხოვნებსა და საზოგადოებრივ აზრს შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში როგორ უნდა მოიქცეს სამართლის ნორმის შემფარდებელი მოსამართლე.

ს. დოდაშვილი ზემოაღნიშნულ კონკრეტულ სასამართლო საქმეზე შენიშნავს, რომ სასამართლოს მიერ სამართლის ნორმის ასო-ანბანურად შეფარდებისა და ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის გაუ-თვალისწინებლობის გამო, საზოგადოება უკმაყოფილო დარჩა: „ერი აყვედრიდა მსაჯულთა, რომელთაცა განჩინებულ-ჰყვეს სიკვდილი უბრალომსა მის, რომელიცა ღირსი იყო უმეტეს სხვათა მიღებად ბედნიერებლსა; იგი ჰდრტივინვიდა შეუწყალებელსა სჯულსა ზედა, რომლისა გამოცა ელენა მიეცა საუბედუროსა მსხვერპლსა წარწყმე-დისა, ნაცვლად დასჯისა ერთთა მხოლოდ ავაზაკთა და სულის მსრველთა, მსხვერპლსა, სული რომლისაცა თვით გარდახდომასა ში-ნა დაშთა უბიწოდ და რომელიცა შეიქმნა ბრალეულად მხოლოდ განს-ჯის დაკარგვისასა; რომელმანმცა თვით თავსა თვისსა დასდეა ბრალი და რომლისთვისაცა უნებლიეთი გარდასულა ეს იყო ათასჯერ უფ-რო შესაძრწუნებელ, ვიდრედა სიკვდილი, რომელიცა მოელოდა მას, ამოანი სარჩიელნი... უსარგებლონი გლოვანი... წამი სამსჯავრო მო-ახლოვდა: ერთს წამს თავი ელენასი მოჰშორდა შევნიერსა სხეულ-სა მისსა — მან მიიღო სასჯელი, ვითარცა ნებითგან გარდამხდომელ-მან, ვითარცა საზარელმა გარდამხდომელმან“.

ს. დოდაშვილის მსჯელობაში მოცემულია პასუხი მის მიერ სა-მართლის ფილოსოფიის ზემოთ დასმულ რთულ კითხვაზე, კერძოდ იმაზე, თუ როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო, როცა არსებობს წინააღმდეგობა ფორმალური (პოზიტიური) სამართლის მოთხოვ-ნებსა და ჯანსაღ საზოგადოებრივ აზრს შორის. ს. დოდაშვილის აზ-რით, კანონის სწორი შეფარდებისათვის მოსამართლენი მხოლოდ იქიდან უნდა გამოდიოდნენ, რომ სამართალი მიზნად ისახავს დას-ჯას „ერთთა მხოლოდ ავაზაკთა და სულის მსრველთა“, და მთელი სისასტიკით უნდა სჯიდნენ „ნებით გარდამხდომელთ“ (განზრახ და-ნაშაულის ჩამდენ პირებს), რადგანაც იგი არის „საზარელი“ ბო-როტმოქმედება. კონკრეტულ შემთხვევაში მოსამართლეები, რომ-ლებიც აღმოჩნდნენ კანონის ფორმალური მოთხოვნის ტყვეობაში, უნდა ყოფილიყვნენ ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრით „შეწყალე-ბული სჯულის“ მხარეზე, მაგრამ, სამწუხაროდ, მსაჯულები იდგნენ

„შეუწყალებელსა სჯულსა ზედა, რომლისა გამოცა ელენა მიეცა საუბედუროსა მსხვერპლსა წარწყმედისასა, ნაცვლად დასჯისა ერთთა მხოლოდ ავაზაკთა და სულის მსხვერპლთა“. სწორედ ამის გამო ს. დოდაშვილი ელენას უწოდებს „უბრალოდ ბრალეულს“. ს. დოდაშვილის ამ მოსაზრებას უფრო ნათლად გამოხატავს ელენა სიკვდილის წინ წარმოთქმულ სიტყვაში: „ნუ ჰსტირთ სიკვდილსა ჩემსა სიცოცხლე იყო უფრო ღირსი მწუხარებისა, ბრალეული ქვეყანასა ზედა, წარვსდგები უბრალოდ ცათა შინა, სადაცა ვპაოებ განსვენებასა და მივიღებ წიაღთა შინა შემოქმედისა ჩემისათა მშვიდობასა. რომელიცა ვერ ვიხილე კაცთა შინა“.

ს. დოდაშვილის ამ ნაწარმოებში სხვა სამართლებრივ მოვლენათა შორის დიდი ადგილი ეთმობა საოჯახო-საქორწინო სამართალს, რომლის ნორმები მიზნად ისახავს საზოგადოებაში ადამიანთა ბედნიერ ცხოვრებას. ს. დოდაშვილს აზრით, საქორწინო ურთიერთობის მტკიცე საფუძველია ურთიერთპატივისცემა და სიყვარული, ამ ურთიერთობის სუბიექტთა სოციალური მდგომარეობის განურჩევლად. საქორწინო ურთიერთობის მონაწილეთა სოციალური წარმოშობის მიხედვით ქორწინების საკითხის მშობელთა მიერ გადაწყვეტას და ოჯახის მტკიცე საფუძვლის — სიყვარულის უგულებელყოფას ოჯახების ტრაგედია მოსდევს. ნაწარმოების მთავარ გმირებს — ელენასა და ამირანს უყვართ ერთმანეთი, რაც მათი მომავალი ოჯახის ზედნიერებებს საფუძველი უნდა გასდეს, მაგრამ ელენას მამა ომანი ქორწინების წინააღმდეგია, მან „უაჩყო წინადადება ამირანისა, ვინაჲდგან ხარისხსა ღირსებისა თვისისასა განაგრცელებდა ფრიად შორს და პრაცხდა უმალღესად! ქალსაცა თვისსა აღუქრძალა, რათა არაოდეს იხილოს საყვარელი თვისი“.

ს. დოდაშვილის აზრით, ბედნიერება მიუღწეველია მაშინაც, როცა ირდევია საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული საოჯახო-საქორწინო სამართლის ნორმები. მართალია, ელენასა და ამირანს უყვართ ერთმანეთი, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა ბედნიერებისათვის, მათი ტრაგედია განაპირობა საქორწინო სამართლის ნორმების შეუსრულებლობამ, კერძოდ, ამირანი ელენას კანონიერ ქორწინებამდე „პრაცხდა უკვე თავის მეუღლედ“. ელენა მამასთან შეუთანხმებლად ტოვებს ოჯახს და მხოლოდ ამის შემდეგ საიდუმლოდ იწერენ ჯვარს ეკლესიაში, სადაც ისინი დიდი ხნის წინათ ერთმანე-

თისათვის მიცემული ფაცის გამეორების შემდეგ „შეერთდნენ კაც შირითა ქორწინებისათა“. ამ შეცდომას მამა და ქალიშვილი მხოლოდ მის შემდეგ მიხვდებიან, როცა სასამართლოს განაჩენი უკვე გამოტანილია. სიკვდილმისჯილი ელენა აღიარებს, რომ მისი უბედურების მიზეზი მამა-პაპათა მიერ დადგენილი საოჯახო-საქორწინო წესების დარღვევაა: „მომიტევე, მამაო ჩემო... ცდომამან სიყვარულისა და სიყრმისაგან შემიყვანეს დაკარგვასა ამას შინა. უბედურო მშობელო ჩემო! მე ურჩ ვიქმენ შენი, ამას შინა მდგომარეობს უმთავრესი გარდახდომა ჩემი“.

ქალიშვილის მძიმე ხვედრმა გამოაფხიზლა მამამისი ომანიც, რომელიც კაცხავდა „გარდამეტებულსა სიფიცხესა თვისსა“, ქალიშვილის საქმის დაფარვისათვის „ფუქად წარაგებდა ფულთა“, უკვე ნანობდა, რომ ხელი შეუშალა მათ ბედნიერი ოჯახის შექმნაში. ხალხიც ცდილობდა, რათა „ბოროტშემთხვეული ქალი გამოეყვანათ სასჯელის ადგილიდან და წინაშე უნუგეშოხსა მამისა მიეყვანათ, რომელიცა უკვე შენანებულყოფდა, გარნა ყოველნივე ამაოდ მეცადინეობდნენ“, რადგან სასამართლოს განაჩენი უკვე გამოტანილი ჰქონდა.

ს. დოდაშვილმა ღრმა კვალი დაამჩნია ქართულ პოლიტიკურ და სამართლებრივ აზრს, სრულყო და განავითარა იგი იურიდიული მეცნიერების მიღწევების საფუძველზე, მტკაცვე საფუძველი შეუქმნა მე-19 საუკუნის ქართველ სამოციანელთა სამართლებრივ-პოლიტიკურ მსოფლმხედველობას. პოზიტიურ, სახელმწიფოს მიერ დადგენილ სამართალსა და ჯანსაღ საზოგადოებრივ აზრს შორის წინააღმდეგობის არსებობისა და მისი გადაჭრის აუცილებლობის შესახებ ს. დოდაშვილის მიერ დასმულ კითხვას კვლავ დაუბრუნდა ი. ჭავჭავაძე მოთხრობაში — „სარჩობელაზედ“ და იგი გადაჭრა ჰუმანიზმის მოთხოვნათა მიხედვით.

რეალისტი მოაზროვნის ს. დოდაშვილის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებები, რომელიც განავითარეს ქართველმა სამოციანელებმა, აქტიურად ეხმაურება თანამედროვეობას. ს. დოდაშვილის მოთხოვნა რუსეთის სახელმწიფოში გაუქმებული ქართული სახელმწიფოებრიობის რესპუბლიკის ფორმით აღდგენის შესახებ, ახალ ვითარებაში, კერძოდ, 1905 წლის რევოლუციის გაკვეთილების მიხედვით გაათართოვა და დაასაბუთა ი. ჭავჭავაძემ, რომელიც XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში აქტიუ-

რად იბრძოდა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საქართველოს ფართო ავტონომიისათვის საკუთარი, ეროვნული საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო დაწესებულებებით. ს. დოდაშვილის, ი. ქავჭავაძის და სხვა პროგრესული მოაზროვნეების მიერ დამკვიდრებული ტრადიციების საფუძველზე მეფის თვითმპყრობელობის მიერ გაუქმებული ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და განვითარების პროგრანისათვის ბრძოლაში მოგვიანებით დიდი წარმატებები მოიპოვა ქართველმა ხალხმა, რომელმაც შექმნა საკუთარი სუვერენული სახელმწიფო.

სოლომონ დოდაშვილის ნატურფილოსოფიური შეხედულებანი

სოლომონ დოდაშვილს სპეციალური ნატურფილოსოფიური თხზულება არ დაუწერია; მის ფილოსოფიურ მემკვიდრეობაში ვხვდებით ცალკეულ ნატურფილოსოფიურ იდეებს, რომლებიც, ალბათ, საფუძვლიანად იქნებოდა გაშლილი და დასაბუთებული, რომ მას მოესწრო ფილოსოფიის სრული კურსის გეგმის განხორციელება.

ს. დოდაშვილი იდეალისტური ფილოსოფიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, რაც აშკარად დაეტყო მის ნატურფილოსოფიურ იდეებს. კერძოდ, სივრცე და დრო მას, დაახლოებით, კანტისებურად ესმის. სივრცე და დრო, მისი აზრით, არ არის მატერიალური სამყაროს განსაზღვრულობანი, არამედ „ცხადად მტკიცდება მათი წარმოშობა გონებიდან“¹. ამასთანავე, სივრცე გაგებულია როგორც გარეგანი მგრძნობელობის ფორმა („კანონი“), ხოლო დრო—როგორც შინაგანი და გარეგანი მგრძნობელობისა. „ს ი ვ რ ც ე და დ რ ო, — წერს იგი, — რომელთაგან პირველი კანონია გარეგანი გრძნობისათვის, მეორე კი შინაგანი და გარეგანი გრძნობისათვის“². ეს იმას ნიშნავს, რომ აღამიანი სივრცეში არსებობას მარტოოდენ ბუნების საგნებსა და მოვლენებს მიაწერს, დროში კი არსებობს არა მხოლოდ გარეგანი საგნები და მოვლენები, არამედ აგრეთვე ჩვენი განცდები, გრძნობები, ფსიქიკური მოვლენები. ამიტომ დროის სფერო გაყოფებით ფართოა სივრცის სფეროსთან შედარებით.

ეს იდეა, სახელდობრ სივრცისა და დროის განსხვავება გარეგანი და შინაგანი მგრძნობელობის მიხედვით, ჯერ კიდევ არისტოტელემ გამოთქვა. როდესაც თვალებს დავხუჭავთ, ამბობდა არისტოტელე,

¹ ს. დოდაშვილი, თხზულებანი, თბ., 1961, გვ. 72.

² იქვე. გვ. 71.

მაშინ ვერ აღვიქვამთ სივრცეს, მაგრამ აღვიქვამთ დროს, ვინაიდან ჩვენი განცდები და გრძნობები მიმდინარეობსო. ეს განსხვავება იმითაა განპირობებული, რომ დრო მოძრაობის გარეშე არ არსებობს; იგი მოძრაობისა და ცვალებადობის მდგომარეობათა თანამიმდევრობის წესრიგია (სივრცისაგან განსხვავებით, რომელიც მატერიალური სხეულების ურთიერთგანლაგების წესრიგს წარმოადგენს), ხოლო მოძრაობს (ცვალებადობს) არა მხოლოდ მატერიალური საგნები და მოვლენები, არამედ, აგრეთვე, ჩვენი განცდები, გრძნობები, აზრები და ა. შ., მაშასადამე, დროის მოქმედების სფერო გაცილებით ფართოა. ასეთია არისტოტელეს თვალსაზრისი; მაგრამ ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ს. დოდანოვილს ეს იდეა აღებული აქვს არა არისტოტელედან, არამედ კანტიდან, რომელმაც იგი კიდევ უფრო მკვეთრად და ნათლად გამოთქვა.

ცნობილია, რომ კანტი, ნიუტონის გავლენით, სივრცისა და დროის მეტაფიზიკურ თეორიას იზიარებდა; ეს თეორია სივრცესა და დროს აბსოლუტურ მნიშვნელობას მიაწერდა და სუბსტანციებად თვლიდა, წყვეტდა მათ, ერთი მხრივ, მატერიისაგან, ხოლო, მეორე მხრივ, ერთმანეთისაგან. სივრცე და დრო, მის მიხედვით, არის მატერიის ადგილსამყოფელი, ქურჭელი, რომელსაც არსებითი კავშირი არა აქვს იმასთან, რის ქურჭელსაც წარმოადგენს. ერთი სიტყვით, სივრცე და დრო არსებითად ცარიელია; ხოლო ცარიელი სივრცის არსებობა არის მოძრაობის შესაძლებლობის აუცილებელი პირობა. მოძრაობა ფაქტია, მაშასადამე, ასეთივე ფაქტია ცარიელი სივრცის (და ცარიელი დროის) არსებობაც. ასე ფიქრობდნენ სივრცისა და დროის მეტაფიზიკური თეორიის დამცველები. ამ თეორიის პრინციპები ჯერ კიდევ ანტიკურ ფილოსოფიაში ჩამოყალიბდა, ხოლო ნიუტონმა იგი დააღაგა და თეორიის სახით წარმოადგინა თავის გენიალურ თხზულებაში—„ბუნებრივი ფილოსოფიის მათემატიკური საწყისები“.

კანტმა თითქმის უცვლელად მიიღო ნიუტონის აბსოლუტური სივრცისა და დროის თეორია, მაგრამ მას სუბიექტივისტური ხასიათი მისცა; თუკი ნიუტონი სივრცესა და დროს ობიექტურად არსებული მატერიალური საგნებისა და მოვლენების ადგილსამყოფლად თვლიდა, კანტმა ისინი ინტუიციის წმინდა ფორმებად გამოაცხადა და ამით სივრცისა და დროის მეტაფიზიკური თეორიის იდეალის-

ტური ინტერპრეტაცია მოახდინა. სივრცე და დრო, კანტის მიხედვით, შემმეცნებელი სუბიექტის გარეშე არ არსებობს. მაგრამ სხვა მხრივ კი კანტის სივრცისა და დროის თეორიაში შენარჩუნებულია ნიუტონის მეტაფიზიკური თეორიის ყველა არსებითი ნიშანი, ის ნიშნები, რას გამოც ნიუტონის თეორია მეტაფიზიკური იყო. სივრცე და დრო, კანტის მიხედვით, აბსოლუტურად დამოუკიდებელია ყველაფრისაგან. შეუძლებელია საგნების წარმოდგენა სივრცისა და დროის გარეშე, ამტკიცებს კანტი, მაგრამ სივრცისა და დროის წარმოდგენა საგნების გარეშე სავსებით შეიძლება. „არასოდეს არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ არ არსებობს სივრცე, მაგრამ ძნელი არ არის წარმოვიდგინოთ, რომ მასში არავითარი ნივთი არ არის“³. სივრცე და დრო მოვლენების შესაძლებლობის პირობებია; სწორედ ამიტომ ისინი არ არის დამოკიდებული მოვლენებზე, არამედ თვითონ მოვლენებია მათზე დამოკიდებული. ამდენად სივრცე და დრო აბსოლუტური ფორმებია; ისინი მოვლენების აბსოლუტურ პირობებს წარმოადგენს.

ეს აბსოლუტური სივრცე და აბსოლუტური დრო კანტს, ნიუტონის მსგავსად, ესმის როგორც ცარიელი სივრცე და ცარიელი (წმინდა) დრო. თუკი საგნებისაგან ყველაფერს განვაყენებთ, რაც შეგრძნებებში გვეძლევა, დაგვრჩება ინტუიციის ორი წმინდა ფორმა — სივრცე და დრო. მოვლენების მასალა ემპირიულად არის მოცემული და იგი გრძნობად მრავალსახეობას წარმოადგენს, ხოლო ის, რაშიც შეგრძნებების ქაოსური მრავალსახეობა წესრიგდება, არის მოვლენების ფორმები, რომლებიც აპრიორულია და ადამიანის სულში იმყოფება. სივრცე და დრო წმინდა, აპრიორული ფორმებია. ისევე როგორც ნიუტონის მეტაფიზიკურ კონცეფციაში აბსოლუტური სივრცე და დრო არის ცარიელი სივრცე და ცარიელი დრო, რომლებშიც განლაგებულია მატერიალური საგნები თანაარსებობისა და თანამიმდევრობის წესრიგის მიხედვით, ასევე ინტუიციის ამ ორ აპრიორულ ფორმაში წესრიგდება ემპირიულად მიღებული გრძნობადი მრავალსახეობა. სივრცე და დრო ორივე შემთხვევაში ადგილსამყოფელს, „ცარიელ ჭურჭელს“ წარმოადგენს. ამრიგად, კანტი

³ И. Кант, Соч., т. III, М., 1964. стр. 130.

უყოყმანოდ დგას სივრცისა და დროის გეგმიზმობრივი თეორიის პოზიციებზე.

ს. დოდაშვილს სივრცე და დრო არსებითად კანტიანურად ესმის და, ცხადია, ისიც სივრცისა და დროის მეტაფიზიკური თეორიის პოზიციებზე დგას. ეს აშკარად ჩანს ცარიელი სივრცის გაგების საკითხში. იონა ხელაშვილისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში იგი ეხება სივრცისა და დროის საკითხს და წერს: „მაღალ ღირსნო მამაო, ჩვენ განვსაჯეთ ქვეყნისა ცარიელობა მატერიათა შინა, ვითარცა იხილებების შეკითხვისა მოგებისა ზედა თქვენსა და აწ უკვე მივჭმართავ ყურადღებასა ჩემსა მცნობელი ქვეყანასა ზედა ცარიელობასა — სულსა შინა არსა ანუ არა? კითხვასა ამასა ზედა მოკლედ ვიტყვი, მამაო, ცარიელობა არს ადგილი ცარიელი, ხოლო სულთა და ანგელოსთა არა ძალუძსთ ადგილისა ქონებად და არცა მოძრაობისა, არამედ მოქმედებისა, ვინაითგან, მაშასადამე, არცა სულთა ანგელოსთა ჩვენთა და დემონთა არ ძალუძსთ ცარიელობისა ქონებად“⁴.

ამრიგად, ს. დოდაშვილი თვლის, რომ სიცარიელე არის ცარიელი ადგილი, ე. ი. ისეთი ადგილი, რომელშიც არავითარი მატერიალური ნივთი არ იმყოფება. ეს ნიშნავს, რომ მას ცარიელი სივრცე აბსოლუტური მნიშვნელობით ესმის და არ იზიარებს დეკარტის რელატიური სიცარიელის თეორიას, რომლის მიხედვით ცარიელი ნიშნავს არა აბსოლუტურად ცარიელ სივრცეს, არამედ მხოლოდ იმას, რომ იქ არ არის ის ნივთი, რომლის არსებობას ვეარაუდობდით.

ცარიელი სივრცის ამ გაგებიდან ს. დოდაშვილი იმ დასკვნამდე მიდის, რომ სული ან, საერთოდ, იმატერიალური ჰინამდვილე არ შეიძლება სიცარიელეს შეიცავდეს, ვინაიდან სიცარიელე („ცარიელობა“) „არს ადგილი ცარიელი“, ე. ი. ცარიელი სივრცე, ხოლო არამატერიალური კი სივრცეში არ არსებობს, მას არა აქვს ადგილი — არც ცარიელი და არც სავსე. ეს ნიშნავს, რომ სივრცისა და დროის შესახებ მარტოოდენ მატერიალური სამყაროს მიმართ შეიძლება ვილაპარაკოთ და ამდენად ცარიელი სივრცეც მხოლოდ და მხოლოდ ამ სამყაროში შეიძლება არსებობდეს.

მართლაც, ყველა ჭაფუჭველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ს. დოდაშვილი აღიარებს ცარიელი სივრცის არსებობას მატერიალურ სამყაროში.

⁴ ს. დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 247.

როში. ადამიანი, რომელიც ნიუტონისა და კანტის პოზიციებზე იდგა სივრცისა და დროის გაგების საკითხში, არ შეიძლება ცარიელი სივრცის არსებობას უარყოფდეს. ს. დოდაშვილი ამჯერად უთუოდ თანამიმდევრული იყო.

ის გარემოება, რომ ს. დოდაშვილი ცარიელი სივრცის არსებობას ნამდვილად აღიარებს, დასტურდება მისი წერილიდან იონა ხელაშვილისადმი. სულსა და ანგელოსებში ცარიელი სივრცის არსებობის შეუძლებლობის ერთ-ერთ ძირითად საბუთად იგი იმას თვლის, რომ სული და ანგელოსები არ მოძრაობენ (ფიზიკური მოძრაობის, ე. ი. ადგულგადანაცვლების აზრით), არამედ მხოლოდ მოქმედებენ (იდეალურად). აქ იგულისხმება, რომ ფიზიკური მოძრაობის არსებობა ცარიელი სივრცის არსებობას საკიროებს (როგორც ამას ამტკიცებდა სივრცისა და დროის მეტაფიზიკური თეორია), ხოლო სადაც მოძრაობა შეუძლებელია, იქ არც ცარიელი სივრცე არაებობს (უფრო ზუსტად: მოძრაობის შეუძლებლობას ცარიელი სივრცის არსებობა განაპირობებს). ამრიგად, უდავოა, რომ ს. დოდაშვილი ცარიელ სივრცეს მოძრაობის შესაძლებლობის აუცილებელ პირობად თვლიდა და, მამასადამე, ფიზიკური მოძრაობის ფაქტიდან იგოტრადიციულად დასკვნას აკეთებდა ცარიელი სივრცის არსებობის შესახებ.

თითქმის ისიც უდავო უნდა იყოს, რომ სივრცისა და დროის შესახებ ს. დოდაშვილის თვალსაზრისის შემუშავებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იონა ხელაშვილმა, რომელიც დოგმატურად იდგა მეტაფიზიკური თეორიის პოზიციებზე. სახელდობრ, იგი აღიარებდა ცარიელი სივრცის არსებობას („სოფელსა შინა არს ცარიელობა“) და ეკამათებოდა დეკარტსა და კარტეზიანელებს, რომლებიც მარტოოდენ რელატიური სივრცის არსებობას უშვებდნენ და ცარიელს უწოდებდნენ ისეთ სივრცეს, „რომელშიც არ არის ის, რაზეც ვფიქრობთ, რომ იქ უნდა იყოს“⁵. იონა ხელაშვილის მიხედვით, ცარიელი სივრცე მთლიანად ცარიელია; მასში არაფერი არ არსებობს („ერთნი მეორეთა ადგილსა შინა არ დაიდებიან განმქარვებლად სხვათა“). ცარიელი სივრცის არსებობის საბუთად მას მიაჩნია საგანთა გაფართოებისა და შემკვიდროების შესაძლებლობა გათბობისა და

⁵ Р. Декарт, Избр. произв., М., 1950, стр. 473.

გაცილებს შედეგად („მეტალთა განადიდებს ცეცხლი... წყალთა შეაწროებს ნეფხვა,“ ე. ი. ყინვა). ეს თვალსაზრისი ი. ხელაშვილს გადმოცემული აქვს ერთ-ერთ წერილში ს. დოდაშვილისადმი, სადაც ნათქვამია შემდეგი: „მწერ (კ)არტეზიანელთაგან ცარიელობისა შეუწყნარებლობასა. მათ ოჩოპინტრულად განუსჯიათ თვთნება თვსთაგან. აჰა, თვთ მე განვსაჯე მეფის ძის იოჰანეს შეკითხვათა შინა, რომელ სოფელსა შინა არს ცარიელობა არა ეგრეთი რათამცა ესოდენი სხვაცა სოფელი დაეტიოს, არამედ იხილვების ნივთნი, რომელნი შინაგან სამნი მმუფებელნი იძვრიან და გარეგან განრაოდენდებიან, თუმცა ერთნი მეორეთა ადგილსა შინა არ დადებიან განმქარვებლად სხვათა; გარნა ურთიერთ დატევილობენ, რომელნი შეიმპირვიან ბუნებითადცა და უფროსდა ხელოვნებითად და დაწვლილდებიან და განდიდდებიან და საკუთარისა მოძრაობითა საზოგადოცა სოფელისთანა იძვრიან და აქვსთა მზნეჟელობა და მეტალთა განადიდებს ცეცხლი და წყალთა შეაწროებს ნეფხვა და გუამთა ჩუენისა ძარღვნი ტკაცუნითა დაცარიელდებიან ჰაერისაგან და აღივსებიანცა და უკეთუ კვრივთ ყოფილიყო, სოფელ განჰედილცა იყოს მჰსგავსად გრდემლისა უძრავად და არცაღა სჰობა და ხრწნა ყოფილიყო სოფელსა შინა და ოქროს ნოტიო და ჰაერი არღა მიეღო თავს შორას და ცეცხლი არცაღა მიწასა ჰქონოღა მტუერნი და მღვრნი და არცაღა ეგრეთი ცარიელობა აქვს, ვითარცა ღრუბელთა და ცხრილთა, არამედ გსელურნი ზედურნი ცარიელობა ჰქონანთ ყოველთა ნივთთა და არიან ურთიერთ შექსოვილ ოთხნი ელემენტნი უმთავრესნი სამ განფენილად“⁶.

ამრიგად, იონა ხელაშვილი აბსოლუტური სიცარიელის თვალსაზრისზე დგას და არსებითად იმავე არგუმენტებს მიმართავს, რასაც თავის ღროზე ნიუტონი მიმართავდა. აქედან გამომდინარეობს, რომ იგი აბსოლუტური სივრცის (და ღროის) არსებობას უშეგებდა, ვინაიდან აბსოლუტურად ცარიელი სივრცე ძველთაგანვე მიჩნეული იყო როგორც აბსოლუტური სივრცე.

თუ რაოდენ მტკიცედ იდგა ი. ხელაშვილი სივრცისა და ღროის

⁶ ციტირებულია გ. დედაბრიშვილის სტატიიდან: „ი. ხელაშვილი და მისი 34 შეკითხვის წიგნი“. იხ. იონა ხელაშვილი, ოცდაოთხმეტი შეკითხვის წიგნი, თბ., 1967, გვ. 18—19.

მეტაფიზიკური თეორიის პოზიციებზე, იქიდანაც ჩანს, რომ სივრცისა და დროის შესახებ ლაიბნიცისა და კლარკის ცნობილი კამათის⁷ ანალიზის პროცესში მას აქტიურად უჭირავს კლარკის პოზიციები და იბრძვის სივრცისა და დროის რელატივისტური (ლაიბნიცის) გაგების წინააღმდეგ. იგი პირდაპირ ამბობს, რომ „ლეიბნიციოს ბრალეულ არს, ხოლო კლარკი არხიერი⁸ მართალ არს“. ი. ხელაშვილი მკითხველებს ურჩევს არ წაიკითხოს ლაიბნიცის თხზულებანი, ვინაიდან „ლეიბნიცი შორდების სიბრძნესა მალაღისასა“.

ს. დოდაშვილის წერილიდან ი. ხელაშვილისადმი, რომლის ნაწყვეტი ზემოთ მოვიტანეთ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ი. ხელაშვილი ეკამათება ს. დოდაშვილს სივრცისა და დროის გაგების საკითხში, ხოლო ამ კამათის შედეგად ს. დოდაშვილი ცარიელი სივრცის არსებობას აღიარებს და, მაშასადამე, სივრცისა და დროის მეტაფიზიკური თეორიის პოზიციებზე დგება. თუ ეს ასეა, მაშინ

⁷ XVIII საუკუნის პირველ ათეულ (კერძოდ, 1715—1716) წლებში მიმდინარეობდა კამათი ლაიბნიცისა და კლარკის შორის სივრცისა და დროის საკითხზე. კლარკი ნიუტონის მოწაფე იყო და, ცხადია, ნიუტონის თეოლანტიკის იცავდა. სწორედ ამიტომ ამ კამათს სამართლიანად თელიან ნიუტონისა და ლაიბნიცის კამათად. სულ დაიწერა ლაიბნიცის ხუთი წერილი და კლარკის ამდენივე პასუხი, რომლებშიც ასახულია დიამეტრული წინააღმდეგობა ლაიბნიცისა და ნიუტონის სივრცისა და დროის თეორიებს შორის. კამათი შეწყვიტა ლაიბნიცის გარდაცვალებამ (1717). ნიუტონი სივრცისა და დროის მეტაფიზიკურ თეორიას იცავდა, კერძოდ, თვლიდა, რომ არსებობს აბსოლუტური, უპირობო, ყველაფრისაგან დამოუკიდებელი, ე. ი. ცარიელი სივრცე და დრო, რომლებშიც, როგორც კურკელში მოთავსებულია მატერიალური სამყარო. ლაიბნიცმა კი ამ კამათში ჩამოაყალიბა სივრცისა და დროის რელატივისტური თეორია. რომლის მიხედვით, სივრცე არის თანაარსებობის წესრიგი, ხოლო დრო — თანამიმდევრობის წესრიგი; ისინი, როგორც წესრიგები, რელატიურია — დამოკიდებულია იმაზე, რის წესრიგსაც წარმოადგენს. ეს ნიშნავდა აბსოლუტურად ცარიელი სივრცისა და დროის უარყოფას და, საერთოდ, სივრცისა და დროის მეტაფიზიკური თეორიის დაქვევას.

ლაიბნიცისა და კლარკის (არსებითად ნიუტონის) კამათი სივრცისა და დროის შესახებ ცნობილი იყო ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში. ლაიბნიცის სამი წერილი და კლარკის ამდენივე პასუხი ფრანგული ენიდან ქართულად თარგმნა ილია ბატონიშვილმა (ბაგრატიონმა). ეს თარგმანი იონა ხელაშვილმა გადაწერა და ბოლოსიტყვაობა დაურთო, რომელშიც გარკვეულია მისი დამოკიდებულება მოკამათე მხარეებისადმი.

⁸ „არხიერი“ — სასულიერო პირი; კლარკი სასულიერო პირი იყო.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ს. დოდაშვილი, თუ მთლიანად არა, ყოველ შემთხვევაში ნაწილობრივ მანაც, თანაუგრძნობდა სივრცისა და დროის რელატივისტურ მოძღვრებას, რაც მაშინ საკმაოდ ცნობილი იყო, შემდეგ კი, ი. ხელაშვილის გავლენით, იგი თვალსაზრისს იცვლდა და საბოლოოდ დგება სივრცისა და დროის მეტაფიზიკური თეორიის პოზიციებზე. ცხადია, იონა ხელაშვილის გავლენა აქ მთავარი არ იყო, ვინაიდან ის, ვისაც სივრცე და დრო კანტის მიხედვით ესმოდა, არ შეიძლებოდა სივრცისა და დროის გაგების საკითხში რელატივისტი ყოფილიყო.

ს. დოდაშვილი ერთმანეთისაგან მკვეთრად არ განასხვავებს მიზეზშედევგობრივსა და პირობაშედევგობრივ კავშირს. „იმას, რაც შეიცავს პირობას, — წერს იგი, — რის გამოც იცვლება მეორე, ეწოდება მიზეზი, ხოლო მომხდარი ცვლილება არის შედეგი“⁹. მიზეზი, ცხადია, შედეგის წარმოშობის პირობაა, მაგრამ ყოველგვარი პირობა არ არის მიზეზი. ეტყობა, ს. დოდაშვილი მიზეზისა და პირობის გაიგივების ტრადიციას მისდევს.

მიზეზობრიობის ძირითად ნიშნად აუცილებლობა ითვლება; მიზეზისა და პირობის ზემოაღნიშნული გაგებიდან კი გამომდინარეობს, რომ ს. დოდაშვილი მიზეზობრივ აუცილებლობას აუცილებლობის ერთადერთ შესაძლებელ ფორმად თვლიდა. შემთხვევითობას ტრადიციულად ესმის. შემთხვევითი, მისი აზრით, არის ის, რაც შეიძლება იყოს და არც იყოს, ანუ რასაც შეუძლია არსებობაც და არარსებობაც. ეს აზრი არისტოტელედან მომდინარეობს, რომელსაც ს. დოდაშვილი იზიარებს.

მაგრამ თუ ს. დოდაშვილის აზრთა მსვლელობას გავითვალისწინებთ, უნდა დავასკვნათ, რომ იგი შემთხვევითობის ობიექტურობას უარყოფდა და, მაშასადამე, ლაპლასის დეტერმინიზმის პოზიციებზე იდგა. შემთხვევითობის ზემოაღნიშნული გაგება (შემთხვევითობა, რასაც შეუძლია არსებობაც და არარსებობაც) მისი რეალობის აღიარებას ჯერ კიდევ არ ნიშნავს. შემთხვევითი რომ არსებობდეს, მაშინ იგი ასეთი იქნებოდა, მაგრამ აქედან მისი არსებობა არ გამომდინარეობს. მართლაც, ს. დოდაშვილი სამყაროში მკაცრი ურთიერთგანპირობებულობის, მიზეზობრივი ჯაჭვის უწყვეტობის არსებობას

⁹ ს. დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 77.

აღიარებს. „სამყარო ურთიერთობათა სისტემაა, — წერს იგი, — რომელშიც ყველაფერი გაზომილია, აწონილია, აღრიცხულია; ყველაფერი გადამშულია მიზეზთა და შედეგთა, საშუალებათა და მიზანთა განუყრელი კავშირით; ყველაფერი ექვემდებარება უცვლელ წესებს, მარადიულ კანონებს; ესაა უსასრულო ჯაჭვი, რომელიც ერთ საწყისში იწყება და მთავრდება“¹⁰. ხოლო შემდეგ იგი წერს: „გვიჩვენეთ თუნდაც ერთი ნაწილი ადამიანის შემადგენლობაში, თუნდაც ერთი მოქმედება ამ მცირე სამყაროში, რომელიც მუდმივ კანონებს არ ექვემდებარებოდეს“¹¹. უდავოა, რომ ს. დოდაშვილი ლაპლასის დეტერმინიზმის პოზიციებზე დგას; ეს სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან იმ დროს ლაპლასის დეტერმინისტული კონცეფცია საბუნებისმეტყველო და ფილოსოფიურ აზროვნებაში გაბატონებული იყო.

მაგრამ ლაპლასის დეტერმინიზმი სხვადასხვა ტიპისა იყო—მატერიალისტურიც და იდეალისტურიც. ისინი, ვინც ბუნებას ობიექტურ, თავისთავად არსებულ რეალობად თვლიდნენ, ლაპარაკობდნენ მატერიალურ მიზეზშედეგობრივ კავშირთა აუცილებელი ხასიათის შესახებ. ასეთი იყო თუნდაც ანტიკური ეპოქის ატომისტური კონცეფცია (ლაპლასის დეტერმინიზმს თავისი ძირები ჯერ კიდევ ანტიკურ ფილოსოფიაში აქვს). მაგრამ ამასთანავე არსებობდა იდეალისტური დეტერმინიზმიც. ამის უშუალო ნიმუშს. წარმოადგენდა ი. ხელაშვილის დეტერმინისტული მსოფლმხედველობა. იონა ხელაშვილი ლაპლასის დეტერმინიზმის პოზიციებზე იდგა, მაგრამ დეტერმინიზმი მას იდეალისტურად ესმოდა. სახელდობრ, იგი უარყოფდა შემთხვევითობის არსებობას ბუნებაში იმის გამო, რომ შემთხვევითობის დაშვება ღვთიური მიზეზობრიობის აღიარებას ეწინააღმდეგება. სამყაროში მარტოოდენ აუცილებლობა სუფევს, მაგრამ ამ აუცილებლობას ღვთიური ხასიათი აქვს.

მიუხედავად ამისა, ი. ხელაშვილი შემთხვევითობის ცნებას მიმართავდა: „შემთხვევითს იგი უწოდებს იმას, „რომელსაც თქსი მიზეზი გარეგან უპყრიეს“, ე. ი. რომელიც თვითმიზეზს კი არ წარ-

¹⁰ ს. დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 45.

¹¹ იქვე, გვ. 46.

შოადგენს, არამედ თავისი მიზეზი თავის გარეთ აქვს. მისგან განსხვავებით არსება, ანუ აუცილებლობით არსებული (არსებას ი. ხელაშვილი აუცილებლობის ნიშანს მიაწერს) თავისთავად არსებობს და თავისი არსებობისათვის არ საჭიროებს სხვა რაიმეს არსებობას. „არსება არს თავით თვისით მყოფი უმოქენოდ სხვასა შემტკაცები-სა“¹². ამრიგად, შემთხვევითი არის ის, რაც სხვაზეა დამოკიდებული, რასაც თავისი მიზეზი სხვაში აქვს; არსება და აუცილებელი კი შინაგანი მიზეზობრიობის მქონეა. აქ არსებითად გამოთქმულია სუბსტანციისა და აქციდენციის ურთიერთობის თვალსაზრისი, რაც არისტოტელესა და, განსაკუთრებით, სპინოზას შემდეგ საკმაოდ ცნობილი ამბავია.

ძნელია იმის თქმა, თუ რა ხასიათს ატარებდა ს. დოდაშვილის დეტერმინიზმი. მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი ი. ხელაშვილის გავლენით შემუშავდა და, მაშასადამე, იდეალისტური ხასიათი ჰქონდა. ამას გვაფიქრებინებს მისი დეტერმინისტული შეხედულების ტელეოლოგიური ელფერი. იგი წერს: „ყველაფერი გადაბმულია მიზეზთა და შედეგთა, საშუალებათა და მიზანთა განუყრელი კავშირით“. ცნობილია, რომ მიზნის ცნება ლაპლასის ტიპური დეტერმინიზმისათვის უცხოა. მიზანი ყოველთვის რაღაც სუბიექტს (თუნდაც აბსოლუტს) გულისხმობს, რომელსაც ეს მიზანი გააჩნია. ტელეოლოგიური დეტერმინიზმი შესაძლებელია ისევე ემყარებოდეს ფატალური აუცილებლობის ცნებას, როგორც ლაპლასის მექანიკური დეტერმინიზმი, მაგრამ მათ შორის მანც არსებითი განსხვავებაა. პირველი ზებუნებრივი, გონიერი ძალების არსებობას გულისხმობს, რომელიც მიზანს ისახავს და ახორციელებს, მეორე კი — ლაპლასის დეტერმინიზმი — მექანიკურ ხასიათს ატარებს, იგი „ბრმა“ ძალებს ემყარება და ყოველგვარ მიზნობრიობას მოკლებულია. ამრიგად, ს. დოდაშვილი ლაპლასის დეტერმინიზმის ინტერპრეტაციისას იდეალისტური (ტელეოლოგიური) დეტერმინიზმისაკენ იხრება, სამყაროს დეტერმინისტულ კონცეფციაში მიზნის ცნება შემოაქვს. ამ შემთხვევაში მას ლაპლასის დეტერმინიზმი არსებითად ისევე ესმის, როგორც ი. ხელაშვილს.

¹² ი. ხელაშვილი, ოცდაათხმეტი შეკითხვის წიგნი, გვ. 53.

როდესაც ვლაპარაკობთ ი. ხელაშვილის გავლენაზე ს. დოდაშვილის მსოფლმხედველობაზე, საჭიროა გავითვალისწინოთ ამ გავლენის ფარგლები. ი. ხელაშვილი, როგორც ცნობილია, მებრძოლი იდეალისტი იყო; იგი იბრძვის მატერიალიზმისა და ათეიზმის წინააღმდეგ, ანათემას უგზავნის სპინოზას, ვოლტერს, რუსოს, დიდროს, დალამბერსა და სხვა მატერიალისტებს და ენერგიულად იცავს თეოლოგიურსა და იდეალისტურ მსოფლმხედველობას. ს. დოდაშვილის შესახებ ი. ხელაშვილის მსოფლმხედველობის ანალოგის მიხედვით ლაპარაკი შეუძლებელია. ყოველ შემთხვევაში ს. დოდაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა არ ადასტურებს იმას, რომ იგი იყო ი. ხელაშვილის ფილოსოფიური შეხედულებების ორთოდოქსული მიმდევარი. პირიქით, ზემოთ ვნახეთ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად. სივრცისა და დროის გაგების საკითხში) იგი კიდევ შორდება მას, თუმცა ეს „დაშორება“ ბოლომდე ვერ მიჰყავს. მით უმეტეს ითქმის თეოლოგიურ-იდეალისტური შეხედულებების შესახებ, რომლის პოზიციებზეც ი. ხელაშვილი დოგმატურად იდგა. ს. დოდაშვილისა და ი. ხელაშვილის ფილოსოფიური შეხედულებების განსხვავება სრულიად ბუნებრივად გამოჩნდება, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ს. დოდაშვილის მსოფლმხედველობა რუსეთისა და დასავლეთი ევროპის უახლესი ფილოსოფიის (განსაკუთრებით, გერმანული კლასიკური იდეალიზმის) უშუალო გავლენით ჩამოყალიბდა, რომელიც, თუნდაც იდეალიზმის შემთხვევაში, „ზომიერი“ იყო და ისეთ უკიდურესობაში არ ვარდებოდა, როგორც ი. ხელაშვილი. მიუხედავად ამისა, ს. დოდაშვილი ძირითადად მაინც ი. ხელაშვილის მსოფლმხედველობის თანამოაზრე იყო, რამდენადაც ორთავე იდეალიზმის პოზიციებზე იდგნენ.

ს. დოდაშვილის მსოფლმხედველობა; ზოგადად აღებული, მეტაფიზიკურია. სახელდობრ, იგი თვლის, რომ სამყარო არსებითად უცვლელია; მოძრაობა და ცვალებადობა სინამდვილის მარტოოდენ გარეგან მხარეებს ეხება, სინამდვილის არსება კი უცვლელია. „თუ განვიხილავთ ნივთებს, როგორც არსებულთ, — წერს იგი, — ვხედავთ, რომ ისინი ყოველგვარი ცვლილებისას, რასაც კი განიცდიან, იგივენი რჩებიან. ის მუდმივი, მკვიდრი წერტილი, რომლის გარშემოც ყველა ცვლილება ტრიალებს, არის არსება (substan-

lia), ყოველივე დანარჩენი კი, განუწყვეტლად ცვალებადი, არის შემთხვევითობა“¹³.

აქ არსებითად გამოთქმულია არსებისა და მოვლენის ურთიერთობის ტრადიციული თვალსაზრისი, რომელიც ისევ ანტიკურ ფილოსოფიაში იღებს დასაბამს; სინამდვილის არსება უცვლელია. არსება უცვლელს, მარადიულს, უპირობოს, ე. ი. აბსოლუტურს ნიშნავს; ცვალებადობა კი მარტოოდენ ფენომენალურ სამყაროში ხდება; იცვლება მოვლენები, ხოლო მათი არსება უცვლელია. ეს არის ცნობილი მეტაფიზიკური თვალსაზრისი, რომელიც სინამდვილის არსებით უცვლელობას ამტკიცებდა. აქედან წარმოდგებოდა შეხედულება ბუნების, როგორც ცვალებადისა და წარმავალის, არამარადიულობის შესახებ. ნამდვილი არსებობის ნიშანს მარტოოდენ აუცილებლობით არსებულს მიაწერდნენ, რომელიც ამავე მიზეზით მარადიულია, ხოლო ცვალებადს, მოძრავს თვლიდნენ შემთხვევითად და, მაშასადამე, არანამდვილად. ეს მეტაფიზიკური კონცეფცია ბატონობდა არა მხოლოდ ანტიკურ ეპოქაში, არამედ ახალ დროშიც. ამიტომ საკვირველი არ არის, თუ მას აღიარებდა ს. დოდაშვილიც, რომელიც იდეალისტურ-მეტაფიზიკური ფილოსოფიის პოზიციებზე იდგა.

ს. დოდაშვილი თავისი ეპოქის პირმშო იყო და, მაშასადამე, იზიარებდა მისი დროის მსოფლმხედველობის დადებითსა და უარყოფით მხარეებს; იდგა მისი თანამედროვეობის დონეზე ფილოსოფიის ყველა დარგში, მათ შორის ნატურფილოსოფიაშიც.

¹³ ს. დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 76.

სოლომონ დოდაშვილის პედაგოგიური შეხედულებანი

სოლომონ დოდაშვილი რუსეთის მოწინავე მწერლებთან და პროგრესულად მოაზროვნე პედაგოგებთან დაახლოებული პირი იყო. იოანე ხელაშვილისადმი 1827 წლის 15 ივნისის თარიღით გაგზავნილ ბარათში იგი წერდა: „აქამოდე მაქენდა ჩინებულსა პოეტთან და მწერალთან საუბრობა, რომელნიცა იქებოდნენ პეტერბურღსა შინა თვისითა საქმეებითა და ყოველსა ქვეყანასა ზედა ისმიან პატროსნებანი მათნი“¹.

ღრმად ერუდირებულ, ფართოდ განათლებულ ახალგაზრდა ნიქიერ ფილოსოფოს ს. დოდაშვილს მკიდრო იდეურ-მსოფლმხედველობრივი ურთიერთობა ჰქონდა რუსეთის პროგრესულ-დემოკრატიული მწერლობის წარმომადგენლებთან. მათ პოზიციებზე იღვას. დოდაშვილიც, როგორც განმანათლებელი. განმანათლებლებს კი „...დასავლეთშიც და რუსეთშიც... სავსებით გულწრფელად სწამდათ საყოველთაო კეთილდღეობა და გულწრფელადვე სწადდათ იგი, გულწრფელად ვერ ხედავდნენ (რამდენადმე არც შეეძლოთ ჯერ დაენახათ) იმ წყობილების წინააღმდეგობებს, რომელიც ბატონყმური წყობილებიდან იზრდებოდა“².

პროფესორ გ. თავზიშვილის შეხედულებით, ს. დოდაშვილი განმანათლებელი იყო, ხოლო ლენინის გამოთქმით: „განმანათლებლები მოსახლეობის არც ერთ კლასს არ გამოჰყოფდნენ, როგორც თავი-

¹ გ. თავზიშვილი, ა. ს. პუშკინის სახელობის თბი შრომები; V, 1958, გვ. 287, შდრ. გიორგი თავზიშვილი, რჩ. პედ. თხზ., ტომი III, თბ., 1980, გვ. 251—281.

² გ. ი. ლენინი, თხზ., ტ. VI, გვ. 322.

სი განსაკუთრებული ყურადღების საგანს. ისინი ლაპარაკობდნენ არა მარტო ხალხზე საზოგადოდ, არამედ ერზეც კი საზოგადოდ“³.

ს. დოდაშვილის აზრით, სკოლისა და ოჯახის მთავარი ამოცანაა სამშობლოს, ხალხთა სიყვარულით ბავშვების აღზრდა. ამ ამოცანის განხორციელებისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს მეცნიერულად გამართული მეთოდებით შეიარაღებული, გამოცდილი ოსტატ-მასწავლებლები. დოდაშვილს მიაჩნია, რომ უმეცრება მონობას იწვევს, განათლება კი მთავარი გზაა „დაეიწყებულ მოქალაქეობრივი თავისუფლების“ აღსადგენად. დოდაშვილის შეხედულებით, მძიმე მდგომარეობისა და სიბნელისაგან ხალხის გამოყვანისათვის „აწინდელსა დროსა მამულისა ჩვენისათვის დიდ ფრიადსაჟირო არს სწავლა“⁴.

ხალხურობა, პატრიოტიზმი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სამსახური — ს. დოდაშვილისათვის განმანათლებლობის საფუძველს და მისი მოღვაწეობის მამოძრავებელ იდეალს წარმოადგენდა.

იგი ჩვენში ევროპული განათლების გავრცელების, მშობლიური ენის დაცვა-გამდიდრებისა და მოწინავე რუსულ კულტურასთან ქართველი ხალხის დაახლოების ერთ-ერთი პირველი მებაიარაბტრე იყო, რომლის შეხედულებით, მთავარ იდეალად უნდა გავიხადოთ „შესაწევნელად განათლებისა, განვრცელებისათვის ბუნებითისა, ენისა ჩვენისა და მიიხლოებისათვის განმბრძნობელთა მცხოვრებთა ევროპიისათა“⁵. ამავე დროს, იგი დიდად აფასებდა მოწინავე რუსეთის გზით ევროპული განათლების მიღებას, ქართველი ახალგაზრდობის აღჭურვას „...სწავლათა შინა და დადგომად არათუოდენ ხარისხსა ზედა პირველისა დირსებისა ჩვენისაჲსა, არამედ ყოფადცა ოდესმე ხარისხის ზედა ევროპიელთა ერთასა“⁶.

³ იქვე, გვ. 382.

⁴ გ. თავეზიშვილი, რჩ. ნაწერები, ტ. I, თბ., 1974, გვ. 463.

⁵ იქვე, გვ. 464.

⁶ გ. თავეზიშვილი, რჩ. პედ. თხზ., ტ. III, 1980, გვ. 276.

თავისი დროის დიდი პატრიოტი, რომელიც შორს იდგა ვიწრო ნაციონალისტური გაგებისაგან, ს. დოდაშვილი პატივისცემით იხსენიებდა „პატიოსან და მშრომელ“ რუს ხალხს, მაღალ შეფასებას აძლევდა „მკვირცხლ მისწრაფებასა... როსიელთასა სწავლათა შინა“⁷.

მსგავსად რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების პედაგოგიური მოძღვრებისა, ს. დოდაშვილი საზოგადოების წინსვლის საფუძვლად ქალ-ვაჟთა საყოველთაო განათლების პრინციპს აღიარებდა, რადგან ცხოვრებისეულ ჰემშარიტებად მიაჩნდა, რომ „სწავლასა შინა დიდის კაცისა და მცირისა (შვილები) ერთნი და იგივენი არიან, ე. ი. ერთად შესარაცხ არიან მასწავლებლისთანა“⁸.

მასწავლებელი, აღმზრდელი—ამტიციებდა სოლომონ დოდაშვილი,—ვალდებულია ყველა ბავშვს (ვისი შვილიც არ უნდა ყოფილიყო),—ერთნაირად ეპყრობოდეს, რათა აქციოს იგი „სხუა ადამიანად“, მისცეს მათ „განათლება გონებისა და განვითარება გულისა“, რომელიც „...ხშირად შეცვლის ყოვლადობასა კაცისასა“⁹.

ეკროპელ და რუს განმანათლებელთა გავლენით ს. დოდაშვილი სწავლა-აღზრდას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა საზოგადოებრივ წინსვლასა და ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესებაში. მისი აზრით, განათლება არის უმტკიცესი და უუსაიმედოესი საფუძველი კეთილმდგომარეობისა ყოვლისა საზოგადოებისა: „ყოველმან უწყის, რომელ საზოგადოება, შემდგარი კეთილაღზრდილთა წევრთაგან, შეიქმნების გაწმენდილს წყაროდ საერთო კეთილმოქმედებათა, დიდებისა და შემძლებლობისა; მას შინა სცნობს წმინდა ეკლესია ჰემშარიტთა ძეთა, მოქალაქეობა-მამულის მოყვარეთა, ხოლო მშობელნი — თავისსა ნუგეშსა“¹⁰.

მოსწავლეთა ჰარმონიული აღზრდა-განვითარებისათვის აუცილე-

⁷ იქვე, გვ. 277.

⁸ იქვე, გვ. 278.

⁹ იქვე, გვ. 279.

¹⁰ იქვე, გვ. 261.

ბელია, როგორც ზნეობრივ-ფილოსოფიური ცოდნის მიცემა, ისე მათემატიკური და პოლიტიკური დისკიპლინების შეთვისება.

ს. დოდაშვილი სისტემატური და საფუძვლიანი სწავლების პრინციპს მოზარდთა ყოველმხრივი განვითარების მთავარ პირობად აღიარებდა.

რუსი ხალხისა და მისი ინტელიგენციის დიდი პატივისმცემელი ს. დოდაშვილი ამავე დროს, ცარიზმის შეურიგებელი მოწინააღმდეგე იყო. შორეულ მხარეში გადასახლებულმა ახალგაზრდა ქართველმა პედაგოგმა — ს. დოდაშვილმა თავისი ხანმოკლე სიცოცხლე ქართველთა თავისუფლებისა და ხალხებს შორის მეგობრობის დიად იდეალს შესწირა.

სიმბოლურია, რომ სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში დოდაშვილის ჭირისუფლის როლში გამოვიდა მასავით გადასახლებული დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი ა. გერცენი, რომელიც 1842 წლის 28 მარტის დღიურში ს. დოდაშვილზე წერდა: „მან ვერ აიტანა სუსხიანი ჰავა და უბოროტესმა ჭლეჭმა შეიპყრო. მე ვინახულე იგი რამდენიმე დღით ადრე სიკვდილამდე. ის ძლივს-ლა სუნთქავდა, მაგრამ მაინც ღრმა რწმენით მითხრა: ოღონდ გაზაფხულზე არ გავხდე უფრო ცუდად, თორემ შეიძლება ჭლეჭი გამიჩნდესო“¹¹.

31 წლის ახალგაზრდა ქართველმა ფილოსოფოსმა და ნიჭიერმა პედაგოგმა ს. დოდაშვილმა რუსეთის მიწაზე დაასრულა სიცოცხლე, მაგრამ მისი პროგრესული იდეები და პედაგოგიური შეხედულებანი დღესაც ცოცხლობს.

¹¹ А. Герцен, Полн. собр. соч., т. III, стр. 19.

სოლომონ დოდაშვილის ჰუმანალიზმურ-ლიბერალური მემკვიდრეობა

1828 წლის 6 ივლისს სოლომონ დოდაშვილმა წერილი მისწერა იონა ხელაშვილს თბილისიდან პეტერბურგს და აცნობა კეთილშობილთა სასწავლებელში მუშაობის მიმდინარეობაზე, ქიზიყში ყოფნასა და იქაურ ამბებზე და სხვათა შორის სწერდა: „დროსა მისეულის ჩემისა ტფილისსა, დამნიშნა ლუბერნატორმან კომიტეტსა შირა გამოსაცემად ვედომოსტებისა ანუ გაზეთებისა, სადაც იქმნებიან სხვა და სხვა გვარნი თხზულებათა წარმოებათანი, რომელნიცა შემთხვეულან ან შემთხვეულ იქმნებიან. ჩვენ ვიწყეთ გამოცემა ამ ივლისის თვეში...“¹.

სოლომონ დოდაშვილი ერთი, და შეიძლება ითქვას ერთადერთი, იმ პირთაგანი იყო მაშინდელ თბილისში, რომელსაც შეეძლო ყოფილიყო საგამომცემლო კომიტეტის წევრი და ეხელმძღვანელა რუსული გაზეთის — „ტფილისის უწყებების“ ქართული გამოცემისათვის.

დიდი შრომა უნდოდა მაშინ სერიოზული ქართული გაზეთის გამოცემას. მიუხედავად იმისა, რომ ქართულადაც იგი „ტფილისის უწყებანი“ იყო, მას მაინც, ასე თუ ისე, დამოუკიდებელი ხასიათი ჰქონდა. რასაკვირველია, წერილები უმთავრესად რუსულიდან ითარგმნებოდა ქართული გაზეთისათვის, მაგრამ დამოუკიდებელი მუშაობა მაინც რთული იყო, მით უფრო, რომ სოლომონ დოდაშვილს ძირითადი სამუშაო კეთილშობილთა სასწავლებელში ჰქონდა. ამის გარდა, ბევრს მუშაობდა სხვადასხვა ნაშრომებზე თუ რუსულიდან თარგმანებზე.

ამ ვითარებაზე სწერდა იგი იონა ხელაშვილს 1828 წლისათვის 4 აგვისტოს: „სამხედრო ლუბერნატორმან და მზრუნველმან კომიტე-

¹ სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, თბ., 1961, გვ. 284.

ტისამან მარწმუნა საკუთრად მე გაზეთებისა და ჟურნალების გამოცემა. საქმისა ამის გამო არა მაქვს არცა ერთი წამი თავისუფლებითი, არცა ღამე და არც დღე მოსვენება არა მაქვს. მერწმუნეთ ყოველს ამას და შემობრალეთ ესოდენისა საქმისათვის, რომელ საკუთარნი საქმენი ჩემნი და სახლისანი დაშთომილ არიან ჯერეთ. უმეტესად სხუა და სხუანი თხზულებანი ჰშთებიან წესსრულებლად და დიდად ვჰსწუხვარ...“²

ამასთან, გაზეთის წარმოება მას მნიშვნელოვან მოღვაწეობად მიაჩნდა და ამ საქმეს არც ეღალატებოდა, თუმცა ბევრი სხვა თხზულების დასაწერად ვეღარ იცლიდა.

სოლომონ დოდაშვილი ჟურნალისტური მუშაობისას განსაკუთრებით ცდილობდა ახალგაზრდობის ჩაბმას საგაზეთო მუშაობაში. ზოგიერთი წერილის ავტორს იგი თავის მოწაფეთა შორის ნახულობდა. 1829 წელს, მაგალითად, მან დაბეჭდა ლუარსაბ არღუთაშვილ-მხარგრძელის წერილი: „რამე რუსთაველისათვის“, რომელშიც შოთა რუსთაველი დახასიათებულია როგორც დიადი ნაწარმოების ავტორი, შემქმნელი დიდმნიშვნელოვანი თხზულებისა. ქართული ლიტერატურის კლასიკური პერიოდის წერილობითი ძეგლსა. ამ წერილს ქართული გაზეთის ხელმძღვანელმა — სოლომონ დოდაშვილმა სარედაქციო შენიშვნა დაურთო, რომელშიც წერდა: „მუხლი ესე დაწერილ არს... ერთისა ახალგაზრდა კაცისა მიერ, რომელიცა ჯერეთ ჰსდგას ზღურბლსა ზედა სწავლსა და ქვეყანისსა. მას ზედა იყო მოქმედება მასწავლებლისა და განვახალსე მე... რომელიცა გარემოვზღუდე გამოსაძიებელთა მხედველობათაგან საზოგადოობისათა; შეერთავ მუხლსა ამას განხალისებისა მისისა (ე. ი. წერილის ავტორისა — ს. ხ.) და კმაყოფილებისათვის მემამულეთა. სასურველ არს, რათა სხვანიცა შეუდგნენ მაგალითსა მისსა და აღანთონ გონებათა თვისსა სანთელი მეცნიერებისა დიდებისათვის მამულისა...“³ რედაქტორი ესალმება ახალგაზრდა ავტორს, აღნიშნავს მის დაინტერესებას ქართული ლიტერატურის უპირველესი ნიმუშით და გამოთქვამს სურვილს, სხვებმაც მიჰბადონ წერილის ავტორს

² იქვე, გვ. 286.

³ „ტფილისის უწყებანი“, 1829 წ., 21 იანვარი, № 3, უც. 2—3.

და სამწერლო ასპარეზზე გამოიტანონ დიდი ქართული კულტურა და ლიტერატურა.

„ტფილისის უწყებანის“ ქართულ გამოცემაში გამოჩნდა მისი ხელმძღვანელის ჟურნალისტური ინტერესები. საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალფეროვნების ანარეკლი ადასტურებს ამ ინტერესს: შინაური, რუსეთის იმპერიის თუ საზღვარგარეთის ქვეყნების პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება, მაშინდელი ხელისუფლების საქმიანობა საქართველოს მიმართ, რუსეთ-სპარსეთისა და რუსეთ-თურქეთის ომები და საქართველოს მონაწილეობა მათში, ქართველ მხედართმთავართა დამსახურებანი იმპერიის აღმოსავლეთის ომებში და სხვანი ფართოდაა გაშუქებული ქართულ გაზეთში. მას აინტერესებდა მრეწველობის საკითხები, მიწის წიაღის სიმდიდრეთა ძიება, აღმოჩენა-გამოყენება და სხვ.

მრავალი დაწესებულებისაგან რეგლამენტებული „ტფილისის უწყებანი“, შეზღუდული ინფორმაციის მქონე, მაინც ახერხებდა. მკითხველისათვის მიეწოდებინა ცნობები თურქთაგან საბერძნეთზე ძალადობისა და ბერძენთა ეროვნული გათავისუფლებისათვის მოძრაობაზე. სიმშრალე ამ ინფორმაციებისა გასაგებია სრულიად, მაგრამ აღსანიშნავია, რომ გაზეთს მკითხველამდე მიაქვს ამბები ხალხთა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მოძრაობასა და ბრძოლაზე, პოლონეთის მოძრაობის ირგვლივ 30-იან წლებში და სხვ. სოლომონ დოდაშვილისათვის, რომელიც პეტერბურგში მოწმე იყო 1825 წლის დეკემბრის აჯანყებისა და რომელსაც კარგად ესმოდა არსი ამ პოლიტიკური აქციისა, რასაკვირველია, არ იქნებოდა საკმარისი ასეთი ინფორმაცია ხალხთა ეროვნული გათავისუფლების ბრძოლის თაობაზე, მაგრამ იგი იძულებული იქნებოდა, მცირე ცნობებითაც შემოეფარგლა თავისი გაზეთისა და საკუთარი ინტერესები. ასევე მცირეა მასალა სახალხო განათლებასა და ლიტერატურაზე. სალონური ხასიათი იმდროინდელი ქართული ლიტერატურისა, მწერლობის კარჩაკეტილობა, ცხადია, არ იქნებოდა უხვი მასალა ლიტერატურული მოღვაწეობის საჩვენებლად. სამწუხაროა, რომ მაშინდელი ქართველი პოეტების შემოქმედება ვერ აისახა გაზეთში. ის პატარა წერილი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანზე“, რომელიც 1829 წელს დაიბეჭდა, ან პუშკინის ერთი ლექსის—„ძილის“ ალექსანდრე ჭავჭავაძისეული თარგმანი (ლექსის ავტორისა და მთარგმნელის ვი-

ნაობის აღუნიშნავად), აგრეთვე, მცირე ბიბლიოგრაფიული ცნობები პუშკინის თხზულებათა შესახებ, რასაკვირველია, ზღვაში წვეთი იყო.

გარდა ოფიციალური ნაწილისა, ქართული „ტფილისის უწყებანი“ მხოლოდ და მხოლოდ სოლომონ დოდაშვილის მუშაობისა და მოღვაწეობის შედეგია. მას უხდებოდა რუსულიდან თარგმნა რუგორც სხვადასხვა „უმალღესი უკაზებისა“ და „უმალღესი პრიკაზებისა“, ისე ანაპის ციხის თურქთაგან გათავისუფლებისა და რუსთა ხელში გადასვლის ამბის აღწერა, ან „მოსკლა საქართველოსა ზედა ავარი ომარ-ხანისა და ომი იორზედ“, ალექსანდრე გრიბოედოვჩა და მისი ავადმყოფობის, ან მისი თეირანს გამგზავრებისა და სხვ.

ორივე გაზეთს—ქართულსა და რუსულს—ერთნაირი რუბრიკები ჰქონდა — როგორც ოფიციალური, ისე არაოფიციალური მასალისათვის: „უმალღესნი პრიკაზნი“, „უმალღესნი უკაზნი“, „უმალღესნი ბრძანებანი“, „შინაგანი ამბავნი: ტფილისი“, „საზღვარგარეთნი ამბავნი“, „ზნეობანი“, „ხარაკტერისტიკა რუსთა მხედართა“, „ნეკროლოგია“, „აღნარევი“ და სხვ. „აღნარევი“ ცანეკუთვნებოდა მცირე მოთხრობებს ანუ ანეკდოტებს, როგორც ეს გაზეთები უწოდებდნენ.

ქართული „ტფილისის უწყებანი“ უფრო მეტად იყო რეკლამენტებული, ვიდრე რუსული გამოცემა. იღებდა თუ არა მონაწილეობას სოლომონ დოდაშვილი რუსული გაზეთის მუშაობაში, არსად ჩანს, თუმცა, სრულიად დასაშვებია, რომ პ. სენკოვსკისთან ერთად მასაც შეეძლო მონაწილეობის მიღება არა მხოლოდ რუსული მასალის ქართულად თარგმნის საქმეში, არამედ რუსული გაზეთისათვის მასალის შეკრებასა და შერჩევაში.

მართალია, ქართული გაზეთი რეგულარულად ვერ იბეჭდებოდა, მაგრამ მისი არსებობა მაინც მნიშვნელოვანია თუნდაც ქართული ხასიათის წერილების იმ მინიმუმით, რაც მისი არსებობის მანძილზე გამოქვეყნდა. ოფიციალური მასალის რაოდენობას, ცხადია, ვერ ანეიტრალებდა საქართველოს ტერიტორიის აღწერა, ისტორიული და ეთნოგრაფიული მასალა და ორიოდ ლიტერატურული ხასიათის წერილი. მაინც, ქართული ჟურნალისტიკის ისტორიისათვის ამგვარ დოკუმენტსაც ღირებულება გააჩნია.

სწორედ ამ ქართულ გაზეთზე მუშაობამ სოლომონ დოდაშვილის წინაშე დააყენა საკითხი ლიტერატურული ორგანოს დაარსება-

სა, რაც მან განახორციელა 1832 წლის იანვრიდან. ეს იყო „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“.

თავისთავად საინტერესოა, თუ რა შეხედულებები და აზრები გამოითქვა პირველ ქართულ საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ჟურნალზე, მის ორგანიზაციაზე, გამოსვლის თარიღებზე, რაც XIX საუკუნის პრესაში არის ფიქსირებული და შემდეგაც ბევრგან გამოქვეყნდა, მაგრამ ამჯერად ამას არსებითი მნიშვნელობა არ გააჩნია, მთავარია, თვით ფაქტი სოლომონ დოდაშვილის ჟურნალისტურ-განმანათლებლური მოღვაწეობისა, რომ იგი იყო ქართული კულტურის ისტორიაში პირველი ადამიანი და მოქალაქე, რომელმაც იტირათა ასეთი ორგანოს დაარსება და ხელმძღვანელობა. ამ ჟურნალის არსებობა იმასაც ადასტურებს და იმაზეც მეტყველებს, თუ როგორი იყო XIX საუკუნის 20—30-იანი წლების ქართული ინტელიგენციის განწყობილება, რა ვითარება იყო საერთოდ საქართველოში, რაც ხელისშემწყობი უნდა ყოფილიყო ეროვნულ-კულტურული მოღვაწეობისა და საქმიანობისა საერთოდ. მრავალი განცხადება დაიბეჭდა ქართული „ტფილისის უწყებებისა“ და პირველი საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალის რედაქციისა: რომ საჭირო იყო თანადგომა, მზრუნველობა, ძალისხმევა (ეს სიტყვა ქართულად პირველად სოლომონ დოდაშვილმა შემოიტანა ქართულ ლექსიკაში თავისი ჟურნალის მეშვეობით), ხელისშემწყობა და ფინანსური სიმტკიცე ამგვარი გამოცემისათვის. როგორც ჩანს, ეს განცხადებები რჩებოდა ხმად მღალღებლისა უდაბნოსა შინა... თავის სარედაქციო მიმართებებში და კერძო წერილებში (იონა ხელაშვილს, ფილადელფოს კუკნაძეს, პეტერბურგისა და მოსკოვის ქართული კოლონიების წევრებს და სხვებს) სოლომონ დოდაშვილი მიმართავდა ეროვნული საქმიანობით ყველა დაინტერესებულ პირს დახმარებისათვის, რაც უნდა გამოხატულიყო მხოლოდ და მხოლოდ ხელისმომწერთა რაოდენობის გაზრდაში, რადგან ეს იყო ერთადერთი საშუალება გაზეთისა და ჟურნალის არსებობისა. დახმარების მიღების სხვა წყარო ქართულ სიტყვას არ ჰქონდა. მიუხედავად არა ერთი და ორი განცხადებისა და თხოვნისა, მიუხედავად კატეგორიული მოთხოვნისა, რომ თუ არა ზრუნვა ხელისმომწერთა ანუ პრონუმერანტების რიცხვის გაზრდაზე, ქართული გაზეთი და ჟურნალი შეწყვეტს არსებობას, ხოლო ჩვენთვის, ქართველებისათვის ეს სამარცხვინო ამბავი იქნებაო. სამ-

წესაროდ, ქართულმა პრესამ ვერ შეძლო მკითხველთა და სელის-
მომწერთა ორგანიზაცია, თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არა
პხოლოდ მაშინ, როცა ქართული ბეჭდვითი სიტყვა ფესს იღვამდა,
შემდეგაც უჩიოდნენ ამასვე ქართული პრესის მეთაურები. გასახ-
სენებელია ის ანეკდოტური ამბავიც, რომელიც დაკავშირებულია
ალექსანდრე დიუმასა და „ცისკრის“ რედაქტორის საუბართან ქარ-
თული ჟურნალის ტირაჟის თაობაზე.

მაშინდელი ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან წი-
ნაწერი აზრის გამოთქმისა და შეთანხმების გარეშე ჟურნალი ვერ
გამოვიდოდა. სოლომონ დოდაშვილს, ცხადია, საუბარი ექნებოდა.
ყველა იმ პირთან, ვინც ღირსი იყო, ემსჯელა პირველი ლიტერატუ-
რული ჟურნალის დაარსებაზე. მართლაც, საბუთების მიხედვით დას-
ტურდება, რომ ქართული გაზეთის დაარსების შემდეგ გაჩნდა სურ-
ვილი — მის გვერდით გაჩენილიყო ლიტერატურული ორგანო. ამის
თაობაზე საუბარი ყოფილა ელიზბარ ერისთავთან, ალექსანდრე ორ-
ბელიანთან, ალბათ, ალექსანდრე ჭავჭავაძესთანაც... ეს დასტურდე-
ბა 1832 წლის შეთქმულების მასალებით, სადაც არაერთგან არის
მოხსენიებული სურვილი ჟურნალის დაარსებისა, ძიება მის ზეღის-
შემწყობთა, ახალგაზრდა ძალების თავის მოყრა საჟურნალო საქ-
მიანობის ირგვლივ. მაგალითად, ეფრემ ალექსი-მესხიშვილი ერთ-
ერთი შეკითხვის საპასუხოდ (შეთქმულებასთან დაკავშირებით)
წერდა: „უფალმა დოდაევემა... 1831-ს წელს მოინდომა ქართული
ლიტერატურისა და გაზეთების ბეჭდვა; მაშინ მიხსრა, ღირექტორმა
(თბილისის გიმნაზიის ღირექტორი გრუბერი. ეფრემ ალექსი-მესხი-
შვილი მასწავლებელი იყო ამ გიმნაზიისა — ს. ხ.) და ღენერალმა
ჭავჭავაძემ გთხოვეს ლიტერატურისა და გაზეთების ბეჭდვას ვაპი-
რებთ. შენც მოაწერე და შეიძლება სხვათაც მოაწერინოთო; მე კი-
დეც მოვაწერე და ფულიც მაშინვე მივე და ვკგონებ სხვაც
[ვ]უშოვნე ხელის მომწერი“⁴.

ჟურნალის გამოცემის იდეა ჩაისახა „ტფილისის უწყებების“
წილში, ამიტომაც „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყე-
ბათანი“ იყო ქართული გაზეთის ლიტერატურული დამატება.

ჩაოდენ სამწუხაროა, რომ პირველმა ქართულმა საზოგადოებ-

⁴ გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. I, თბ., 1935, გვ. 295.

რივ-სალიტერატურო ჟურნალმა ცოტა ხანს იარსება. იგი სულ ხუთ ნომრად გამოვიდა.

ცნობილი გახდა თუ არა კონსპირაციული პოლიტიკური მუშაობა 1832 წელს და მისი მონაწილენი დააპატიმრეს, საგამომძიებლო კომისიამ ყურადღება გაამახვილა ამ ჟურნალის მიმართაც, მისი მასალა თარგმნეს რუსულად, დაიწყეს შესწავლა და ძიება იმისა, ჩანდა თუ არა რამენაირად პოლიტიკური საქმიანობის ანარეკლი ჟურნალის წერილებში და საერთოდ მის მასალებში.

სოლომონ დოდაშვილის საპროგრამო წერილი პირველ ნომერში არ გამოქვეყნებულა, სადაც ჟურნალის მიზნებსა, დანიშნულებასა და გეგმებზე იქნებოდა ნათქვამი. ჟურნალის დანიშნულებაზე რედაქტორმა მეხუთე ნომერში დაბეჭდა „განცხადება“, რომელშიც ლაპარაკია „სალიტერატურონი ნაწილნის“ რაობაზე და მიზანზე. როგორც ეტიკეტი მოითხოვს, უპირველესად დასახელებულია ამიერკავკასიის ხელისუფლების ზრუნვა ამ რეგიონში მცხოვრებთა მიმართ, მთავრობის კეთილგანწყობილება და კეთილი ზრახვანი „ამიერკავკასიის მხარესა შინა მცხოვრებთა ერთა“ ცხოვრების გაუკეთესებისა და გაუმჯობესებისათვის, ხოლო შემდეგ იგი წერს: „...იყო ქართულსა ენასა ზედა გამოცემა ტფილისის უწყებათამან აწინდელსა ამა წელსა, უმეტეს ამისათვის, რათამცა მისცემოდა ესე გვარსა სასარგებლოსა გამოცემასა მტკიცე საფუძველი შესაწევნელად განათლებისა, განვრცელებისათვის ბუნებითისა ენისა ჩვენისა, და მიახლოებისათვის განზრძნობილთა მცხოვრებთა ევროპისათა“⁵.

ამრიგად, ჟურნალის რედაქტორის აზრით, ეს ორგანო უნდა ყოფილიყო ქართული ენისა და სიტყვიერების დამცველი და გამაუმჯობესებელი. ის აზრი, რომ ჟურნალი უნდა ყოფილიყო პოპულარიზატორი დასავლეთი ევროპის ცხოვრებისა, რაზეც მეტად გაამახვილა ყურადღება მკვლევარმა მიხეილ გოცაძემ წიგნში — „სოლომონ დოდაშვილი“ (1955 წ., გვ. 212—213), იმდენად კი არ იყო გავრცელებული XIX საუკუნეში და დღესაც არაერთი ავტორის მიერ მეორდება, რომ ჟურნალს ყურადღება დაეკლო ქართული ენისა და სიტყვიერებისათვის და მეტად დაინტერესებულყო ევროპული

⁵ სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი, № 5, „განცხადება“.

ცხოვრებით, არამედ ნიშნავდა იმას, რომ ქართული ჟურნალისტიკა დასაწყისიდანვე შეუერთდა ცივილიზებულ სამყაროს და ევროპული კულტურის შესაბამისად და მსგავსად საქართველოშიც უკვე არსებობდა საზოგადოებრივი მნიშვნელობისა და ღირებულების ბეჭდვითი ორგანო.

სოლომონ დოდაშვილისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ევროპულად იყო განსწავლული და ევროპის კულტურის ისტორიის ერთი თემა გაიხადა თავისი პირველი, სრულიად სერიოზული ფილოსოფიური ნაშრომისათვის კვლევის საგნად, პირველ რიგში მთავარი იყო ზრუნვა ეროვნული ღირებულებისა და ღირებულების დასაცავად. პეტერბურგში ცხოვრებისას იგი, ასე თუ ისე, დაახლოებული იყო იოანე და თეიმურაზ ბაგრატიონებთან და კარგადაც იცოდა მათი განწყობილება, სწავლულობაც და მეცნიერულ-ლიტერატურული მოღვაწეობაც. მართლაც, სოლომონ დოდაშვილს ჟურნალის არსებობის მანძილზე არ შეუჩერებია ზრუნვა ქართული ენისა, ისტორიისა და ლიტერატურის, საერთოდ ქართული კულტურის დაცვისათვის და განვითარებისათვის. იგი ამით ეხმაურებოდა პეტერბურგის ქართველთა მოღვაწეობას.

ჟურნალის დაარსება, მისი არსებობისათვის ზრუნვა, სულ ორთვენახევრის განმავლობაში მისი ხელმძღვანელობა (თუ არ ჩავთვლით მოსამზადებელ ეტაპს), ჩვენ წინაშე წარმოსახავს სოლომონ დოდაშვილს, როგორც ქართული ჟურნალისტიკის დაუდალავ მოღვაწეს. ამ დროს გამოჩნდა მისი მოქალაქეობრივი ინტერესი, ზრუნვა საერთო ეროვნული სიკეთისა და წარმატებისათვის, ქართული ენისა და სიტყვიერების გაძლიერებისათვის, ქართული ეროვნული ენერჯის ნაკადის გაღონიერებისათვის. როგორ ეხვეწებოდა იგი თავის კორესპონდენტებს საქართველოში თუ რუსეთში, მათაც დაეძახათ თავისი შესაძლებლობანი და ჟურნალის რედაქციაში ეგზავნათ მასალები საქართველოს ისტორიისა, ენისა, ლიტერატურისა და სხვათა შესახებ, როგორ ეხვეწებოდა ფილადელფოს კიკნაძეს კახეთში შეეგროვებინა ხელისმომწერნი, მიეწოდებინა თხზულებები გინდა პროზად, გინდ ლექსად. და ვის არ ეხვეწებოდა ქართული ჟურნალისა და გაზეთის დახმარებისათვის...

სრულიად მართალნი იყვნენ ილია ჭავჭავაძე და სერგეი მესხი, როცა მათ 70-იან წლებში სოლომონ დოდაშვილი აღიარეს ქართუ-

ლა ეურნალისტიკის მედროშედ. მაშინ მეტის თქმა არ შეიძლებოდა, მაგრამ რაც ითქვა სოლომონ დოდაშვილზე მომდევნო თაობის წარმომადგენელთაგან, იყო ძარული კეშმარიტება — იგი დროშა ქართული ეურნალისტიკისა, — თქვა ილია ჭავჭავაძემ 1876 წელს, გახეთ „დროების“ არსებობის ათი წლის თავზე გამართულ ზეიმზე, — რომელიც მემკვიდრეობით მივიღეთ სოლომონ დოდაშვილისაგან, გიორგი ერისთავის ხელში გამოტარებული, ჩვენ მიგვიძღვის წინო⁶.

სოლომონ დოდაშვილი არ იყო მსურველი ძველი პოლიტიკური სისტემის აღდგენისა, იგი ცდილობდა, ყოველ შემთხვევაში, ოცნებობდა ქართველი ხალხის ცხოვრების ევროპულის მსგავსად გარდქმნაზე. არც ისაა გამორიცხული, რომ მოაზროვნე ადამიანს რესპუბლიკური წყობაც ესახებოდა საბოლოო მიზნად, მით უფრო, რომ 1832 წლის შეთქმულების საკვლევადებო საქმეებში გაიკაფა რესპუბლიკური იდეების არსებობამ და ეს დაკავშირებული იყო სოლომონ დოდაშვილის სახელთან. იგი კარგად იცნობდა ფრანგი მატერიალისტების აზროვნებას, საფრანგეთის დიდი რევოლუციის ხასიათს და რუსულ დეკაბრისტულ მოძრაობას. პეტერბურგის უნივერსიტეტის სკოლაგამოვილეს, პეტერბურგის ქართული კოლონიის კარგად მცოდნეს, რუსეთს გადასახლებულ ბაგრატიონთა წრეში ნამყოფს, სადაც ჩუმი დრტვინვა გაისმოდა რუსეთის სამეფო კარის მიმართ, ამასთან, პეტერბურგის იმ წრესთან დაახლოებულს, რომელსაც რაღაცნაირი კავშირი ჰქონდა დეკაბრისტებთან (მას ხომ 1832 წლის დეკემბერში გაჩხრეკისას უპოვეს რილეევის საპყრობილედან ცოლთან გამოგზავნილი წერილის ასლი, რომელიც ს. დოდაშვილმა პეტერბურგიდან თბილისს ჩამოიტანა და თავის ქალაღებში ინახავდა), თვით დეკაბრისტების საპროტესტო გამოსვლის თვალათ მხილველს; დაბალი წოდების წარმომადგენელს, სხვა მის ქართველ თანამედროვეთაგან განსხვავებით სხვაგვარი განწყობილება

⁶ რა სამწუხაროა. რომ სხვადასხვა მიზეზთა გამო ილია ჭავჭავაძემ ბერა არა თქვა რა 1832 წლის პოლიტიკურ საქმიანობასა და სოლომონ დოდაშვილზე. თაღეთ გურამიშვილი სოლომონ დოდაშვილის ეურნალის თანამშრომელი იყო, რომლისგანაც, სავარაუდებელია, რაიმე ცნობებს მოისმენდა ილია ჭავჭავაძე. ერთი ნომერი ამ ეურნალისა ი. ჭავჭავაძემ გადასცა ზღუზუმს თავის დროზე.

უნდა ჰქონოდა. ყველაფერმა ამან განსაზღვრა კიდევ სოლომონ დოდაშვილის მოღვაწეობის გეზი და მისი პოლიტიკური კრედოც. რასაკვირველია, საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ორგანოს იგი მიუცემდა ისეთ ხასიათს, როგორც მისი განწყობილებისა და მსოფლმხედველობის გამომხატველი იქნებოდა. თუ ჟურნალის ხელმძღვანელის ყველა განზრახვა არაა ფიქსირებული ჟურნალის მასალებში, ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ საზოგადოების იმ არასრულფასოვან დამოკიდებულებებში ჟურნალის მიმართ, რამაც გამოიწვია „სალიტერატურონი ნაწილნის“ გამოცემის შეწყვეტა. ის ხუთი ნომერა, რაც გამოვიდა, საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ მონდომება. სურვილი და გემოვნება სოლომონ დოდაშვილისა.

იდეური მიმართულებითა და მიზანსწრაფვით სოლომონ დოდაშვილის ჟურნალი ასახავდა XIX საუკუნის ქართული ეროვნულ-გმათავისუფლებელი მოძრაობის დასაწყის ეტაპს, რაც შემდეგ 60-იან წლებში „თერგდალეულების“ მოღვაწეობაში განვითარდა.

ჟურნალს ჰქონდა რუბრიკები: სიტყვიერება, აღმოსავლეთის ლიტერატურა, „სტიხთ-ქმნილება“, ქართული ისტორია, კრიტიკა.

პირველი ქართული საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალის წერილების ავტორობა წილად ხვდათ ჟურნალის ზოგიერთ მესვეურს და მათ თანამედროვეთ. ესენი იყვნენ: თადეოზ ზაქარიას ძე გურამიშვილი, სოლომონ ივანეს ძე დოდაშვილი, გიორგი დავითის ძე ერისთავი, გიორგი იასეს ძე ერისთავი, დავით ბარძიშის ძე მაჩაბელი, ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანი. ჟურნალში დაიბეჭდა ალექსანდრე პუშკინის ორი ლირიკული ნაწარმოები, რომელთა მთარგმნელი იყო სოლომონ ივანეს (გივის) ძე რაზმაძე (მან თარგმანები პეტერბურგიდან გამოგზავნა). დავით მაჩაბელმა საკუთარი ლექსის „თოვლის“ გარდა, რუსულიდან თარგმნა ალეგორიული თხზულება — „ადთქმის სარკე“, რომლის ქვესათაურია: „ყრმებრივი უმანკოება“. სოლომონ დოდაშვილმა თარგმნა მოთხრობა „უინეერა“, მისივეა სარედაქციო განცხადებები, „სამი ინდის ხურმის“, ანონიმი ავტორის „უმანკოების“ თარგმანები, წარვეცი.

სოლომონ დოდაშვილის სახელი და გვარი ჟურნალში გამოქვეყნებულ რამდენიმე ნაშრომს აქვს მიწერილი. ესაა: ლიტერატურული შემკვიდრეობა, გამოქვეყნებული მის სიცოცხლეში (აქ არ იგულისხმება მისი დაბეჭდილი წიგნები — პეტერბურგში „ფილოსოფიის

კურსი“ და თბილისში „შემოკლებული ქართული ღრამმატიკა“). გარდა ამისა, საარქივო საბუთებში მოიპოვება ორიოდ ნაწერი (1827—1831 წლებისა), რომელთაც მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური კრედოს გასათვალისწინებლად რამდენადმე მნიშვნელობა გააჩნიათ.

სოლომონ დოდაშვილის ნაწერთა შორის მის წერილს „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა (ანუ სიტყვიერებისა)“, გამოქვეყნებულს ჟურნალის პირველ და მეორე ნომრებში, პრაინციპული ხასიათი აქვს. წერილის მიზანია იმ შეხედულების გაბათილება, ვითომც ქართული ენა „გლახაკ არს თხზულებათა მიერ სალიტერატუროთა, არა განვითარებულ არს და შესახებელადაც გარმონიისადმი არავითარისამე მექონ არს სიამოვნისა“⁷. ავტორი იცავს ქართულ ენასა და ლიტერატურას თავდამსხმელთაგან და არა მხოლოდ იცავს, არამედ ადასტურებს ქართული ენისა და ლიტერატურის ღირსებას, ღირებულებას, შინაარსსა და ისტორიას. აღსანიშნავია, რომ პირველ საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ჟურნალს პირველსავე ნომერში ასეთი საკითხი აქვს დაყენებული. ადვილი მისახვედრია, რა ვითარება შექმნილა უკვე ქართული ენის არსებობაში გავრცელებული ყოფილა აზრი, თითქოს ქართული ენა და ლიტერატურა დაბალუნარიანია. კონკრეტულად ვისგან და სად არის წამოყენებული ასეთი აბსურდული აზრი, წერილში არ ჩანს, მაგრამ, რადგან საჭირო გამხდარა ჩვენება, რომ ქართული ენაც და ლიტერატურაც გარკვეული ღირებულებისა და ისტორიის მქონენი არიან, უარყოფილი კი ცოტანი არ არიანო, არც თუ შემთხვევით გამოუთქვამთ ასეთი აზრი. სოლომონ დოდაშვილი გამოდის ასეთი უმსგავსი შეხედულების გასაბათილებლად, იგი მსჯელობს ქართული ენის თავისებურებაზე და დამოუკიდებლობაზე, ადასტურებს მის ტრადიციას და ისტორიას, მაღალ ხარისხსა და ღირებულებას.

ლაშქრობა ქართული ენისა და მწერლობის წინააღმდეგ არ ყოფილა თითო-ოროლა პიროვნების საქმე, ამიტომაც ჟურნალის სხვა მონაწილენი დარაზმულან და მხარს უჭერენ რედაქტორს და წერილის ავტორს.

⁷ „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა (ანუ სიტყვიერებისა)“, ჟურნ. „სალიტერატურონი ნაწილნი...“, № 1.

სიტყვიერების ანუ ლიტერატურის ისტორიის განხილვას ავიხელს ჰკიდებს იმისთვის, რომ საზოგადოებისათვის ნათელი გახადოს ქართულ ენაზე მდიდარ ორიგინალურ და ნათარგმნ თხზულებათა არსებობა, რომ ქართველები თარგმნიდნენ ძველი და ახალი ენებიდან. სოლომონ დოდაშვილი მეცნიერული კვლევის ობიექტურ პოზიციას დგას და საჭიროდ მიაჩნია პირმოთწეობის გარეშე შეფასდეს ქმნილება თითოეული ავქსონისა ანუ ავტორისა, თანაც ამ ღირსებათა გათვალისწინებით, რაც დამახასიათებელია ნაწარმოებოსათვის. იგი მწუხარებით აღნიშნავს, რომ საზოგადო პროგრესისა და განვითარების მოყვარეთა თვალათვის მდიდარი ქართული ლიტერატურა წყვედიადით არის დაფარული. განათლებულ კაცობრიობას არა აქვს შესაძლებლობა ამიერკავკასიის ამ ხალხის — ქართველთა სულიერი სამყაროს შეფასებისა. მისი აზრით, ძნელია დაიდოს დასაბამი ქართული ენისა, რომ იგი ერთ-ერთი უძველესი ენაა, შემდეგ „გაწრფელებული პირველი მეფის ფარნაოზისაგან ქრისტეს შობამდის 327 წელს“. იგი ფარდას ხდის ცრუ თეორიათა ანეკდოტურ დებულებებს, ვითომ ადამი სომხურად ლაპარაკობდა, რომ პრაენა კაცობრიობისა არის ის, რომლითაც პირველი ადამიანი სარგებლობდა. მისთვის ცხადია, რომ ცოცხალ ენას ისტორიის მანძილზე, სხვადასხვა პირობათა გამო სხვადასხვა ენებიდან ემატება ალექსიკური ელემენტი — სპარსულიდან, არაბულიდან, მონღოლურიდან და სხვ. ენის სიცოცხლე, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია იმ ხალხის ისტორიასა და ყოფასთან, ვისი ეროვნული საუნჯეც არის იგი, მაგრამ ენა არ დგას განმარტოებულად და არ ყოფილა შემთხვევა, ერთი ენის ელემენტი მეორე ენაში არ გადასულიყოს და არ დამკვიდრებულიყოს.

სოლომონ დოდაშვილი მკითხველს მოაგონებს ძველი პერიოდის ქართველ მწერლებს, რომელთაც ქართული ლიტერატურის შორეულ ხანაში შეუქმნიათ სულიერი საზრდო თავისი ხალხისათვის, გაუმდიდრებიათ ეროვნული საგანძური მხატვრული თუ მეცნიერული აწროვნებით. ილარიონ ქართველი, იოანე, ეფთვიმე, პეტრიწი, ეფრემ მცირე, არსენი იყალთოელი, იოანე ტარიქისძე არა მხოლოდ მთარგმნელნი იყვნენ ბერძნული საეკლესიო ლიტერატურისა, საღვთისმეტყველო, საფილოსოფიო თხზულებებისა, არამედ ავტორნი

ორიგინალურ თხზულებათა სიტყვიერების სხვადასხვა დარგში. სოლომონ დოდაშვილს თორმეტი სტროფი აქვს წერილში შეტანილ ანტონ პირველი კათალიკოსის „წყობილსიტყვაობიდან“ (ეს ნაშრომი მაშინ ჯერ დაბეჭდილი არ იყო).

ოქროს საუკუნეს უწოდებს იგი ეპოქას დავით აღმაშენებლიდან თამარ მეფემდე, როგორც აღსავეს სწავლით, ხელოვნებით, ტაღანტებით და სათნოებით. ამ ეპოქის კულტურულ-ლიტერატურულ მიღწევათა ანალიზისათვის, სამწუხაროდ, „განვითარებულ კაცთაგან“ ჯერ არავის მიუქცევია ყურადღება, რომ წარმოჩენილი ყოფილიყო ბრწყინვალე ძეგლები ქართული მხატვრული აზროვნებისა, რომლის საფუძველი შექმნილია მოსე ხონელის, სარგის თმოგველის, ჩახრუხაძისა და რუსთაველისაგან. „ამირანდარეჯანიანი“, „ვისრამიანი“, „თამარაანი“ და ქართული სიტყვიერების მაღალი ხარისხი „ვეფხისტყაოსანი“, მისი ზომიერი და გაწყობილი ხმა, სიმფონია, იდეები და სხვანი დამადასტურებელი არიან ქართული ლიტერატურის დიდი ისტორიისა, ორიგინალურობისა და მაღალი მხატვრული აზროვნებისა. ყველა ეს შედეგია იმისა, რომ „ქართველებს ძულთაგან ჰქონიათ სურვილი, ხალისი და ნიჭი სწავლათა და ხელოვნებათა“⁸.

ბარბაროსთა თავდასხმების პერიოდს უწოდებს იგი მონღოლთა ბატონობასა და თურქ-სპარსთა შემოსევებს თვით XVIII საუკუნემდე, თუმცაო „სამწუხაროსა დროჲსასა სული სიყვარულისა დიდებისათვის მამულისა არა განქრა ნათესავთა შორის ივერიისათა“. ეს გაუქრობელი სული აღორძინდა თეიმურაზ დიდის, ვახტანგ მეექვსისა და სხვათა შემოქმედებაში. ეს ეპოქა აღდგინების დროა ქართული ლიტერატურისა, ანუ აღორძინების პერიოდი, რომელიც განსაკუთრებით მეფე ერეკლეს დრომ გამოაბრწყინა, როცა ერეკლემ „ელვა-რებიანი ძლევანი“ მოიპოვა. ამ ეპოქამ მისცა ქართულ კულტურასა და ლიტერატურას ანტონ კათალიკოსი, ვახუშტი, სულხან-შაბა ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, დიმიტრი ორბელიანი, გაიოზ არქიმანდრიტი, იასე ერისთავი—ფილოსოფოსი, დიმიტრი ციციშვილი, რომელნიც „განსხვავდებოდნენ შეენიერ სიტყვაობითა, თხზულება-

⁸ იქვე.

ნი მათნი... „ღირს არიან გონებგანმხილველისა ყურადღებისანი“— დასკვნის იგი.

მეტად კონსპექტურია ეს მიმოხილვა, მაგრამ მნიშვნელოვანია თავისი პათოსით, მასალის ცოდნით, ლიტერატურისა და ხალხის ურთიერთობის აღნიშვნით და, რაც მთავარია, ეს არის დადასტურება დიდი და სასახელო წარსულისა, ივერიელთა გონებრივი ვითარებისა და საფუძველი მოქალაქეობისა.

ამისთანა საძირკველი, ღირსი სწავლულთა ყურადღებისა, მოთხოვს მართებულ და მიუღდგომელ შეფასებას, ვიდრე ეს ხდება ევოცთა და პირველობის დაფნის ხელთაპყრობის განუკითხველ მსურველთაგან. ის კი არაა მთავარი, რა ენაზე მეტყველებდა კაცობრობის წინაპარი, არამედ ფაქტიური მდგომარეობა ეროვნული კულტურისა დღეს.

„მოკლე განხილვა...“ პირველი ნაშრომია ახალ ქართულ მწერლობაში, რომელიც გარკვეული წესით მიმოიხილავს ქართული ლიტერატურის განვითარებას. მართალია, ეს მიმოხილვა მეტად შეკუმშულია, მაგრამ იგი მაინც არის პირველი მასალათა სისტემური განლაგებით. ამითაც სოლომონ დოდაშვილმა მომავალ მკვლევართ გარკვეული მიმართულება მისცა.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „მოკლე მიმოხილვის“ ავტორი კატეგორიულად გაემიჯნა „ვეფხისტყაოსნის“ შეფასებაში იმ შეხედულებას, რომელმაც წინა საუკუნეში განავითარა აზრი:

შოთა ბრძენ იყო, სიბრძნის-მოყუარე ფრიად,
ფილოსოფოსი, მეტყუელი სპარსთა ენის;
თუ სამ სწადოდა, — ღმრთის-მეტყუელიცა მალა:
უცხო საყარველ პიიტეოს-შესტახე;
მაგრა ამაოდ დაჰშურა, საწუხ არს ესე⁹.

სოლომონ დოდაშვილის ეს ნაშრომი აკადემიკოსმა კორნელი კეკელიძემ თავისი „ძველი ქართული მწერლობის ისტორიის“ პირველი ტომის მესამე გამოცემაში ასე შეაფასა: „ს. დოდაშვილის ამ შრომაში საყურადღებოა ცდა ძველი ქართული ლიტერატურის პერიოდიზაციისა, რომელიც მიღებულ იქნა შემდეგში ა. ცაგარლას

⁹ ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, თბ., 1980, გვ. 281. „თეს შოთა რუსთაველისა“.

მეორე და სხვადასხვა ვარიაციით ზოგადად მომდევნო ხანის სამეცნიერო ლიტერატურაშიც მეორდება“¹⁰.

სოლომონ დოდაშვილის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი წერილია „შენიშვნა დამარხვის წესსა ზედა უკანასკნელთა მეფეთა საქართველოჲსათა, რომელიც დაბეჭდილ იყო პირველ ნომერსა შინა რუსულსა გაზეთთასა 1832-სა ამას წელსა“. იგი დაბეჭდილია რუბრიკით—„კრიტიკა“. სოლომონ დოდაშვილმა გააკრიტიკა „ტფილისის უწყებების“ რუსული გამოცემის თანამშრომლის გრიგოლ გორდეევის წერილი, გამოქვეყნებული რუსული გამოცემის 1832 წლის პირველ ნომერში სათაურით: „Погребальные обряды последних царей Грузинских“.

სოლომონ დოდაშვილი პრინციპული და მტკიცე დამცველია სინამდვილისა. იგი არავითარ დათმობას არ უშვებს კრიტიკის ობიექტის მიმართ. რუსული წერილის ავტორს შეიძლება მართებულად ვერ გაეგო ქართული წესები, მაგრამ კრიტიკოსი არავითარ შეღავათს არ აძლევს შეცდომის დამშვებს და ისტორიული საბუთის შემრყვენელს. იგი წერდა: „უფალი ღარდეიევი არა მცოდნე ქართულისა ენისა და არცა ზნეობათა და ყოფაქცევათა საქართველოს ერთა-სა, ჰსწერს მრავალსა ტყუილსა და გამოჩენილსა სიცრუესა“¹¹, რასაც მკითხველი შეცდომაში შეჰყავს. სოლომონ დოდაშვილი გრიგოლ გორდეევის ბრალსა სდებდა პლაგიატობაში. საქართველოს მეფეთა დამარხვის წესი საკმაოდ დიდი ხანია ცნობილია საზოგადოებისათვის, მას კი „უსვინდისოთ გადმოუწერია მეფის ძის ვახტანგის ისტორიიდან, რომელიცა დაბეჭდილ არს რუსულსა ენასა ზედა ს. პეტერბურღს 1814-სა წელსა“¹². გადმოწერილის გამოქვეყნება თავისი სახელით მეტად სასიარცხილოდ მიაჩნია სოლომონ დოდაშვილს, „არცა შეენდობის გამომცემელსა გაზეთთასა ესე ვითართა სიცრუეთა მიღებისათვის“.

გრიგოლ გორდეევთან ერთად სოლომონ დოდაშვილი რუსული გაზეთის გამომცემელსაც — პ. სენკოვსკისაც ამხილებს ამისთანა მასალის გამოქვეყნებისათვის. „ნუ უკვე არა წაუკითხავს ისტორია

¹⁰ კ. მ. კ. ე. ლ. ი. ძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, თბ., 1951, გვ. 17.

¹¹ „სალიტერატურონი ნაწილნი...“, № 3, თებერვალი, 1832.

¹² იქვე, გვ. 71.

საქართველომსა მეფის ძის ვახტანგ-სა, საიდანაც გარდმოუწერია უფალ ღარდიევს ხსენებულნი წესნი და ჩვეულებანი“...¹³

დასასრულს, სოლომონ დოდაშვილი ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს გორდევის სულმდაბლობას ასეთი უცნაური და მცდარი ცნობის გამოქვეყნებისათვის, „თვინიერ ყოვლისა პირმოთნეობისა სიყვარულითა ჭეშმარიტებისათა ცხადვყოფ სრულიადსა სიციბილესა მისსა“.

სოლომონ დოდაშვილისათვის მთავარია ჭეშმარიტების სიყვარული, რამაც მას, ერთ რედაქციაში რუს ავტორთან მომუშავეს, გადააწყვეტინა ასეთი პრინციპული შემართებით გაეცა პასუხი მასალისა და წყაროს უცოდინარობისა და მკითხველთა შეცდომაში შეყვანისათვის. რუს ავტორთან ერთად სოლომონ დოდაშვილმა საკმაო სიმკაცრე გამოხატა რუსული გაზეთის მესვეურის მიმართაც — „თვინიერ ყოვლისა განხილვისა ჰბეჭდენ თვისსა გამოცემასა შინა ყოველსა უგვანსა უ. ღარდიევის შედრგენილსა“.¹⁴

ასეთი დამოკიდებულება სოლომონ დოდაშვილსა და რუსული გაზეთის ხელმძღვანელს, პ. სანკოვსკის, შორის იქნებ იმას აჩვენებს, რომ ქართულ და რუსულ რედაქციებს შორის, ვინ იცის, რითი გამოწვეულ უთანხმოებას ჰქონდა ადგილი! იქნებ დავუშვათ ვარაუდი, რომ სოლომონ დოდაშვილს უფრო მეტი დამოუკიდებლობა აინტერესებდა ქართული გამოცემის საქმეში. არადა, იგი მთლად იყო დაკავშირებული გაზეთის საერთო და მთავარ ხელმძღვანელთან — პ. სანკოვსკისთან.

ყოველ შემთხვევაში, სოლომონ დოდაშვილის კრიტიკული წერილი პირდაპირია, მკვეთრი და პრინციპული, რაც მისი ავტორის ხასიათს წარმოგვიდგენს; ამასთან, წერილში, ყოველგვარი მორიდების გარეშე, გაკიცხულია პლაგიატი და მისი ხელისშემწყობნი „ტფილჩისის ვედომოსტის“ ხელმძღვანელობის სახით.

ქართული ლიტერატურის ისტორიაში საყურადღებო და საინტერესო მოვლენაა არა მხოლოდ „სალიტერატურონი ნაწილნი“, არამედ ჟურნალის მეოთხე და მეხუთე ნომრებში გამოქვეყნებული ნაწარმოები სოლომონ დოდაშვილისა, პირველი ქართული რომანი — „ელენა“. ავტორს მკითხველი გადაყავს XVIII საუ-

¹³ ი ქ ვ ე.

¹⁴ იქვე, გვ. 72.

კუნეში, ნაწარმოებს არქმევს ანეკდოტს ანუ ღირსსახსოვარ შემთხვევას. ნაწარმოების სახელწოდება ავტორს, შეიძლება უკარნახა მეუღლის — ელენე კობიაშვილის სახელმა.

ნაწარმოებში განვითარებული ამბავი აჩვენებს ავტორის შეხედულებას საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრ მოუწყობელ საკითხზე, სოციალურ პრობლემატიკაზე, ადამიანის გრძნობათა თავისუფლებაზე. აღსანიშნავია, რომ ნაწარმოები XIX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში იწერება და ქვეყნდება. ახლა დაიბადა ის მწერალი, რომელიც გადამწყვეტ სიტყვას იტყვის ბატონკმობაზე საქართველოში (დანიელ კონქაძე).

„ელენა“ პროტესტით აღსავსე თხზულებაა. უპირველეს ყოვლისა, ადამიანთა უბედურების ზეთავე და წყარო ის არის, რაც ერთს აფიქრებინებს, რომ ყველაფრის მფლობელია, მეორე კი არ დგას იმ დონეზე, რომელზეც პირველია. ადამიანთა შორის განსხვავება — ხარისხიანობა და უხარისხობა, ერთი რომ მაღალ ფენებს განეკუთვნება და მეორე — დაბალს, არის საწყისი უბედურებისა. მართალია, ადამიანურმა გრძნობამ, გრძნობამ სიყვარულისამ არ იცის მაღალი და დაბალი, მაგრამ ხარისხის მქონეს არ სურს საკითხი გრძნობათა არეში გადაიტანოს და შესაფერისიცი მიაგოს ადამიანს, ამ შემთხვევაში ომანმა თავის ასულ ელენას. მდგომარეობამ და შეუვალობამ განსაზღვრა ადამიანის ბედი და დატოილდა საშინელი ტრაგედია: ელენამ შვილი გადაადგო ფანჯრიდან იმის შიშით, რომ მამამისს, ომანს არ დაენახა ელენას და ამირანის სიყვარულის ნაყოფი. ადამიანი ბუნების წინააღმდეგია, თავისი მდგომარეობით „შებოცილი“. ეს იწვევს ტრაგედიას. იღუპება ბავშვი, სასამართლოს მკაცრი განაჩენით იღუპება ელენაც, იღუპება ამირანიც.

ავტორი კრიტიკულადაა განწყობილი თავისი დროის საზოგადოებრივი ცხოვრების წესდების მიმართ. მართალია, მის ნაწარმოებში აღწერილი ამბები XVIII საუკუნეში ვითარდება, მაგრამ ეს მხატვრული ხერხია, რომელსაც დანიელ კონქაძემაც მიმართა, როცა „სურამის ციხის“ მთავარი ამბავი — ნოდარის თავგადასავალი ისტორიულ წარსულში, სურამის ციხის აშენების დროში გადაიტანა. იმდენად მძაფრია სოლომონ დოდაშვილის, როგორც მწერლისა და მოაზროვნის, პროტესტი, რომ იგი ქართუ-

ლი კრიტიკული რეალიზმის შორეულ სათავეებში შეიძლება დაიგეს, ხოლო მოქალაქეობრივი გულისტივილი საქმოდ ცხადად არის გამომჟღავნებული ნაწარმოების ლაკონიურ შინაარსა და სტილში.

„ელენა“ XIX საუკუნის დასაწყისი წლების პირველი ქართული რომანია, აგებული სოციალურად და ეკონომიკურად ერთმანეთს დაცილებულ ფენათა ტრაგიკული დაპირისპირების ფონზე.

ანალოგიური ამბით დაინტერესებული სოლომონ დოდაშვილი იმავე ხანებში შესდგომია მოთხრობა „ჟინევრას“ თარგმნას, რომელიც გამოაქვეყნა „სალიტერატურონი ნაწილნის“ პირველ ნომერში: ჩინებულმა დიდმა კაცმა, ზრწყინვალე გვარის შვილმა, თავის ასულს ნება არ მისცა ცოლად გაჰყოლოდა ანტონი რონდელს, რადგან ეს ანტონი არ იყო მაღალი გვარისა. ჟინევრა ფრანჩესკო დე ალოლანტის გააყოლა მამამ. ფრანჩესკო ერთ-ერთ პირველ საგვარეულოს ეკუთვნოდა. ანტონის და ჟინევრას სიყვარული, მართალია, ბედნიერად დამთავრდა, მაგრამ მანამდე ჟინევრამ დიდი განსაცდელი გაიარა. შავი ჭირის ეპიდემიისას იგი საღათას ძილით შეპყრობილი დამარხეს, მაგრამ გამოფხიზლდა და შიშისა და ვაების შემდეგ მიადგა ანტონის სახლს. მანამდე კი ქმარმა დედამ და ბიძამ შინ არ შეუშვეს, რადგან გარდაცვლილი ჟინევრას სული ეგონათ. სრულიად შემთხვევით გადარჩა მშვენიერი ჟინევრა სიკვდილს.

„ჟინევრა“ ევროპული წარმოშობისაა. ალექსანდრე ხახანაშვილის ცნობით იგი სოლომონ დოდაშვილს ფრანგულიდან უთარგმნია (იხ. მისი „ნარკვევები“, წ. IV, გვ. 36, რუსულად). ასევე ივანე კერესელიძემაც მოთხრობა თავისი ინიციალებით დაბეჭდა ჟურნალ „ციცქარში“ (1858 წ., № 10), სათაურით — „ჟინევრა“ (ტიქსტი ოდნავ შეცვლილია).

დავით კარიჭაშვილი ამ ნაწარმოების შესახებ წერდა: „საინტერესოა ამ მოთხრობის ისტორია რუსულ-ქართულ მწერლობაში. მოთხრობა ქართულად, უეჭველია, რუსულიდან არის გადმოღებული, რუსულად კი ალბათ ერთ-ერთი ევროპული ენიდან არის ნათარგმნი... ხოლო ამ საუკუნეში ჩვენ შეგვესვდა ეს მოთხრობა რუსულ ენაზედ დაბეჭდილი მერეჟკოვსკის თხზულებათა შორის, სახელწოდებით: „ЛЮБОВЬ СЛЫШЕ СМЕРТИ“ (იხ. „წიგნის მეგობარი“, 1925 წ., № 1—2). დ. მერეჟკოვსკის ეს თხზულება ქართ-

ულად თარგმნილი დაიბეჭდა „სახალხო ფურცლის“ სურათებიან დამატებაში სათაურით: „სიყვარული უძლიერესია სიკვდილზე“, გ. მუმლაძის თარგმნილი (სურათებიანი დამატება № 82 და შემდ.).

ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილების იოანე ბატონიშვილის ფონდში ინახება „ეინევრას“ ხელნაწერი ტექსტი.

„ეინევრაში“ საკმაო ემოციურობით არის გადმოცემული მთავარი მოქმედი პირის — ეინევრას განსაცდელი, მისი მკვდრეთით აღდგომა.

სამშობლოს გულთადი სიყვარული არის გამოხატული ძმათა მიწერ-მოწერაში: „მოწერილი ს. პეტერბურგიდან ტფილისს ძმასთან“ და „პასუხი ტფილისიდან“. სრულიად დასაშვებია, რომ ეს იყოს ძმებზე — სოლომონისა და სტეფანეს მიწერ-მოწერა და არა რედაქტორის ხერხი. სოლომონ დოდაშვილის მომდევნო ძმა სტეფანე (რომელიც ზაქარია ჭიკინაძემ აურია სოლომონში და დაწერა — სოლომონ დოდაშვილი დუშეთში პოლიციის მოხელედ მსახურობდა) პეტერბურგში, იონა ხელაშვილთან ცხოვრობდა. მისი რუსეთს გამგზავრება ითავა უფროსმა ძმამ სოლომონმა. ამიტომ არაა მოულოდნელი, რომ ნამდვილი წერილების ნაწილები იყოს ეს „მოწერილი“ და „მიწერილი“.

ყოველ შემთხვევაში ამ წერილში სოლომონ დოდაშვილს გამოხატული აქვს სიყვარული თავისი ქვებისა და ქართველთა ხალხისა. „ქარგათ იცი, — წერს თბილისიდან პეტერბურგს იგი, — რომელ ბუნებამან არა უარგვეყო ზნეობითა და ფიზიკებრთა ნიჭთა შინა თვისთა. მამული ჩვენი ნაყოფიერ არს, ჰაერი კეთილგანხმული და შეზავებული, თვისებანი გონებისა და გულისანი არიან მიუღებელნი ღირსებანი, მსგავსად შვილთა ძველთა ელლადისათა, გარნა არა განხმულ იყო კურკელი მდიდრისა ბუნებისა, არა ძალგვედვა სარგებლობა ნიჭთა მიერ მისთა და გონებითა მოქმედებათა ჩვენთა მარადის შეუდგებოდა საჭიროებანი გარემოებათანი და არა იწარმოებოდა თავისუფლებითი სული, წმინდა სიყვარული სწავლათა, სიბრძნისმოყვარეობითი კვეთება სრულებისადმი ზნეობითისა ბუნებისა ჩვენისა...“¹⁵.

ეს არის გამომჟღავნება შვილიერი სიყვარულისა სამშობლოს

¹⁵ იქვე, № 2.

მიმართ და აღნიშვნა იმისა, თუ რა არის საჭირო „ქურქელთა განსახმელად“, გონების გასაფართოებლად და მომავლის საწინდრად. „მე აწინდელისა მდგომარეობისათვის მამულისა ჩვენისა ესრეთ მოხარული ვარ, რომელ მომეტებული შეუძლებელ არს“, და ეს სიხარული მას იპყრობდა იმიტომ, რომ ახალი შემოქმედებითი თაობა მოდიოდა, ამიტომ, „გული ჩემი მარად დღე ტრფიალებს, ვინაითგან მრავალთა ახალგაზრდათა კაცთა იწყეს თხზვა მშვენიერთა სტიხთა და აღწერა პროზად სხვა და სხვა საგანთა...“¹⁶ ეს ახარებდა მოქალაქესა და მოღვაწეს, მოაზროვნესა და მწერალს სოლომონ დოდაშვილს.

არ შეიძლება ორიოდ სიტყვა არ ითქვას იმ მიმართვაზე, რომელიც სოლომონ დოდაშვილმა წარმოთქვა 1828 წლის 6 ივნისს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის კურსდამთავრებულთა გამოშვების დღეს. ამას იგი უწოდებდა „შესხმას“. სოლომონ დოდაშვილმა მიმართა „მაღალპატივცემულ მებრძოლთა“, „საყვარელ თანამოქალაქეთ“, „მშობელთ ზრდილთა ამათ სწავლათა მიერ ახალნერგთა“ და მათაც, ვინც „ახლად შემოსვლად ხართ ასპარეზსა ამას შინა სწავლათასა“. მიმართვა იყო სამშობლოს მომავლის სახელით, რომ ექვსი ბნელი საუკუნის გასვლის შემდეგ ახლა „დასხმულსა სწავლათა ვენახსა ზედა“ ერსა და სამშობლოს გულმოდგინე კეთილსამსახური, მეცნიერება, სწავლა და ღრმა მისწრაფება ესაჭიროება.

სოლომონ დოდაშვილის ნაწერთა შორის განსაკუთრებულად მოსახსენებელია მისი ეპისტოლური მემკვიდრეობა. ეს არის წერილები, დაწერილი მის მიერ 1825 წლის ივლისსა და 1832 წლის თებერვალს შორის. წერილების ადრესატებია, უმთავრესად, იონა ხელაშვილი, მეცენატი და ხელისშემწყობი დოდაშვილისა პეტერბურგში ცხოვრებისა და სწავლის განმავლობაში, აგრეთვე ფილადელფოს კიკნაძე, იმერეთის დედოფალი ანა, ოქროპირ ბატონიშვილი. წერილთა რაოდენობა სამოცამდეა და შეიცავს დამწერის ბიოგრაფიულ ცნობებს მისი პეტერბურგში ყოფნის, თბილისისაკენ გამომგზავრების, თბილისში მუშაობის, დაოჯახების და სხვა მრავალ ამბავთა შესახებ. წერილების მეშვეობით ვეცნობით იმ წრეს, რომელშიც ყოფნა უხდებოდა მას პეტერბურგსა და თბილისში,

მის საქმიანობას, სამუშაო გეგმებს, ცნობებს შესრულებულ სამუშაოთა და ნაშრომთა შესახებ. აქვეა წერილები მისი პედაგოგიური მოღვაწეობის, ჟურნალისტური მუშაობის, ქართული ჟურნალ-გაზეთის გამოსვლის ცნობებით. წერილები გვაცნობს დოდაშვილის მახლობელთა წრეს, მრავალ ჭაინტერესო ყოფით ფაქტს, პირადი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის შემცველ მომენტებს.

წერილები დაუცავს იონა ხელაშვილს, რომელსაც ჩვეულებად ჰქონია შეენახა თავისი დაწერილიც და მასთან მიწერილიც და მოექცია სხვადასხვა კრებულებში. სოლომონ დოდაშვილის წერილები მიმოხილვითა და კომენტარებით შეტანილია მის თხზულებათა 1961 წლის გამოცემაში.

სოლომონ დოდაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა არ არის დიდი, მაგრამ მის ფილოსოფიურ და ენათმეცნიერულ ნაშრომებთან, აგრეთვე ჩვენამდე ფრაგმენტებად მოღწეულ სხვადასხვა ხასიათის ნაწერებთან ერთად მისი რამდენიმე ორიგინალური თუ თარგმნილი თხზულებაც გარკვეული ღირებულების მქონეა და, რაც მთავარია, აჩვენებს ადრე დაღუპული დიდი ქართველი საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოღვაწის გონების თვალსაწიერსა და ღონეს.

სოლომონ დოდაშვილი და ქართული კულტურის ზოგიერთი საკითხი

22 წლის სოლომონ დოდაშვილმა 1827 წელს პეტერბურგში რუსულ ენაზე გამოაქვეყნა „ლოგია“, რომელმაც გამოცემისთანავე მის ახალგაზრდა ავტორს დიდი აღიარება მოუტანა. „ლოგიის“ შესავალში ს. დოდაშვილი გვაუწყებს იმ გეგმების შესახებ, რომლის გასრულებასაც აპირებდა მომავალში. ამ გეგმაში იგულისხმებოდა ფილოსოფიის სრული კურსის შექმნა. იგი აღნიშნავს: „ფილოსოფიამ უნდა წარმოგვიდგინოს:

I

- 1) კანონები: ა) აზროვნებისა და ბ) კანონები სულიერი ძალებისა — ლოგია და ფსიქოლოგია.
- 2) კანონები შეშეცნებისა და შესამეცნებელისა — მეტაფიზიკა, ყველა მისი ნაწილით.

II

- 3) კანონები შეგრძნებისა — ესთეტიკა.

III

- 4) კანონები ნებისა და სურვილისა: ა) შინაგანი მოქმედებისათვის — ზნეობის ფილოსოფია და ბ) გარეშე ურთიერთობისათვის — სამართალი.

ამას დაეუმატებოდა ფილოსოფიურ სისტემათა მოკლე ისტორიას და იმ გამოთქმათა პატარა სიტყვარს, რომლებიც ზუსტ განსაზღვრებას საჭიროებენ ჩვენს მეცნიერებაში — და აი ყველაფერი, რაც დროთა განმავლობაში წარედგინება ცოდნის მოყვარულთა ყურადღებას და განსჯას¹.

¹ ს. დოდაშვილი, ლოგია, თბილუბანი, თბ., 1961, გვ. 44.

ს. დოდაშვილის წიგნს დიდი გამოხმაურება მოჰყვა, დაიწერა რეცენზიები, რომლებშიც აღნიშნული იყო: „დღემდე ჩვენ სრულიად არ გვქონდა კარგად გადმოცემული ლოგიკა, წიგნი ეგზომ საჭირო აღზრდისათვის. ყველა ჩვენი ლოგიკა ან იყო ძველი, კონდილიაქისა, ან ბაუმაისტერული სქოლასტიკის ნარჩენებს წარმოადგენდა... უარყვეს რა მთელი ეს სქოლასტიკა... ბატონმა მაღაროელმა (დოდაშვილმა — მ. მ.) და ბატონმა ტალიზინმა ნათლად, მოკლედ, მარტივად აგვიხსნეს მნიშვნელოვანი მეცნიერება სწორი აზროვნებისა და ორივემ მიზანს მიაღწიეს (ნ. პოლევის რეცენზიიდან. რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „მოსკოვსკი ტელეგრაფში“); ვ. ტიტოვი წერდა: „ბატონ დოდაშვილს განსაკუთრებით კარგად აქვს გამოყვანილი მსჯელობათა კატეგორიები. მაგრამ ყველაზე მეტად ჩვენ ვუმადლით იმ ბედნიერ სითამამეს, რომლითაც მან გადაუხვია დიდი ხნის წინათ დაკანონებულ პრინციპებს ლოგიკის დალაგებაში და მსჯელობა ცნებაზე წინ დააყენა...“ (ხაზგასმა ჩვენია — მ. მ.). ს. დოდაშვილის „ლოგიკას“ დადებითად გამოეხმაურა „სევერნაია პჩელას“ რედაქციაც, სადაც განსაკუთრებით მოწონებულია დოდაშვილის მიერ თეზისის, ანტითეზისისა და სინთეზისის ცნებების გამოყენება წარმოდგენების, აზროვნების კანონებისა და კატეგორიების მიმართ, აგრეთვე კატეგორიების გამოყენება წინადადებების მიმართ.

ხსენებული რეცენზიებით აღფრთოვანებული იონა ხელაშვილი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღოდა ს. დოდაშვილის სწავლა-განათლებისა და „ლოგიკის“ გამოქვეყნების საქმეში, ახალგაზრდა ავტორს სწერდა: „ე.ე. რა წლითგან მარადის საღვთო ლოცვით ს'ომებულ ხართ ჩემგან თითოეულთა მოქცევათა შინა, სულ კეთილო პირო სიბრძნისაო, უსაყვარლესო ძეო მამულისაო... ემ სახედვე მტერნიცა მჩურჩულნი ხმითა საზოგადოთა შეუდგებიან ვაშა ვაშად თქუენდა“.

ს. დოდაშვილის მსოფლმხედველობის მეკლევრები, მას ხან კანტის, ხან ფიხტეს, ან კიდევ შადის მიმდევრად აცხადებენ. მაგრამ ალბათ არ იქნება მთლად სწორი, თუკი ს. დოდაშვილის ფილოსოფიას კანტის, ფიხტეს ან შადის მსოფლმხედველობებზე დაიყვანთ მხოლოდ. მის ნააზრევში ვხვდებით ფილოსოფიური პრობლემატიკის თავისებურ გადაწყვეტას და ფილოსოფიური

აზრის ძირითადი ტენდენციების საინტერესო დალაგებას, რაც ავტორის აზროვნების დამოუკიდებლობაზე მიუთითებს.

ს. დოდაშვილს „ლოგიკის“ შესავალში ნათლად აქვს გარკვეული ფილოსოფიის საგანი და ამოცანა. ჭეშმარიტი ფილოსოფიის მისაღწევად, მისი აზრით, აუცილებელია ცრურწმენებისაგან განთავისუფლება: „ფილოსოფიურ სისტემათა ისტორიის პირველი თვალის გადავლებისას ადვილად შეიძლება დავრწმუნდეთ, რომ ჭეშმარიტი ფილოსოფია შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა დაცხრება ვნებანი, და როცა ცრურწმენანი, რომელთაც ასე სამართლიანად უწოდებს ბეკონი ადამიანის გონების კერპებს, შეწყვეტენ მის მართვას“².

საინტერესოდ აქვს ს. დოდაშვილს წარმოდგენილი ფილოსოფიის შესწავლის ობიექტის განსხვავება კერძო მეცნიერების შესწავლის ობიექტისაგან. ფილოსოფია განსაკუთრებული მეცნიერებაა და ისეთ ცოდნას იძლევა, რომელსაც სხვა მეცნიერება ვერ მოგვცემს. ფილოსოფია მოიცავს შესამეცნებელსა და შემმეცნებელზე ზოგად თეორიას, ეთიკასა და ესთეტიკას. შემმეცნებლისა და შესამეცნებლის შესახებ ცოდნა არის — „გონების სწავლა“. ეთიკა — „გულის სწავლა“, ხოლო ესთეტიკა — „გრძნობის სწავლა“.

სოლომონ დოდაშვილს ფილოსოფიის შესწავლის საფუძვლად ფილოსოფობა მიაჩნია, რაც შემდეგს გულისხმობს: ადამიანმა პირველ რიგში უნდა ჩაიხედოს თავისთავში, ჩასწვდეს თავისთავს და გაიგოს თავისი თავი. ფილოსოფიის დაუფლებისათვის აუცილებელია ადამიანმა საკუთარ თავში „ჩაიხედოს“ საფუძველზე მოახდინოს ყოველივე იმის აბსტრაპირება, რაც მას არ ეკუთვნის. ს. დოდაშვილს ფილოსოფიური კვლევის აუცილებელ პირობებად მიაჩნია — განყენება, შეცნობა და გაგება თავისთავისა. ამასთანავე, ფილოსოფიაში შემმეცნებელი პირი და შემეცნების უმთავრესი საგანი ადამიანია. სწორედ ამაშია ფილოსოფიის განსხვავება სხვა მეცნიერებისაგან საგნის თვალსაზრისით, ს. დოდაშვილის მიხედვით. აღნიშნული საფუძველზე კი ს. დოდაშვილი იძლევა ფილოსოფიის

² იქვე. გვ. 42.

საგნის განსაზღვრებას: „ფილოსოფია არის მეცნიერება მთელი ჩვენი მოქმედების უკანასკნელი საფუძველების შესახებ; მასში უნდა ვეძიოთ და ვიპოვოთ ჩვენი შემეცნებისა და მოქმედების ისეთი მიზეზები, რომელთაც შეუძლიათ, მეტად თუ ნაკლებად, დააკმაყოფილონ ადამიანის გონება“³. ზემოაღნიშნული სრულ საფუძველს გვაძლევს იმისათვის, რომ ს. დოდაშვილის მისამართით ითქვას: იგი თავისი ფილოსოფიური მსოფლმხედველობით იმდროინდელი ევროპული აზროვნების დონეზე იდგა, რაც უკვე თავის თავად ბევრს ნიშნავდა.

ს. დოდაშვილის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის დაწვრილებითი განხილვისათვის აქ საამისო ადგილი არ არის. დაგკმაყოფილებით მხოლოდ რამდენიმე მომენტის აღნიშვნით. „ლოგიკის“ შესავალი ნაწილიდან კარგად ჩანს, რომ მისი ავტორი ფილოსოფიის ისტორიისა და მისი განვითარების ძირითადი მიმართულებების დრმა მცოდნე იყო.

მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ერთი ასეთი მომენტიც: ს. დოდაშვილის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა გამსჭვალულია პრობლემებისადმი დიალექტიკური მიდგომით: „ს. დოდაშვილი ვეღარ თავსდება ფორმალური ლოგიკის ფარგლებში და ამიტომ როგორც შემეცნების, ისე ყოფიერების განხილვის პროცესში ბევრ საყურადღებო დიალექტიკურ მიხვედრებს აკეთებს“ (ვ. გაგოიძე). ეს მომენტი მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიაში ს. დოდაშვილის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ადგილის დადგენის თვალსაზრისით. კერძოდ: ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიაში ნათლად ჩანს, რომ ჩვენში მუდამ დიდ ინტერესს იჩენდნენ დიალექტიკის მოძღვრებისადმი და ამიტომაც არც ის იყო შემთხვევითი, რომ ქართულ სინამდვილეში გამორჩეული ყურადღებით სარგებლობდნენ ის ფილოსოფიური სისტემები და იმ ფილოსოფოსთა მსოფლმხედველობანი, რომელთათვისაც განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო სინამდვილის მოვლენათა ურთიერთკავშირის დიალექტიკური გაგების თვალსაზრისი (პლატონი, ნეოპლატონიზმი, არეო-

³ იქვე, გვ. 44.

პაგტიკა...)). ამ გზით მიდიოდა შუა საუკუნეების გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი. ამავე ტრადიციებს აგრძელებს სოლომონ დოდაშვილი. ეს ტრადიცია შენარჩუნებულ და განვითარებულ იქნა XX საუკუნის ქართულ ფილოსოფიაშიც (შალვა ნუცუბიძე, კოტე ბაქრაძე, სავლე წერეთელი). აქედან გამომდინარე, შეიძლება მითითებულ იქნეს იმ საერთო თვალსაზრისზე, რომელიც დამახასიათებელი იყო ქართული ფილოსოფიური აზროვნებისათვის ძველი დროიდან დღემდე. ეს თვალსაზრისი დიალექტიკური მოძღვრებისადმი დიდი მნიშვნელობის მინიჭებას გულისხმობდა, ს. დოდაშვილის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა ამ საერთო თვალსაზრისის ერთი აუცილებელი რგოლია.

სანამ ს. დოდაშვილის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის მნიშვნელობაზე ვიტყოდეთ რაიმეს, მანამ ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიას გადავხედოთ. შუა საუკუნეებში ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი ანტიკური და შუა საუკუნეების უმნიშვნელოვანეს ფილოსოფიურ-თეოლოგიურ მოძღვრებებს თარგმნიდნენ, როგორც წესი, ამ თარგმანებს თან ახლდა ვრცელი და ღრმა ფილოსოფიური კომენტარები, შესავალი წერილები და ბოლოსიტყვაობანი, რომლებიც უმრავლეს შემთხვევაში ქართველ ფილოსოფოსთა ორიგინალურ ნაშრომებს წარმოადგენდა. ამ გზით შემოვიდა და დამკვიდრდა ქართულ კულტურაში არეოპაგიტული მოძღვრება (ეფრემ მცირე), პროკლეს „თეოლოგიის პირველსაფუძვლები“ და ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“ (იოანე პეტრიწი), იოანე დამასკელის „დიალექტიკა“ და „გარდამოცემა“ (ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი) და სხვა მრავალი ძეგლი.

ქართული კულტურის ეს ბრწყინვალე ეპოქა ისტორიის კუთვნილება გახდა და შუა საუკუნეების შემდეგ ნამდვილი ფილოსოფიური აზროვნება ჩაკვდა. თუ რამ იყო, ისიც ვერ სცილდებოდა მთარგმნელობით საქმიანობას (რაც თავისთავად მნიშვნელოვანი იყო იმ დროისათვის, როცა ქართველთა ყოფნა-არყოფნის საკითხი ჰქონდათ გადასაწყვეტი), მაგრამ, მსგავსად შუა საუკუნეებისა, იმ ეპოქის უმნიშვნელოვანესი და შესაფერი მოძღვრებები რადიკალურად ითარგმნებოდა. ქართულ სინამდვილეში ფილოსოფიამ დაკარგა

დამოუკიდებელი მნიშვნელობა და თეოლოგიასთან წილნაყარობის წყალობით თუ არსებობდა.

ს. დოდაშვილის „ლოგიკა“, რომელიც, მართალია, მხოლოდ რუსულად გამოქვეყნდა, მაგრამ მის ავტორს იგი ქართულ ენაზეც ჰქონდა მომზადებული და სხვადასხვა გარემოებების გამო ვერ გამოაქვეყნა, და ფილოსოფიის სრული კურსის გეგმა-მონახაზი, შუა საუკუნეების უკვე ჩამკედარი ქართული ფილოსოფიური აზროვნების ნამდვილი აღდგენის დასაწყისად უნდა ჩაითვალოს. ს. დოდაშვილის ერთ უდიდეს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ფილოსოფიური პრობლემატიკისადმი წმინდა ფილოსოფიური კუთხით მიდგომა, რომლის ტრადიციაც ქართულ სინამდვილეში დიდი ხნის გაუქმებული იყო. ყველაფერი ეს ცხადად ჩანს ს. დოდაშვილის „ლოგიკიდან“ და იმ გამოხმაურებებიდან, რომლებიც ამ წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა რუსულ პერიოდულ პრესაში. გვიან ამგვარი მოსაზრება გამოითქვა საქართველოშიც: „სანაქებოა ამისი კიდევ ის, რომ სწერს მეტათ გასაგების და უბრალო ენის კილოთი, მისი წიგნი სხვა და სხვა ძნელ გამოსათქმელ ტერმინებით არ არის სავსე. პირველი მაგალითი იყო, რომ პეტერბურგში, ქართველ კაცისაგან სამეცნიერო რამე დაბეჭდილიყოს და ისიც მმართველობასაც მოსწონებოდა და სახელმძღვანელოთ მიეღოს“⁴.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება შეფასებულ იქნეს ს. დოდაშვილის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის მნიშვნელობა ქართული კულტურისათვის. როგორც უკვე აღინიშნა, ს. დოდაშვილმა ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებას დაუბრუნა უკვე თითქმის გაუქმებული შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფიის სტილი და აღადგინა ჰუმანიტარული ფილოსოფოსობის ტრადიცია. აქ შეიძლება ასეთი შეპასუხებაც — ს. დოდაშვილის „ლოგიკა“ ხომ რუსულად გამოქვეყნდა და რამდენად გამართლებულია ქართული კულტურისათვის მისთვის ასე დიდი მნიშვნელობის მინიჭება? ვფიქრობთ, აქ მხედველობაში მისაღებია ის ფაქტი, რომ იმ დროის პეტერბურგში ქართველ მოღვაწეთა დიდი ჯგუფი იყო,

⁴ ზ. კიკინაძე, სოლომონ დოდაშვილი, თბ., 1893, გვ. 15.

რომელთაც კავშირი არ ჰქონიათ გაწყვეტილი ქართულ კულტურასთან, ბევრი მათგანი დაბრუნდა კიდევ საქართველოში და აქ გააგრძელა მოღვაწეობა. პეტერბურგში მყოფი ქართველები, ბუნებრივია, გულგრილნი ვერ დარჩებოდნენ ს. დოდაშვილის ფილოსოფიური მსოფლმხედველობისადმი, მითუმეტეს, რომ „ლოგიკის“ თავფურცელზე, ა. პეროვსკისადმი მიმართვაში ნათლადაა გამოკვეთილი ს. დოდაშვილის მრწამსი — უდიდესი რწმენა და ზრუნვა ქართული კულტურისადმი: „ამჟამად საჯარო აღზრდა, რამაც, თქვენნი აღმატებულების მფარველობით და დაუღალავი ზრუნვით, თქვენდამი რწმუნებულ ოლქში ბედნიერი მიმართულება მიიღო, უეჭველია, ამ აზიურ ქვეყანას ევროპული განათლებულობის საფეხურზე აიყვანს. კავკასიის ჰაბუჯ შვილთა აზრი და გონება საზრდოს ეძებს და ამ წმინდა მისწრაფებით გამსკვალული, მიაპყრობს თქვენენ თვალსა და თქვენნი აღმატებულების აგან მოელმს ამ საზრდოს“. თუკი გადავხედავთ ს. დოდაშვილის შემდეგდროინდელ მოღვაწეობას და გავითვალისწინებთ მის ღვაწლს ქართული კულტურისათვის, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს სიტყვები ვილაციის საამებლად არ ყოფილა ნათქვამი და იგი „მხოლოდ სარჩულია და არა ნამდვილი გულიდამ აღმონაგშენი ქვემარტი შენიშვნა“⁵. მაშასადამე, ამ სიტყვებში უპირველესად ქართული კულტურის მომავალზე ფიქრი ჩანს და არა სხვა რამ.

ს. დოდაშვილის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის მნიშვნელობა ქართული კულტურისათვის სხვა მხრივაცაა საყურადღებო: ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვისას ს. დოდაშვილი ამოდის კულტურის ფილოსოფიის პოზიციიდან და ისე აფასებდა ქართულ კულტურულ მემკვიდრეობას. ასევე, მოწინავე ფილოსოფიურ-პოლიტიკური მსოფლმხედველობით იყო განსაზღვრული ს. დოდაშვილის აქტიური მონაწილეობა 1832 წლის შეთქმულებაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ს. დოდაშვილის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა ქართული კულტურის ორგანული შემადგენელი ნაწილია, რაც უნდა

⁵ ზ. კიკინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 14.

ჩაითვალოს მისი ავტორის ერთ-ერთ უპირველეს დამსახურებად ქართული კულტურის ისტორიაში.

ს. დოდაშვილი ფილოსოფოსი იყო მოწოდებით და ეს მისი „ლოგიკიდანაც“ თვალნათლივ ჩანს, როგორც უკვე აღინიშნა, მას მიზნად ჰქონდა დასახული — დაეწერა ფილოსოფიის სრული კურსი. მაღალ ფილოსოფიურ დონეზე შესრულებული „ლოგია“ იმის უტყუარი გარანტია იყო, რომ მისი ავტორი ასევე წარმატებით გაართმევდა თავს ფილოსოფიის სრულ კურსსაც. სავარაუდებელია, ს. დოდაშვილი დასახული მიზნის განხორციელებას საქართველოში აპირებდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ყველაფერ ამას კი თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა.

საქართველოში დაბრუნებული ს. დოდაშვილი „ხელს იღებს ფილოსოფიაზე“ (დროებით მაინც!) და ებმება საქმეში, რომელიც უფრო მეტად ესაქიროებოდა ქართულ კულტურას, ქართველ ხალხს. ს. დოდაშვილი ხედავს, რომ ქართველ ხალხს განათლება აკლია, უწიგნურია და ევროპაშიც არაფერი იციან მისი კულტურის შესახებ, ყველაფერ ამით იგი ერთობ დაფიქრებულია და სერიოზულ წუხილს გამოთქვამს. ს. დოდაშვილი მთელი არსებით მიეცა ეროვნულ მოღვაწეობას. მართებულად არის შენიშნული: „ს. დოდაშვილი უფრო დიდ მიზანს ისახავდა: აღეძრა ქართულ საზოგადოებაში სურვილი, ეროვნული კულტურის გატანისა მსოფლიო, ევროპულ ასპარეზზე. მას ისტორიულ უსამართლობად მიაჩნდა, რომ ქართული ლიტერატურა, რომელმაც კაცობრიობას მისცა შემოქმედებითი აზრის გენიალური ქმნილება „ვეფხისტყაოსანი“, ნაკლებად იყო ცნობილი მსოფლიოში“⁶. ამასთანავე, და ეს აქ მთავარია, ს. დოდაშვილს ღრმად სწამდა ქართული კულტურის ხელახალი აღორძინება. სწორედ ამ საქმეებში ჩაბმა იყო მიზეზი იმისა, რომ ს. დოდაშვილმა ვერ განახორციელა ფილოსოფიის სრული კურსის შექმნა. არადა ს. დოდაშვილს არ გაემტყუნებოდა, მაშინ ქართულ კულტურასა და ქართველ ხალხს ამ მხრივ უფრო სჭირდებოდა მტკიცე ხელი.

ზემოთ აღნიშნული იყო აგრეთვე უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ს. დოდაშვილი, 1828 წელს დაარსებული გაზეთის „ტფი-

⁶ გ. აბზიანიძე, ს. დოდაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, თბ., 1961, გვ. 32.

ლისის უწყებანის“ (რუსულად და ქართულად) რედაქციაში აღმოჩნდა, ჯერ მთარგმნელად. 1829 წელს რედაქტორად, ხოლო 1830 წლიდან კი უკვე გამომცემელად. მისი უშუალო მეცადინეობით, 1832 წლიდან დაიწყო აღნიშნული გაზეთის დამატების, ჟურნალ — „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანის“ გამოსვლა, რომლის „რედაქტორი და მიმართულების მიმცემი იყო ს. დოდაშვილი“. თუკი გავიხსენებთ ს. დოდაშვილის ფიქრისა და განსჯის საგანს, მაშინ ძნელი არ უნდა იყოს იმის დანახვა, რომ მისი საქმიანობა გაზეთში — „ტფილისის უწყებანი“ — კანონზომიერი მოვლენა იყო. ამისათვის ს. დოდაშვილი დიდი ხანია მზად იყო. ალბათ, არ შეეცდებოდა თუ ვიტყვით, რომ გაზეთში მისვლა ს. დოდაშვილისა იყო პირველი ეტაპი იმ ჩანაფიქრის განხორციელებისა, რომელიც მან ჯერ კიდევ პეტერბურგში ძწავლის პერიოდში დაისახა მიზნად. ეს ფაქტიც ყურადსაღებია, როცა ქართულ კულტურაში ს. დოდაშვილის დამსახურებაზე იქნება საუბარი.

გაზეთში, განსაკუთრებით კი მის დამატებაში — „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“. გამომცემლად ს. დოდაშვილის დიდი ზრუნვა ქართულ კულტურაზე. ამ მხრივ გამორჩეულ ყურადღებას იმსახურებს ს. დოდაშვილის სტატია — „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა“, რომელიც ხსენებულ ჟურნალში გამოქვეყნდა. სტატიის საფუძვლიანი წაკითხვის შემდეგ აღარ უნდა გაგვიჭირდეს მასში „ლოგიკის“ ავტორის საერთო აზრის ამოცნობა. როგორც უკვე აღინიშნა, „ლოგიკის“ შენაგვალ ნაწილში, ს. დოდაშვილი, სულ რამდენიმე გვერდზე მოკლედ, ლაკონიურად, მაგრამ ერთობ ღრმასაფუძვლიანად ალაგებს და გადმოსცემს ფილოსოფიური აზრის ისტორიის განვითარების ძირითად მიმართულებებსა და ტენდენციებს, ლოგიკის მოკლე ისტორიას. აღნიშნულ წერილშიც ამას აღწევს ს. დოდაშვილი: აჩვენებს ქართული ლიტერატურის, ფილოსოფიისა და საერთოდ ქართული კულტურის განვითარების არსებით მომენტებს.

ს. დოდაშვილი წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ ქართული ენის ნამდვილი ღირსება არ იცის ბევრმა და მას ჩამორჩენილად მიიჩნევენ: „ჩვენ შეგვეთხვა სმენა დამტკიცებითა სჯათა მრავალთა კეთილმზრახველთა კაცთაგან ქართულისა ენისათვის, რო-

მელ იგი გლახაკ არს თხზულებათა მიერ სალიტერატუროთა, არა განვითარებულ არს და შესახებელადცა გარმონიისადმი არავეთარისამე მექონ არს სიამოვნისა“⁷. ს. დოდაშვილის ამ გამონათქვამიდან ცხადია ისიც, რომ ქართულ ენას უიმედოდ უყურებდნენ საკუთრივ ქართველებიც, რამდენადაც ქართული ენის „კეთილმზრახველებში“, უპირველესად, ალბათ ქართველები უნდა ვიგულისხმოთ. აქედან ნათელია ის სიძნელებები, რაც თან ახლდა ყველა ისეთ წადილს, რაც ქართული ენის ძველი დიდების აღდგენას გულისხმობდა.

ქართული კულტურის აღორძინებისათვის ზრუნვა ს. დოდაშვილის მხრიდან ემყარებოდა ერთობ დიდ წარმოდგენას ქართულ ენაზე. ს. დოდაშვილი აღნიშნავს: „ქართულსა ენასა ზედა არიან მრავალნი მშვენიერნი თხზულებანი და თარგმნილნიცა წიგნში ღსხვა და სხვა ძველთა და უახლესთა ენათაგან“⁸. საინტერესო ცნობას ვხვდებით ზ. კიკინაძესთან: ს. დოდაშვილის მიზანი იყო „იმ დროს, თფილისის ორს სასწავლებელში და სხვაგანაც ქართველთა შვილების სწავლა-განათლება სამშობლო ენაზედ ყოფილიყოს, რადგანაც ესენი ამ ენის საშუალებით უფრო ადვილად განვითარდებიან და წავლენ წინაო“⁹. არ ვიცით, რამდენად სანდოა ზ. კიკინაძის ცნობა, მაგრამ თუკი გავითვალისწინებთ ს. დოდაშვილის საერთო ღვაწლს, მაშინ შეიძლება ვირწმუნოთ ამ ცნობის სიმართლეც. ეს ფაქტიც გასათვალისწინებელია ს. დოდაშვილის ღვაწლის შეფასებისას.

ს. დოდაშვილს მიზნად დაუსახავს, რომ ქართული ლიტერატურა, რომელიც ჩრდილში იყო იმ დროისათვის მოქცეული, მომავალში გააცნოს განათლებულ საზოგადოებას. ყველაფერი ეს ახალგაზრდა ქართველ ფილოსოფოსს გარკვეულ სამოქმედო პროგრამად დაუსახავს და ეს კარგად ჩანს მიმოხილვის შემდეგი ადგილიდან: „... ხოლო შემდგომად აღვრიცხოთ წერილნი და თვინიერ პირმოთნეობისა ფასდებულ ვჰყოთ ქმნილებითურთ თვითეულნი აექსონნი ღირსებისამებრ მათისა, რომელთაგანცა მოყვარენი საზოგადოობის განვითარებისანი იხილვენ ძველსა აღ-

⁷ ს. დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 137.

⁸ იქვე.

⁹ ზ. კიკინაძე, დასახ. წიგნი, გვ. 18—19.

გილსა შინა კავკასიის ამიერ მცხოვრებთასა მდიდარსა ნიუთიერებასა სალიტერატურომასა, რომელიცა აქამომდე წყვილიდა შინა სიბნელისასა დაფარულ იყო მხედველობათაგან განათლებულის ევროპიისათა¹⁰. იმის მიუხედავად, რომ ს. დოდაშვილმა თავისი ჩანაფიქრი ბოლომდე ვერ განახორციელა, ქართული ენის მისეული შეფასება და წადილი ქართული ენის ძველი დიდების აღორძინებისა კუთვნილ ადგილს დაიკავებს ქართული კულტურის ისტორიაში.

საინტერესოდ და მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ს. დოდაშვილის თვალსაზრისი ქართული და სომხური ენის მიმართებაზე. მართალია, ამ საკითხს მიმოხილვაში მცირე ადგილი უკავია, მაგრამ აქაც ნათლად ჩანს სტატიის ავტორის დიდი ერუდიცია, საქმეში ჩახედულობა და, რაც მთავარია, საოცარი ობიექტურობა. ს. დოდაშვილი, თუკი, ერთი მხრივ, სამართლიან გულგრილობას იჩენს იმით მიმართ, ვინც ზერელედ ეკიდება ამგვარ საკითხებს, მეორე მხრივ, ამჟღავნებს დიდ პატივისცემას მეზობელი ხალხის კულტურისადმი და ჭეროვნად მიუზღავეს როგორც სომხურ, ისე ქართულ ენას: „წინაპართა ჩვენთა შემოიღეს ლექსნი ქართულისა ენისანი მაშინ, ოდესცა სომხური ენა მყოფობდა თავის თავად, ეგრეთვე ქართველნიცა იყვნენ განყოფით და პირსა შინა ერისასა გამოიხატა“¹¹ (ხაზგასმა ჩვენია — მ. მ.). ს. დოდაშვილი მოკლედ, მაგრამ დამაჭერებლად აჩვენებს ქართული ენის დამოუკიდებლობას. ამასთანავე, ს. დოდაშვილი თავის თვალსაზრისს ქართული ენის რაობასა და დამოუკიდებლობაზე საოცარი რიდით გამოთქვამს: „ძირი ენისა ჩვენისა უნდა იყოს საკუთარი, ესე ჰსჩანს ყოველთა ძველთა წერილთაგან. ჩვენ ვერ ვჰხედავთ ვერცა ასოთა, ვერცა ხმათა და გამოღებათა, არა თუ ოდენ ლექსთან, რომელთა აქვნდეთ მკვეთრი მსგავსება სულსა შინა სომხურისა ენისასა“¹². ვერც ს. დოდაშვილის ამ მოსაზრების მიმართ დარჩება გულგრილი ქართული კულტურის, ქართულ-სომხური ურთიერთობის ისტორიის მკვლევარი.

ზემოაღნიშნული მოკლე შესავლების შემდეგ, სადაც ქართ-

¹⁰ ს. დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 197—198.

¹¹ იქვე, გვ. 198.

¹² იქვე.

ული ენის ისტორიაზე და მის დიდ შესაძლებლობებზეა მსჯელობა, ზ. დოდაშვილი იწყებს ქართული ლიტერატურის ისტორიის მიმოხილვას. ამ მიმოხილვისას კი ავტორი ხელმძღვანელობს იმავე მეთოდით, როგორც „ლოგიკაში“, ფილოსოფიის შესავლისა და ლოგიკის მოკლე ისტორიის გადმოცემისას. კერძოდ, ს. დოდაშვილი ქართული კულტურის მოღვაწეთაგან გამოარჩევს იმათ, ვისი წვლილიც ჩვენი ერის ცხოვრებაში განსაკუთრებულია. ამ პრინციპით ხელმძღვანელობს იგი, როცა IX საუკუნის მოღვაწეებში გამოყოფს ილარიონ ქართველს; X საუკუნეში — წმინდა მამა იოანეს; XI საუკუნეში — წმინდა მამა ექვთიმეს, იოანე პეტრიწსა და სტეფანეს; მეთორმეტე საუკუნის შესახებ კი ს. დოდაშვილი ხაზგასმით აღნიშნავს: „საკუთრად მეთორმეტესა საუკუნესა შინა ქართველნი იდგნენ უმადლესსა ხარისხსა ზედა ძლიერებისა და განათლებისასა“ და ამ ეპოქის ქართველი სწავლულები გამორჩეული და განსხვავებულნი იყვნენ სხვებისაგან „სიმხნითა, სიბრძნითა სათნოებითა და პოეზიითა“¹³.

ს. დოდაშვილი ასევე მაღალ შეფასებას აძლევს ეფრემ მცირეს, თეოფილეს, არსენ იყალთოელსა და იოანე ტარიჭის ძეს, რომელთა უპირველეს დამსახურებად მიაჩნია ელინურიდან ქართულ ენაზე ფილოსოფიური და ღვთისმეტყველების თხზულებათა გადმოთარგმნა.

საერთოდ კი, უნდა ითქვას, რომ ს. დოდაშვილის მიერ შუა საუკუნეების ქართული სინამდვილის შეფასება თანამედროვე კულტურისა და ისტორიის ფილოსოფიის მოთხოვნების დონეს შესაბამეობა. მას კარგად აქვს შენიშნული, რომ შუა საუკუნეებში ქართული სახელმწიფოებრიობის აღზევებას თან სდევდა კულტურული აღზევებაც. ეს იყო ეპოქა, როცა ქართველი მეფეები დიდად იყვნენ დაინტერესებული უცხოური, იმ დროისათვის მოწინავე ბერძნული კულტურის ათვისებით და ამას პრაქტიკულადაც ახორციელებდნენ: აგზავნიდნენ ახალგაზრდებს საბერძნეთში — იმდროინდელი მსოფლიო კულტურის ცენტრში, მოწინავე იდეების შესასწავლად და შემდგომში ამ იდეების საქართველოში გავრცელების მიზნით: „მიმდინარეობასა შინა მათ დროთასა მეფენი ჩვე-

¹³ იქვე, გვ. 199.

ნი ზრუნავდნენ რა კეთილდღეობისათვის ყრმათა თვისთა, სწავ-
ლათათვის“¹⁴.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ს. დოდაშვილი ყოველ ეპოქაში
გამოარჩევს იმ ქართველ მოღვაწეებს, რომელთა წვლილი განსა-
კუთრებულია ქართული კულტურისათვის. მაგრამ ს. დოდაშვილი
ამით არ კმაყოფილდება და რჩეულთა შორის რჩეულებზე საგან-
გებოდ ჩერდება. ერთი ასეთი რჩეული რჩეულთა შორის არას
იოანე პეტრიწი, უპირველესი ფილოსოფოსი ქართველი ხალხისა.
ს. დოდაშვილის აზრით, ქართული ფილოსოფიური აზროვნების
აღმავლობა იოანე პეტრიწით იწყება („გარნა ელვარებითი ეპოხა
მქვერმეთქვეობის ჩვენისა იწყო იოანე პეტრიწმან“). იოანე პეტ-
რიწის დახასიათებისას იგი არავეითარ ეპითეტებს არ ერიდება:
„პეტრიწი ესე იყო ქეშმარიტი ფილოსოფოსი, ფრიად საყვარელი
მოღეჭე საქართველოსა შინა, სრულის აზრით დიდი და ჩინე-
ბული კაცი დროჟსა თვისისა“. ამასთანავე, — ს. დოდაშვილის
თანახმად, — პეტრიწის ღვაწლი აღიარებული იყო არა მხოლოდ
მის თანამედროვეთა მიერ, არამედ ქვეყნის განათლებული შთა-
მომავლობისაგანაც—„მან წერა ყოველთა გვართა შინა სიტყვიერე-
ბისათა და ყოველთა გვართა შინა ჰპოვა ჩინებულება და პატივის-
ცემა არა მხოლოდ თანამედროვეთა თვისთა, არამედ ყოველთა
განათლებულთა შთამოებათა თვისისა მამულისათა“¹⁵. აღნიშნუ-
ლის დასადასტურებლად მიმართავს ასევე სახელოვან ერისკაცსა
და სწავლულს — ანტონ კათალიკოსს, რომელსაც თავისი სიამაყე
და აღტაცება იოანე პეტრიწის აზროვნების სიღრმით პოეზიის ენა-
ზე აქვს გადმოცემული. სანიმუშოდ ორ სტროფს დავიმოწმებთ:

„ენობენ წერილინ შენნი, სამყარობენ,
წინადადება ყოვლად დაურღვევლობენ,
აღმოჩინება ყოვლად მოუახლეაქუ,
დამტკიცებანი ძლიერებენ ყოვლითურთ,
ხოლო უკუთქმა ვერავინ დაამტკიცოს.

შენ ფილოსოფოს საქმე მონასმინანი,
შენ სტოიკებრი სიტყვით სპეკალ-მინანი,

¹⁴ იქვე, გვ. 199.

¹⁵ იქვე, გვ. 199—200.

შენ პერიპატოს ცნობანი სალხინანი.
მოაქართულენ, ქართლი ჰქმენ ათინანი,
ქირნი წარგვხადენ, უმეცარ საწყინანი“.

ს. დოდაშვილი, რა თქმა უნდა, ეთანხმება იოანე პეტრიწის ანტონისეულ შეფასებას და ამასთანავე საკუთრივ ანტონ კათალიკოსსაც დიდი წარმოდგენისაა. ეს ჩანს ხსენებული დამოწმებიდან და შემდეგი სიტყვებიდანაც: „ღირსება დიდისა მის მწერლისა იოანე პეტრიწისა შესაძლებელ არს ვჰსცნათ ანტონი კათალიკოსის მიერ თქმულსა ლექსსა შინა, რომელიც ალტრფობილი თხზულებათა მიერ მისთა ჰსწერს შემდგომსა“¹⁶.

თამარ მეფის ეპოქას ს. დოდაშვილი „ოქროვანს საუკუნედ“ უწოდებს, საკუთრივ მეფე-დედოფლის შესახებ კი აღნიშნავს, რომ ისინი დიდად ზრუნავდნენ და უწყობდნენ ხელს ქართული კულტურის აღორძინებას. ამ ეპოქაში ს. დოდაშვილი გამოარჩევს მოსე ხონელსა და სარგის თმოგველს, რუსთაველსა და ჩახრუხაძეს. ერთი შეხედვით შეიძლება გაკვირება გამოიწვიოს ს. დოდაშვილის გარკვეულმა ძუნწისიტყვაობამ შოთა რუსთაველის მიმართ. მაგრამ ის ერთი წინადადებაც კი, რომელიც „ვეფხისტყაოსანზე“ აქვს ნათქვამი მრავლისმეტყველი, ღრმა შინაარსის შემცველი და რუსთაველისადმი ს. დოდაშვილის უდიდესი პატივისცემის გამომხატველია: „დასამტკიცებლად მისსა, რომელ სიტყვიერება ჩვენი ყოფილა მაღალსა ხარისხსა ზედა სრულებისასა, საკმაო არს წარვუდგინოთ განათლებულსა სჯასა ლექსნი რუსთაველისანი „ვეფხისტყაოსანი“¹⁷.

თამარის ეპოქის შემდეგ ქართული კულტურის დაცემის უპირველეს მიზეზად ს. დოდაშვილი მიიჩნევს დამპყრობთა შემოსევებს, როცა ქართველ ხალხს ყოფნა-არყოფნის საკითხი დაუდგა და „ყოველსა ჟამსა მოელოდნენ ტყვენვასა და არავინ საქართველოს მცხოვრებთაგანი იყო დარწმუნებული თვისსა უშიშროებასა ზედა“. წერილის დასასრულს ავტორი, გარდა ანტონ კათალიკოსისა, რომლის შესახებაც უკვე გვქონდა საუბარი, დადებითად იხსენიებს — ვახუშტი ბატონიშვილს, სულხან-საბა ორბელიანს, ვახტანგ და დიმიტრი ორბელიანებს, ვახტანგ მეექვსეს.

¹⁶ იქვე, გვ. 201.

¹⁷ იქვე, გვ. 203.

როგორც ამ წერილიდან („მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა“) ჩანს, ს. დოდაშვილს ძირითადად სწორად ჰქონდა გაგებული ქართული ენის წარმოშობის თვითმყოფადობის, ქართული ლიტერატურის განვითარების ძირითადი ტენდენციების, ქართული ფილოსოფიური აზროვნების თავისებურებისა და საერთოდ ქართული კულტურის არსებითი საკითხები. ხოლო, როცა საქმე განხილვაზე მიდგება, მას გარკვეული მეთოდი აქვს მომარჯვებული — ესაა კულტურის ფილოსოფიის პოზიციიდან ქართველი ხალხის სულიერი მოღვაწეობის შეფასება. ამგვარმა პოზიციამ კი ს. დოდაშვილს საშუალება მისცა ღრმად ჩასწვდომოდა ჩვენს კულტურულ წარსულს, დაენახა მთელი მისი სიდიადე და თავისებურებანი, განვითარების ძირითადი ტენდენციები და მისი გამორჩეული მოღვაწეები. ყველაფერმა ამან კი იმედინად განაწყო ახალგაზრდა მოაზროვნე, ირწმუნა ქართული კულტურის ფესვმაგრობა და მოსალოდნელი აღმავლობა შესაფერის პირობებში. მისი აზრით, ვინც კი ყურადღებით გაეცნობა საქართველოს ისტორიას, დარწმუნდება, რომ „... მცირედ ცნობილი საქართველო არს კერძო, ღირსი ყურადღებისა, და რომელ ყოველთა ვაებათა და აოხრებითა თანა, სხვა და სხვათა დროთა შინა შემთხვეულთა, აქვნდა მას საუნჯე სწავლათა და სიტყვიერებისა, ესეოდენვე მდიდარი, ვითარცა სხვათა მხარეთა მის დროსათა“¹⁸.

ს. დოდაშვილის ამ წერილის შესახებ მართებულად არის შენიშნული, რომ „... წერილში დასაბუთებულია ქართული ენის სიძველე და ქართული ანბანის ადგილობრივი კულტურის ნიადაგზე წარმოშობა, ქართული მწერლობის თვითმყოფადობა...“ (ხაზგასმა ჩვენია — მ. მ.); ეს წერილი „...ძველი ქართული ლიტერატურის პერიოდიზაციის პირველი ცდაა“¹⁹. ჩვენი მხრით შეიძლება დავამატოთ, რომ ეს წერილი აგრეთვე შეიძლება ჩაითვალოს ქართული კულტურული წარსულის კულტურის ფილოსოფიის პოზიციიდან შეფასების პირველ ცდად.

¹⁸ იქვე, გვ. 202.

¹⁹ ქართული მწერლობა, ნაკვ. 1, 1984, გვ. 313.

ზემოაღნიშნულით როდი ამოიწურება ს. დოდაშვილის მოღვაწეობა. იგი ქართველი ხალხის, კულტურისა და მისი ტრადიციების დიდი კომაგია, ნამდვილი მოღვაწეა ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ამ მხრივ ორ ფაქტს გავიხსენებთ. 1832 წელს ეურნალისტ გრ. გორდეევს რუსულად გამოუქვეყნებია წერილი, სადაც დამახინჯებულადაა გადმოცემული დამარხვის ქართული წესები. საპასუხო წერილში „შენიშვნა დამარხვის წესსა ზედა უკანასკნელთა მეფეთა საქართველოჲსათა“ ს. დოდაშვილი მკაცრ პოლემისტად გვევლინება და გრ. გორდეევის მკაცრ კრიტიკასთან ერთად დამაჯერებლად აჩვენებს მისი წერილის უსაფუძვლობას.

კიდევ ერთი ასეთი ფაქტი: 1833 წლის 23 იანვარს მიცემულ ჩვენებაში ს. დოდაშვილი მიუთითებს იმ უსამართლობაზე, რასაც ცარიზმის მოხელეები სჩადიან საქართველოში ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ. იგი აღნიშნავს, რომ ადგილებზე რუსი მოხელეები საქმეს იხილავენ ერთობ გაკვიანურებით, არ ითვალისწინებენ ადგილობრივთა ჩვევებს, ტრადიციებს და ა. შ. მომჩივანებს, იქნებიან ესენი მართალნი თუ არამართალნი, ახდევინებენ იმაზე მეტს, ვიდრე ეს საქმე ღირს საერთოდ. ქართველებს უბრალო რამეზე სჯიან, რომელთა ქცევა ამ შემთხვევაში შეიძლება ნაკარნახევი იყოს, არაბოროტი განზრახვით, არამედ საქმის არცოდნით. თუკი გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ამ დროისათვის ს. დოდაშვილი უკვე შეთქმულების მონაწილედ იყო ცნობილი, მაშინ გასაგები გახდება მისი თავგანწირულობა ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ.

საქართველოს ბელზე ჩაფიქრებამ და ქართული კულტურის ხელახალი აღორძინების უდიდესმა წადილმა დააკავშირა ს. დოდაშვილი 1832 წლის შეთქმულებასთან და აქცია ამ შეთქმულების იდეურ ხელმძღვანელად. სავარაუდებელია, რომ რესპუბლიკური იდეების მომხრე ს. დოდაშვილი ამ იდეების შესაბამისად მოწყობილ საქართველოზე ოცნებობდა, რითაც იგი მკვეთრად განსხვავდებოდა შეთქმულების იმ მონაწილეებისაგან, რომლებიც მონარქიული წყობილების აღდგენისათვის იბრძოდნენ. აქაც ნათლად ჩანს ს. დოდაშვილის მოღვაწეობის პროგრესულობა.

შეთქმულების მონაწილეთაგან ყველაზე მკაცრი სასჯელი ს. დოდაშვილს ხედა, რაშიც მთავარი როლი მისმა ეროვნულმა მრწამსმა და პოლიტიკურმა შეხედულებებმა შეასრუ-

ლა. თუ რა მკაცრ მეთვალყურეობაში უნდა ყოფილიყო ს. დოდაშვილი გადასახლებაში, კარგად ჩანს რუსეთის მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის — დ. ბლუდოვის საიდუმლო წერილიდან ქ. ვიატიკის გუბერნატორისადმი: „იმპერატორმა შემდგომ იმისა, რაც განიხილა ერთი მეტად მნიშვნელოვანი სამხედრო-სასამართლო საქმე, რომელიც გარჩეული იყო თბილისში და რომელშიც სხვებთან ერთად გადროდა 10 კლასის მოხელე, თბილისის გიმნაზიის ყოფილი მასწავლებელი სოლომონ დოდაევი, ბრძანა: ჩამოერთვას მას მასწავლებლის წოდება, დანიშნულ იქნეს დაბალ საკანცელარიო მოსამსახურედ ჩრდილოეთის ერთ-ერთ გუბერნიაში დამსახურებამდე, მაგრამ არა ნაკლებ 10 წლის გასვლის, ამასთან სამუდამოდ აეკრძალოს საქართველოში დაბრუნება...

გაცნობებთ რა ამას თქვენს უდიდებულესობას, გთხოვთ მოწყალე ხელმწიფე, რომ სოლომონ დოდაშვილი თბილისიდან ქ. ვიატიკაში ჩამოსვლისთანავე თქვენი გადაწყვეტილების შესაბამისად დანიშნოთ. სამსახურში დაბალ საკანცელარიო მოსამსახურედ და მის ყოველ მოქმედებას საიდუმლოდ, მაგრამ ფხიზლად ადევნოთ თვალყური, დროდადრო კი მომახსენოთ მისი მოქმედებისა და ცხოვრების წესის შესახებ“²⁰.

შეთქმულების მნიშვნელობაზე საერთოდ ქართული კულტურისათვის, საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ისტორიკოსს მაქსიმე ბერძნიშვილს: „შეთქმულებამ, ანუ „ყაზარმელებმა“ გავლენა იქონიეს ჩვენს მწერლობაზე, ლიტერატურაზე, თეატრზე; ყაზარმელების აქტივი ცდილობს სამშობლოს წარმატებისათვის როგორც კულტურის დარგში, ისე პრაქტიკულ სფეროში. ყაზარმელთა წრეში დაიბადა იდეა დაქსაქსული ქართველების გაერთიანებისა და იგივე წრე იყო დამაარსებელი ჩვენში პირველი საზოგადოებისა“²¹. (ხაზგასმა ჩვენია — მ. მ.). თუკი მივიღებთ ამ თვალსაზრისს და ამასთანავე გავითვალისწინებთ, რომ ს. დოდაშვილი შეთქმულების იდეური ხელმძღვანელი იყო, მაშინ ცხადი გახდება ახალგაზრდა ქართველი სწავლულის მოღვაწეობის კიდევ ერთი მხარე. ეს კი ს. დოდა-

²⁰ ს. დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 363.

²¹ მ. ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, თბ., 1983.

შვილს ბევრ საკითხში წარმოგვიდგენს ილია ჭავჭავაძისა და ივანე ჯავახიშვილის არც თუ ისე შორეულ წინაპრად.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ს. დოდაშვილმა გამოაქვეყნა „შემოკლებული ქართული გრამატიკა“, დაწერა „რიტორიკა“, რომელშიც გამოთქმულია საინტერესო აზრები ლიტერატურასა და ესთეტიკაზე. მასვე ეკუთვნის წერილი—„მეფობა ირაკლი მეორისა“, მოთხრობა „ელენა ანუ ღირსსახსოვარი შემთხვეულება ათვრამეტსა საუკუნესა“, შეუდგენია „რუსულ-ქართული როზლოვორის წიგნი“, წერილები სხვადასხვა საკითხებზე. ყველაფერ ამის განხილვა არ ყოფილა ჩვენი წერილის ამოცანა.

დასასრულს გვინდა აღვნიშნოთ, რომ ს. დოდაშვილის ღვაწლი და დამსახურება ქართული კულტურის წინაშე საყოველთაოდაა აღიარებული. ამასთანავე მისი შემოქმედება, როგორც ეს უკვე ვნახეთ, ყურადღებას იმსახურებს კულტურის ფილოსოფიის პოზიციის თვალსაზრისითაც. ს. დოდაშვილი ქართულ კულტურას, მის წარსულს, დღევანდელობას და მომავალს იხილავდა მთლიანობაში. ქართული კულტურის შეფასებისას იგი თავისეული და საინტერესო პრინციპით ხელმძღვანელობდა, რაც გულისხმობდა ჩვენს კულტურულ წარსულში ძირითადი მიმართულებებისა და ტენდენციების დადგენასა და გამოყოფას. ვფიქრობთ, ს. დოდაშვილმა, მიუხედავად ერთობ ხანმოკლე მოღვაწეობისა, დასახულ მიზანს ძირითადად მიაღწია. თუკი ამ კუთხითაც შევხედავთ ს. დოდაშვილს, მაშინ მისი, როგორც მოღვაწის, მოაზროვნისა და ქართველთათვის თავდადებულის, პიროვნება უფრო მეტად წარმოჩნდება.

სოლომონ დოდაშვილი და გერმანული კლასიკური იდეალიზმი

ს. დოდაშვილის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გერმანულმა კლასიკურმა იდეალიზმმა. ეს საკითხი მრავალმხრივ არის საინტერესო: ჯერ ერთი, ამის დაუდგენლად შეუძლებელია ვილაპარაკოთ ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარების გარკვეული ეტაპის სპეციფიკაზე, მეორეც, ამ კითხვაზე პასუხის გაუცემლად გაძნელება ს. დოდაშვილის ესთეტიკური ნააზრევის გარკვევა, რომელმაც, როგორც ცნობილია, დიდი გავლენა მოახდინა ქართული ლიტერატურის და ხელოვნების წარმომადგენლებზე. ფილოსოფიურ-ისტორიული, ესთეტიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ასპექტების გარდა, ამ საკითხს აქვს ზოგადკულტურული მხარეც. კერძოდ, ერთი ერის წარმომადგენლის მიერ სხვა ერის მიღწევათა გაცნობა და თავის ეროვნულ ნიადაგზე გადმოტანა სხვა არაფერია, თუ არა თავისებური დიალოგი განსხვავებულ ეროვნებათა კულტურებს შორის. ს. დოდაშვილის ფილოსოფიური მოღვაწეობა ამ მხრივაც არის საინტერესო.

ცხადია, ერთ სტატიამში შეუძლებელია გერმანულ კლასიკურ იდეალიზმთან ს. დოდაშვილის დამოკიდებულებების სრულყოფილად გაშუქება. ჩვენი მიზანია, გავარკვიოთ ამ პრობლემის რამდენიმე მხარე და გამოვკვეთოთ ზოგიერთი ახალი საკითხი (მაგალითად, ს. დოდაშვილის დამოკიდებულება შელინგთან).

სანამ უშუალოდ საკითხის გამოკვლევას შევეუდგებოდეთ, მოკლედ დავახსიანოთ გერმანული კლასიკური იდეალიზმის მთავარი წარმომადგენლები, ამ მიმდინარეობის სპეციფიკა და წინამორბედ ფილოსოფიურ მიმდინარეობებთან მისი დამოკიდებულება.

გერმანული კლასიკური იდეალიზმის დაბადების თარიღად

მიჩნეულია 1781 წელი. ამ წელს გამოვიდა ნაშრომი, რომლის დარი ფილოსოფიაში ანტიკურობის შემდეგ არ დაწერილა. ეს იყო იმანუელ კანტის (1724—1804) „წმინდა გონების კრიტიკა“, რასაც შემდეგ მოჰყვა მისივე „პრაქტიკული გონების კრიტიკა“ (1788) და „მსჯელობის უნარის კრიტიკა“ (1790). კანტის ნაშრომებში დასმულმა პრობლემებმა სათავე დაუდო მძლავრ ფილოსოფიურ მიმდინარეობას, რომელსაც განეკუთვნებოდნენ რაინჰოლდი, იაკობი, შულცე, შადი და სხვ. ამ ფილოსოფიური მიმართულების კორიფეები იყვნენ: 1. იოჰან გოთლიბ ფიხტე (1762—1814), მისი ძირითადი შრომები ცნობილია საერთო სახელით — „მეცნიერებათმოდკრება“, რომელშიც შედის „მეცნიერებათმოდკრების ანუ ე. წ. ფილოსოფიის ცნებისათვის“ (1794), „პირველი შესავალი მეცნიერებათმოდკრებაში“ (1797) და სხვ; 2. ფრიდრიხ ვილჰელმ იოზეფ შელრნგი (1775—1854) — ძირითადი შრომები: „ტრანსცენდენტალური იდეალიზმის სისტემა“ (1800), „ფილოსოფია და რელიგია“ (1804), „ფილოსოფიური გამოკვლევა ადამიანის თავისუფლების შესახებ“ (1809); 3. გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი (1770—1831) — ძირითადი შრომები: „გონის ფენომენოლოგია“ (1807), „ლოგიკის მეცნიერება“ (1812), „ფილოსოფიურ მეცნიერებათა ენციკლოპედია“ (1817); 4. ართურ შოპენჰაუერი (1788—1860) — ძირითადი შრომა: „სამყარო როგორც ნება და წარმოდგენა“ (ტ. 1—2, 1819—1844).

რა არის არსი კანტის მიერ ფილოსოფიაში განხორციელებული იმ გადატრიალებისა, რომელიც მეტ-ნაკლებად გაიზიარა გერმანული კლასიკური იდეალიზმის ყველა წარმომადგენელმა? კანტი თავისი ნააზრევის სიახლეს ასე განმარტავდა: „...შევეცადოთ გამოვარკვიოთ, იქნებ უკეთესად გადავწყვიტოთ მეტაფიზიკის ამოცანები. თუ ვაღიარებთ, რომ საგნები უნდა შეესაბამებოდნენ ჩვენს შემეცნებას, რაც ასე კარგად ეთანხმება მათს *a priori* შემეცნების საძიებელ შესაძლებლობას, რამაც რაღაც უნდა დაადგინოს საგნებზე მანამ, სანამ ისინი მოგვეცემოდნენ. აქ ისეთივე ვითარებაა, რაც კოპერნიკის თავდაპირველი აზრების მიმართ იყო: როდესაც აღმოჩნდა, რომ ციურ სხეულთა მოძრაობის ახსნა კარგად ვერ ხერხდებოდა, სანამ აღიარებდა, რომ მთელი ვარსკვლავთა გუნდი დამკვირვებლის ირგვლივ ტრიალებდა, მაშინ იგი შეეცადა დაედგინა, ხომ არ მიაღწევდა უკეთეს წარმატებებს, თუ ივა-

რაუდებდა, რომ დამკვირვებელი ტრიალებს, ვარსკვლავები, პირიქით, კი უძრავია... ნივთების შესახებ a priori შევიმეცნებთ მხოლოდ იმას, რასაც ჩვენ მათში ვდებთ“¹.

ეს აზრი გარკვეულ კომენტარს საჭიროებს, თორემ შეიძლება ვინმეს ეგონოს, თითქოს კანტი სრული სუბიექტივიზმის პოზიციაზე იდგა და თვლიდა, რომ ერთი რომელიმე საგანი სხვადასხვა სუბიექტს სხვადასხვა არსებულად შეუძლია გამოაცხადოს. კანტისთვის ასეთი რამ მიუღებელია. მისი აზრით, შეუძლებელია ნორმალურმა ადამიანმა, მაგალითად, საწოლი მაგიდად მიიჩნიოს ან პირიქით. მაშინ რითი განსხვავდება კანტის პოზიცია ყოველდღიური თვალსაზრისისაგან? იმით, რომ ყოველდღიური ცნობიერებისათვის საწოლი როგორც საწოლი (ე. ი. როგორც გარკვეული დანიშნულების მქონე ინსტრუმენტი) მთელი თავისი მახასიათებლებით და განსაზღვრულობებით „თავისთავად“ არსებობს ისე, როგორც ადამიანი აღიქვამს. დანიშნულება, ფერი, მოხაზულობა, სიმძიმე და სხვა განსაზღვრულობანი საგნებს ახასიათებენ ისე, როგორც ისინი არიან ადამიანთან მიმართების გარეშე. მაგ., სკამი თავისთავად არის „მაღალი“ ან „დაბალი“, „რბილი“, ან „მაგარი“, „მოხერხებული“ ან „მოუხერხებელი“ და ა. შ. ზოგჯერ ამგვარ თვისებებს კიდევ უფრო მეტად ანაწევრებენ, როცა გამოყოფენ მათში მეორად (გემო, სუნი, ფერი და სხვ.) და პირველად თვისებებს (სიმძიმე, შეუვალობა, მოხაზულობა და ა. შ.). ამასთან, მეორე შემთხვევაში რაიმე საგნის თვისებების და ადამიანის სუბიექტური უნარების „შეხვედრა“ თუ „აღრევა“ არ ხდება და საგანი ისე ეცხადება სუბიექტს, როგორც ის არის თავისთავად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მეორადი თვისებები შეფარდებითი, რელატიურია და სხვადასხვა მიმართებით სხვადასხვანაირად არსებობენ, ხოლო პირველადი თვისებები ნებისმიერი მიმართებით ერთნაირად არსებობენ.

ძნელი არ არის დავინახოთ, რომ ამგვარი თვალსაზრისი საგრძნობლად ზღუდავს სუბიექტის აქტივობის თვალსაზრისს. ყველაზე არსებით საკითხში სუბიექტი მხოლოდ პასიურად ასახავს საგნებს ისე, როგორც ისინი არიან თავისთავად. ამ თვალსაზრისის წინააღმდეგ გაილაშქრა ბერკლიმ. მისი აზრით, არც პირველადი

¹ ი. კ ა ნ ტ ი, წმინდა გონების კრიტიკა, თბ., 1979, გვ. 23—24.

და არც მეორადი თვისებები არ არიან აბსოლუტური. ვთქვათ, ერთი და იგივე ჩაქუჩი შეიძლება ერთი ადამიანისათვის (ერთი მიმართებით) მძიმე იყოს, მეორისათვის მსუბუქი, მესამისათვის ნორმალური. განა შეიძლება ითქვას, რომ ეს ჩაქუჩი თავისთავადაა მძიმე, მსუბუქი ან ნორმალური? ცხადია, ჩვენ შეგვიძლია ერთი მასის ჩაქუჩი ჩავთვალოთ მსუბუქად და სხვა მასისა მძიმედ, მაგრამ ამის საფუძველზე შეუძლებელია ვთქვათ, რომ ჩაქუჩი თავისთავად არის მძიმე. ადამიანის სხეული სხვა ადამიანის შეხების ორგანოთათვის შეუვალაა, მაგრამ სრულებითაც არ არის შეუვალი რენტგენის სხივებისათვის. კანტის მიხედვით, შეუძლებელია ვთქვათ, რომ ესა თუ ის საგანი თავისთავად „მძიმეა“ ან „მსუბუქი“, „შეუვალა“ ან „შედწევადი“. საგნებზე და განსაზღვრულობაზე, შეიძლება ვთქვათ, რომ გვევლინებიან ამგვარად, ხოლო ასეთი არიან თუ არა ისინი თავისთავად, ამაზე ვერაფერს ვიტყვი. ამგვარ შეუძლებელ (მაგრამ მაინც როგორღაც მოაზრებად) არსებულს კანტი თავისთავად ნივთს უწოდებს.

კანტის მიხედვით, შეუძლებელია თეორიული ცოდნით ვწვდეთ ნებისმიერ თავისთავადს, მათ შორის აბსოლუტურ სუბიექტს (ღმერთს). ამდენად ერთადერთი სუბიექტი, რომელთანაც დასაბუთებულ შემეცნებას აქვს საქმე, არის ადამიანი. ეს არის სასრული არსება, ვისაც შეუძლებელია უსასრულო სპონტანობა (თვითშემოქმედება) მიეწეროს. იგი რომ უსასრულოდ სპონტანური იყოს, მაშინ თავისი თავიდან, მხოლოდ თავის თავზე დაყრდნობით დაბადებდა მთელს სინამდვილეს ღვთაების დარად; მაგრამ რამდენადაც ის სასრულია, ამდენად საჭიროებს ისეთ ინსტანციას, რომელიც ბიძგს და მასალას მისცემს მის სასრულ სპონტანობას, რათა ამ ბიძგით და მასალით ადამიანმა სამყაროს რაღაცგვარი სახე მისცეს (და არა საერთოდ შექმნას, როგორც ეს იმ შემთხვევაში გვექნებოდა, ადამიანური სუბიექტი აბსოლუტური რომ იყოს). ასეთ ინსტანციას კი თავისთავადი ნივთი წარმოადგენს.

კანტთან ორი ტიპის სუბიექტი, უფრო ზუსტად, სუბიექტის ორი მხარე გვაქვს: ტრანსცენდენტალური და ემპირიული. პირველს ორი უნარი ახასიათებს, ერთი — შთაბეჭდილებების მიღებისა და მეორე — მიღებული შთაბეჭდილებებისათვის ფორმის მიცემის, მათი გააზრებისა. პირველის პირობას წარმოადგ-

გენს ჰერცის აპრიორული ფორმები — დრო და სივრცე. „აპრიორული“ იმას ნიშნავს, რომ დრო და სივრცე ჩვენგან დამოუკიდებელი, თავისთავადნი კი არ არიან, არამედ იმ ჰორიზონტს წარმოადგენენ, რომელშიც თავისთავადი ნივთის იდუმალი გზით განხორციელებული ზემოქმედებით მიღებული შთაბეჭდილებები ლაგდებიან ერთიმეორის გვერდით და ერთმანეთის შემდეგ (ან ერთმანეთის წინ, ან ერთდროულად). დროის და სივრცის ჰორიზონტში მოთავსებული ეს ამორფული, განსაზღვრულობასა და დანაწევრებას მოკლებული, მასა ქმნის მასალას ჩვენი სულის მეორე უნარისათვის. ამ მეორე უნარის საფუძველს განსჯის უზოგადესი ფორმები ანუ კატეგორიები ქმნიან. ასეთი კატეგორია თორმეტი: ერთიანობა, სიმრავლე, ტოტალობა, რეალობა, უარყოფა, განსაზღვრება, სუბსტანცია — აქციდენცია, მიზეზი — მოქმედება, ურთიერთქმედება, შესაძლებლობა — შეუძლებლობა, არსებობა — არარსებობა, აუცილებლობა — შემთხვევითობა (ყოველი ორწევროვანი კატეგორია მაგ., მიზეზი — შედეგი, კანტთან ერთ კატეგორიად ითვლება).

როდესაც ესა თუ ის კატეგორია შთაბეჭდილებათა მასალას მიეყენება, ეს ამორფული მასა ნაწევრდება, იძენს სახესა და გარკვეულობას. მაგალითად, ერთი შთაბეჭდილების მასალა მოიაზრება როგორც მიზეზი, მეორესი — როგორც შედეგი, ერთისა — როგორც აუცილებელი, მეორესი — როგორც შემთხვევითი და სხვ. ამრიგად, კატეგორიები კანტისთვის თავისთავადი არსის განსაზღვრებები კი არ არის, როგორც არისტოტელესთან, არამედ ის წესებია, რომელთა გზითაც ტრანსცენდენტალური სუბიექტი ჰერცის აპრიორული ფორმებით მიღებულ მასალას ანაწევრებს, აწესრიგებს და იაზრებს.

ტრანსცენდენტალური სუბიექტი საერთოადამიანური სტრუქტურის აუცილებელ ნაწილს შეადგენს. ემპირიულად სუბიექტები შეიძლება განსხვავდებოდნენ რასით, ენით, განათლების დონით და სხვ. მაგრამ ტრანსცენდენტალური სუბიექტი (უფრო ზუსტად, სუბიექტის ტრანსცენდენტალური შრე), კანტის აზრით, ყველა ადამიანში აბსოლუტურად იდენტურია.

კანტის აზრით, ემპირიულმა (ყოველდღიურმა) სუბიექტმა, რომელიც მთლიანადადამიანური სუბიექტის ზედაპირულ შრეს

ქმნის. ტრანსცენდენტალური სუბიექტის ამ მოღვაწეობის შესახებ არაფერი უწყის. ტრანსცენდენტალური სუბიექტის მოღვაწეობის შედეგად მოწესრიგებულ და გაფორმებულ სამყაროს ემპირიული სუბიექტი იღებს როგორც ყოველგვარი სუბიექტურობისაგან დამოუკიდებელ, იმთავითვე მზა, თავისთავში იმგვარად განსაზღვრულ და გაფორმებულ რაიმეს, როგორადაც იგი გვევლინება. ემპირიული სუბიექტის აზრით, ტრანსცენდენტალური სუბიექტის მიერ კონსტრუირებული (და არა შექმნილი) სამყარო „გულგრილია“ იმ ფაქტისადმი, იმეცნებს თუ არა მას რომელიმე სუბიექტი. „გულგრილობა“ კი იმას გულისხმობს, რომ შესაძლებელი შემეცნების აქტის შემდეგაც იმად რჩება, რაც შემეცნებამდე იყო.

ამრიგად, კანტის მიხედვით შემეცნების პროცესი ორგანზომილებიანია: ტრანსცენდენტალურ დონეზე შემეცნება ნიშნავს ჰერმეტიკის ფორმებში მოცემული მასალის მოწესრიგებას, მისთვის გარკვეული სახის მიცემას და ამ გზით ემპირიული (მეორე დონის) შემეცნებისათვის საგნის შექმნას. კანტის (და საერთოდ გერმანული კლასიკური იდეალიზმის) ამ პრინციპს ჩვეულებრივ ასე აყალიბებენ: „შემეცნების საგანი აიგება შემეცნების პროცესში“, რაც შინაარსობრივად იგივეობრივია დებულებისა: „ემპირიული შემეცნების საგანი იქმნება ტრანსცენდენტალური შემეცნების პროცესში“. სწორედ ეს არის ის პრინციპი, რომელიც, მკვლევართა აზრით, კანტის ფილოსოფიას განასხვავებს მთელი წინამორბედი ფილოსოფიისაგან, რომლის თანახმადაც შემეცნება ნიშნავს სუბიექტისაგან დამოუკიდებლად არსებულის თავისთავადი განსაზღვრულობების უცვლელად გადმოტანას სუბიექტში.

რა შეიძლება ითქვას ს. დოდაშვილის დამოკიდებულებაზე კანტის ფილოსოფიასთან?

ს. დოდაშვილი უაღრესად მაღალ შეფასებას აძლევს კანტს, რომლის „გამჭრიახმა გენიამ ახალი სახე მისცა გონისმეტყველებას (гномология) და მყარი საზღვრები დაუდგინა მას; მან დაამტკიცა ლოგიკის კანონების გონისეული და არა ცდისეული წყაროდან წარმოშობა; წარმოგვიდგინა კატეგორიების სათანადო და სრული ცხრილი; აღმოაჩინა ლოგიკის ჰეგემარტი ღირსება და მისი წესების

გამოყენების საზღვრები“² — წერს იგი. სხვა ადგილას ს. დოდაშვილი ლაპარაკობს იმ სირთულეებზე, რომლებშიც ფილოსოფია იმყოფებოდა „კენიგსბერგელი ფილოსოფოსის ხანამდე“³, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ამ სირთულეთა დაძლევის შესაძლებლობას ს. დოდაშვილი როგორღაც კანტზე დაყრდნობით ხედავდა. ს. დოდაშვილს კანტის მსგავსად ესმის ლოგიკის ბევრი პრობლემა. იგი იძლევა კატეგორიების ცხრილს, რომელიც ახლოს დგას კანტისეულ ცხრილთან და სხვა. ყოველივე ამან წარმოშვა თვალსაზრისი, თითქოს ს. დოდაშვილი კანტიანელი იყოს. ეს თვალსაზრისი, რომელიც არ მიგვაჩნია მართებულად, ჯერ ფილოსოფიის ისტორიკოსებს შორის გავრცელდა, ხოლო შემდეგ მან არასპეციალისტთა შორისაც მოიკიდა ფეხი. ს. დოდაშვილი ფილოსოფიის პრინციპულ საკითხებში კანტისაგან განსხვავებულ აზრებს გამოთქვამს, კერძოდ: 1. არ იზიარებს მოვლენებს მიღმა მყოფ არსებულთა შეუმეცნებადობას და, შესაბამისად, არ უარყოფს მეტაფიზიკას როგორც მეცნიერებას; 2. არ იზიარებს აზროვნების და კვრეტის დუალიზმს; 3. განსჯას, როგორც გრძნობადის შემეცნების ფორმას, პრინციპულად განასხვავებს გონებისაგან, როგორც ზეგრძნობადის შემეცნების ფორმისაგან; 4. განსჯის (ფორმალურ-ლოგიკურ) კანონებს პრინციპულად განასხვავებს გონების კანონებისაგან; 5. გონებას ანიჭებს არა მხოლოდ რეგულატორულ (განსჯის ფორმების მომწესრიგებელ) ფუნქციას, არამედ კონსტიტუტიურ ფუნქციასაც.

კანტის ფილოსოფიის წინააღმდეგ გაილაშქრა ფიხტემ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ კრიტიკის მიზანი შემეცნებელი სუბიექტის მიერ შემეცნების საგნის აგების შესახებ კანტისეული თეზისის უარყოფა კი არა, არამედ მისი კიდევ უფრო მეტად განმტკიცება იყო. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოვლენათა სამყარო, კანტის მიხედვით, ტრანსცენდენტალური სუბიექტის ორი უნარით სახიერდება: შთაბეჭდილების მიღებით და შთაბეჭდილებების გააზრებით. ამასთან ადამიანური ყოფიერების სპონტანობა საზღვარდებულისა და მის გარეთ ვერავითარი ადამიანური უნარი

² С. Додаев-Магарский, Логика. СПб, 1827, стр. 21.

³ იქვე.

ვერ გავა. ამით კანტმა ზღვარი დაუდო კატეგორიებს. სულის სპონტანობის ამ უპირველეს განმსაზღვრელებს.

„რა სიშორეზე ვრცელდება კანტის მიხედვით კატეგორიების, და, განსაკუთრებით, მიზეზობრიობის კატეგორიის გამოყენება? მხოლოდ მოვლენების სფეროზე; შესაბამისად, მხოლოდ იმაზე, რაც უკვე არის ჩვენში და ჩვენთვის. მაგრამ როგორ არის შესაძლებელი ამ შემთხვევაში რაღაც „მე“-სგან განსხვავებულამდე, როგორც შემეცნების ემპირიული შინაარსის საფუძვლამდე, მისელა? ვფიქრობ, მხოლოდ დაფუძნებულისა და დამფუძნებელზე გადასვლით, ე. ი. მიზეზობრიობის ცნების გამოყენებით“⁴. ამრიგად, თავისთავადი ნივთის, როგორც შემეცნების ბიძგის და საწყისის, დაშვება აუცილებლობით მოითხოვს მიზეზობრიობის კატეგორიის ტრანსცენდენტირებას (ე. ი. მოვლენების სფეროს მიღმა გავრცელებას). მაგრამ, მეორე მხრივ, თავისთავადი ნივთის შეუღწევადობა ყოველგვარი შემეცნებისათვის და კატეგორიების შემოსაზღვრა მხოლოდ მოვლენათა სფეროთი ასეთივე აუცილებლობით მოითხოვს ამ ტრანსცენდენტირების უარყოფას, ან, როგორც იაკობი იტყვოდა, თავისთავადი ნივთის გარეშე კანტის ფილოსოფიაში ვერ შევალთ, თავისთავადი ნივთით კანტის ფილოსოფიაში ვერ დავრჩებით.

აღნიშნული წინააღმდეგობრიობის საფუძველზე ფიხტემ უარყო თავისთავადი ნივთი და ადამიანურ „მე“-ს სრული სპონტანობა მიანიჭა (თუმცაღა ამ სპონტანობის ასახსნელად მას აბსოლუტური „მე“-ს დაშვება მოუხდა). ამით ფიხტემ პირველი ნაბიჯი გადადგა აზროვნების სასრულ-სუბიექტურობის კანტისეული გაგებიდან აზროვნების აბსოლუტურობის ჰეგელისეული გაგებისაკენ.

ფიხტეს მიხედვით, ადამიანური ცნობიერების პირველი აქტი არის „მე“-ს მიერ საკუთარი თავის მოაზრება. რაც სწვა არაფერია. თუ არა „მე“-ს მიერ საკუთარი თავის დადგენა — „მე“-„მე“-ს. ამ დებულებიდან ამოდის ნებისმიერი ცნობიერება, შემდეგ ეს ცნობიერება ადგენს „არა-მე“-ს, ე. ი. ისეთ რაღაცას, რასაც იგი თავის თავისგან განსხვავებულად თვლის. „არა-მე“-ს დადგენა აუცა-

⁴ ი. გ. ფიხტე, რჩეული თხზულებანი, ტ. I, მოსკოვი, 1961, გვ. 470—471. (რუსულ ენაზე).

ლებელია, ვინაიდან ფორმულაში „მე“-„მე“-ს ტოლობის ორივე მხარეს „მე“ ერთი და იგივე მნიშვნელობით არ მოიხმარება. პირველი „მე“ ეხება გააზრების ფორმას, მეორე კი გააზრებულის შინაარსს. მაგალითად, როდესაც ვამბობ — „მე ვხედავ ადამიანს“, ამაში ვგულისხმობ: „მე ვხედავ იმას, რასაც მე ადამიანს ვუწოდებ“, აქ „მე“-ს სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს; მეორე „მე“ არის განსაზღვრული შინაარსი (კერძოდ, აზრი ადამიანზე, „ადამიანის“ როგორღაც გაგება და არა თავად ადამიანი, როგორც ობიექტურად არსებული). პირველი „მე“ კი არის ცნობიერების ფორმა, რომლითაც ამ კონკრეტული შინაარსის გააზრება ხდება. პირველი „მე“ ფორმის მხრივ უპირობოა, ვინაიდან მისი საშუალებით ნებისმიერი შინაარსი შეიძლება იქნეს მოაზრებული, მეორე „მე“ კი პირობადებულია, ვინაიდან მოაზრების ფორმიდან შეუძლებელია რაიმე იქნეს გამოყვანილი გარდა თვით მოაზრების ფორმისა. ამდენად „მე“, რომელიც შინაარსის მხრივია გაპირობებული, და, რომელიც შეუძლებელია პირველი „მე“-დან დადგინდეს, აუცილებლობით მოითხოვს რაღაც „არა-მე“-ს, როგორც მისი შინაარსის წყაროს. ამრიგად, ცნობიერების მეორე აქტი ნიშნავს „მე“-ს განსხვავებას იმისგან, რაც „მე“-ს ევლინება როგორც „არა-მე“. ფორმულის სახით ეს ასე შეიძლება ჩაიწეროს: „მე“ „არა-მე“. საერთოდ ყოველგვარი ფილოსოფია, და კანტის აზროვნებაც, ფიხტეს აზრით, ამ საფეხურზე გაჩერდა. მაგრამ, რადგანაც აღმოჩნდა, რომ არავითარი დამოუკიდებელი „არა-მე“ (თავისთავადი ნივთი) არ არსებობს, გამოდის, რომ ყველაფერი, მათ შორის „არა-მეც“, „მე“-ს შედეგი ყოფილა. ხოლო ეს ახლად დადგენილი „მე“ არ არის იმ „მე“-ს იგივეობრივი, რომელმაც თავისი თავი და „არა-მე“-სგან თავისი განსხვავება დაადგინა. ახლად დადგენილი „მე“ აბსოლუტურია, პირველი — შეფარდებითი. და თუ აბსოლუტური „მე“-ს გარდა არაფერი არ არსებობს, გამოდის, რომ, რაც შეფარდებით „მე“-ს „არა-მე“-დ ეჩვენებოდა, სხვა არაფერი ყოფილა, თუ არა აბსოლუტური „მე“-ს მისგან (შეფარდებითი „მე“-სგან) განსხვავებული მდგომარეობა. ამით ფიხტემ მოხსნა მოვლენათა სამყაროს და შეუქმენებელი თავისთავადი ნივთების სამყაროს დუალიზმი, როგორც შემეცნების უპირველესი აპრიორული პირობა.

ს. დოდაშვილი ფიხტეს თავისი „ლოგიკის“ მხოლოდ ერთ ადგილას ეხება (გვ. 30). საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ ს. დოდაშვილი ზოგიერთ საკითხში ფიხტეს მსგავს პოზიციას იკავებს. მაგალითად, იგი თვლის, რომ დრო და სივრცე გონების მოღვაწეობიდან უნდა იქნეს გამოყვანილი; რომ სულის უპირველესი აქტი მსჭელობაა. ს. დოდაშვილის ტერმინები, რომლებსაც თარგმნიან როგორც „ჩვენში“ და „ჩვენთან“⁵, შესაძლოა ფიხტეს ტერმინების — in sich და für sich — გამოძახილი იყოს. უფრო მეტიც, ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ს. დოდაშვილი პირდაპირ იმეორებდეს ფიხტეს. მაგალითად, როდესაც იგი წერს: «... философствовать значит о б р а щ а т ь в н и м а н и е н а с а м о г о с е б я , в н и к а т ь в с а м о г о с е б я , д а б ы у з н а т ь и р а з у м е т ь н а с с а м ы х и ч р е з т о у с т а н о в и т ь м и р в с е б е и с с о б о й . О б р а щ а т ь в н и м а н и е н а с е б я з н а ч и т о т в л е с к а т ь о н о е о т в с e г o , ч т o н e п р и н а д л e ж и т к н а м : с н e б ы в а е т , к о г д а м ы с л и м e о с т а в л я e м в с e в н e ш н e e , и с а м ы с e б я в л e ч e м к в н у т р e н н e м у »⁶. (ხაზი ყველგან ს. დოდაშვილისაა. ციტატა რუსულად მოგვყავს, რამდენადაც მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა ითარგმნოს в себе და с собой როგორც „ჩვენთან“ და „ჩვენთვის“, თუ როგორც „თავისთან“ და „თავისთვის“), ძნელი არ არის დავინახოთ პარალელი ს. დოდაშვილის ამ აზრსა და ფიხტეს შემდეგ იდეას შორის: „დააკვირდი საკუთარ თავს: მოაშორე მზერა ყოველივე იმას, რაც გარს გახვევია, და მიმართე იგი შენს შიგნით — ასეთია პირველი მოთხოვნა, რომელსაც ფილოსოფია უყენებს თავის მოწაფეს. ლაპარაკია არა რაიმე ისეთზე, რაც შენს გარეთაა, არამედ თავად შენზე“⁷.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ს. დოდაშვილი შეუძლებელია ფიხტეანელად ჩაითვალოს, ვინაიდან იგი ფიხტესაგან განსხვავდება შემდეგ პრინციპულ საკითხებში:

I. ფიხტესთან ჭამიზე ძირითადი დებულება — შეფარდებითი „მე“-ს მიერ თავისი თავის (1), მე-ს მიერ „არა-მე“-ს დადგენა (2); შეფარდებითი „მე“-ს მიერ თავისი თავის და „არა-მე“-ს, როგორც

⁵ ს. დოდაშვილი, ლოგიკა, თბ., 1949, გვ. 11.

⁶ С. Додаев-Магарский, Логика, СПб, 1827, стр. IV.

⁷ И. Г. Фихте, Избранные сочинения, т. I, М., 1916, стр. 413.

აბსოლუტური „მე“-ს მოდიფიკაციის, დადგენა (3) ქმნის ლოგიკის სამ კანონს — იგივეობის, წინააღმდეგობის და საკმაო საფუძვლის კანონს⁸. ფიხტესთან ეს კანონები იგივეობრივია როგორც განსჯის, ისე გონებისათვის. ეს იქიდან ჩანს, რომ ფიხტესთვის პირველი ძირითადი დებულება $A=A$ (რომელიც „მე-მე“-ს გააზრების ფორმა) ყოველგვარი (ე. ი. აგრეთვე გონებითი) ცოდნის საფუძველია⁹. ს. დოდაშვილისათვის ასეთი რამ შეუძლებელია. ფორმალურ-ლოგიკური კანონები მისთვის განსჯის (ე. ი. მოვლენათა სამყაროს) კანონებია და მიეკუთვნება ლოგიკას¹⁰. რადგანაც ლოგიკის (განსჯის) საგანი და მისი კანონები სრულიად განსხვავდება გონების საგნის და მისი კანონებისაგან¹¹ და „განსჯა არ არის გონება, ლოგიკა კი არ არის მეტაფიზიკა“ (იქვე), ამიტომ შეუძლებელია ლოგიკის (განსჯის) კანონები, ამავე დროს, იყოს გონების (მეტაფიზიკის) კანონები. ცხადია, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ს. დოდაშვილისთვის გონების საფეხურზე ლოგიკის კანონები უარიყოფოდნენ. უბრალოდ, გონების დონეზე ეს კანონები (ვთქვათ $a=a$ ან, თუ $a=b$ და $b=c$ მაშინ $a=c$) ვერაფერ განსაზღვრულს ვერ გვეტყვიან გონების არსის შესახებ.

II. პირველი ძირითადი დებულება, რომელიც ამოსავალი უნდა იყოს ფილოსოფიისათვის, ფიხტეს აზრით, არის „მე-მე“-ს (იგივეობის საწყისი)¹². ხოლო ს. დოდაშვილი თვლის, რომ აზროვნების პირველი კანონი იგივეობას კი არ ადგენს, არამედ წინააღმდეგობას და საერთოდ, ს. დოდაშვილი ფიხტესგან განსხვავებით თვლის, რომ: „იგივეობის პრინციპი მოითხოვს წინააღმდეგობის პრინციპის დაშვებას“¹³.

III. ორივე მოაზროვნე სხვადასხვაგვარად ახდენს აზროვნების კანონების დედუქციას. ამ დედუქციას ფიხტესთან ასეთი თანმიმდევრობა აქვს: 1. იგივეობის პრინციპი; 2. წინააღმდეგობის პრინციპი (გამორიცხული მესამის საწყისის ფიხტე ცალკე არ გამოყოფს, ვინაიდან იგი იგივეობის საწყისის მოდიფიკაციად მიაჩ-

⁸ იქვე, გვ. 67—99.

⁹ იქვე, გვ. 66—69.

¹⁰ С. Д о д а е в-М а г а р с к и й, Логика, СПб, 1827, стр. 30

¹¹ იქვე, გვ. 7.

¹² Ф и х т е, Избранные сочинения, т. I, М., 1916, стр. 75.

¹³ С. Д о д а е в-М а г а р с к и й, Логика, СПб, 1827, стр. 31.

ნია); 3. საკმაო საფუძვლის პრინციპი. ხოლო ს. დოდაშვილთან ასეთი თანმიმდევრობაა: 1. წინააღმდეგობის პრინციპი; 2. გამო-რიცხული მესამის პრინციპი; 3. იგივეობის პრინციპი; 4. საკმაო საფუძვლის პრინციპი.

IV. ს. დოდაშვილის აზრით, განსჯა დამოკიდებულია გრძნობების მონაცემებზე¹⁴, ხოლო გრძნობებში არაფერია ისეთი, რაც ბუნებაში (ფიზიკურულ „არა-მე“-ში) არ იყოს¹⁵, რაც ფიზიკურ-სათვის მიუღებელი იქნებოდა.

V. ფიზიკურის „...ცნება არის წმინდა გონითი ყოფიერება“¹⁶, ხოლო ს. დოდაშვილისთვის ცნება „გამოხატავს საგნებს, ისე როგორც ისინი ეცხადებიან გრძნობებს“¹⁷.

VI. ფიზიკურთან იდეა პრინციპულად არ განსხვავდება ცნებისაგან¹⁸, ხოლო ს. დოდაშვილი ამ განსხვავების პრინციპულ გატარებას მოითხოვს¹⁹.

VII. კატეგორიების ცხრილში ს. დოდაშვილი პირველ რიგში რაოდენობრიობის ჯგუფის (ერთიანობა, სიმრავლე, ყოვლადობა) დედუქციას ახდენს²⁰, ფიზიკურ კი თვისებრიობისას (რეალობა, უარყოფა, განსაზღვრება).

VIII. ფიზიკურ ლოგიკას საერთოდ არ თვლის ფილოსოფიურ მეცნიერებად. „ის (ლოგიკა, კ. კ.) საერთოდ ფილოსოფიური კი არა, არამედ ცალკე კერძო მეცნიერებაა“²¹ — წერს იგი. ს. დოდაშვილს კი, სხვა ყველაფერს რომ თავი გავეანებოთ, თავისი „ლოგიკა“ ფილოსოფიურ მეცნიერებათა სისტემის შესავლად და ნაწილად მიაჩნდა.

IX. ს. დოდაშვილი ბევრ ისეთ ტერმინს ხმარობს, რომლებიც საერთოდ არ გვხვდება ფიზიკურთან და გვხვდება უფრო გვიანდელ ფილოსოფოსებთან. მაგ., ტერმინი „პოლარობა“.

¹⁴ იქვე, გვ. 37.

¹⁵ იქვე, გვ. 24.

¹⁶ J. G. Fichtes Werke; Ed. VI. Leipzig, 1912. стр. 91.

¹⁷ С. Додаев-Магарский, Логика, СПб, 1827, стр. 53.

¹⁸ J. G. Fichtes Werke; Bd. VI, Leipzig, 1912. стр. 42.

¹⁹ С. Додаев-Магарский, Логика, СПб, 1827, стр. 53.

²⁰ იქვე, გვ. 55.

²¹ И. Г. Фихте, Избранные сочинения, т. I, стр. 39.

ვფიქრობთ. ყოველივე ზემოთქმული იმის საკმაო საფუძველს გაძლევს, რომ დავასკვნათ, ს. დოდაშვილი ფიხტეანელი არ იყო.

ფიხტეს ფილოსოფიის წინააღმდეგ გაილაშქრა შელინგმა. უპირველეს ყოვლისა მან ფიხტეს სუბიექტივიზმი გააკრიტიკა. თვით აბსოლუტური „მე“-ც, რომელიც ფიხტეს სისტემის დასასრულს დგინდება, შელინგის აზრით, მეტისმეტად სუბიექტური, მეტისმეტად ადამიანურია (ე. ი. სასრულია) იმისთვის, რომ იგი აბსოლუტური (ე. ი. ყველაფრისაგან დამოუკიდებელი, უპირობო და უსასრულო) იყოს. ფიხტეს „მე“, მართალია, ტრანსცენდენტალურია (ე. ი. ლოგიკურად წინ უსწრებს ყოველგვარ შესაძლო ცდას, მაგ.: კონკრეტულ შეგრძნებას, კონკრეტულ აღქმას და ა. შ.), მაგრამ იგი არაა აბსოლუტური, რაშიც იგულისხმება ვითარება, რომელიც არა მხოლოდ ცდისეულ არსებულს, არამედ საერთოდ ნებისმიერ არსებულს უსწრებს წინ. ამით შელინგმა, ჰეგელის თქმით, „...ტრანსცენდენტალურ იდეალიზმს აბსოლუტური იდეალიზმის მნიშვნელობა მიანიჭა“²².

თუ კანტისეული თავისთავადი ნივთი შეუმეცნებელია ადამიანისათვის, შელინგის აზრით, აბსოლუტური შეუმეცნებელია არა იმიტომ, რომ ადამიანი შეზღუდულია, არამედ იმიტომ, რომ აბსოლუტური თავისთავადაა რაიმე განსაზღვრულობას მოკლებული. კონკრეტულ საგანზე, ვთქვათ, სკამზე, შეიძლება ითქვას: „ეს არის ესა და ეს“, ვინაიდან მას გააჩნია ფორმა, დანიშნულება, სხვადასხვა მახასიათებლები.

ახლა დავუშვათ, რომ რაიმე საგნის შესახებ არავითარი მახასიათებლების ცოდნა არ გავგაჩნია გარდა იმისა, რომ იგი არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ ამ საგანს თავისთავად უმრავი მახასიათებელი აქვს, მათ შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით. ასეთი იქნება კანტის ნივთი თავისთავად. მეორე მხრივ, დავუშვათ, რომ ვითომ რაიმე მყოფის მახასიათებლების შესახებ არავითარი ცოდნა არ გავგაჩნია, მაგრამ არა იმიტომ, რომ ჩვენ, ადამიანები, შეზღუდული არსებანი ვართ, და არ ძალგვიძს ყოვლისმცოდნენი ვიყოთ, არამედ იმიტომ, რომ ჩვენი შემეცნების საგანი თავისთავად მოკლებულია (უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მაღლა დგას) ყოველგვარ განსაზღვრულობაზე. სწორედ ასეთია, შელინ-

²² Гегель, Сочинения, т. XI, М., 1935, стр. 505.

გის აზრით. აბსოლუტი. განსაზღვრულობის არქონა შელინგი-სათვის იმას კი არ ნიშნავს, თითქოს აბსოლუტი რაღაც სიცარიელე იყოს, არამედ მის სისავსეს. იგი სავსეა პოტენციებით, რომელთა გამოვლინებას მთელი ხილული სამყარო წარმოადგენს.

როგორც ვარაუდობენ, გოეთემ თავის „ფაუსტში“ შელინგი წყლის ღმერთის — პროტეოსის სახით გამოიყვანა, რომლის სპეციფიკაც იმაშია. რომ მას ნებისმიერი ცოცხალი თუ არაცოცხალი (ვთქვათ, ცეცხლს) სახით შეუძლია მოვევლინოს ადამიანს. გოეთემ. როგორც მკვლევრები (მაგ. ა. გულიგა) თვლიან, იმ ფაქტზე მიანიშნებდა, რომ შელინგი ადვილად და სწრაფად იცვლიდა თავის ფილოსოფიურ შეხედულებებს, მაგრამ, თუ საქმის ვითარებას ჩავუფიქრდებით, ამ ფაქტში შეიძლება უფრო ღრმა აზრიც დავინახოთ. პროტეოსი შეიძლება შელინგის აბსოლუტის თავისებურ სიმბოლოდ ჩაითვალოს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ პროტეოსს მოვლენების ფორმათა სიმრავლის მიუხედავად თავისთავად მაინც გააჩნია რაღაც განსაზღვრული სახე (დუნე მოხუცისა), ხოლო შელინგის აბსოლუტი თავისთავში და თავისთავად ყოველგვარ განსაზღვრულობასაა მოკლებული (სწორედ ამიტომ შეიძლება ნებისმიერი სახით გამოვლინდეს). ამრიგად, ჰეგელის მიერ შელინგის აბსოლუტის შეფასება — როგორც „ღამისა, რომელშიც ყველა კატა ნაცრისფერია“ და რომელიც „არც ღვინოა და არც წყალი“ — შესაძლოა გადაჭარბებულიც იყოს. ა. გულიგას სამართლიანი შენიშვნით, თავად ჰეგელმა ამ „არც ღვინოა და არც წყალი“ ისეთი სასმელი მოამზადა, რომელიც ძალიან ბევრს ეგემრეელაო²³.

აღსანიშნავია კიდევ ერთი განსხვავება ფიხტესა და შელინგს შორის. შელინგმა ბუნების განხილვისას ფიხტესგან განსხვავებით ისტორიზმის პრინციპი შემოიტანა. ადამიანური „მე“ იმთავითვე ბუნებასთან (არამე-სთან) ერთად კი არ იქმნება, არამედ წარმოიშობა „არა-მე“-ს განვითარების გარკვეულ ეტაპზე. (ეს, ცხადია, არ ნიშნავს შელინგის მატერიალისტობას, ვინაიდან „მე“, მართალია, თავისი-ვე შემარტი სახით მხოლოდ ადამიანში, როგორც „არა-მე“-ს პრო-

²³ А. Гулыга, Шеллинг, М., 1982.

დუქტში, ვლინდება, მაგრამ გონი „ფარული“ სახით ბუნების ნებისმიერ პროდუქტში შეიძლება იქნეს მოძიებული).

საინტერესოა, რომ შელინგმა ფიხტესთან შედარებით გაცილებით უფრო მკაცრად განასხვავა განსჯა (Verstand) და გონება (Vernunft). განსჯა გრძნობადის სფეროს მიაკუთვნა, ხოლო გონება ზეგრძნობადს. მაგრამ განსხვავებით ჰეგელისაგან, შელინგი განსჯის უმაღლეს კანონს — $a = a$ აცხადებს გონების უმაღლეს კანონად.

რა შეიძლება ითქვას ს. დოდაშვილის და ფ. ი. ვ. შელინგის ურთიერთმიმართებაზე? ჩვენ ვთვლით, რომ ს. დოდაშვილი გერმანული კლასიკური იდეალიზმის სხვა დიდ წარმომადგენელთაგან ყველაზე ახლოს შესაძლოა შელინგთან იდგა, რომლის ფილოსოფიას იცნობდა ან უშუალოდ ორიგინალიდან, ან შელინგის მიმდევარ ი. ბ. შადის მეშვეობით, რომლის ლათინურ ენაზე შესრულებული შრომები კარგად იყო ცნობილი რუსეთში.

ს. დოდაშვილის და შელინგის აზრები ერთმანეთს უახლოვდება შემდეგ საკითხებში:

1. შელინგის აზრით, განსჯა არ არის საკმარისი, იგი ვერ იძლევა სამყაროს ჰეგმარიტ სურათს²⁴. ს. დოდაშვილიც მსგავს პოზიციასზე დგას²⁵.

2. ს. დოდაშვილი თვლის, რომ განსჯა შემოსაზღვრულია გრძნობათა მონაცემებით და ცდით²⁶. შელინგის აზრითაც, განსჯის გარდა სხვა არავითარი შემეცნებითი უნარი რომ არ გაგვაჩნდეს (ე. ი. გონება), მხოლოდ გრძნობათა მონაცემებით შეზღუდულნი დავრჩებოდით²⁷.

3. შელინგის აზრით, ბუნება ისტორიულად წინ უსწრებს ადამიანურ ცნობიერებას. ამდენად შელინგისათვის (განსხვავებოთ ფიხტესა და კანტისგან) სავსებით მისაღებია აზრი, რომ ცნება გრძნობად მონაცემებზეა დამოკიდებული, აზრი, რომელსაც ს. დოდაშვილიც იზიარებდა.

4. შელინგი თვლის, რომ განსჯის შესაბამისი შემეცნება ლოგი-

²⁴ Шеллинг, Система трансцендентального идеализма, Л., 1936, стр. 19.

²⁵ С. Додаев-Магарский, Логика, СПб., 1827, стр. 7.

²⁶ იქვე, გვ. 6—7.

²⁷ Шеллинг, Система трансцендентального идеализма, Л., 1936, стр. 219.

კაში გვაქვს მოცემული, რომ ლოგია, როგორც ასეთი, განსჯის მეცნიერებას წარმოადგენს²⁸. ლოგიკის საგნის ასეთი გაგება თანხვედბა ს. დოდაშვილის ნააზრევს²⁹.

5. შელინგმა ერთმანეთისაგან პრინციპულად განასხვავა ცნება და იდეა. ამასთან, მან ცნებას ადგილი სასრულ განსჯაში მიუჩინა და. შესაბამისად, იდეას — გონებაში³⁰. განსჯას არ ძალუძს რაიმე ცნება მისი დაპირისპირებული ცნების გარეშე მოიაზროს: მაგ., ერთიანობა (იგულისხმება შეფარდებითი, განსჯითი ერთიანობა და არა აბსოლუტური, გონებითი) სიმრავლის, ყოფიერება არარას, უსასრულობა (ცვლავ შეფარდებითი უსასრულობა) სასრულობის გარეშე განსჯას ერთიანობა შეაქვს მოვლინებულთა სიმრავლეში³¹. დაახლოებით მსგავს პოზიციაზე დგას ს. დოდაშვილიც: „... ცნება განსხვავდება... იდეისაგან იმით, რომ ცნება განსჯის ნაყოფია, იდეა კი გონებას განეკუთვნება“³². „... მგრძნობელობის აუცილებელი მოთხოვნილება არის შეგრძნებათა მრავალფეროვნება; გონების უმაღლესი კანონია ერთიანობა — იდეა; განსჯის აუცილებელი კანონია ერთიც და მეორეც: ერთიანობა სიმრავლეში — ცნება“³³ წერს ს. დოდაშვილი.

6. ს. დოდაშვილი თავის ნაწერებში იყენებს ტერმინს — „პოლარობა“, რომელიც ფილოსოფიაში შელინგმა დაამკვიდრა. ფიზიკისთან ეს ტერმინი ნახსენებიც კი არაა.

7. შელინგის აზრით, რაც კანტს თავისთავად ნივთად მიაჩნია, სინამდვილეში ზედროული გონია. ს. დოდაშვილის მიხედვითაც, გონების საგანი (ე. ი. ნივთები როგორც ისინი არიან თავისთავად) არის იდეალური და გონითი.

8. ზოგჯერ ამბობენ, რომ ს. დოდაშვილი უშვებს ბუნების, როგორც ადამიანური ცნობიერებიდან დამოუკიდებლის არსებობას და მასში მიმდინარე დიალექტიკური პროცესების ობიექტურობას.

²⁸ იქვე, გვ. 222.

²⁹ С. Додаев-Магарский, Логика. СПб, 1827, стр. 6—7.

³⁰ Шеллинг, Бруно или о божественном и естественном наличии вещей, СПб, 1908, стр. 96.

³¹ იქვე, გვ. 97—100.

³² С. Додаев-Магарский, Логика, СПб, 1827, стр. 53.

³³ იქვე, გვ. 25;

ამის საფუძველზე ასკენიან, თითქოს ს. დოდაშვილი მატერიალისტი იყოს. მაგრამ არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ ასეთსავე პოზიციაზე იდგა შელინგიც: „... ბუნება მაშინაც გააგრძელებდა არსებობას, რომ არავინ ყოფილიყო ისეთი, ვინც მას წარმოიდგენდა“, — წერს იგი³⁴. ხოლო, რაც შეეხება დიალექტიკის და ბუნების დაკავშირებას შელინგის მიერ, ამაზე ა. გულიგა შემდეგს წერს: „შელინგს ერთი უპირატესობა გააჩნია ჰეგელთან შედარებით: მის ნაშრომში ჩანს დიალექტიკის მიწიერი ფესვები, მისი კავშირი ბუნებისმეტყველებასთან, ბუნების განვითარების პროცესთან. ჰეგელი უარყოფს განვითარებას ბუნებაში. შელინგისათვის ეს უმკველი ფაქტია“³⁵. ს. დოდაშვილის ჩათვლა მატერიალისტად საეჭვოა, ვინაიდან იგი უშვებდა ადამიანისაგან დამოუკიდებლად არსებულ გონით სინამდვილეს, ხოლო რაც მის ნააზრევში მატერიალისტურად არის მიჩნეული (ბუნების და დიალექტიკის დაკავშირება), შეიძლება შელინგის გავლენას მიეწეროს.

ამასთან დაკავშირებით დგება საკითხი, თუ რა წყაროების მეშვეობით შეეძლო ს. დოდაშვილს შელინგის ნააზრევს გასცნობოდა. ვფიქრობთ, დღეს ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით შეუძლებელია დამაჯერებლად ვაჩვენოთ, რომ ს. დოდაშვილი იცნობდა შელინგის ნაშრომებს ორიგინალში. მაგრამ არსებობს ერთი შელინგიანელი, რომლის შრომებსაც, ს. დოდაშვილი, უეჭველია, იცნობდა — ეს არის იოჰან ბაპტიტ შადი, რომლის ძირითადი შრომებია „ფიხტეს სისტემის აბსოლუტური ჰარმონია რელიგიასთან“³⁶ და „ნატურფილოსოფიის და ტრანსცენდენტალური ფილოსოფიის სისტემა“³⁷. ეს აზრი გამოთქვა შ. ნუტუბიძემ „ქართული ფილოსოფიის ისტორიის“ მეორე ტომში, სადაც იგი განიხილავს ს. დოდაშვილის მსოფლმხედველობის წყაროების საკითხს. შ. ნუტუბიძე ახდენს ი. ბ. შადისა და ს. დოდაშვილის პარალე-

³⁴ Шеллинг, Система трансцендентального идеализма, Л., 1936, стр. 12.

³⁵ А. Гулыга, Шеллинг. М., 1982, стр. 89.

³⁶ J. B. Schäd, Absolute Harmonie des Fichtes Systems mit der Religion, Erfurt, 181.

³⁷ J. B. Schäd, System der Natur und Transzendentalphilosophie, Th 1-11, Landshut, 1803—1804.

ლური ტექსტების შედარებას და სათანადო დასკვნებს აკეთებს. შ. ნუტუბიძის მიერ გამოტანილ დასკვნებს გვინდა დავემატოთ რამდენიმე პუნქტი, რომელიც, ჩვენი აზრით, კიდევ უფრო უეჭველს ხდის ამ ორი მოაზროვნის აზრობრივ სიახლოვეს ბევრი ფილოსოფიური პრობლემისადმი მიდგომაში. ეს პუნქტებია: 1. პრინციპული განსხვავება განსჯისა და გონების შემეცნებით საზღვრებს შორის; 2. ლოგიკის და მეტაფიზიკის საგნის და რაობის ანალოგიური გაგება; 3. იდეის და ცნების პრინციპული განსხვავება მათი შემეცნებითი საზღვრების მიხედვით; 4. კატეგორიების დედუქციის ერთნაირი პრინციპი.

მაგრამ ეს სიახლოვე სრულებითაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ს. დოდაშვილი ი. ბ. შადის უბრალო ეპიგონი იყოს. ზოგიერთ პრინციპულ საკითხში იგი არ ეთანხმება ი. ბ. შადს. სახელდობრ, აზროვნების ძირითადი კანონების დედუქციას ისინი სხვადასხვანაირად ახდენენ. ამას გარდა, ს. დოდაშვილი არ იზიარებს კატეგორიებზე კანტის მოძღვრების შადისეულ კრიტიკას. დაბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ ს. დოდაშვილი იმავე პრინციპიდან ამოდის კატეგორიების დედუქციის დროს, რომლიდანაც ი. ბ. შადი, იგი კატეგორიების დედუქციას კონკრეტულად მაინც სხვაგვარად ახორციელებს.

შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე პრობლემა, რომელთა გადაწყვეტაში ქართველი მოაზროვნე საერთოდ შელინგის წინამორბედთა პოზიციას იზიარებს და არა შელინგისას. ესაა, უპირველეს ყოვლისა, ლოგიკის და ასაწყისად მსჯელობის და არა ცნების გამოცხადება³⁸ და შემდეგ, მოძალობის ჯგუფის კატეგორიების დაყენება კატეგორიების სხვა ჯგუფების გვერდით³⁹ საპირისპიროდ შელინგისა, რომლის აზრით, ამ ჯგუფის წევრები შეუძლებელია კატეგორიებად ჩაითვალოს ამ სიტყვის ჰერმეტიკი მნიშვნელობით⁴⁰.

³⁸ С. Д о д а е в-М а г а р с к и й, Логика, СПб, 1827, стр. 121.

³⁹ იქვე, გვ. 54—56.

⁴⁰ Ш е л л и н г, Система трансцендентального идеализма. Л., 1936, стр. 254—255.

შელინგის ფილოსოფია გააკრიტიკა მისმა ყოფილმა თანამოაზრემ და მეგობარმა გ. ვ. ფ. ჰეგელმა. ჰეგელისეული კრიტიკის მთავარი პუნქტია აბსოლუტის შელინგისეული გაგება: „რაიმე კონკრეტული ყოფიერების განხილვა ისე, როგორც ის არის აბსოლუტში, აქ (შელინგთან და მის მიმდევრებთან — კ. კ.) მდგომარეობს მხოლოდ იმის მტკიცებაში, რომ, მართალია, მასზე (კონკრეტულ ყოფიერებაზე) ახლა ლაპარაკობენ როგორც რაღაც რაიმეზე (о некотором нечто), მაგრამ აბსოლუტში, $A=A$ -ში საერთოდ არაფერი ამისი მსგავსი არ არის, მასში ყველაფერი ერთია (все едино суть) მარტოდენ ეს ცოდნა, რომ აბსოლუტში ყველაფერი ერთნაირია... ანდა თავიანთი აბსოლუტის გამოცხადება ლამედ, რომელშიც, როგორც ამბობენ, ყველა კატა ნაცრისფერია — არის შემეცნებაში არსებული სიცარიელის გულუბრყვილობა“⁴¹. აბსოლუტი არ არის სამყაროს მიმართ აბსოლუტურად მიღებული, თელის ჰეგელი. იგი არც საერთოდ განუსაზღვრელია. განუსაზღვრელობასთან საქმე გვაქვს მხოლოდ აბსოლუტის განვითარების საწყის ეტაპზე. სწორედ ამ განუსაზღვრელობით არის გაპირობებული აბსოლუტის სწრაფვა თვითგამოღობისკენ, რაც აუცილებელი პირობაა აბსოლუტის უმთავრესი მიზნის — თვითშემეცნებისათვის.

თვითშემეცნების საწყის ეტაპზე აბსოლუტი (ჰეგელის ტერმინოლოგიით „აბსოლუტური იდეა“) თავს აცნობიერებს როგორც მარტოდენ ყოფიერს, ყოველგვარი თვისებრივი განსაზღვრელობის გარეშე და, ამდენად, როგორც არარას. შემდეგ იგი აცნობიერებს წმინდა ყოფიერების მოღუსიდან არარას მოღუსში გადასვლის პროცესს როგორც ქმნადობას. აქედან თანდათანობით გამოიყენება სხვა უფრო და უფრო მეტად კონკრეტული კატეგორიები. აბსოლუტი თავის იდეალურ ყოფაში უფრო და უფრო კონკრეტიზდება (განსაზღვრულ სახეს იღებს) და თავისი განვითარების გარკვეულ ეტაპზე გადადის ბუნებაში. ამით სრულდება აბსოლუტის თვითგანსაზღვრება-თვითშემეცნების პირველი ეტაპი, რომლის შემსწავლელ მეცნიერებას ჰეგელი ლოგიკას უწოდებს. კანონები, რომლებიც ლოგიკის (წმინდა, აბსოლუტური აზროვნე-

⁴¹ Гегель, Сочинения, т. IV, М., 1959, стр. 8.

ბის) სფეროში მოქმედებენ, ერთდროულად ქმნიან ბუნების კანონებსაც. განვითარება ბუნებაში ზუსტად (ოღონდ უფრო კონკრეტული ფორმით) იმეორებს იმ გზას, რომელიც ლოგიკურში გაიარა იდეამ (ამიტომ ამბობენ, ჰეგელი ბუნების სფეროში განვითარებას, ე. ი. თავის შინაგანი კანონებიდან მომდინარე განვითარებას, უარყოფდა). იდეის ამ სხვადასოფნის შემსწავლელი მეცნიერება არის ბუნების ფილოსოფია. ბუნების განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე ხდება გადასვლა ადამიანის (სასრული გონის) სფეროში. სასრული გონის სფეროში გაუცხოებული (ბუნებაში გასული) იდეა გარკვეული სახით უბრუნდება თავის თავს. ამ ფონზე განიხილავს ჰეგელი საკაცობრიო ისტორიის ყოველ მოვლენას. და ამ განხილვის პროცესში აბსოლუტური გონი საბოლოოდ იმეცნებს თავის თავს ყველაზე უფრო მდიდარი ფორმით; იმეცნებს იმას, რომ ქეშმარიტი არა მხოლოდ სუბსტანციაა, არამედ სუბიექტიც.

რიგი ფაქტორებისა მეტყველებენ იმაზე, რომ ს. დოდაშვილი მჭიდროდ მიუახლოვდა ჰეგელს, კერძოდ შელინგის შეფასების საკითხში. ეს ნათლად ჩანს ოთხი უალრესად მნიშვნელოვანი ფაქტორიდან.

1. შელინგისათვის $A=A$ როგორც განსჯის, ისევე გონების პირველი კანონია, ოღონდ ეს კანონი ამ ორივე სფეროში სხვადასხვანაირად ვლინდება. ს. დოდაშვილისათვის კი $A=A$ არათუ გონების, არამედ განსჯის პირველი კანონიც კი არ არის. მისი აზრით, ასეთს წარმოადგენს წინააღმდეგობის და არა იგივეობის კანონი, რამდენადაც: „იგივეობის პრინციპი მოითხოვს წინააღმდეგობის პრინციპის დაშვებას“⁴². ჰეგელი თვლის, რომ ფილოსოფიამ უნდა დაიწყოს იმ წინააღმდეგობათა ანალიზით, რომლებშიც განსჯა იხლართება (იხ. „გონის ფენომენოლოგიის“ პირველი სამი თავი). ამდენად, მისი აზრით, ფილოსოფიის დასაწყისი უეჭველი (იგივეობის კანონი) კი არ იქნება, არამედ გარკვეული ხასიათის წინააღმდეგობანი. ასეთი პოზიცია გამოიძახილს პოულობს ს. დოდაშვილის ნააზრევში.

2. შელინგი თავისი ფილოსოფიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს

⁴² ს. დოდაშვილი, ლოგია, თბ., 1949, გვ. 32.

დამსახურებად მიიჩნევა იმას, რომ მან მათემატიკურ ცნებათა კონსტრუქციის კანტისეული იდეა ფილოსოფიას მიუყენა. ამის წინააღმდეგ პრინციპულად გაილაშქრა ჰეგელმა⁴³. ჰეგელის მსგავს პოზიციაზე დგას ს. დოდაშვილიც. „რამეთუ მხოლოდ ეს მოღვაწეობა (გონების მოღვაწეობა, კ. კ.), მიმართული მოცემულ ცნებებზე და არა მათ აგებაზე (=მათემატიკა), (ე. ი. „კონსტრუირებაზე“ შელინგის ტერმინოლოგიით, კ. კ.) შეადგენს ფილოსოფოსობას“⁴⁴, — წერს იგი.

3. შელინგი უარყოფს სისტემურობას, როგორც ასეთს, მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთ უმთავრეს შრომას „ტრანსცენდენტალური იდეალიზმის სისტემა“ ეწოდება, და მეცნიერულ-დიალექტიკური მეთოდის ადგილას გენიოსის მიერ განხორციელებულ განკერტას აყენებს. ამის წინააღმდეგ გამოდის ჰეგელი. იგი თავის შრომებში ყოველთვის უსვამს ხაზს ფილოსოფიის მეცნიერულობას. ს. დოდაშვილიც მსგავს აზრს გამოთქვამს: „ფილოსოფია უნდა იყოს განსაკუთრებული მეცნიერება...“⁴⁵.

4. ფილოსოფია, შელინგის აზრით, თავისი ბუნებით ეზოთერულია, მხოლოდ გამორჩეულთათვის მისაწვდომი⁴⁶. ეზოთერისტული თვალსაზრისის კრიტიკის გამოძახილად შეიძლება ჩაითვალოს ს. დოდაშვილის შემდეგი აზრიც: „ფილოსოფია უნდა იყოს ადამიანური გონების ქმნილება (ხაზი ავტორისაა, კ. კ.). ის არავისთვის არაა თანშობილი, იგი შეიძლება მოიპოვო საკუთარი გონების ძალით, მისი საკუთრივი მოქმედებით“⁴⁷ (და არა გენიალური ინტუიციით, როგორც ეს შელინგთანაა, კ. კ.).

ვფიქრობთ, ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ს. დოდაშვილის კავშირი გერმანულ კლასიკურ იდეალიზმთან ექვს აღარ უნდა იწვევდეს. ამასთანავე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პრობლემის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობა აქვს არა იმას, თუ რომელ „იზმს“ მივაკუთვნებთ ს. დოდაშვილს. მთავარია, დამაჯერებელი იყოს მტკიცება, რომ იგი ახლოს იდგა გერმანული კლასიკური

⁴³ А. Гулыга, Шеллинг, М., 1982, стр. 176.

⁴⁴ С. Додаев-Магарский, Логика, СПб, 1827, стр. 111.

⁴⁵ იქვე.

⁴⁶ А. Гулыга, Шеллинг, Москва, 1982, стр. 116.

⁴⁷ С. Додаев-Магарский, Логика, СПб, 1827, стр. 111.

იდეალიზმის უზოგადეს პრინციპებთან, რაც, თავის მხრივ, საშუალებას მოგვცემს უფრო მოქნილად მივუდგეთ ს. დოდაშვილის დამოკიდებულების საკითხს გერმანული კლასიკური იდეალიზმის ცალკეულ წარმომადგენლებთან. ასეთი მიდგომა წარმოაჩენს ს. დოდაშვილის უნარს, კრიტიკულად შეეხედა ნებისმიერი ავტორიტეტისათვის და გამოეკვეთა საკუთარი პოზიცია მის მიმართ.

დოდაშვილი და ბარათაშვილი

ბარათაშვილის შემოქმედებაზე დოდაშვილის იდეური ზეგავლენის საკითხი მრავალმხრივ არის საინტერესო. როგორც ამ ეპოქის პირველი მკვლევარნი (ყ. მამაცაშვილი, მ. თუმანიშვილი, ვ. ორბელიანი, გ. ერისთავი, ზ. მთაწმინდელი, ზ. კიკინაძე, კ. აბაშიძე, ი. მეუნარგია, ხომლელი, გრ. გურიელი, გ. ისარლოვი და სხვა), ისე თანამედროვე ავტორები (ა. გაწერელია, ა. სურგულაძე, მ. აბზიანიძე, ს. სუციშვილი, თ. კუკავა, ა. ქუთელია, შ. რადიანი, გ. ნადირაძე, გ. ლეონიძე, ა. ინგოროყვა, შ. გოზალიშვილი, მ. გაფრინდაშვილი, დ. გამეზარდაშვილი და სხვა), ერთხმად აღნიშნავენ ამ იდეური ზეგავლენის კეთილნაყოფიერებას ბარათაშვილის პოეტური გენიის სრულყოფილი გამოვლენისათვის. პოეტის ჭაბუკობის მეგობრები იხსენებენ, რომ ბარათაშვილი, ისე როგორც მთელი მაშინდელი ახალგაზრდობა, თავიდან აშუღური პოეზიით იყო გატაცებული. დოდაშვილის მოსვლამ გიმნაზიაში კი სხვა სივრცე და გაქანება მიცა ბუნებისაგან მომადლებულნივს. ასეთია ამ ორი პიროვნების, ცხოვრებისა და მოღვაწეობით დაინტერესებულ მკვლევართა უმრავლესობის საერთო აზრი.

მეგრამ საკითხი შეიძლება დადგეს სხვა განზომილებაშიც: როგორი იყო ბარათაშვილზე დოდაშვილის ზეგავლენის ხარისხი, შეიძლება თუ არა დავეთანხმოთ ვ. ორბელიანისა და ზ. კიკინაძის თეზისს ამ ზეგავლენის აბსოლუტურობის შესახებ, ანდა. XIX საუკუნის ქართული კულტურის ზოგიერთ მკვლევართა მხრიდან ამ ზეგავლენის ფაქტიურ იგნორირებას? ერთი სიტყვით, პრობლემა: არსი მდგომარეობს იმაში, რომ გარკვეულ იქნეს ბარათაშვილის პოეზიაზე დოდაშვილის იდეური ზეგავლენის მასშტაბი და საერთო ხასიათი, ამ ორი მოაზროვნის მსოფლგაგების ურთიერთგადამკვეთი წერტილები.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში სოლომონ დოდაშვილი სამართლია-

ნადაა მიჩნეული „ძნელბედობის“ ხანგრძლივი ისტორიული ეპოქის შემდეგ მიძინებული ქართული რენესანსის ხელახალი გამოცოცხლების პიონერად, ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „ევროპეიზმის ფუძემდებლად საქართველოში“. რუსეთთან შეერთებამ ქრისტიანულ ტრადიციებზე დაფუძნებულ ჩვენს უძველეს კულტურას კვლავ მისცა საერთო-საკაცობრიო ცივილიზაციის მოწინავე პოზიციებზე გასვლის საშუალება. პეტრე დიდის მიერ „ევროპისაკენ გაჭრილი სარკმლიდან“ შემოჭრილი მაცოცხლებელი შუქი საქართველოსაც მისწვდა და რუსეთთან შეერთების უმთავრესი პროგრესული მნიშვნელობაც, ალბათ პირველ რიგში, ამით უნდა შემოიფარგლოს.

ისტორიული პერიოდი, რომლის ჩარჩოებშიც მოუხდათ ცხოვრება და მოღვაწეობა დოდაშვილს და ბარათაშვილს, წარმოადგენდა კაცობრიობის ისტორიული განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეპოქას. ზოგადსოციოლოგიური თვალსაზრისით ეს იყო რევოლუციური გარდაქმნების ეპოქა საზოგადოებრივი ყოფიერებისა და ცნობიერების თითქმის ყველა სფეროში. მატერიალური წარმოების განვითარება პირველად სწორედ ამ ეპოქიდან იწყებს ხელით შრომის ათასეული წლების ჩვევიდან თვისებრივად ახალ — იდნუსტრიულ საწყისებზე გადასვლას. ჰეგელისა და, განსაკუთრებით, შემდგომში მარქსის მიერ რევოლუციურად გადამუშავებული დიალექტიკის შესაბამისად, პირველად, სწორედ ამ ეპოქაში ეყრება საფუძველი ცნობიერების მიერ საზოგადოების განვითარების ობიექტურ კანონზომიერებათა წვდომისა და მის საფუძველზე სინამდვილის გარდაქმნის რევოლუციურ პროცესს. ამასთან, ეს იყო სოციალური და პოლიტიკური აფეთქებებით უაღრესად მდიდარი ეპოქა, ერების და ეროვნულ სახელმწიფოთა ფორმირების, ეროვნული კონსოლიდაციის ეპოქა... და რაოდენ საამაყოა, რომ ჩვენი სახელოვანი თანამედროვე ეპოქის გლობალური მასშტაბების მოთხოვნათა დონეზე აღმოჩნდა.

დიდი მოღვაწისა და ისტორიული პიროვნების შეფასების უმთავრეს კრიტერიუმად, ალბათ, უნდა განისაზღვროს ის, თუ რამდენად შეძლო მან თავისი ეპოქის მთავარი სატკივრის პოვნა და მასზე მალამოს დაღება. სოლომონ დოდაშვილმა ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე შეძლო ხარკი გადაეხადა ეპოქის როგორც ეროვნული, ისე საკაცობრიო პრობლემებისათვის, რისი ნათელი

დადასტურებაა, როგორც მისი „ლოგიკა“, რომელიც მაშინდელი ფილოსოფიური აზროვნების ბევრი პრობლემის ღრმა წვდომით, ზოგ შემთხვევაში კი მათი ორიგინალური გააზრებით, გარკვეულწილად, თავისი ეპოქის მოთხოვნებსაც კი გაცდა, ასევე, ამის დასტურია დოდაშვილის მიერ მაშინდელი ჩვენი ეროვნული სატკივრის გულთან ახლოს მიტანა და მისთვის ზვარაკად თავის შეწირვა. ის უაღრესად ნაყოფიერი ხუთიოდე წელი, რომელიც პეტერბურგიდან დაბრუნებულმა პატრიოტმა მამულიშვილმა გაატარა „არა თავისა თვისისა ბედნიერებისათვის, არამედ სიყვარულისათვის მამულისა“, იმის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა, რომ მხოლოდ იმ პიროვნებას შეუძლია ბუნებისაგან მომადლებული თავისი ნიჭისა და უნარის პოტენციურ შესაძლებლობათა სრული გამოვლინება, რომელსაც სამშობლოსა და მშობლიური ხალხისათვის სამსახური გაუხდია თავის უპირველეს ცხოვრებისეულ მიზნად.

მემკვიდრეობითობის თვალსაზრისით XIX საუკუნის I ნახევარის არც ერთ ქართველ მოღვაწეს არა აქვს ისეთი უშუალო და ორგანული იდეური ნათესაობა ქართველ სამოციანელებთან და საერთოდ, შემდგომი პერიოდის ქართულ კულტურასთან, რამდენიც სოლომონ დოდაშვილს, ამ პირველ ქართველ „თერგდალეულსა“ და რაზნოჩინელ რევოლუციონერს. მან ფართო ასპარეზი და ფილოსოფიური სიღრმე მისცა ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებას. მიუხედავად იმისა, რომ ცარიზმის მიერ შერისხული დოდაშვილის სახელის ხსენებაც კი კარგა ხანს დანაშაულად ითვლებოდა, მისი საერთო დემოკრატიული და საგანმანათლებლო მოღვაწეობით ჩაყრილი თესლი კეთილ, უაღრესად ნოყიერ, ეროვნულ ნიადაგში მოხვდა. ეროვნული ინტელექტუალური ძალების შემდგომმა თაობებმა ახალი ძალა და ენერჯია შთაბერეს მის მიერ დაწყებულ დიდ მამულიშვილურ საქმეს. ამიტომ თვლიდა ილია მას ამ სულ უფრო მზარდი ეროვნული ძალების „პირველ მედროშედ“.

ა. გერცენი, რომელმაც 1836 წლის აგვისტოში, გარდაცვალებაამდე რამდენიმე დღით ადრე მოინახულა დოდაშვილი, გაოცებით აღნიშნავს მომაკვდავის გასაოცარ ცხოვრებისეულ ოპტიმიზმს. ისტორიული პრაქტიკა, ყოველგვარი ქვეშაობების ეს უნივერსალური კრიტერიუმი, გვიდასტურებს, რომ ასეთი ცხოვრები-

სეული ოპტიმიზმი მარტოდენ აქტიური შემოქმედებითი ცხოვრებისათვის მოწოდებულ დიდ პიროვნებებს ხელეწიფებათ. ამასთან, დოდაშვილის ეს მართლაც საოცარი ოპტიმიზმი, მემკვიდრეობით მიღებული, მშობელი ხალხის საუკუნეებში ფესვგადგმული ისტორიული ოპტიმიზმიდანაც რომ საზრდოობდა უთუოდ, იმის მინიშნება და დასტურიც უნდა იყოს, რომ იმ იდეალებს, რომელთაც მან შესწირა თავი, ოპტიმისტური მომავალი უნდა ჰქონდეთ. ყოველ შემთხვევაში, ამ დაუდგრომელმა სულმა თავისსავე ეპოქაში ასაზრდოვა ჩვენი ეროვნული პოტენციის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინება, მის მიერ ნაოცნებარი შუამავალი, „რათა ევროპამან ოდესმე ჰსცნას ივერია საშუალობითა წერილთა სარწმუნოთა“¹.

გადაჭარბებულად მოჩანს ბარათაშვილზე დოდაშვილის გავლენის ჰიპინაძისეული შეფასება („თუ სოლომონ დოდაშვილი არ ყოფილიყოს, მაშინ შეიძლებოდა არც ნიკოლოზ ბარათაშვილიც ყოფილიყოს“) — თუნდაც მარტო იმიტომ, რომ დოდაშვილს, ბარათაშვილის გარდა, არა ერთი და ორი ათეული მოსწავლე აღუზრდია და მათგან საკმაო დიდ ნაწილსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა მასთან, მაგრამ ერთი კი უდავო უნდა იყოს: სწორედ დოდაშვილიმა გაადვივა 13—14 წლის ჰაბუკის აზროვნებაში პროტესტანტული და მემბოხე სული, ბუნებით მომადლებული ნიქი მიუწვდომელისა და ამაღლებულის ძიებისა, კაცობრიობის მარადიული პრობლემების წვდომის წყურვილი. მოსწავლე-მასწავლებლის პესიმიზმთან („მაგრამ თუ ერთხელ სოფელს უნდა ბოლო მოეღოს...“) ორგანულად შეზავებული „მზიანი დილის გათენების“ შინაგანი ოპტიმიზმი ხაზს უსვამს ცივილიზაციის სიბრძნის მწვერვალებისაკენ მიმავალი ამ ორი თვითმყოფადი მოაზროვნის სულიერ ნათესაობას.

იდეური და სულაერი თანდგომა კი გაცილებით მნიშვნელოვანი და სტაბილური ფაქტორია პიროვნებათა ურთიერთობაში. იშვიათად როდია, როცა ცხოვრების ბილიკებზე ორი პიროვნების

¹ გ. აბზიანიძე. ნაბეჭედი XIX ს-ის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, თბ., 1959. გვ. 6.

² ზ. კიკინაძე. სოლომონ დოდაშვილი და ნიკოლოზ ბარათაშვილი, თბ., 1897. გვ. 15.

შემთხვევით შეხვედრას გადამწყვეტი როლი უთამაშა მათი სეგ-ბედის განსაზღვრაში. ბარათაშვილის შეხვედრა თავის უფროს მეგობართან და მასწავლებელთან ასეთი ხასიათისა აღმოჩნდა. თანამედროვეთა გადმოცემით „ბარათაშვილი თითქმის სულ დოდაშვილთან იყო — ან გიმნაზიაში, ან სახლში ანდა, „თბილისის უწყების“ სტამბაში და ყველგან, სადაც კი დოდაშვილი იქნებოდა“. ამიტომაც შენიშნავდა ვახტანგ ორბელიანი „ნიკ. ლოზ ბარათაშვილი გამოიწურთნა სოლომონ დოდაშვილთან“³. ამ სულიერი სიახლოვის შედეგი იყო ალბათ, რომ ცარიზმის მოხელეებმა საჭიროდ ჩათვალეს ბარათაშვილის ჩხრეკა და 16 წლის ქაბუკის ორკვირიანი პატიმრობაც უფროსი მეგობრებისადმი თანადგომისა და ერთგულებისათვის თავისებური ხარკის გადახდა იყო.

მაინც რა გაიცნობიერა თავისად ბარათაშვილმა დოდაშვილისაგან, სად და რაში იმსგავსა მასწავლებელმა მოსწავლე, რა დააჩნდა ყველაზე ცხოვლად დოდაშვილისაგან ბარათაშვილის პოეტურ სულს იმ ხუთიოდე წლის მანძილზე „საშვილიშვილოდ გარდასაცემად?“

1. ეს, უპირველეს ყოვლისა, ადამიანისა და ადამიანობის ყველაზე და ყველაფერზე ამაღლებული სიყვარულის გრძნობაა, ჰუმანიზმის უკვდავი გრძნობა, რომელიც სანთელ-საკმევლად თანახლდათ ორივეს ცხოვრების მოკლე გზაზე. „მოყვასის სიყვარულის“, სიკეთის კულტის თანდაყოლილი ეროვნული ფსიქიკა სიცოცხლის არსად და ფასად იყო ქცეული ორივესათვის. მასწავლებლების ჩაუმქრალი სანთლები და მამულზე ფიქრში გათენებული უძილო ღამეები ორბელიანების ძველი სახლის ერთ-ერთ კუთხეში, თუ ბოროტი სულისაგან გათანგული თავზეხელაღებული მხედრის ქროლვა უკაცურ და გაუქვალავ ბილიკებზე — ამ ყველაზე ღრმა, ხშირად ბევრისათვის მიუწვდომელი და გაუგებარი ფსიქიკური ფენომენით იყო გაპირობებული. აქედან საზრდობდა და საზრდობს ალბათ დღესაც ის, რასაც ასე შესანიშნავად უწოდა მოსწავლემ „სულით ობლობა“.

მოყვასის სიყვარული, ჰუმანიზმი ხომ — თუ ღრმად ჩაეწვდებით ამ მართლაცდა ადამიანობის დამამშვენებელ ყველაზე ღრმა გრძნობას, — არაადამიანობის, კაცთმოძულეობის საპირისპირო

ბუნებრივი საპასუხო რეაქციაა მეტ-ნაკლებად გამომკლავნებულ-გამომზეურებული სიკეთისათვის დაბადებულ ადამიანთა გულებში. ზოგად-კონკრეტული ბოროტების გარემოცვაში მცხოვრები მოსწავლე-მასწავლებლის აღზევება საყოველთაო სიკეთისა და ჰუმანიზმის ამ მაღალ იდეალამდე უნდა იქნეს მიჩნეული მათ ყველაზე დიდ მორალურ გამარჯვებად. სწორად აღქმული სინამდვილე წარმოშობდა უკმარისობისა და სევდის ფენომენსაც მათს ცხოვრებასა და მოღვაწეობაში.

2. ამ ფენომენიდან საზრდოობს უთუოდ პირადი და ეროვნული თავისუფლების კულტი, წითელ ზოლად რომ გასდევს მოსწავლე-მასწავლებლის მოღვაწეობას — „ქართლის ბედის“ ცნობილი სტრიქონები, „სუმბული და მწირი“, დოდაშვილის ჩვენამდე მოღწეული პოლემიკური და ორატორული ხელოვნების ბევრი ნიმუში.

ცხოვრების, აზროვნების, ქცევისა და მოქმედების თავისუფლების მაგალითი უხვად შეეძლო მიეღო ცხოვრების გზაჯვარედინზე მდგომ ახალგაზრდა შეგირდს თავისი ოსტატისაგან. აკი იხსენებენ ამ ეპოქის თვითმხილველნი: „მეტისმეტად გამბედავი და ენერგიული კაცი იყო. პირდაპირი ქცევაშიც და ლაპარაკშიც... როცა ვაფრთხილებდით — ცოტა მორიდებულად მოიქეცი და ილაპარაკე, თორემ იქით გიკრავენ თავსო, გვპასუხობდა: ძალიანაც კარგი, მზე და მთვარე იქითაც არისო“⁴. ბარათაშვილის მამაც ხშირად ეჩხუბებოდა შვილს — თავი დაანებე დოდაშვილს, თორემ ვაგთოკავენო⁵. მაგრამ დოდაშვილის პატრიოტიზმი პიროვნების ბუნებისაგან, მისი შინაგანი არსიდან და პირადი თუ ეროვნული თავისუფლების სიყვარულისაგან ნასაზრდოები ხარკი იყო.

3 ბევრი დაწერილა და ბევრიც დაიწერება ბარათაშვილის პოეზიის ეროვნულ მნიშვნელობაზე, მაგრამ ის, რაც ილიამ შეძლო გადმოეცა მისთვის დამახასიათებელი აზრის სიღრმითა და ტევადობით, ალბათ მიუღწეველი დარჩება დანარჩენებისათვის: „... ბარათაშვილმა ჩვენს აზრს, ჩვენს გულისთქმას, ჩვენს ჭკუა-გონებას

⁴ ზ. კიკინაძე, სოლომონ დოდაშვილი, თბ., 1893, გვ. 10.

⁵ იქვე, გვ. 13.

დიდი ვანი და სიღრმე მისცა, კაცობრიობის წყურვილს ქართველიც თანამოზიარედ გაუხადა და კაცობრიული წყურვილის მოსაკლავ წყაროს ქართველიც დააწაფა... მისნი გრძნობანი, მისნი გულნი, მისნი ჰირონი და მწუხარებანი უფრო საყოველთაო, სკაცობრიონი არიან, ვიდრე კერძონი, მისი კენესა კაცობრიობის კენესაა, მისი ჩივილი კაცობრიობის ჩივილია, მისი ვერ მიწვდენა სურვილისა კაცობრიობის უღონობაა“⁶.

და ამ ამბლებულის, ზოგადკაცობრიულის ნათელმხილველური გააზრების ერთ-ერთი წარმომშობი წყარო ის მემამბოხე და ქეშმარიტების მაძიებელი სულია, რომელიც დღესაც ეძებს მყუდრო სავანეს თავის საღნიებელში. ბარათაშვილის პოეზიის არსი მსოფლიო პრობლემების ქართული ამღერებაა, დოდაშვილის ფილოსოფიის არსიც, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მთავარი „დვრიტაც“ მაშინდელი მოწინავე ფილოსოფიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების მიღწევების ქართული გააზრებაა.

4. სწორედ აქედან საზრდოობს დემოკრატიზმისა და რესპუბლიკურობის იდეები ორივე მოაზროვნის მსოფლმხედველობაში. ლეგიტიზმის ეპოქაში და მასთან, რუსეთისა და საქართველოს მაშინდელ ობიექტურ პირობებში (თვით დეკარისტთა უმრავლესობაც ხომ ვერ ამბობდა აქამდე), ეს უადრესად რევოლუციური, რადიკალური იდეები, შესანიშნავი მხატვრული ფორმით გადმოცემული ბარათაშვილის ცნობილ სიტყვებში: „მადლობა, ღმერთო, შენსა განგებას! ერთს კაცს მომადლებ ყოვლთა უფლებას, ... და იგი მათს ბედს ისე განაგებს, ვითა ამღერდეს იგი კამათლებს. მაგრამ შენ, მეფევ, ვინ მოგცა ნება, სხვას განუბოძო შენთ ყმათ ცხოვრება, მისდევდე შენსა გულისკვეთებას და ურთგუნვიდე თავისუფლებას!“

5. საგნებისა და მოვლენების ღრმა და ყოველმხრივი წვდომის, მთელი გარემომცველი სინამდვილის ობიექტური და დიალექტიკური აღქმისა და გააზრების ბარათაშვილისეული უნარი, შესანიშნავად განივთებული პოემაში — „ბედი ქართლისა“ და ლექსში — „საფლავი მეფის ირაკლისა“, ბუნებისა თუ საზოგადოებრივი მოვლენების ბარათაშვილისეული ფსიქოანალიზის მეტად

⁶ ილია ჭავჭავაძე, თხზ., ტ. III, თბ., 1953, გვ. 210, 212.

გამახვილებული გრძნობა, სულიერი ალტკინების გამოსახვისა და გაზიარების, ადამიანის სულის მოძრაობის, მისი სულ უმნიშვნელო ნიუანსების წვდომის და ამასთან, ყველასათვის მისაწვდომი ერთ გადმოცემის საოცარი უნარ-თვისება — ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, მარტო დოდაშვილის გავლენით არ აიხსნება, თუმცა კი ასეთი გავლენა შეიძლება აღნიშნული უნარ-თვისების სტაბილიზაციისა და განვითარების ფაქტორად იქცეს. ყოველ შემთხვევაში ბარათაშვილისეული დაკვირვებისა და ფსიქოლოგიური ანალიზის უნარის სრულყოფაში დოდაშვილს წვლილი უნდა შეეტანა, განსაკუთრებით იმაში, რასაც ინდივიდუალური და ეროვნული ფსიქიკა ჰქვია—აქედან ცნობილი დილემაც პოემიდან „ბედი ქართლისა“: „ვით შეითვისოს რუსმა ქართველი, ვით შეიწყნაროს რუსთ მეფობამა, რაც მოისურვოს ქართველობამა?“

6. ორივე მოაზროვნეს აერთიანებდათ სულიერი ცხოვრების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი — გონების უძლეველობის რწმენა. ორივესათვის მაძიებელი გონება და მისი საშუალებით მთელი გარემომცველი სინამდვილის „გარდახატვა“ იყო ადამიანის მთავარი ღმერთი და სალოცავი ხატი. ეს, ამავე დროს, თეოლოგიისაგან მათი აზროვნების განთავისუფლების საფუძველსაც წარმოადგენდა. მოაზროვნე გონის კულტი, იმის რწმენა რომ „ქართველთ არა სძინავთ გონებით“⁷, რომ, „... მათი აზრი და გონება საზრდოს იძენს... და (ეს) ამ აზიურ ქვეყანას ევროპული განათლებულობის საფეხურზე აიყვანს“⁸, ასაზრდოებდა სამშობლოს მომავლის მთელ მათ პატრიოტულ რწმენასაც.

პიროვნული ბუნებაც და ხასიათიც რომ ერთი აღმოაჩნდათ ქართლ-კახეთის შვილთ: პირდაპირობა და ალაღმართლობა, დიდი, ხშირად დაუოკებელი შინაგანი ტემპერამენტი, მოუსვენარი და დაუდგარი ცხოვრებისადმი მიდრეკილება, დუალიზმი ქცევაშიც და აზროვნებაშიც, იუმორისა და მახვილსიტყვიერების ოსტატობა, ენამწარობაც და სულის ბავშვური სიფაქიზე, სევდა-კაემანი და ქართველური დროსტარების სიყვარულიც ტოლ-მეგობრებში, კომუნიკაციურნი ყოველდღიურ ურთიერთობაში და განმარტოების მოყვარულნიც...

⁷ ნ. ბარათაშვილი, თხზ., თბ., 1945, გვ. 80.

⁸ ს. დოდაშვილი, თხზ., თბ., 1961, გვ. 41.

მართალია, ბარათაშვილი და დოდაშვილი სოციალური იერარქიის სხვადასხვა საფეხურზე იდგნენ, მაგრამ მათი ურთიერთობის ცხოველმყოფელობა სწორედ იმასაც ამტკიცებს, რომ, ჯერ ერთი, „ძნელბედობის“ ეპოქის სპეციფიკური ეროვნული ფაქტორების გამო სოციალური დაპირისპირების ფენომენი ჩვენში არ აღტარებდა ისეთ მწვავე და ანტაგონისტურ ხასიათს, როგორც რუსეთში და თუნდაც ევროპაში (ამიტომაც ვერ მოუძებნით უოტ ტაილერსა თუ პუგაჩოვს პარალელებს შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიაში), და, რაც მთავარია, იგი, უპირველეს ყოვლისა, ამტკიცებს იმასაც, რომ ქვეშარიტ ადამიანთა ურთიერთობაში სულიერი და ფსიქიკური ფაქტორები გაცილებით ფასეული და მნიშვნელოვანია სოციალურზე. ამიტომაც იყო, რომ სოციალური სამართლიანობისა და პასუხისმგებლობის გრძნობა ორგანულად იყო შეერთებული ქართული საზოგადოებრივი აზროვნების საერთო დემოკრატიულ და ჰუმანისტურ მოფლმხედველობასთან. ილიას „საერთო ნიადაგის“ თეორია ამ ეროვნული ფენომენის დაგვირგვინება იყო უთუოდ.

ის, რაც ბედნიერი შემთხვევით ჩვენამდე მოვიდა ბარათაშვილის შემოქმედებიდან, იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ ბარათაშვილის პოეზიაში სოციალური და ზოგადადამიანური პრობლემები ორგანულ მთლიანობაში იმყოფებიან. დოდაშვილთანაც ეროვნული, სოციალური და ზოგადადამიანური თავისუფლების იდეები ერთმანეთთან ბუნებრივ მთლიანობაში გვევლინებიან, ხოლო მეცნიერება და განათლება მათი განხორციელების მთავარი საშუალებაა.

სოლომონ დოდაშვილი — განმანათლებელი და ჰუმანისტი

ქართველმა ხალხმა საზოგადოებრივი პროგრესის გრძელ და მეტად რთულ გზაზე თავისი წილიდან მრავალი სახელოვანი ადამიანი წარმოშვა. შინაარსით მდიდარი და მრავალმხრივი ქართული აზროვნებისა და კულტურის ისტორია თავის ბრწყინვალე გალერეაში იტევს არა მხოლოდ მამაც მეომრებს, ნაციონალურ გმირებს, რომლებმაც უქნობი სახელი მოიხვეჭეს სამშობლოს თავისებურებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, არამედ ისეთ მოღვაწეებს, რომლებიც წინ სწევდნენ ხალხის სულიერი კულტურის საქმეს და მათს უანგარო სამსახურში იფერფლებოდნენ. სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს გამოჩენილი მოღვაწე დიდი განმანათლებელი და ჰუმანისტი სოლომონ დოდაშვილი.

იმ დროიდან, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა, რუსეთის სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მომხდარი ყოველი მნიშვნელოვანი მოვლენა სათანადო გამოძახილს პოულობდა საქართველოში. ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ იმ დროს სწავლა-განათლებას მოწყურებული მოწინავე ქართველი ახალგაზრდები რუსეთისაკენ მიილტვოდნენ, შემდეგ კი საკმაოდ განსწავლულნი ბრუნდებოდნენ საქართველოში და ხალხში ავრცელებდნენ პროგრესულ იდეებს. სოლომონ დოდაშვილი ერთ-ერთი პირველი ქართველთაგანი იყო, რომელიც თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ, 1824 წლის ივლისში რუსეთში გაემგზავრა და იქ მყოფი ცნობილი ქართველი მოღვაწის იონა ხელაშვილის დახმარებით პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ-იურიდიული ფაკულტეტის სრული კურსი დაამთავრა.

ს. დოდაშვილი ხარბად დაეწაფა ცოდნას; განსაკუთრებით ღრმად შეისწავლა მან ფილოსოფია, ლათინური და ბერძნული ენები, თავისუფლად კითხულობდა გერმანულ და ფრანგულ ენებ-

ზეც. დოდაშვილის დაუცხრომელ უნარსა და ნიქს ყველანი გან-
ციფრებაში მოჰყავდა. ამის თაობაზე საქმარის წარმოდგენას იძ-
ლევა ორი ცნობა: პირველი, — გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნე-
ბული მოგონება, რომელიც გვამცნობს ს. დოდაშვილის პირად
თვისებებსა და ზრახვებს ჯერ კიდევ პეტერბურგში მის გამგზავ-
რებამდე: „თავის ნიქს დოდაშვილი, — ვკითხულობთ ამ მოგონე-
ბაში, — თანდათან ავითარებდა წიგნების კითხვით; მაგრამ მეტის-
მეტად შეზღუდული აღზრდა ვერ აკმაყოფილებდა მის სულს, რო-
მელიც უმაღლეს მისწრაფებათა სისავსისაგან დუღდა. საკუთარმა
შეგნებამ, საკუთარმა ძალ-ღონემ აქაც უშველა მას: მოისურვა რო-
გორმე ჩრდილოეთის დედაქალაქში მოხვედრილიყო უნივერსი-
ტეტში შესასვლელად, მაგრამ ამ კეთილშობილი მიზნის განხორ-
ციელება მცირე სიძნელეებთან როდი იყო დაკავშირებული“¹.
მეორე ცნობა — ეს არის სოლომონის მამისადმი იონა ხელაშვი-
ლის წერილი, რომელშიც დაწვრილებით არის დახასიათებული და
შეფასებული პეტერბურგში ს. დოდაშვილის საქმიანობის ყველა
მხარე. ამ წერილში ნათქვამია:

„თქუენი სოლომონ, სულით არს ტალანტებიან და მდაბალ და
მშვიდ და ზნეობითა პატიოსან და ხარაკტირებითა ნიშატიან, აღთქ-
მათა შინა და სიტყუათა მტკიცე, უტყუვილ,... სწავლათა შინა
მარჯვე... ერისა მოყუასე, მამულისა სამსახურისა მოსურნე... მცი-
რეთა მეტყველ, მრავალთა კეთილთა სიტყუათა მსმენელ, საჰმე-
ლითა მცირეთა კმაყოფილ, სამთურა და სასმენელთა არცალა მომ-
გონებელ, კინისა ძილის მექონე, წიგნებთა შინა გართულ, ყამე-
ბისა არ წარწყმედილ, ყოვლადთა სიტყუებთა და საქმეთა მარჯუ-
ჰედ მსჯელ, მყობადთა დროთა და საქმეთა და შეხდომათა კეთილ-
გულისხმიერ მსჯელ, რომელი მცირე დროთა შინა ფილოსოფი-
ისა და ღუთისმეტყველებისა კლასებთა ზე ახდა გასაკვირვად აქა-
ურთაცა და არს შეყვარებულ სწავლასა მთავრობათა და მასწავ-
ლებლებთაგან ესევეთარი მამულისა შვილი ჯური სიბრძნისა ვინ
მეცნაემან ბრძენმან არ შეიყუაროს, რომელსაც ვალი მოსწვეთს
ბაგეებთაგან და მანანა თითებთაგან ქარტებსა ზედა, ჩემი ყოველ-
თანა სულიერი ძე არს ჩემი, რომელი მკაცრად მეცადინეობს ნე-
ბისა ჩემისა აღსრულებასა...“²

¹ სოლომონ დოდაშვილი, ლოგია, თბ., 1949, გვ. 7.

² იქვე, გვ. 21.

როგორც ამ წერილიდან ჩანს, ს. დოდაშვილი დიდი შრომის-მოყვარეობითა და მალალკეთილშობილური თვისებებით დაჯილ-დობული პიროვნება იყო.

პეტერბურგში ყოფნის დროს (1824—1827) ს. დოდაშვილი მკიდროდ დაუკავშირდა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებს, მწერლებსა და ჟურნალისტებს, რაზნოჩინელ ინტელიგენტებს, ფართოდ გაეცნო მათ საქმიანობას, ეზიარა ახალ იდეებს, რომ-ლებმაც მასზედ დადებითი გავლენა იქონიეს. ერთ-ერთ წერილში ი. ხელაშვილისადმი იგი წერდა: „აქამოდე მაქენდა ჩინებულსა პოეტთა და მწერალთა საუბრობა, რომელნიცა იქნებოდნენ პე-ტერბურღსა შინათვისითა საქმეებითა და ყოველსა ქვეყანასა ზედა ისმიან პატიოსნებანი მათნი“.

რუსეთის იდეურ-პოლიტიკური ცხოვრების განვითარებაში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო დეკაბრისტების აჯანყება, რომლის მოწმეც თვითონ დოდაშვილი გახდა; ამ ფაქტმა წარუშ-ლელი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე და შემდგომში მკვეთრად განსაზღვრა მისი იდეურ-პოლიტიკური მრწამსი.

აქვე საჭიროდ მიგვაჩნია დავსძინოთ ისიც, რომ პეტერ-ბურგში რუსულ ფილოსოფიურ წრეებში ს. დოდაშვილი ცოდნის სოლიდური მარაგით მივიდა. იგი ნასაზრდოები იყო როგორც ძველი, ისე XVII საუკუნის საქართველოს ფილოსოფიური მემ-კვიდრეობით, რომელიც იმ დროს რელიეფურად იყო ასახული იო-ანე ბატონიშვილის „კალმასობაში“; მაგრამ ასეთ ნოყიერ ნიადაგზე ძველ და ახალ შეხედულებათა კომპლექსში სოლომონმა შექმნა სრულიად ახალი ორიგინალური ფილოსოფიური კონცეფცია, რო-მელიც, როგორც აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე წერს, ზურგს აქცევს მისტიკურ-ფატალისტურ მსოფლმხედველობას, აგრეთვე აგნოსტიციზმს და მატერიალისტური გზით მიდის“³.

როგორც ითქვა, ს. დოდაშვილი დაუღალავ მეცნიერულ კვლე-ვით მუშაობას ეწეოდა პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის დროს, მაგრამ განსაკუთრებით ინტენსიური გახდა მისი სამეცნი-ერო მოღვაწეობა საქართველოში დაბრუნების დროიდან. თბილი-სის გიმნაზიაში მასწავლებლობასთან ერთად ს. დოდაშვილი ნაყო-ფიერ ჟურნალისტურ საქმიანობასაც შეუდგა. ჭერ იყო და გაზეთ

³ სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, 1961, გვ. 476.

„თბილისის უწყებანის“ სარედაქციო კომიტეტის შემადგენლობაში მიიწვიეს, ხოლო შემდეგ კი ამ გაზეთის რედაქტორად დაინიშნა. ასეთი მდგომარეობის გამო სოლომონი ძლიერ დაიტვირთა: „არა მაქვს არცა ერთი წამი თავისუფლებითი, არცა ღამე და არცა დღე მოსვენება არა მაქვსო“⁴, — წერდა იგი ერთ წერილში.

მიუხედავად ასეთი პირობებისა, ს. დოდაშვილმა შეძლო მისთვის ჩვეული ფრიად ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის განგრძობა. ამ პერიოდში მას უკვე საკმაოდ ბევრი შრომა ჰქონდა გამოქვეყნებული. ერთ-ერთი მთავარი ნაშრომი — „ლოგიკა“, რომელშიც თავისი ფილოსოფიური მსოფლმხედველობა ჩამოაყალიბა, ჯერ კიდევ პეტერბურგში გამოაქვეყნა რუსულ ენაზე და ამით დიდად გაითქვა სახელი სამეცნიერო წრეებში. თბილისში კი დოდაშვილმა დაწერა მთელი რიგი სამეცნიერო სტატიებისა და ცალკეული ნაშრომებისა: „შემოკლებული ქართული გრამატიკა“, „რიტორიკა“, „ლოგიკური მეთოდოლოგია“. 1832 წლის იანვრიდან მან დაიწყო „ტფილისის უწყებანის“ ლიტერატურული დამატების გამოცემა, რომელსაც „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ ერქვა. ამ დამატების ყოველ ნომერში უმთავრესად ს. დოდაშვილის სამეცნიერო სტატიები, და მხატვრული ნაწარმოებები, აგრეთვე მის მიერ უცხოურიდან თარგმნილი მოთხრობები იბეჭდებოდა.

ს. დოდაშვილს მოღვაწეობა ისეთ ეპოქაში მოუხდა, როცა ბატონყმურ-თვითმპყრობელური რუსეთის იმპერიის მმართველობის სოციალ-პოლიტიკური საფუძვლები რყევას განიცდიდა და ქვეყნის შიგნით თანდათან იზრდებოდა რესპუბლიკურ-დემოკრატიული განწყობილება. ს. დოდაშვილი თანაუგრძნობდა თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ მიმართულ ყოველგვარ განმათავისუფლებელ მოძრაობას და მხურვალედ უჭერდა მხარს მოწინავე დემოკრატიულ და ჰუმანისტურ იდეებს. ეს იქიდანაც ჩანს, რომ პეტერბურგში ყოფნისას ს. დოდაშვილმა გადაიწერა დეკაბრისტ რილევიცის წერილი, მიწერილი ცოლისადმი სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. ეს წერილი მან საქართველოში ჩამოიტანა და მის შინაარსს მოწინავე ინტელიგენციაში ავრცელებდა. ამას ერთ-

⁴ სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 286.

წოდა საქართველოში ოფიციალური ხელისუფლების ადგილობრივი მოხელეების მიერ მცხოვრებთა აბუჩაღ აგდება, სოციალური უსამართლობანი, აგრეთვე ეროვნული ჩაგვრა-შევიწროება, ასეთ მოვლენებს, ცხადია, არ შეეძლო უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა სათნო ადამიანზე — სოლომონზე, რომელიც ყველას მოკრძალებული თანმდებლობით ეპყრობოდა და ხალხისადმი დიდი პატივისცემითა და სიყვარულით სულდგმულობდა.

ამრიგად, მე-19 საუკუნის 30-იან წლებში, საქართველოში მოღვაწეობის პროცესში ს. დოდაშვილი გამოიკვეთა როგორც მგზნებარე პატრიოტი, დაუღალავი საზოგადოებრივი მოღვაწე, დიდი განმანათლებელი და ჰუმანისტი. ჩვენი სტატიის საგანს, ცხადია, არ წარმოადგენს ს. დოდაშვილის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ძირითადი პრინციპების განხილვა, მაგრამ წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ ფილოსოფიის ფუნქცია, დოდაშვილის აზრით, ეს არის არა ცხოვრებისაგან განყენებული საქმიანობა, არამედ პრაქტიკის სამსახური, თვით ადამიანის არსების, მისი ცნობიერების გახსნა. „ფილოსოფოსობა, — წერს დოდაშვილი, — ნიშნავს ყურადღება მივაპყროთ თავის თავს, რათა გამოვიცნოთ და გავიგოთ თვით ჩვენი თავი და, ამ გზით დავადგინოთ სამყარო ჩვენში და ჩვენთან“⁵. აქედან ნათლად ჩანს, რომ ადამიანის არსების, მისი ფორმირებისა და საზრისის ახსნის გამოსავალ პუნქტს ს. დოდაშვილი ფილოსოფიურ ასპექტში ხედავს და თავიდანვე ამ კუთხიდან იწყებს თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის გაშლას. მაშასადამე, მთელი მისი მოძღვრება და საქმიანობა ფილოსოფიური მსოფლმხედველობით არის გამსჭვალული და ადამიანისადმი ინტერესითა და უანგარო სამსახურით ხასიათდება.

მაგრამ დოდაშვილი, როგორც ზემოთ ითქვა, ბრმად არ გაპყოლია იმდროინდელ ტრადიციულ ფილოსოფიას, რომელიც უმთავრესად კანტიანური თვალსაზრისით ხასიათდებოდა. მოაზროვნეს, რომლის დანიშნულებას შეადგენდა ხალხთა თანადგომა, არ შეეძლო სუბიექტურ-იდეალისტური პრინციპების ტყვეობაში მოქცეულიყო და ბობოქარი სინამდვილის მიღმა, პრაქტიკისაგან განყენებულად ეცხოვრა; ასეთი რამ არ შეესაბამებოდა ს. დოდაშვილის მოქმედების ფილოსოფიას, მის აქტიურ ცხოვრებისეულ

⁵ სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 43.

პოზიციასა და კაცთმოყვარე ბუნებას. სოლომონი კი თვითონაც გრძნობდა, რომ ხალხი მას უყუარებდა როგორც განწინათლებულსა და დიდ მოამაგეს.

ს. დოდაშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობის პროგრამა თავიდანვე, კაბუჯობისდროიდანვე მკაცრად იყო მოფიქრებული: პეტერბურგში უმაღლესი განათლების მიღება, შემდეგ კი სამშობლოში დაბრუნება და ერის სამსახური — მამულისათვის თავდადებული მუშაობა — ასეთი იყო მისი მოქმედების გეგმა. საგულისხმოა ის გარემოება, რომ ამ კეთილშობილური მიზნის განხორციელების იდეურ საშუალებად და იარაღად ს. დოდაშვილმა ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა იგი უმაღლეს სასწავლებელში იყო, ფილოსოფია აირჩია: „ვიკრებ სიბრძნეს მამულისათვის“, წერს იგი, „მეც შემეძლო საქართველოსა შინა ცხოვრება, გარნა სიყვარულმან განმალვიდა... მართალია, აქ, უნივერსიტეტში მე წმინდა თეორიულ ცოდნას ვიღებ, მაგრამ ყოველივე ამას ხორცს შეევსხამ ჩემს სამშობლოში“⁶. აქედან ნათლად ჩანს, თუ რამდენად ღრმად ჰქონდა შეგნებული ს. დოდაშვილს თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის აუცილებლობა, რომ პრაქტიკულ ცხოვრებაში სასარგებლო საქმიანობა ყოველთვის უნდა ემყარებოდეს მეცნიერულ ცოდნას, ფართო განათლებას, ხოლო ხალხის განათლებისა და ცივილიზაციის თეორიული მომზადების საფუძველს იგი ფილოსოფიაში ხედავდა.

რა შეადგენდა სოლომონ დოდაშვილის მოძღვრების ლაიტმოტივს, მისი შემოქმედების მთავარ მამოძრავებელ ძალას?

ს. დოდაშვილი კაბუჯობიდანვე თავისი ხალხის დიდი მოკირანბულე იყო და ქართველი ერის სახელისა და ღირსების შორს გატანაზე ოცნებობდა. მაშასადამე, იმთავითვე ეროვნული მოტივები და ჰუმანიზმის იდეები შეადგენდა მისი დაუცხრომელი შემოქმედებითი მოღვაწეობის მთავარ მამოძრავებელ ძალას. დაუღალავი ზრუნვა სწავლა-განათლების საქმეზე, ბიბლიოთეკებისა და სკოლების გახსნა, სტამბის დაარსება, ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების ბეჭდვა-გავრცელება, ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის ამაღლება — აი რა იყო სოლომონ დოდაშვილის ოცნებისა და პრაქტიკული მოქმედების საგანი, მისი საგან-

⁶ სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 245.

მანათლებლო მუშაობის ძირითადი მიმართულება, რისთვისაც იგი იღწეოდა და იფერფლებოდა: „სურვილი — სასარგებლო იყო ჩემ თანამემამულეთათვის, — წერდა იგი, — მუდამ წმინდა მოვალეობა იქნება ჩემთვის, ისევე როგორც იგი ამ, ჩემი ძალღონის შესაბამისი შრომის სტიმულიც იყო“. ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს, თუ რამდენად ძლიერ უყვარდა მას სამშობლო, თავისი ხალხი და როგორ თავს დებდა იგი თავისი ქვეყნის ადამიანთა კეთილი სამსახურისათვის. მაგრამ ს. დოდაშვილის მოღვაწეობაში გამოკრთის უფრო შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსის მისწრაფებანი. იგი ოცნებობდა ნაციონალურ-დამოუკიდებელ საქართველოზე, რასაც მოწმობს 1832 წლის შეთქმულების მასალები.

ამიტომ სავსებით ბუნებრივია ის გარემოება, რომ ს. დოდაშვილის ფილოსოფიური მოძღვრების ცენტრში დგას არა სული, იდეა, ღმერთი, როგორც ეს თავისი დროის მოაზროვნეთა შეხედულებებისათვის იყო დამახასიათებელი, არამედ ადამიანი და მისი შესწავლა, ადამიანის აღზრდა და განათლება. აქედან გამომდინარეობს, მისი აზრით, ფილოსოფიის დანიშნულება და მისი საგნის განსაზღვრებაც. „ფილოსოფია, — წერს დოდაშვილი, — უნდა წარმოადგენდეს ადამიანის გარკვეული სახის ცოდნათა სისტემას... ფილოსოფია უნდა იყოს ადამიანის სულის ნაწარმოები“⁷.

აღნიშნულიდან სავსებით გასაგები ხდება ს. დოდაშვილის მოძღვრების თანამიმდევრული და მიზანსწრაფული ხასიათი. და, თუ ამას გარკვეული მოდელის, ან სქემის სახით გამოვხატავთ, იგი ასეთი მომენტების სახით წარმოგვიდგება:

პირველი და მთავარი ელემენტი — ეს არის ადამიანი როგორც თავის მთლიანობაში მოცემული სამყაროს გამოსავალი წერტილი და მიზანი.

მეორე — ფილოსოფია, როგორც მსოფლმხედველობრივი სისტემა, რომელიც სწავლობს ადამიანს, გამოარკვევს ადამიანის ადგილს სამყაროში, განსაზღვრავს მის პარამეტრებს, მის ფუნქციასა და დანიშნულებას (დოდაშვილის აზრით, ამ საქმეს ემსახურება ფილოსოფიის ყველა ნაწილი), მაგრამ იგი. ფილოსოფია

⁷ ს. დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 43.

იკვლევს არა მხოლოდ გონების კანონებს, არამედ ამასთან ერთად გრძნობისა და პრაქტიკული მოქმედების კანონებს. იმ აზრით, რომ „ფილოსოფოსობაში“ შერწყმულადაა მოცემული თეორია, პრაქტიკა და ესთეტიკა. „ფილოსოფოსობა, — წერს ს. დოდაშვილი წერილში ი. ხელაშვილისადმი, — ჩვენი ყოვლისა საგნისათვის მდგომარეობს თეორიასა შინა, პრაქტიკასა და ესთეტიკასა: პირველი არს ცნება, მეორე ქცევა და მესამე ხელოვნება; კვლავ იგივე პირველი, ე. ი. თეორია არს ჰსწავლა გონებისა, მეორე გულისა და მესამე გრძნობისა“. თეორიის ნაწილები, დოდაშვილის აზრით, არის ლოგიკა, ფსიქოლოგია და მეტაფიზიკა; პრაქტიკის ნაწილებია: ზნეობა და მისი სწავლება (ეთიკა), სამართალმცოდნეობისა და სარწმუნოების სწავლება, ხოლო ესთეტიკაში შედის გემოვნება, მკვერმეტყველება და პოეზია. რაც შეეხება ფსიქოლოგიას, იგი ადამიანის სულს შეისწავლის და თეორიაში შედის. მაგრამ „თეორია რაისათვის არს სწავლა?“ აყენებს კითხვას ს. დოდაშვილი და იქვე უპასუხებს: „კაცისა თავისათვის, საიდანაც იწყებიან ყოველნი ზრახვანი, რომელიცა არს დასაბამი ანუ დასაბამი ძალთა სულისათა და სხეულისა ძარღვთა“⁸. ამრიგად, თეორია სწავლობს ადამიანს, რომელშიც მოცემულია სულისა და სხეულის ერთიანობა. მაგრამ ეს სამი ნაწილი ადამიანის მოქმედებაში „შეკრულ არიან ურთიერთ შორის, ესე იგი, გონება, გული და გრძნობა არიან ღარმონიებრ მოქმედნი ანუ თანახმანი, მაგალითად. იზრახვის სული, იტყვის გული რომელრაიცა აქვნდა სულსა გრძნობისა მიერ მიღებული და ესრეთ სულისა მოქმედბანი იწყებიან ტეინსა შინა“⁹.

მესამე მომენტია გონების დაკმაყოფილება: აქ შედის ადამიანის განათლება, კეთილდღეობა და პიროვნების თავისუფლება. ამასთან არის დაკავშირებული სამშობლოსა და ხალხის სიყვარული, მათი კეთილდღეობისათვის მზრუნველობა.

ს. დოდაშვილის თეორიული და პრაქტიკული საქმიანობა ამ სამი მთავარი მომენტისაგან შედგება. ეს ელემენტები განუყრელ კავშირსა და ერთიანობაშია მოცემული და „სრული ფილოსოფიის“ რანგშია აყვანილი.

⁸ სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 249—250.

⁹ იქვე, გვ. 250.

ამრიგად, როგორც მთლიანად აღებული ს. დოდაშვილის თხზულებანი, ასევე მისი ყოველი ცალკეული ნაშრომი ადამიანის პრობლემის გაშუქებას ეძღვნება. ამ ასპექტით უნდა მივუდგეთ „ლოგიკას“, „გრამატიკას“, „რიტორიკას“ და მის სხვა ნაწარმოებსა და პირად წერილებს. ამ შრომებმა თავის დროზე დიდი როლი შეასრულეს ადამიანთა თეორიულ-ფილოსოფიური გათვითცნობიერების საქმეში. განსაკუთრებით მაღალი შეფასება მიიღო რუს მკითხველთა წრეებში „ლოგიკამ“, რომელსაც რუსულ ცენტრალურ პრესაში აღმაფრთოვანებელი რეცენზიები მიეძღვნა. რა თქმა უნდა, ჩვენს ამოცანას არ შეადგენს დოდაშვილის ამ ნაშრომის შინაარსის განხილვა. აქ მხოლოდ უნდა მივუთითოთ, რომ ადამიანის მეცნიერული ცოდნის ჩამოყალიბების საქმეში ლოგიკას ს. დოდაშვილი მეტად დიდმნიშვნელოვან როლს აკუთვნებდა და ამასთან მას განიხილავდა როგორც ფილოსოფიური მსოფლმხედველობის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ელემენტს.

ს. დოდაშვილის აზრით, თუ ფილოსოფია საერთოდ ადამიანის ადგილს განსაზღვრავს ონტოლოგიურ სამყაროში, ფსიქოლოგია, გნოსეოლოგია და ლოგიკა ადამიანის ცნობიერებაში მოქმედი ფენების ურთიერთკავშირის მექანიზმის ახსნას იძლევა. მაგრამ, სამწუხაროდ, დოდაშვილმა თავისი ჩანაფიქრის მხოლოდ ნაწილის განხორციელება შეძლო „ლოგიკაში“, რომელიც ფაქტიურად ფილოსოფიის შესავალს წარმოადგენს. სამაგიეროდ მან ამ შესავალშიც კი შეძლო მოეცა პრინციპული ხასიათის ისეთი დებულებები და დასკვნები, რომლებიც გამოკვეთილად გვიჩვენებს მისი ავტორის მსოფლმხედველობრივ პოზიციას — რომ დოდაშვილის ფილოსოფია სამყაროს მატერიალისტური და დიალექტიკური ახსნის ელემენტებს შეიცავს და ამ მხრივ უახლოვდება რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების შეხედულებებს.

ს. დოდაშვილის „ლოგიკა“ არაა ლოგიკის საკითხების ჩვეულებრივი, ტრადიციული გაგება. კანტისაგან განსხვავებით იგი ცნობს ადამიანისაგან დამოუკიდებელ ობიექტურ კანონზომიერებას და ამაზე აფუძნებს აზროვნების კანონზომიერების ახსნას. ს. დოდაშვილი თავის სულიერ მამასა და მოძღვარს იონა ხელაშვილს სწერს, რომ „უკეთუ არა იყოს ორღანებრი სხეული, არცა შესაძლებელი იყო განხილვად შინაგანთა ჩვენთა წარმოდგენათა და გარეგანთა; ყოველი ფორმითი მოქმედება სულისა ჩვენისა

მდგომარეობს მატერიალთა ზედა. უკიოჲ არა იყენენ მარე-
რიალნი, არცა იქნებოდნენ ფორმან. მაშასადამე, ორნივე საქე-
როდ არიან“¹⁰ და ამ დებულზევს, ათმლქშიც აშკარად ჩანს მატერიალიზმისადმი სიმპათია და იდეალიზმის საწინააღმდეგო პოზიცია, სოლომონი წერდა თავის გამწვანელსა და საყვარელ მასწავლებელს იონას, რამელიც სქოლასტიკისა და მისტიციზმის პოზიციებიდან ებრძოდა მატერიალიზტებს, მაგრამ რა გაეწყობა! როგორც ჩანს, არისტოტელეს მსგავსად, სოლომონ დოდაშვილიც კეშმარიტებას თავის მეუბარ მასწავლებელზე, ამ შემთხვევაში იონა ხელაშვილზე, უფრო მაღლა აყენებდა.

ასეთი პოზიციიდან გამომდინარე, ადამიანი, ს. დოდაშვილის აზრით, არის სამყაროს ნაწილი, რომელიც ბუნების კანონების მიხედვით მოქმედებს. „გვიჩვენეთ თუნდაც ერთი ნაწილი ადამიანის შედგენილობაში, — წერს დოდაშვილი, — თუნდაც ერთი მოქმედება ამ მცირე სამყაროსი, რომელიც მუდმივ კანონებს არ ექვემდებარებოდეს. მისი შინაგანი იდეალური ცხოვრება თავისთავში და თავის მოვლენებში, ისევე როგორც ორგანული და ცხოველური არსებობაც, არ შეიძლება და არც უნდა იყოს შეუწყობელი, უწესრიგო“¹¹. აქ იგი გამოთქვამს მეტად საყურადღებო აზრებს, მიუთითებს, რომ აზროვნების ძალა და მისი კანონები ექვემდებარება მატერიალურ ძალას. ბუნების ძალა სხვა არაფერია, თუ არა ობიექტური სინამდვილის წესებისა და კანონების სწორი გაგება, მათი კეშმარითი შეცნობა. საგანთა სიმრავლე, მათი ურთიერთქმედებანი და სხვადასხვაგვარობა წარმოშობს და „უსათუოდ უნდა წარმოშვას სხვადასხვაგვარობაც აზროვნების წესებისა“¹².

მაგრამ „ლოგიკა“ როგორც მეცნიერება, დოდაშვილის აზრით, წარმოადგენს „მეცნიერებას არა საგნებისას, არამედ მხოლოდ აზროვნების წესისას საერთოდ, გონების, ანუ მისი აზროვნების საყოველთაო და უცვლელი კანონების მეცნიერებას“¹³. ეს არის ფორმალური ლოგიკის ჩვეულებრივი გაგება და ასეთი განსაზღვ-

¹⁰ სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 252—253.

¹¹ იქვე, გვ. 46.

¹² იქვე.

¹³ იქვე, გვ. 47.

ბება ს. დოდაშვილს ადამიანის განათლების საკმარის პირობად როდი მიიჩნევდა. მას კარგად ესმოდა სწავლა-აღზრდის საქმეში ყველა კომპონენტის ერთობლივი გამოყენების აუცილებლობა, ამიტომაც მან საჭიროდ ჩათვალა „ლოგიკის“ შემდეგ დაეწერა და რაც შეიძლება ჩქარა გამოექვეყნებინა „ქართული გრამატიკა“, რომელიც ადამიანებს შეასწავლიდა „კანონიერსა უბნობასა და წერ: ა ქართულად“¹⁸. და მართლაც, წიგნი 1827 წელს გამოვიდა და მან უდიდესი როლი შეასრულა ქართველი ხალხის სულიერი კულტურის შემდგომი განვითარების საქმეში. ამის შემდეგ ს. დოდაშვილისათვის ერთ-ერთი პირველხარისხოვანი და გადაუდებელი საქმე შეიქნა „რიტორიკის“ გამოქვეყნება, რადგან ეს ნაშრომიც ავტორის ფართო ჰუმანიტარული განმანათლებელი მუშაობის პროგრამაში შედიოდა. რიტორიკის მიზანს შეადგენდა სიტყვის წარმოთქმის ოსტატობა, იგი გვასწავლის სიტყვაკაზმული პროზის ზოგად კანონებს, დოდაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მშვენიერსიტყვაობასა საერთოდ“¹⁹. არსებითად ეს არის აზრისა და გრძნობების შეერთებით მჭევრმეტყველება, მსმენელებზე ეფექტიანი ზემოქმედება, რომელსაც, დოდაშვილის აზრით, ადამიანის აღზრდის სისტემაში აქვს სამი ძირითადი დანიშნულება: 1. ქეშმარიტებისადმი საგულდაგულო სწრაფვა, 2. კეთილი ნება, 3. ესთეტიკურ გრძნობათა სილამაზე ანუ მშვენიერება. დოდაშვილს ღრმად სწამდა, რომ კაცის „განათლებული გონება და განვითარებული გული, ესე ოდენ უკეთილესად მისწვდების თვისსა საგანსა“²⁰.

ავტორი ამასთან დაკავშირებით მიუთითებს ზნეობრივი ფილოსოფიის საგანმანათლებლო მნიშვნელობაზე უკეთურობისა და ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაში, აგრეთვე პოლიტიკური სწავლების დადებით როლზე და ასე შემდეგ. აქვე აღნიშნულია, რომ ამ მოპოვებულ ადამიანურ ღირსებებთან ერთად აუცილებელ პირობას წარმოადგენს ადამიანის გენეტიკური, შინაგანი მონაცემები „ბუნებითაცა ნიჭთა, თვინიერ რომელთაცა არა ოდეს

¹⁸ ს ო ლ ო მ ო ნ დ ო დ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებანი, გვ. 99.

¹⁹ იქვე, გვ. 163.

²⁰ იქვე, გვ. 164.

იქმნების მდგომარეობასა შინა მიწევნად თვისისა საგნისა“²¹. ასეთია ის ფაქტორები, რომლებიც კმნიან ჭეშმარიტების სიყვარულს, სათნობასა და მშვენიერების გრძნობას, რაც ასე განუყრელად აუცილებელია ადამიანის სრულყოფილებისათვის.

„რიტორიკაში“ საყურადღებო აზრებია აგრეთვე გამოთქმული მკვევრმეტყველური სიტყვის შთამაგონებელ ძალასა და დიდ მნიშვნელობაზე. მართლაცდა ჭეშმარიტ სიტყვას რომ მეტად დიდი ძალა აქვს, ეს ოდითგანვე ცნობილი ამბავია, მაგრამ ს. დოდაშვილმა, როგორც ადამიანის სულიერი სამყაროს შესანიშნავმა ოსტატმა, განსაკუთრებით გაუსვა ხაზი საკითხის ამ მხარეს. „არც ერთსა ჰსწავლასა, წერს იგი, — არა აქვს ესოდენ დიდი მოქმედება სულიერთა ზედა ჩვენთა ძალთა, ვითარცა აღმკობილსა ხელოვნებასა, მკვევრსიტყვაობა ნაინადირებს გულთა ჩვენთა და აღანთებს გამოხატეასა... ახალთ ჭეშმარიტებისა და ყოველთა საზოგადოთ ჰსავლათა მოჰსცემს ახალთა ღირსებათა და მიმზიდველობათა“²². ამასთან არის აგრეთვე დაკავშირებული ადამიანის სულიერ სამყაროზე მხატვრული ლიტერატურის ზემოქმედება, რომელსაც ს. დოდაშვილი დიდ აღმზრდელობით მნიშვნელობას აკუთვნებდა.

როგორც ამას ს. დოდაშვილის მკვლევარებიც ადასტურებენ, ამ შემთხვევაში „მშვენიერის“ ფენომენი გააზრებულია როგორც ესთეტიკური კატეგორია და, მაშასადამე, მასში იგულისხმება არა მხოლოდ მშვენიერსიტყვაობა რიტორიკის ასპექტით, არამედ ხელოვნების როგორც სინამდვილის მხატვრულ სახეებში ასახვის შინაარსი, მისი სპეციფიკა და უშუალო ზემოქმედება ადამიანის სულიერ სამყაროზე. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მხატვრული ლიტერატურა და მისი განმანათლებლური ფუნქციის ახსნა განსაკუთრებულ ადგილს იჭერს ს. დოდაშვილის თხზულებებში.

ს. დოდაშვილის ყველა ნაწარმოები გამსჭვალულია მაღალი მორალური პრინციპების ქადაგებით, მაგრამ ზნეობრივი სისპეტაკე და სათნობა, კეთილი ადამიანებისადმი ღრმა პატივისცემა და დაუოკებელი კაცთმოყვარეობა უწინარესად მას პრაქტიკულ ცხოვრებაში ახასიათებდა. ამავე დროს საზომი, რომელსაც იგი

²¹ ს. ო. ო. მ. ო. ნ. დ. ო. დ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი, თხზულებანი, გვ. 164.

²² იქვე, გვ. 165.

სხვა ადამიანს უყენებდა და ყველასაგან ამას მოითხოვდა, იყო კეთილმოქმედება, პატიოსნება და თავაზიანობა. გავიხსენოთ, თუ როგორ აღფრთოვანებული სწერდა იგი ი. ხელაშვილს იმ დიდი კმაყოფილების გამო, რომელიც მან განიცადა შეხვედრებითა და საუბრებით პეტერბურგის მოწინავე ადამიანებთან — პოეტებთან, მწერლებთან და სხვებთან, რომელთა საქმეები, მისი აზრით, „ყოველსა ქვეყანასა ზედა იხმიან“, როგორც „პატიოსნებანი მათნი“: ხოლო თუ როგორ აღშფოთებული იყო იგი საქართველოში ცარაზმის მოხელეების უხამსი მოქმედებით, რომლებიც მოსახლეობას აბუჩად იგდებდა და არაადამიანურად ეპყრობოდა: „მართვისათვის, — წერდა სოლომონი, — საჭიროა შერჩეულ იქნეს ადამიანები სავსებით მცოდნე ხალხისა და რაც შეიძლება... შერჩეული უნდა იქნეს მიუყვარძობელი და კეთილი ადამიანები“²³.

წალალი ზნეობრივი პრინციპების განმსახიერებელ ეტალონად ს. დოდაშვილი თვლიდა თავის სულიერ მამასა და მასწავლებელს იონა ხელაშვილს, რომლის კეთილშობილური თვისებებზე მან ამომწურავად ჩამოაყალიბა მისდამი ლექსად მიწერილ ოცსტრიქონიან მაჯამაში — „იონას უძღვნი ჰოლომონ აწ“. ამ ლექსში ხელაშვილი დახასიათებულია როგორც ბრძენი და „ნათელბრწყინვალე“ მოძღვარი, სიკეთის მომფენელი წყარო, „ნაყოფგამომღები“ მეცნიერი, სათნოებით სავსე არსება, ძალბუნებოვანი და გულით ზნეობიანი, ნუგეშისმცემელი, მამულის კეთილმსურველი და მლოცველი²⁴. ი. ხელაშვილს მართლაც დიდი როლი მიუძღვის ს. დოდაშვილის როგორც პიროვნების და მოღვაწის აღზრდისა და ჩამოყალიბების საქმეში.

თავის — „გრამატიკაში“ ს. დოდაშვილს აშუქებს ქართული ენის კანონებს და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ნაშრომმა განუზომლად შეუწყო ხელი მშობლიური ენის თვითმყოფლობის შენარჩუნებისა და განვითარების საქმეს. მაგრამ აქ ყურადღებას იპყრობს სხვა მხარეც. მასში გრამატიკული წესების დაცვისა და ხმარების ილუსტრაციისათვის ავტორის მიერ მოყვანილია წინადადებანი, რომლებშიც ჩვენ ვპოულობთ დიდაქტიკურ

²³ ს. დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 347.

²⁴ იქვე, გვ. 242.

მითითებებს, პედაგოგიკური და ეთიკური ღირებულების შემცველ დებულებებს.

პირველ რიგში აქედან საყურადღებოა ისეთი გამოთქმები, რომლებიც ადამიანის შრომითი აღზრდის საკითხებს შეეხება: „მცონარეობა და უქმობა, — წერს დოდაშვილი, — ესრეთ მოაძულებენ სულიერთა და სხეულევანთა ძალთა კაცისათა, რომელ იგი იქნების არა შემძლებელ წარმოებად თვით მცირეთა საქმეთაცა“²⁵. მაშასადამე, კაცი, რომელიც ზარმაცობს და უქმად ატარებს დროს, იმდენად დაუძლურდება, რომ მცირე საქმის გაკეთებასაც კი ვერ შეძლებს; შემდეგ: „გულისმოდგინე მარად დღე მოიპოვებს ახალთა ცნობათა, ხოლო მცონარი ადვილად წარწყმედს მოპოვებულთა ცნობათა“²⁶. სწავლა შრომასთან არის განუყრელ კავშირში და აქედანვე ღებულობს იგი სიამოვნების სათავეს. „დასაბამი სწავლისა შეერთებულ არს შრომასთანა და მოწყინებისა, გარნა, დასასრული მისი მიიღებს თვისთანა სიამოვნესა და კმაყოფილებასა“. კაცი ახალგაზრდობის დროს უნდა შრომობდეს, თუ მას ტკბილი მოხუცებულობა სურს: „ჭერ არს ანუ შრომად სიკბაბუკესა შინა, რათა გექონდეს განფენებული მოხუცებულობაი“²⁷.

აქვე ეხვდებით ბრძნულ აზრებს სწავლა-აღზრდის, განათლებისა და ქცევის ზოგიერთი საკითხის შესახებ. „ვითარცა მზე გაზაფხულს განაცხოველებს ქვეყანასა, მიანიჭებს სითბოსა და ნაყოფიერებასა, აგრეთვე ბრძენი მოძღვარი განანათლებს გონებასა და განავითარებს გულსა თვისთა აღსაზრდელთასა“²⁸ — წერს ს. დოდაშვილი. „სწავლანი, ვკითხულობთ იქვე, განანათლებენ გულისხმისყოფასა... აღმოკობილნი სწავლანი და მათ მიერ მოპოებულნი ცნობანი არა დააბნელებენ გულისხმისყოფასა, არამედ უგრძნობელად განანათლებენ მას“²⁹. და შემდეგ: „კაცობრივი ბედნიერება არა მდგომარეობს კეთილთა შინა დროებითთა და გახრწნადთა“... „სათნოება, სიბრძნე და სიმართლე არიან საჭირონი ბედნიერებისათვის ცხოვრებისა“³⁰. „ფრთხილი და კეთილ-

²⁵ ს. დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 158.

²⁶ იქვე, გვ. 157.

²⁷ იქვე, გვ. 158.

²⁸ იქვე, გვ. 157.

²⁹ იქვე.

³⁰ იქვე, გვ. 156.

გულისხმიერი ქცეულობა არათუ ოდენ გამოაჩინებს საიმედოსაგზასა საიმედოსათვის ბედნიერებისა, არამედ განამტკიცებს შინაგანსა კეთილმდგომარეობასაცა ჩვენსა“³¹. „ბოროტი ჩვეულებანი მსგავსად რომელისამე ტბილისა გესლისა, პირველად აწარმოებენ გულსა შინა სიამოვნესა, შემდგომად მცირე სნეულ ჰყოფენ, ხოლო დასასრულ გამოაჩინებენ ამას ზედა სრულიადსა სიფიცხლესა თვისისა მოქმედებისასა“³². შემდეგ: წონასწორობიდან გამოსული უსაზღვრო მოთხოვნილებებით შეპყრობილი ადამიანების წინააღმდეგ ს. დოდაშვილი წერს: „რაჟამს კაცი იოცნებებს ნამეტნავსა სრულებისათვის თვისისა გულისხმის ყოფისა, მაშინ უმეტეს განაშიშვლებს ნაკლულევანებათა შეერთებულთა კაცობრივსა ბუნებისთანა“³³.

ყველა ეს დებულება, შენიშვნა და მითითება ადამიანის აღზრდისა და განათლების საკითხებს ეძღვნება. ეს ბრძნული მოსაზრებანი დღესაც აქტუალურად უღერს, ისინი მიმართულია მუქთახორების, უსაქმურების, ყოველი სახის ანტიპოდების წინააღმდეგ და მალლა სწევს ადამიანის ღირსებას, მის კეთილშობილურ მორალურ პრინციპებს.

ასეთია ს. დოდაშვილის განმანათლებლური და ჰუმანისტური იდეები, აგრეთვე ის დაუღალავი პრაქტიკული მოღვაწეობა, რომელიც ამ იდეების ხორცშესხმას ემსახურებოდა.

ს. დოდაშვილმა, როგორც ცოდნის ლამპარმა, ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ქართული კულტურისა და ცივილიზაციის განვითარების საქმეში. მართალია, გარკვეული ისტორიული შეზღუდულობის გამო იგი მტკიცედ ვერ დადგა მატერიალიზმის თვალსაზრისზე, მაგრამ მისი მოძღვრება ძვირფასი განძია მარქსამდელ ფილოსოფიურ მემკვიდრეობაში.

³¹ ს. დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 158.

³² იქვე, გვ. 159.

³³ იქვე.

დამატება

რედაქციისათვის

სოლომონ დოდაშვილისადმი მიძღვნილი წინამდებარე კრებული მზად იყო გამოსაცემად, როცა თბილისის უნივერსიტეტის ესთეტიკის კათედრის პროფესორი თამარ კუკავა და დოცენტი ელბერდ ბატიაშვილი სამეცნიერო მივლინებით იყვნენ ვიატკასა და ლენინგრადში. იქაური არქივების გაცნობის შემდეგ მათ ნიაკვლიეს ზოგიერთ ახალ მასალას, რომელთაც თან ვურთავთ კრებულს დამატების სახით.

* * *

1. 1826 წლის 21 დეკემბერს პეტერბურგის საცენზურო კომიტეტში მიღებულ იქნა ს. დოდაშვილის განცხადება მისი „ფილოსოფიის კურსის, I ნაწილის, ლოგიკის“ გამოქვეყნების შესახებ რუსულ და ქართულ ენებზე ქართველი ახალგაზრდობის დასახმარებლად. განცხადება განიხილეს 1827 წლის 8 თებერვალს. ცენზორის დასკვნით, ნაშრომი არ შეიცავდა არაფერს ისეთს, რაც მის გამოქვეყნებას დააბრკოლებდა, მაგრამ ქართული ენის უცოდინარობის გამო ტექსტი გადაიგზავნა „აზიის დეპარტამენტში“ განსახილველად.

„აზიის დეპარტამენტის“ ქართველი მთარგმნელის დასკვნაში ნათქვამი იყო: ნაშრომის ქართული ვარიანტი დაწერილია ისეთი ენით, რომ მისი წაკითხვა რუსულის დაუხმარებლად შეუძლებელია — ავტორს შემოაქვს მრავალი უცნობი და ძნელად გასაგები სიტყვა, რომ ავტორი არ იცნობს; არისტოტელესა და ბაუმისტერის შრომებს და ამდენად ქართული ვარიანტის გამოქვეყნება არაა მიზანშეწონილი, ის არავითარ სარგებლობას არ

მოუტანს ახალგაზრდობას და მკითხველი საზოგადოებისათვის უყურადღებოდ დარჩება, რაც შეეხება რუსულ ვარიანტს, მას, რეცენზენტის აზრით, ესაჭიროება გადაწერა — გასწორება გამოქვეყნების მიზნით.

(იხ. ლ. ც. ი. ა. ფონდი, 777, აღწ. 1, საქმე 502.).

2. 1830 წლის 30 იანვარს დოდაშვილმა პეტერბურგის საცენზურო კომიტეტში წარადგინა გამოსაქვეყნებლად „ქართული გრამატიკა“. განხილვა მოხდა 1830 წლის 25 თებერვალს. რეცენზია წარმოადგინა ჯაფარ ტოფჩიბაშევმა, აღმოსავლური სიტყვიერების ადიუნკტმა. მისი დასკვნით: 1. ეს გრამატიკა არის თარგმანი რუსულიდან; 2. იგი დაწერილია არა მთლად კარგი ქართული ენით და ბევრგან შესწორებას მოითხოვს; 3. იგი არ შეიცავს არაფერს ცენზურის საწინააღმდეგოს.

1830 წლის 2 სექტემბერს გამოიტანეს დადგენილება მისი გამოქვეყნების შესახებ. (იხ. ლ. ც. ი. ა., ფონდი 777, აღწ. 1, საქმე, 993).

3. პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტში დოდაშვილის სწავლის პერიოდში ირიცხებოდა სულ 122 სტუდენტი. აქედან ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე — 18, ფილოსოფიური იურიდიულზე — 33, ისტორიულ-ფილოლოგიურზე — 37. თავისუფალ მსმენელთა რიცხვი უდრიდა 34-ს. დოდაშვილი თავისუფალ მსმენელთა სიაში რიცხვით მე-15-ეა. (იხ. ლ. ს. ი. ა. ფ. 14, აღწ. 1, საქმე 1005).

4. 1826 წელს დოდაშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტია სახელმწიფო ხარჯზე... ესაა ამ ფაკულტეტზე სწავლის პირველი წელი. ამ წელს დოდაშვილს საგნები ჯერ არა აქვს ჩაბარებული.

5. 1827 წელს დოდაშვილი იურიდიული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტია, იგი იზრდება სახელმწიფოს ხარჯზე. სიაში წერია უკანასკნელი, მე-15. ჩაბარებული აქვს სამი საგანი: ბუნებრივი სამართალი, რუსეთის სამოქალაქო სამართალი და პოლიტიკური ეკონომია. არა აქვს ჩაბარებული ლათინური, გერმანული, ფრანგული და ინგლისური.

(იხ. ლ. ს. ი. ა. ფ. 14, აღწ. 3, საქმე 13936).

6. დოდაშვილი გარდაიცვალა 1836 წლის 20 აგვისტოს და

დაკრძალეს ე. წ. „აქტირის“ სასაფლაოზე სადაც ამჟამად ქალაქის საავადმყოფო არის მოთავსებული.

7. როგორც ირკვევა, დოდაშვილს გადასახლებაში შეეძინა კიდევ ერთი შვილი გოგონა ანა, რომელიც გარდაიცვალა ოქტომბრის თვეში ორი წლისა და დაკრძალეს იმავე „აქტირის“ სასაფლაოზე.

(იხ. კ. ც. ს. ა. მეტრიკული ჩანაწერები 1836 წლისა).

8. 1852 წლის 21 მარტს დოდაშვილის ერთადერთ ვაჟს (დოდაშვილის მეორე ვაჟი — კონსტანტინე 1836 წ. გარდაიცვალა) ივანეს გაუგზავნია თხოვნა ვიატკის საგუბერნიო სამმართველოში, რათა მისთვის მიეცათ ცნობა მამამისის მაგიდის უფროსად ნამსახურობის შესახებ. როგორც ირკვევა, მას ასეთი ცნობა არ გადაუგზავნეს იმ მოტივით, რომ მამამისი სოლომონი ამ თანამდებობაზე დანიშნულ იყო გუბერნატორის სიტყვიერი დახასიათების შედეგად და არა ოფიციალური დადგენილების საფუძველზე.

(იხ. კ. ც. ს. ა. ფონდი 582, აღწ. 20 „ა“, საქმე, 99, გვ. 290).

ს ა რ ჩ ე ვ ი

რედაქციისაგან	3
სოლომონ დოდაშვილის „ლოგიკის“ სამეცნიერო და კულტურული ღირებულება — ლ ე რ ი მ ქ ე დ ლ ი შ ვ ი ლ ი	5
სოლომონ დოდაშვილის „ლოგიკური მეთოდოლოგია“ — გ ი ო რ გ ი რ უ ს ი ა	31
სოლომონ დოდაშვილის „რიტორიკა“ — თ ა მ ა რ კ უ კ ა ე ვ ა .	46
სოლომონ დოდაშვილის ფილოსოფიური თვალსაზრისი — ვ ა ხ ტ ა ნ გ გ ა გ ო ი ძ ე	64
სოლომონ დოდაშვილის ფილოსოფიის იდეური წყაროები — ა მ ა ლ ი ა ა მ ი რ ხ ა ნ ო ე ა	80
სოლომონ დოდაშვილის სოციალურ-პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებანი — ვ ა ხ ტ ა ნ გ ა ბ ა შ მ ა ძ ე	96
სოლომონ დოდაშვილის ნატურფილოსოფიური შეხედულებანი — ს ე რ გ ი ა ე ვ ა ლ ი ა ნ ი	116
სოლომონ დოდაშვილის პედაგოგიური შეხედულებანი — ტ ი ტ ე ს ა რ ი შ ვ ი ლ ი	128
სოლომონ დოდაშვილის ჟურნალისტურ-ლიტერატურული მემკვიდრეობა — ს ო ლ ო მ ო ნ ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი	132
სოლომონ დოდაშვილი და ქართული კულტურის ზოგიერთი საკითხი — მ ი ხ ე ი ლ მ ა ხ ა რ ა ძ ე	153
სოლომონ დოდაშვილი და გერმანული კლასიკური იდეალიზმი — კ ა ხ ა კ ა ც ი ტ ა ძ ე	171
დოდაშვილი და ბარათაშვილი — ე ლ ბ ე რ დ ბ ა ტ ი ა შ ვ ი ლ ი .	193
სოლომონ დოდაშვილი — განმანათლებელი და პუმანისტი — დ ი მ ი ტ რ ი კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე	202
დამატება	218

გამომცემლობის რედაქტორი თ. გაბელიაძე
მხატვარი ო. ვარვარიძე
სამხატვრო რედაქტორი ი. ჩიქვინიძე
ტექნიკური რედაქტორი ფ. ბუღალაშვილი
კორექტორი ე. თოფჩიაშვილი

სბ № 1303

გადაეცა წარმოებას 19.07.85. ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.06.86.
უე 01176. საბეჭდი ქალაქი № 1 60X84¹/₁₆. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 14.
საალრ.-საგამომც. თაბახი 10,78. ტირაჟი 2000. შეკვეთის № 1388.
ფასი 1 მან. 70 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета,
Тбилиси, 380028. пр. И. Чавчавадзе, 1.